


საქართველოს საპატრიარქო



1

საქართველოს საპატრიარქო
თბილისი - 2005




ჯვარი ვახსა - შექმული მოციქულთა სწორის, წმიდა ნინოს თით. IVს.

ძლიერებათ ჯვართ ვახსაო,
ღაბვისკუ და ღაბვისარე ზეკუნ



ქრისტიანული წიგნების



დაიბეჭდა უწმიდესისა და უნეტარესის სრულიად საქართველოს
კათოლიკოს-პატრიარქ ილია II-ის ლიცენზიით



ᠰᠠᠭᠤᠨ ᠰᠤᠨᠠᠭᠤ

ᠨᠠᠭᠤᠨ ᠰᠤᠨᠠᠭᠤ

ᠰᠠᠭᠤᠨ ᠰᠤᠨᠠᠭᠤ

ᠰᠠᠭᠤᠨ ᠰᠤᠨᠠᠭᠤ



აფხაზთა ზედა.
იერუსალიმიდანი ჩამოტანილი
ფოთაებრივი ტეტილით
მრევლის ფლოტვა



ამ ქვეყნად მოსვლის სამოცდაათი და აღსაყდრების ოცდახუთი წლის
იუბილეს გილოცავთ, უწმიდესო და უნეტარესო მეუფეო ჩვენო...

„დიდ არს ძალი სიყუარულისაჲ, რომელ მორჩილ ჰყოფს გონებასა
შეკადრებად შეუკადრებელსაჲ“.

(არსენი ამარტოლი. ქრონიკები. II, 103)

თქვენო უწმიდესობავ და უნეტარესობავ, კათოლიკოს- პატრიარქო სრულიად საქართველოდ

დროის უსასრულო მდინარებაში წუთიც კი არ არის 25, ანაც 70 წელი, მაგრამ ამქვეყნიური სათვალავით იგი ცოტა არაა. სრულიად ახალგაზრდა და მშვენიერი, ღვთიური ნათლით შთაგონებული აღზევდით თქვენ ქართული ეკლესიის საპატრიარქო ტახტზე... ჩვენს თვალწინ განვლო ამ ოცდახუთმა წელმა და დღეს ჩვენი უძველესი, სამოციქულო, მართლმადიდებელი ეკლესია და მთელი მორწმუნე ერი, მაღლიერებით აღნიშნავს ამ შესანიშნავ თარიღს.

სავალალო მდგომარეობა სუფევდა თქვენი აღსაყდრების დროისათვის საქართველოს ეკლესიაში. თავადაც კარგად უწყოდით ყოველივე. იმ დღეს თქვენ განაცხადეთ: „მე შეგნებული მაქვს ის უმძიმესი და, ამავე დროს, საპატიო მოვალეობა, რომელიც დღეს ღვთის ამ წმიდა ტაძრის თაღებქვეშ დამაკისრა მაღალმა ღმერთმა.

მუხლს ვიყრი მისი ძლიერების წინაშე და თაყვანს ვცემ მარადიული ნათლით მოსილ სახებას მისას.

თავს ვხრი საქართველოს ეკლესიისა და მისი მრევლის – ქართველი ხალხის წინაშე, რომელსაც სასოებით უნდა ვემსახურო იმ სარწმუნოებით, რომლის დაცვისა და შენარჩუნებისათვის, დაწყებული მცხეთაში მაცხოვრის კვართის მოტანიდან, ზღვა სისხლი გაიღო რიცხვით მცირე ჩვენმა ერმა“.

თქვენი პატრიარქობის პირველივე დღეებიდანვე დაიწყო და თითქმის მთლიანად მოწესრიგდა საქართველოს ეკლესიური ცხოვრება. უანგარო ღვაწლი, რომელსაც თქვენი წინამორბედი პატრიარქები ეწეოდნენ მათთვის მძიმე მოღვაწეობის პერიოდში, თქვენ განამრავლეთ. ქართული ეკლესიის ნამდვილი გამოღვიძების მისია თქვენ გხვდათ წილად.

წლების მანძილზე უმღვდლებოდ დარჩენილ ეკლესიებს თანდათან დაუბრუნდათ, ან უბრუნდებთ თავიანთი სახე. მოხდა სამღვდლო პირთა ეპისკოპოსებად ხელდასხმა; გაიზარდა მრევლი, გაიხსნა საეკლესიო ყურნალი „ჯვარი ვაზისა“ გამოვიდა „საღვთისმეტყველო კრებული“, დაიბეჭდა საეკლესიო წიგნები, სხვადასხვა სახის კალენდრები, გამოვიდა გაზეთი „მადლი“, შეიქმნა საგამომცემლო განყოფილება, პრესცენტრი... ახალ ქართულ ენაზე გამოქვეყნდა ბიბლია... ქვეყნის ყველა კუთხეში ამოქმედდა ეკლესია-მონასტრები...

გელათის, იყალთოს, ტბეთის უძველესი, ოდესღაც ელადის სიმაღლეზე მდგარი, მაგრამ მტრისაგან იავარქმნილი აკადემიების ნაფუძვარზე კვლავ გაიღვიძა სიცოცხლემ.

ყველაფრის ჩამოთვლა შეუძლებელია, მაგრამ სათქმელი უნდა ითქვას:

ყოველივე ამან ახალი საიმედო ძალა შეჰმატა ქართულ ეკლესიას, იმედით და რწმენით აავსო. გაიზარდა ჩვენი ეკლესიის ავტორიტეტი, მსოფლიოს საპატრიარქოთა ინტერესი მისდამი.

თქვენ დაუცხრომლად იღვწით ქვეყნად მშვიდობის შენარჩუნებისათვის...

თქვენ ქადაგებებში მშობელ ერს მუდამ ურთიერთსიყვარულისა და შინაგანი მთლიანობისაკენ მოუწოდებთ.

იქ, სადაც ირღვევა შინაგანი მთლიანობა, ირღვევა ერთმანეთის სიყვარულიც და სარწმუნოებაც სუსტდება. ჩვენი წმიდათაწმიდა ვალია, არ დავუშვათ ეს ბოროტებაო, ბრძანებთ თქვენ. იყოს თქვენი შემწე ამ დიდ მისიაში უფალი ჩვენი, იესო ქრისტე.

თქვენი მუდმივი საზრუნავი იყო და არის, ჩვენს ქვეყანაში, საერთოდ, ჩვენს შორის სუფევდეს ჭეშმარიტი ქრისტიანული სიყვარული. თქვენ ერის ყველა შვილს მოუწოდებთ რწმენისა და სიკეთისაკენ... ყველგან, სადაც კი გიხდებათ ყოფნა, ავედრებთ უფალს მთელს საქართველოს.

ღვთისაგან განსაკუთრებული ლოცვა-კურთხევით ხელდასხმული ბრძანდებით...

ღმერთმა კვალად განამრავლოს და განამტკიცოს ნაყოფი თქვენის ლოცვისა, თქვენი დიდი ზრუნვისა ჩვენს ერსა და ეკლესიასზე.

იყავით დღევრძელი. დიდხანს მშვიდობიანად გემართოთ წმიდა საჭე ქართული ეკლესიისა.

უფალმა ღმერთმა თავისი უხვი გულმოწყალებით კვლავაც განამშვენოს თქვენი სავალი გზა ქართული ეკლესიისა და ერის სადიდებლად.

ქრისტეს ჯვარმა საქართველო დალუპვისაგან გადაარჩინა...
ჯვარი ვაზისა უწმიდესი სიმბოლოა ჩვენი ერის მიერ განვლილი
დიდი, სახელოვანი გზისა... მისი რწმენისა და სასოებისა...

მრავალი უძვირფასესი საგანძური ჩაკარგულა ჩვენი ერის
ძნელბედობის ისტორიაში... ბევრი ცეცხლს დაუწვავს, ბევრი
წყალს წაუღია. ჯვარი ვაზისა კი გადარჩა... სხვანაირად
წარმოუდგენელიც იყო. იგი ზომ საქართველოს მფარველია.

ილია II

ქადაგება

უწმიდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ ილია II-ისა გიორგობის დღესასწაულზე

სახელითა მამისათა და ძისათა, და წმიდისა სულისათა!

ჩვენთან არს ღმერთი!

წმიდა დიდმოწამე გიორგისა და კონსტანტინეს ღოცვით, ღმერთმა ინებოს თქვენი და საქართველოს მშვიდობა და სიციცხლე!

სრულიად საქართველოს ვულოცავთ ამ დიდებულ ეროვნულ დღესასწაულს – გიორგობას. წმიდა გიორგი არის სიმბოლო ძღვევამოსილი გამარჯვებისა. იგი IV საუკუნეში იმ დროს მოღვაწეობდა, როცა რომის იმპერატორი იყო დიოკლეტიანე.

აი, ჩვენს წინაშე არის ორი პიროვნება – წმიდა გიორგი და იმპერატორი დიოკლეტიანე – სიმბოლონი სიკეთისა და ბოროტებისა.

ბრძოლა სიკეთესა და ბოროტებას შორის ყოველთვის იყო და იქნება, ვიდრე დედამიწა არსებობს. ერთადერთი ძალა, რომელიც ადამიანს, ერს, ქვეყანას ამ ბრძოლის დროს ეწევა, ღვთის ძალა და მადლია.

წმიდა გიორგის, სისხლით რომ იცლებოდა, მოესმა ხმა უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი: „ნუ გეშინინ, გიორგი, მე შენთანა ვარ.“ დღეს ჩვენც გვესმის ეს ხმა უფლისა: „საქართველოვ, ნუ გეშინინ, მე შენთანა ვარ!“ მწამს, ჩვენთან არს ღმერთი და ვერავითარი მტერი ვერ მოგვერევა, რადგან ჩვენი მფარველი არის ყოველადწმიდა ღვთისმშობელი დედა – განგებითა ღვთისაჲთა პატრონი საქართველოსი, დიდი დიასახლისი ჩვენი ქვეყნისა. ჩვენი მფარველები არიან წმიდა გიორგი, წმიდა ნინო, წმიდა ნიკოლოზი, წმიდა დიდი მოწამე კონსტანტინე, რომლის ხსენებაც დღეს არის და მრავალი ის მოწამე, ღირსი მამა და მღვდელმთავარი, რომელნიც ადიდებდნენ ღმერთს და თავისი ცხოვრებით მოიხვეჭეს მადლი უფლისა. და აი, ამ წმიდა მოწამეთა და ღირსთა მამათა, მღვდელმთავართა და ყოველთა წმიდათა ღოცვით გადავრჩებით!

ჩვენ მხოლოდ მაშინ უნდა გვეშინოდეს, თუ ჩვენი ხალხი დატოვებს ჭეშმარიტ გზას, მართლმადიდებელ სარწმუნოებას. აი, რა არის მართლაც საშიში. უნდა გვახსოვდეს ისიც, რომ ჩვენმა წინაპრებმა რწმენით, სიყვარულით, შრომითა და ბრძოლით გადაარჩინეს ჩვენი სამშობლო. ჩვენც მტკიცედ უნდა ვიდგეთ.

რატომ ვამბობთ, რომ მართლმადიდებლობა ჭეშმარიტი სარწმუნოებაა? იმიტომ, რომ ეს არის ის სარწმუნოება, რომელიც დაგვიტოვებს წმიდა მოციქულებმა; ეს ის სარწმუნოებაა, რომელიც იქადაგა უფალმა ჩვენმა იესო ქრისტემ; ის სარწმუნოება, რომელსაც გვაზიარა წმ. ანდრია მოციქულმა, წმიდა ნინომ. ეს არის განუყოფელი ეკლესიის სარწმუნოება, ანუ იმ დროინდელი, როცა არანაირი განხეთქილება არ არსებობდა. ღვთის მადლითა და


წყალობით, ქართველმა ხალხმა შეინარჩუნა იგი და ამაშია ჩვენი ძალა. ამიტომ იყო, რომ როცა საქართველოს მტერი შემოესეოდა, უპირველეს ყოვლისა, ტაძრებსა და მონასტრებს ანგრევდა, ვინაიდან მტერმაც კი იცოდა, რომ ქართველი ხალხის ძალა სარწმუნოებაშია, ტაძრებსა და მონასტრებშია ის მაღლი, რომლითაც საზრდოობს ქართველი კაცი. ამიტომ შევთხოვთ უფალს, რომ წმიდა გიორგის ღოცვით საქართველოში განამრავლოს ეკლესია-მონასტრები და სასულიერო პირნი, განამტკიცოს ჭეშმარიტი მართლმადიდებელი სარწმუნოება და სიყვარული, უნარი ურთიერთშენდობისა და თანადგომისა, რათა, კი არ ვაკრიტიკოთ და ტალახი ვცხოთ ერთმანეთს, არამედ, გვერდში დაგუდგეთ და დაგვიხმართ, როგორც წმიდა პავლე მოციქული ამბობს: „ურთიერთ სიმძიმე იტვირთეთ და ესრეთ აღასრულეთ სჯული იგი ქრისტესი.“ აი, ეს არის ჭეშმარიტი გზა და ამას უნდა გავყვეთ. უფალი ამბობს: „მე ვარ გზა, ჭეშმარიტება და სიცოცხლე.“ 2000 წელია ამ გზას ადგას საქართველო, ქართველი ერი და მას, ღვთის მაღლით, არ უღალატებს, არ გადაუხვევს.

ღღეს განსაკუთრებული ღღესასწაულია, სრულიად საქართველოს, მთელი მსოფლიოს ღღესასწაული. საქართველოში იგი წმიდა ნინომ დააწესა IV საუკუნეში. თვით წმიდა ნინო ბოდბის მონასტერში, წმიდა გიორგის სახელობის ეკლესიაში არის დაკრძალული. ეს ტაძარი წმიდა ნინოს ღოცვა-კურთხევით აშენდა და ჩვენ მაღლობას ვსწირავთ მას ამ დიდი მაღლისათვის.

ღღეს მთელი საქართველო ღღესასწაულობს, მაგრამ განსაკუთრებით ღღესასწაულობენ ისინი, ვინც ატარებს წმიდა გიორგის სახელს. თქვენ იცით, რომ საქართველოს 12 მეფე ჰყავდა, რომელთაც სახელად გიორგი ერქვათ. ვულოცავთ ჩვენს მეფეებსა და ყველა გიორგის მათი ანგელოზის ღღეს, ასევე გილოცავთ თქვენ ყველას.

ღმერთმა დაგლოცოთ, გაგახაროთ და გაგაძლიეროთ. ღმერთმა დალოცოს, გააძლიეროს და გაამთლიანოს სრულიად საქართველო.

ჩვენთან არს ღმერთი!





მწყემსი კეთილი

ქართველნი



ქართველი ერის ყველა დროის და ყოველი თაობის სანუკვარი ოცნება და მიზანი იყო გამთლიანებული და გაბრწყინებული საქართველო. მიუხედავად იმისა, რომ ამის მიღწევა ძალიან ძნელი, ხშირად შეუძლებელიც კი იყო, ქართველ ხალხს ამ რწმენისათვის არასოდეს უღალატია, ამ მიზნის მიღწევის იმედი არასოდეს დაუკარგავს. ასეთმა სულისკვეთებამ გაგვაძლებინა ჩვენ. როდესაც ეს რწმენა ძლიერდებოდა, ერი აღმავლობის გზაზე დგებოდა, მაგრამ როდესაც იგი სუსტდებოდა, მაშინ ჩვენი ჭირი მრავლდებოდა და აუტანელი ხდებოდა; სწორედ რწმენის შესუსტება იყო ჩვენი უმთავრესი ტრაგედია და არა ხორციელი შეჭირვება. დიდმა მეფემ წმ. დავით აღმაშენებელმა საქართველოს გამთლიანება, მისი დიდების მაღალ მწვერვალზე აყვანა სწორედ ერის სულიერი გაჯანსაღებით დაიწყო. მან, ვითარცა ჭეშმარიტი ღმერთის ერთგულმა მსახურმა, თავის მოღვაწეობას საფუძვლად დაუდო სახარებისეული სიბრძნე: *„ეძიებდეთ პირველად სასუფეველსა ღვთისასა და სიბრძნესა მისსა და ესე ყოველი შეგვიძინოს თქვენ“*. (მათე, 6,26).

რუის-ურბნისის კრება – ეს იყო ეკლესიისა და სულიერების აღორძინების დასაწყისი; ხოლო დიდგორის ტრიუმფალური გამარჯვება ჭეშმარიტებაზე დაფუძნებული მოღვაწეობის ნაყოფი – ძლიერ და საკვირველი. აღსრულდა უფლის სიტყვები: *„შეუძლებელია კაცთაგან, შესაძლებელ არს ღმრთისა მიერ“* (ლუკა, 18,27). რამეთუ ადამიანური ძალებისათვის შეუძლებელი იყო ამ ბრძოლაში ასეთი უმაგალითო გამარჯვების მოპოვება. *„თვინიერ ჩემსა არა რაა ძაღვდის ყოფად არცა ერთი“* – ბრძანებს უფალი. *„მე ვარ ვენახი და თქვენ რტონი, რომელი დაადგრეს ჩემთანა, და მე მის თანა. ამან მიიღოს ნაყოფი მრავალი. უკეთუ ვინმე არა დაადგრეს ჩემთანა, განვარდეს გარეთ“* (იოანე, 15,5-6). წმიდა მეფე დავითი არის ის ჯანსაღი რტო ქრისტეს ვენახისა, რომელი დაადგრა სიყვარულსა ზედა უფლისასა. ნაყოფად სულითა და ხორციით ამაღლებული და გაბრწყინებული ერი მოიგო. მისი ნათელი სული მოგვიწოდებს, რათა ღვთისა და ერთმანეთის სიყვარულით გაერთიანებულემა ვძლიოთ ბოროტი ძალების მანქანებას და ვიზეიმოთ ყოველი დროის ყოველთა ქართველთა უმთავრესი ოცნების აღსრულება – ერთიანი და აღორძინებული საქართველოს გაბრწყინება.

ქართველმა ერმა უნდა ისმინოს ეს მოწოდება, წინ წარიმდევაროს წმიდა დავით მეფის ხატება და დაირაზმოს მისი ანდერძის აღსასრულებლად, რომელიც გვაუწყებს: *ყოველივე ესე აღვასრულე მე პატიოსანი და ცხოველსყოფელი ჯვარის ძალით*.

ერთად ღვთისაკენ

ჯვარი არის სიმბოლო უზენაესი სიყვარულისა. თუ ქართველი ერი არ დაუბრუნდება მოყვასისა და მამულისათვის თავდადების მოწამეობრივ გზას, შეუძლებელი იქნება ჩვენი გამთლიანება. მაგრამ იმისათვის, რომ გიყვარდეს, რომ შეგეძლოს მიტევება, თანაგრძნობა, თავგანწირვა – საჭიროა ძალი და მადლი ღვთისა – „უფალმან ძალი ერსა თვისსა მოსცეს, უფალმან აკურთხოს ერი თვისი მშვიდობით“ (ფს. 28,11).

უკანასკნელ უამს სულითა და ხორციით ნაგვეში ქართველი ერი უძღურია ადასრულოს ღვაწლი სიყვარულისა; მისი აღდგინება მხოლოდ ღვთის ცხოველსმყოფელ მადლს შეუძლია. ეს კარგად იცოდნენ ჩვენმა მტრებმა და ყველაფერს აკეთებდნენ იმისათვის, რომ აღმოეფხვრათ ჩვენში რწმენა ჭეშმარიტი ღვთისა.

და ჰოა საოცრება!



ის, რაც საუკუნეების მანძილზე ვერ შეძლეს საქართველოს დაუძინებელმა მტრებმა, ქართველმა ხალხმა, ისევ მტრის ნებით, თავად ადასრულა, როდესაც დაანგრია ეკლესია-მონასტრები, ფიზიკურად გაანადგურა და შეაგინა სამღვდელოება და სიწმიდენი. ფეხქვეშ გათელა და აბუჩად აიგდო მამა-პაპათა რუდუნებითა და სიცოცხლის ფასად გადარჩენილი წმიდათაწმიდა საღმრთო სჯული და მოძღვრება. ეს იყო საქართველოს ისტორიაში არნახული და გაუგონარი დაცემა – განდგომა და გმობა ჭეშმარიტი ღვთისა.

გაწყვეტილია ერის სულიერი სიცოცხლის მთავარი ძარღვი. სწორედ ამიტომ უჭირს დღეს საქართველოს. სწორედ ამიტომ უჭირს მას მოყვასის მიმართ სულგრძელობა, ნდობა და თავდადება. უკეთუ ქართველი ერი ერთითა პირითა და ერთითა გულითა არ აღიარებს ღვთის წინაშე ჩადენილ ამ უდიდეს დანაშაულს და კვლავ არ გახდება მადიდებელი ღვთისა, შეუძლებელი იქნება ჩვენი გადარჩენა.

ქართველი ერის სწრაფვა საქართველოს გასამთლიანებლად უკავშირდება ერისა და ბერის ერთობლივ ღოცვას, როგორც სიმბოლოს საქართველოს სახელმწიფოებრივი მთლიანობისას.

მაშ, მოვედით ქრისტეს მიერ საყვარელნო ძმანო და დანო, ქართველნო, მცხოვრებნო საქართველოში და მის საზღვრებს გარეთ, დავდოთ ფიცი – აღსარება ღვთისა და ერთმანეთის ერთგულებისა, რათა აღარასოდეს ვუღალატოთ ღმერთსა და მამულს. ავაგოთ მტკიცე და ურყევი ტაძარი ერთობისა და სიყვარულისა და გავხდეთ ღირსნი ცათა სასუფეველისა, ღმერთთან მარადიული და ნეტარი ცხოვრებისა.

ამინ!



ჰერეთის (საინგილო) ეკარქია

2



საინგილო

რომ დაიარო ქვეყანა მთელი, –
უფრო ლამაზი მიწა ვერ ნახო!
როგორი მთები, როგორი ველი,
რა ვენახები, რა სავენახო!
მეგონა იყო ერთი მტკაველი,
და მერე როგორ ვცდებოდი თურმე,
როცა ვიხილე მისი მთა-ველი,
თვალწინ დამიდგა წარსული მრუმე.
წარსული... არა, მიჯობს დუმილი,
თორემ ვგრძნობ ტკივილს განუკურნებელს,
მე ვდგავარ კლდეზე მიჯაჭვულივით
და გადავცქერი საუკუნეებს.

ხუტა ბერულავა

ამ ჰერეთ, იმ ჰერეთ

ძმებ იყვნენ

ინგილოური თქმულება

უწინდელ დროში აქ ძველი საქართველო ყოფილა და ძველი ჰერეთი. სულ პირვანდელ ქართველებს აქ უცხოვრიათ. ისინი თვრამეტი ძმანი ყოფილან. ეს ადგილი ედემის ბაღივით ლამაზი ყოფილა. მუდმივად, ზამთარ-ზაფხულ ჰყვოდა თურმე... რა ნადირი, რა ფრინველი გინდოდა, რომ შიგ არ იყო. ძვირფასი წყაროები მორჩუნებდნენ მთებიდან – თუ გინდ, ცივი, თუ გინდ თბილი. მტერს ქართველების კარგი ცხოვრება შეშურებია და მის ამოსავლებად ჯარი გამოუგზავნია. ჯარს ეს ქვეყანა აუკლია, ხალხი დაუნოცია, ვინც გადარჩენილა, ცოცხლად დაუმარხავს. ფრინველი და ნადირი ამოუწვევტია, ტყე გაუკაფავს, ძვირფასი წყაროები დაუშრია.

თვრამეტი ძმიდან ერთი წყება ძმები გაქცეულან და საქართველოში, ახალი ჰერეთი აუშენებიათ. თავისი ქვეყანა ოთხივ კუთხით ჯებირებით შემოუფარგლავთ ისე, რომ შიგ ჩიტიც ვერ ჩაფრინდებოდა. ამ ძმებიდან ერთი ვერ გაქცეულა და ტყეში დამალულა. ომი გათავებულა, შემდეგ გამოსულა. იმისათვის მტერს ხელი არ უხლია და მორჯულებული – „ჰენგილაჲ“ უწოდებია. შემდეგ ის გამრავლებულა და თავისი ქვეყნისათვის – დუნისათვის – საინგილო უწოდებია. იმ ახალ ჰერეთსა და ძველ ჰერეთს შორის მუდამ ტკბილი ძმობა ყოფილა. იმ ჰერეთის მეფეები ომში წასვლისას გზად მუდამ ამ ჰერეთზე გამოივლიდნენ. თავის უფროს ძმას ნახავდნენ და თავს დაალოცვინებდნენ. იმ ჰერეთ, ამ ჰერეთ ხალხები ჭირსა და ლხინში მუდამ ერთად იყვნეს, ძმებ იყვნეს.

წუქეთის სიძველენი

ისტორიული მეცნიერება მოწოდებულია, რათა საზოგადოებას მიაწოდოს ნამდვილი მეცნიერული ცოდნა მსოფლიოში მცხოვრები ერებისა და ხალხების ისტორიული წარსულის მნიშვნელოვანი მოვლენების შესახებ. ისტორიული მეცნიერება ფართო მკითხველ საზოგადოებას აწვდის უტყუარ და ჭეშმარიტ კონკრეტულ ფაქტებს და ამყარებულ მეცნიერულ შრომებს, რომლებშიც მოცემულია ამ ფაქტების პირუთვნელი, სამართლიანი და ობიექტური შეფასება. ასეთი ხასიათის ნაშრომების შექმნა ჩვენი დროის აუცილებელი მოთხოვნილებაა. და, აი, ასეთ ვითარებაში, რაოდენ დასანანი და სამწუხაროა ხოლმე, როდესაც სამეცნიერო ბრუნვაში გამოჩნდება ისეთი ნაშრომი, რომელშიც დამახინჯებული და გაყალბებულია ისტორიული ჭეშმარიტება. სწორედ ასეთ ფაქტებს აღგვიძრავს 1998 წელს, აზერბაიჯანის რესპუბლიკის გამომცემლობა „სედას“ მიერ აზერბაიჯანულ ენაზე გამოცემული ბროშურა სახელწოდებით – „კახის ძეგლები“, რომლის ავტორები არიან კახის რაიონის გაზეთ „შეღელას“ რედაქტორი, ჟურნალისტი კ. აზიმოვი და ამავდროის რაიონის მკვიდრი, განათლებით ეკონომისტი, შ. აჰმედოვი. როგორც თვით ავტორები აღნიშნავენ, „ეს ბროშურა ცეცხლთა სამშობლოს – აზერბაიჯანის მომაჯადოებელი კუთხის – კახის რაიონის ისტორიული ძეგლების შესახებაა. წიგნი ეპოქათა ქვის მატინედ ქცეულ ამ ნაგებობათა სათითაოდ გაცნობის მიზნით შევადგინეთ. ამისათვის კვლავ ვეწვიეთ ამ ძეგლებს. შევისწავლეთ მათი ამჟამინდელი მდგომარეობა. გადავხედეთ ამავდროულად თემაზე ჩვენზე ადრე მოღვაწე ავტორთა შრომებს. ვნახეთ, თუ რამდენი ობიექტია ჯერ მარტო კახის რაიონში, რომლებიც უნდა შევიტანოთ ისტორიის სახელმძღვანელოებში. ვასწავლოთ სკოლის მოსწავლეებსა და სტუდენტებს. მოვამზადოთ მათ შესახებ

ინფორმაცია სხვადასხვა ენებზე და გავაცნოთ მსოფლიო საზოგადოებრიობას“.

როგორც ვხედავთ, ავტორთა მიზანი და ამოცანა ერთობ საპატიოდ და აქტუალურად გამოიყურება. მაგრამ, სამწუხაროდ, აზერბაიჯანის რესპუბლიკის კახის რაიონის მკვიდრი მოსახლეობის, ქართველი ინგილოების ეთნიკურმა ისტორიამ ამ წიგნში ვერ პოვა სათანადო და ღირსეული ასახვა. ავტორთა მანიერი მეთოდოლოგია, ტენდენციურობა, თხრობის დაუდევარი და უწესრიგო სტილი, განზრახვა, რომელსაც არავითარი საერთო არა აქვს სერიოზულ მეცნიერულ კვლევა-ძიებასთან, – აი, ყოველივე ის, რაც იწვევს გაოცებას ამ წიგნში. არასწორმა და მანიერმა მეთოდმა გამოიწვია ის, რომ ნაშრომში საქართველოს ისტორიის გაშუქებისას, დაშვებულია მიუტევებელი, შეუწყნარებელი და უხეში პრინციპული ხასიათის მქონე შეცდომები. საქმე ეხება არა რომელიმე კონკრეტული ისტორიული ფაქტის არასწორ ინტერპრეტაციას და ანალიზს, საქმე ეხება არა ზოგიერთი მკვლევარისათვის დამახასიათებელ ტენდენციურობას, არამედ ავტორთა მიერ ისტორიული ჭეშმარიტების შეგნებულ გაყალბებასა და დამახინჯებას.

ჩვენი რეცენზია არ გახლავთ პასუხი მხოლოდ აღნიშნულ მცირე ბროშურაზე. ეს არის აუცილებელი რეაგირება უფრო დიდ პრობლემაზე – აზერბაიჯანულ მეცნიერთა ტრადიციულ (ხან აშკარა, ხან კი შეფარვულ) ტენდენციაზე, რომლის საბოლოო მიზანს შეადგენს ფეოდალური ხანის საქართველოს ისტორიული პროვინციის საინგილოს ისტორიის გაყალბება. აქ არსებული ქართული ხუროთმოძღვრების შესანიშნავი ძეგლების მისაკუთრება.

მთავარი „ღერძი“ წიგნისა – არის ცდა იმისა, რომ ძირძველი ქართული ისტორიული პროვინცია პერკეთი, რომლის

შემაღგენლობაშიც შედიოდა თანამედროვე კახის რაიონის ტერიტორია, თავისი მოსახლეობით, ენით და კულტურით, წარმოგვიდგინოს, როგორც უცხო ეროვნული სამყარო. ავტორთა შეხედულებით, ჰერეთი, რომელიც საუკუნეების განმავლობაში მთელ დანარჩენ საქართველოსთან ერთიანი ცხოვრებით ცოცხლობდა, კ. აზიმოვისა და შ. აჰმედოვის წიგნში გამოცხადებულია, როგორც უცხო ელემენტი, მისგან გამოყოფილი და გამოთიშული. რას ემყარება ავტორების ასეთი უპასუხისმგებლო განცხადება? მხოლოდ და მხოლოდ ვარაუდებს, ცარიელ, უაზრო მიმონაგონებს, ერთიმეორის გამომრიცხავ ანტიმეცნიერულ და საკუთარი ფანტაზიით შეთხზულ დებულებებს. მათ გვერდით კი არც ერთი ფაქტი! მაგრამ ფაქტების უქონლობა ჩვენს ავტორებში არ იწვევს არავითარ შეცბუნებას. მათ შემუშავებული აქვთ მეტად ორიგინალური მეთოდი იმისათვის, რომ როგორმე გვერდი აუარონ მათთვის არასასურველ ნამდვილ ისტორიულ ფაქტებს. უფრო ნათელი წარმოდგენა რომ ვიქონიოთ ავტორთა შეხედულებებზე ჰერეთის იტორიული განვითარებისა და აქ მიმდინარე ეთნიკური პროცესების შესახებ, მოვიყვანოთ ამონაწერი მათი წიგნიდან: „ჩვენთვის ცნობილ ისტორიულ წყაროებზე დაყრდნობით დასაშვებია, რომ კახის ტერიტორია ჩვენს წელთაღრიცხვამდე, VII საუკუნემდე, შესული იყო სკვითთა სამეფოს შემადგენლობაში. ამ სახელმწიფოს საზღვრები, რომელსაც საფუძველი ჩაუყარეს სკვითებმა, ქიმერებმა და საქთა ტომებმა, სამხრეთიდან ურმიის ტბიდან ჩრდილოეთით – კავკასიის მთებამდე გრძელდებოდა. მიუხედავად იმისა, რომ ზოგჯერ ისტორიის ფურცლებზე ქიმერ-სკვით-საქთა სამეფოდ მოხსენიებული ამ სახელმწიფოს არსებობის დროიდან 2600 წელი გავიდა. მისი დამაარსებელი ტომების კვალს აზერბაიჯანში, შექი-ზაქათალის მხარეში, კერძოდ კი კახის რაიონშიც ვხვდებით...

რაიონის ტერიტორიაზე არსებობს სკვითთა ტომთან დაკავშირებული საც-

ხოვრებელი ნაგებობა, რომელსაც გიმირ-ლი ეწოდება. მკვლევარები აყენებენ იდეას სოფელ ზეიქმისა და ზეიქმის ხეობის დასახელებებში საქთა ტომის ასახვის თაობაზე. უნდა გაავითვალისწინოთ, რომ სოფლის მოსახლეობა ამ ადგილს ზეიქმს კი არა, საგამს ეძახის. კახის რაიონის მეზობელი ზაქათალისა და შექის რაიონების დასახელებების ფორმირებაშიც აშკარად იკვეთება საქთა ტომის კვალი...

სკვითთა სამეფოს დაცემის შემდეგ, ჩვენს წელთაღრიცხვამდე IV საუკუნეში, ჩრდილოეთ აზერბაიჯანის ტერიტორიაზე ალბანეთის სახელმწიფო შეიქმნა... ზოგიერთი მეცნიერული თვალსაზრისის მიხედვით, ალბანელთა ერთი ნაწილი შედგებოდა სპარსულენოვან გელთა ტომისაგან. სავარაუდოა, რომ კახის რაიონის ტერიტორიაზე მცხოვრები ინგილოები ამ სპარსულენოვან გელთა ტომების შთამომავლები არიან.

ამ საკითხის გასარკვევად იმის აღნიშვნაა საჭირო, რომ ადრეული შუასაუკუნეების ავტორთა ფავსტოს ბუზანდისა (V ს.) და გევონდის (VII ს.) ცნობების მიხედვით, ტერიტორია, რომელზეც ჩვენ ვცხოვრობთ, კავკასიის ალბანეთის ერის ან ჰერის მხარეში შედიოდა. შუა საუკუნეების ქართულ მატეიანეებში კი მხარის დასახელება ერეთად, ანუ ერთა ქვეყანად არის დაფიქსირებული. ერების ეთნიკური წარმომავლობა დღემდე დაუდგენელი რჩება. ამასთან ისტორიკოსებს ერთსულვნად მიაჩნიათ, რომ ისინი ქართულენოვანი ხალხებისაგან სრულიად განსხვავებული წარმოშობისანი არიან. თუმცა ბევრი ქართველი მეცნიერი ცდილობდა დაემტკიცებინა, რომ ეს ტერიტორია თავდაპირველად ერეთის, შემდეგ კი საინგილოს სახელწოდებით ისტორიული საქართველოს მიწა-წყლის ერთ-ერთი ნაწილი იყო. დასახელება საინგილო, რაც ქართულ ენაზე ინგილოთა ქვეყანას ნიშნავს, ისტორიკოსებისათვის მხოლოდ XVII-XVIII საუკუნეებიდან არის ცნობილი. ტოპონიმის მკვლევარ ვ. გეიბულდლაევის მიერ ამ სახელ-

წოდების წარმოშობის შესახებ გამოთქმული აზრის მიხედვით, მას შემდეგ, რაც ალბანურ ტომთაგან ერთ-ერთმა გაქრისტიანებულმა გელთა ტომმა ირანის შაჰის – აბას I-ის ლაშქრობის დროს ისლამი მიიღო, მეზობელი თურქულენოვანი მოსახლეობა მათ იენიგელის, ანუ ახლიდან სარწმუნოებაშიღებულ გელებს უწოდებდა. ამ სახელის ქართულ ენაზე ინგილოდ გამოთქმის მიზეზს, ამ ენის თავისებურება წარმოადგენს. ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ მართალია, ინგილოებმა უკვე დაკარგეს ეთნიკური თავისებურებები, თავიანთ თავს ქართველებივით ქართულს კი არა, ინგილოს უწოდებენ“.

ჩვენ საგანგებოდ მოვიყვანეთ ეს ვრცელი ამონაწერი, რათა მკითხველს ნათლად დაენახა, თუ რა სახის მასალა მოაქვთ ავტორებს ჰერეთისა და ჰერების შესახებ და ამის შესაბამისად საინგილოს ისტორიისა და ინგილოების შესახებ. თუ კარგად ჩაუკვირდებით ამ მასალას და მის საფუძველზე გაკეთებულ დასკვნებს ჰერეთის ისტორიისა და ჰერების ეთნოგენეზის შესახებ, უმაღლვე დავრწმუნდებით, რომ მათ მეცნიერებისა, სამწუხაროდ არაფერი არ სცხია. მაგრამ ეს ცოდვის მხოლოდ ერთი მხარეა; უმძიმესი აქ ისაა, რომ პატივცემული აზიმოვი და აჰმედოვი, ამ თავიანთივე შეცდომების საფუძველზე ვერ ამჩნევენ, რომ მათი ასეთი მსჯელობა, რბილად რომ ვთქვათ, მავნეა. მავნეა იმიტომ, რომ აქ ჩვენ სახეზე გვაქვს მაგალითი შუა საუკუნეების საქართველოს ისტორიის ფაქტების უხეში დამახინჯებისა. აზიმოვისა და აჰმედოვის დასკვნებში მკაფიოდ გამოვლინდა ავტორთა განზრახვა: მოსწვევიტონ ჰერეთი ქართულ სახელმწიფოებრივ ორგანიზმს. მათი აზრით, ჰერების განსახლების ტერიტორია, ანუ ქართველი წყაროების ჰერეთი (რომელიც მოიცავდა დაახლოებით დღევანდელ აღმოსავლეთ კახეთს საინგილოთურთ) უძველესი დროიდან შუა საუკუნეების ჩათვლით ძველი ალბანეთის სახელმწიფოს მიეკუთვნებოდა, რომელიც დაახლოებით

ახერბაიჯანის რესპუბლიკის ტერიტორიაზე მდებარეობდა. ქართველებთან მათ არაფერი საერთო არ ჰქონიათ. და ყველაფერ ამას „ამტკიცებენ“ ისე, რომ არ მოაქვთ არცერთი ჭეშმარიტი და უტყუარი ფაქტი, ან რეალური მეცნიერული მოსაზრებანი თავისი თეზისის სასარგებლოდ. ისე კი, თუ საამისო სურვილი ექნებოდათ და თანაც სულ მცირე ობიექტურობას გამოიჩინდნენ, მათ შეეძლოთ სულ ადვილად გარკვეულიყვნენ ჰერეთის ისტორიის, მისი ტერიტორიული კუთვნილების და ჰერთა ვინაობის საკითხებში, და, აგრეთვე, ისტორიული ჰერეთის ტერიტორიაზე საინგილოს წარმოქმნისა და გაჩენის ნამდვილი მეცნიერული ისტორიის აღდგენაში. შუა საუკუნეების ჰერები რომ ქართული ტომია, რომელიც ისეთივე მონაწილეობას იღებს ქართველი ხალხის კულტურულ-პოლიტიკურ ცხოვრებაში, როგორც ქართლები, კახელები, მეგრელები, მესხები და სხვ. და რომ ჰერეთი (დღევანდელი საინგილოთურთ) ფეოდალური საქართველოს ტერიტორიის ისეთივე ორგანული ნაწილია, როგორც ქართლი, კახეთი, სამეგრელო, მესხეთი თუ სხვ., ეს ყველა ქართული თუ უცხოური თანადროული, ავტორიტეტული და პირველხარისხოვანი ისტორიული წყაროების (ანტიკური, ძველი ქართული, ძველი სომხური, ბიზანტიური, არაბული და სხვ.) მიხედვით სრულიად უცილობელია. ეს საკითხი – აგრეთვე გაშუქებულია ქართულ ისტორიოგრაფიაში, რომელსაც პ. აზიმოვი და შ. აჰმედოვი საგანგებოდ უგულვებლყოფენ.


ზემოთ ჩამოთვლილ საისტორიო წყაროებში დაცული ცნობები გვიდასტურებენ: უფრო ადრე თუ არა, უკვე ახ. წ. ა. I-II საუკუნეებიდან ჰერეთი მტკიცედ არის შემოსული ქართლის (იბერიის) სახელმწიფოს შემადგენლობაში. ასევე, მომდევნო III-IV სს-ში ჰერეთი და ჰერები აქტიურ მონაწილეობას ღებულობენ ქართლის (იბერიის) სამეფოს პოლიტიკურ ცხოვრებაში. განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ჰქონდა IV ს-ის I ნახევარში, მირიანის მეფობის ხანაში,

ამ მხარეში ქრისტიანობის გავრცელება. საისტორიო წყაროებში დაცული ცნობებიდან ირკვევა, რომ წმიდა ნინოს სამისიონერო მოღვაწეობის ობიექტთა შორის ერთერთი ძირითადი პერეთის ქვეყანა ყოფილა. პერეთის ტერიტორიაზე ქრისტიანობის გავრცელების ფაქტი თავის მხრივ დაკავშირებული იყო ქართველი ხალხის კონსოლიდაციის საკითხთან. შუა საუკუნეებში რელიგიური ნიშანი, ე. ი. ამა თუ იმ საეკლესიო ორგანიზაციისადმი დაქვემდებარება, ერთ-ერთი გადამწყვეტი მომენტი იყო, რომლის მიხედვითაც განისაზღვრებოდა ინდივიდისა თუ კოლექტივის შესაბამის ეთნიკურ ერთობაში წევრად ყოფნა. პერეთის ქრისტიანობის საკითხის შესწავლა შესაძლებლობას გვაძლევს ვიმსჯელოთ არა მარტო მათ პოლიტიკურ-კულტურულ ორიენტაციაზე, არამედ მათ ეთნიკურ თვითშეგნებაზეც, მათ შეგნებაზე იმის შესახებ, თუ რომელ ეთნიკურ წრეში შედიან. და აი, ქრისტიანობის მთავარი დამწერგავი, ქრისტიანული კულტურის უახლესი ცენტრი, პერეთისათვის იყო ქართლი. აქედან მიდიან მისიონერები, აქედან ხდება ქრისტიანობის პროპაგანდა და აქედანვე ხორციელდება შესაბამისი სახელმწიფოებრივი ღონისძიებანი. აღებულ პერიოდში (IV ს. I ნახევარში) პერეთის გაქრისტიანებაში ქართლის გარდა, სხვა

რომელიმე ქრისტიანულ-საეკლესიო ცენტრის მონაწილეობა გამოირიცხებოდა.

V ს-ში, სახელგანთქმულ ვახტანგ გორგასალის ეპოქაში, პერეთი ქართლის სახელმწიფოს ერთ-ერთი საერისთაო იყო. ვახტანგის სახელთან არის დაკავშირებული პერეთში ქალაქების, ეკლესიების, საეპისკოპოსო კათედრების (ბოდბე, ხორნაბუჯი, ბახალათი ანუ ბახთალო, გიში და სხვ.) აგება-დაარსება და საერთოდ მრავალი დიდი პოლიტიკურ-ადმინისტრაციული და კულტურული ღონისძიების გატარება.

ქართულ საისტორიო წყაროებში დაცული ცნობების მიხედვით, ვახტანგ გორგასალის დროს, პერეთის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში, წუქეთში (თანამედროვე აზერბაიჯანის რესპუბლიკის კახის რაიონში) იჯდა მთავარი, რომლის სამფლობელოც საკუთრივ წუქეთის გარდა მოიცავდა, აგრეთვე, ხუნზეთს (კავკასიონის მთავარი ქედის გადაღმა მცხოვრები თანამედროვე იმიერკავკასიელი ტომების: ხუნზეთის, ავარების, წახურების ტერიტორია). პერეთი ვახტანგ გორგასალის ეპოქაში, აქ გატარებული სახელმწიფოებრივი რეფორმების შედეგად, ძირითადად და მთლიანად (ნუხის ოლქის, თანამედროვე შექი-ზაქათალის ზონის ჩათვლით) ქართლის სახელმწიფოს უშუალო და ორგანული შემადგენელი ნაწილია. პერე-



ძელი ცხოველის ეკლესია ლაგოდეხისა და ბელაქნის რაიონებს შორის, მაწიმის ხეობაში. ვარაუდი XIV-XV ს.ს.

თის საეპისკოპოსოები ქართლის კათო-
ლოკოსის იურისდიქციას ექვემდებარე-
ბიან, გაბატონებული ენა აქ ქართულია,
კულტურაც ქართული და პოლიტიკურა-
დაც პერეთი (შექი-ზაქათალის ზონის
ნათელით) ქართლშია.

კიდევ უფრო ნიშანდობლივია ცნობები
VIII საუკუნის ქართველთა მეფის, არჩი-
ლის მოღვაწეობის შესახებ პერეთში. ის
აშენებს ციხე-ქალაქებს (მათ შორის ნუხ-
პატს), აწარმოებს ეკლესია-მონასტრების
(კასრი, კახ-ბაშის ბაზილიკა, ყუმის სამ-
ეკლესიანი ბაზილიკა, ღექეთის მრგვა-
ლი ტაძარი და სხვ.) ინტენსიურ მშენებ-
ლობას, აწყობს ქვეყანას ადმინისტრა-
ციულად. არჩილსავე მიაწერენ წყაროები
ნუხპატელების გაქრისტიანებას.

როცა შემდეგ, საქართველოში ფეო-
დალური სამეფო-სამთავროები წარმო-
იშვა (VIII-IX სს.) და პოლიტიკური პეკე-
მონობისათვის მათ შორის ბრძოლა გა-
ჩაღდა, პერეთი ერთი იმ ქართულ ერთე-
ულთაგანი იყო, რომელიც ამ პროცეს-
ში ორგანულად მონაწილეობდა. ამ პერი-
ოდში პერეთის სამეფო ქართული ქვეყ-
ანა თავისი ეროვნულ-ეთნიკური შეგ-
ნებით, პოლიტიკური მისწრაფებებით და
პატრიოტული მრწამსით.

XI საუკუნის ოციან წლებში, კახთა
მეფე კვირიკე III დიდის (1009-1037) დროს,
დასრულდა კახეთ-პერეთის პოლიტიკური
შერწყმის პროცესი და წარმოიქმნა ე. წ.
„რანთა და კახთა“ სამეფო. ამიერიდან
პერეთის სამეფოს დამოუკიდებელი არსე-
ბობა წყდება და იგი ამ ახლად შექმნი-
ლი პოლიტიკური ერთეულის – „რანთა
და კახთა“ სამეფოს ტერიტორიალურ
ფარგლებშია მოქცეული. თუმცა, აქვე
ხაზგასმით უნდა აღინიშნოს ის გარე-
მოება, რომ პერეთის, როგორც ყოფილი
დამოუკიდებელი პოლიტიკური ერთეუ-
ლის სახელწოდება ისტორიულ წყარო-
ებში კვლავაც იხსენიება ვიდრე XV საუ-
კუნის დასასრულამდე. კვირიკე III დიდს
მიეწერება „რანთა და კახთა“ სამეფოს
ადმინისტრაციული მოწყობა, კერძოდ,
მთელი სამეფო დაყოფილ იქნა შვიდ
საერისთაოდ (სამი კახეთში და ოთხი
პერეთში). პერეთის საერისთაოებს წარ-


მოადგენდნენ: ხორნაბუჯის, ვეჯინის,
მაჭის და შტორის. საინგილოს ტერი-
ტორია ექვემდებარებოდა მაჭის ერის-
თავს. მემატეანის გადმოცემით, კვირიკე
III-ემ მაჭის ერისთავს მისცა: „მაჭის
წყლის (თანამედროვე მაზმიჩაი – თ. პ.)
ქვეით და აღაზნის აღმოსავლეთი შაკიხ-
ითურთ (ე. ი. შექითურთ - თ. პ.) და ხუნ-
ზახითურთ“.

XII საუკუნის I მეოთხედში, დავით
IV აღმაშენებლის (1089-1125) ხანაში,
პერეთის ქვეყანა საბოლოოდ მოექცა გა-
ერთიანებული ფეოდალური საქართვე-
ლოს პოლიტიკურ ფარგლებს შიგნით.
ამიერიდან ვიდრე XV საუკუნემდე, პერე-
თი ერთიანი საქართველოს ორგანული
და განუყოფელი ნაწილი ხდება, რომე-
ლიც აქტიურად მონაწილეობს ქვეყნის
სოციალურ-ეკონომიკურ, პოლიტიკურ და
კულტურულ ცხოვრებაში.

წერილობით წყაროებში დაცული
ცნობების გარდა, ყოველივე ამის ცოც-
ხალი და უტყუარი მოწმეა ისტორიული
პერეთის ტერიტორიაზე დღემდე შემო-
ნახული ტიპური ქართული ხუროთ-
მოძღვრების შესანიშნავი ძეგლები,
ქართული ტოპონიმია და ბრწყინვალე
ნიმუშები ქართული ეპიგრაფიკისა.

რაც შეეხება პერეთის ეთნიკური წარ-
მომავლობის შესახებ აზიმოვისა და აჰმე-
დოვის მიერ მოცემულ ახსნა-განმარ-
ტებას, რომ „ისინი ქართულენოვანი
ხალხებისაგან სრულიად განსხვავებუ-
ლი წარმოშობისანი არიან“, ძირშივე
მცდარია. ეთნონიმ her-er-ის ახსნისათვის
მთავარი გასაღები ქართულ ენობრივ
და ეთნიკურ სამყაროში უნდა ვეძებოთ.
ქართულ ისტორიოგრაფიაში მიღებული
შეხედულების თანახმად, ეთნონიმ her-
er-ს საფუძვლად უდევს ქართული სოცი-
ალური ტერმინი „ერი“.

როგორც ზემოთ ვუჩვენეთ, აზიმოვი-
სა და აჰმედოვის ბროშურის გარკვეუ-
ლი ნაწილი მიძღვნილია საინგილოსა
და ამ ქვეყნის მკვიდრი ინგილოების
ისტორიის საკითხებისადმი. აქაც მკვეთ-
რად თავს იჩენს ავტორთა მანკიერი
მეთოდოლოგია. გადაუჭარბებლად შეი-
ძლება ითქვას, რომ უთავბოლო მსჯელო-



ბანი და წინააღმდეგობები ნაშრომის ამ ნაწილში გაუგებარ მასშტაბებს აღწევენ. აქ წარმოდგენილი დებულებები თავიდან ბოლომდე არასწორი, ყალბი, უსაფუძვლო და ტენდენციურია. აქვე გვსურს განსაკუთრებულად ხაზგასმით მივუთითოთ აზიმოვისა და აჰმედოვის კვლევის მეთოდისათვის დამახასიათებელ ერთ ნიშანდობლივ თვისებაზე: თავიანთი დებულებების დასამტკიცებლად მათ ვერ მოაქვთ ვერავითარი სარწმუნო დამამტკიცებელი საბუთი, ან რაიმე უტყუარი მონაცემი საისტორიო წყაროებიდან, რის გამოც, მათი დასკვნები შიშველ, დეკლარაციული ხასიათის მქონე განცხადებებად რჩება. ასეთ ვითარებაში კი აშკარად ვლინდება აზიმოვისა და აჰმედოვის შეგნებული განზრახვა: კახის რაიონის ტერიტორიაზე მცხოვრები ინგილოები, რომელნიც თავისი ეთნიკური წარმოშობით თავანკარა ქართველები არიან, გამოაცხადონ ალბანელთა ერთი ნაწილის, სპარსულენოვანი ტომების – გელების, შთამო-

მავლებად. ვფიქრობთ, მკითხველი თავადაც ადვილად მიხვდება, თუ რისთვის სჭირდებათ აზიმოვისა და აჰმედოვის ასეთი დაუსრულებელი, ტყუილუბრალო ლაპარაკი საინგილოს ტერიტორიალური და ეთნიკური კუთვნილების საკითხზე. მისთვის სავესებით ცხადი ხდება, რომ საქმე გვაქვს ისტორიული ჭეშმარიტების დამახინჯების უპრეცედენტო შემთხვევასთან – ცდა იმისა, რომ ინგილოქართველებს წაართვან სამშობლო, ენა, კულტურა და გამოაცხადონ ისინი სულ სხვა ეროვნულ-კულტურული კოლექტივის წევრებად. უმთავრესი შეცდომა აქ ის არის, რომ ავტორებისათვის ჰერეზისა და ინგილოების ისტორია ორი სხვადასხვა ხალხის ისტორიაა და ამდენად ორივეს ისტორიის გაშუქების ცდა სრულიად მცდარი და მეცნიერულად მიუღებელია.

მართლაც, აზიმოვი და აჰმედოვი კახის რაიონის ადგილობრივ, მკვიდრ მოსახლეობას, ინგილოებს ორი ათასზე მეტი ხნის წინ უცხოურ წყაროებში

დამოწმებულ „გელ“-ების ტომს უკაგშირებს, რომელიც დღევანდელი დაღესტნის ტერიტორიაზე ცხოვრობდა და, ავტორთა აზრით, სპარსულენოვანი იყო. საამისო ლინგვისტური არგუმენტაცია ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს. მაგრამ ასეც რომ იყოს, ე. ი. დღევანდელი ინგილოთა ორი ათასი წლის წინანდელი წინაპრები რომ სპარსული მოდგმის ყოფილიყო, ხომ უნდა ისიც გაგვერკვია, თუ, როგორ მოხდა, რომ დაღესტნის ინგილები ქართულად ლაპარაკობენ. ასეთი მეტამორფოზი ხომ საუკუნეთა განმავლობაში უმჭიდროესი კულტურულ-პოლიტიკური ურთიერთობის გარეშე ყოველად წარმოუდგენელია! ავტორები ამ კითხვას არ სვამენ და არც თვით ინგილოს ეკითხებიან, ისინი თავის თავს სპარსელებად თვლიან თუ ქართველებად!

იმისათვის, რომ უფრო ნათლად დაერწმუნდეთ აზიმოვისა და აჰმედოვის დასკვნების სრულ უსაფუძვლობაში, საჭიროდ ვთვლით მოვახდინოთ მცირე ექსკურსი საინგილოს წარმოქმნისა და განხვნის ისტორიიდან. საინგილო არის მხარე ფეოდალური ხანის საქართველოში, ისტორიული კახეთის ჩრდილო-აღმოსავლეთი ნაწილი, რომელიც ახლანდელი ახერბაიჯანის რესპუბლიკის ფარგლებში შედის და მოიცავს ბელაქნის, ზაქათალისა და კახის რაიონების ტერიტორიას. ტერმინი „საინგილო“ XVIII-XIX ს-ის დასაწყისიდან დამკვიდრდა ინგილოებით დასახლებული მხარის აღსანიშნავად. საინგილო შედგებოდა ორი პოლიტიკური ერთეულის – ჭარ-ბელაქნისა (ელისენი) და ელისუს (კაკის) სასულთნოსაგან. მისი ტერიტორია ადრინდელ საუკუნეებში ძველი ქართული პროვინციის ჰერეთის შემადგენელი ნაწილი იყო. XI ს-ის დასაწყისში იგი ადმინისტრაციულად მაჭის საერისთაოს ფარგლებში მოექცა.

XV საუკუნის მიწურულს, როდესაც კახეთის სამეფოს სახელმწიფო წყობილებაში მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდა, გაუქმდა ქვეყნის საერისთაობად დაყოფა და მთელი კახეთი წვრილ

ტერიტორიულ საგამგეო ერთეულებად, სამოურაოებად, დაიყო. მაჭის საერისთაოც გაუქმდა. მისი სახელი პოლიტიკური ნომენკლატურიდან ამოვარდა და ადგილი დაუთმო წუქეთის, ელისენის და ჭიაურის სამოურაოებს. XVI-XVII საუკუნეებში კახეთის სამეფოში დიდი პოლიტიკური ცვლილებები მოხდა. გართულდა და თანდათან შეიცვალა კახეთის სამეფოსა და დაღესტნის ურთიერთობა. აქამდე საქართველოს გავლენა-მორჩილებაში მყოფი დაღესტანი თანდათან შეტევაზე გადმოვიდა და ქვეყნის აღმოსავლეთ ნაწილს, კაკელისენისა და ჭიაურის სამოურაოებს აოხრების უშუალო საფრთხე შეუქმნა. ყოველივე ამას ზედ ერთვოდა ოსმალებისა და სპარსელების მუდმივი აგრესია, რასაც შედეგად მოჰყვა ამ მხარის ეკონომიკური და პოლიტიკური დაცემა. ნადგურდებოდა მკვიდრი ქართული მოსახლეობა. მის ადგილზე სახლდებოდნენ წახურელი და ავარიელი ლეკები. ერთდროულად ხდებოდა ქართველი მოსახლეობის დაყმევება და გამაჰმადიანება.

1604 წელს შაჰ-აბაზმა კახთა მეფე ალექსანდრეს (1574-1605) ჰერეთის აღმოსავლეთი განაპირა თემი კაკი გამოსთხოვა. შაჰმა იგი უწყალობა ერთ-ერთ გამაჰმადიანებულ ქართველ თავადს ვახვახიშვილს და სულთნის პატივშიც აიყვანა. ასე ჩაყვარა საფუძველი ელისუს სასულთნოს. კახეთმა ამ დიდმნიშვნელოვანი კუთხის ჩამორთმევით მძიმე დანაკლისი განიცადა. კაკი კახეთის კედელი იყო აღმოსავლეთის მხრიდან და აქ შაჰის მიერ ცალკე მუსლიმანური სასულთნოს შექმნა ერთობ ამცირებდა მის თავდაცვისუნარიანობას. ამიერიდან წახურელ ლეკებს გზა გაეხსნათ კახეთში ჩამოსასახლებლად. ქართველები ელისუს სასულთნოს თავისად თვლიდნენ. ამის გამო წახურის სულთანსა და კახელებს შორის მტრობა იყო. წახურის მფლობელი დახმარებისათვის ხან თურქეთს, ხან ირანს მიმართავდა. ეს უკანასკნელნიც, რა თქმა უნდა, არ აყოვნებდნენ და დახმარებას დროზე აღმოუჩენდ-

ნენ ხოლმე. წახურის სულთნის გაძლიერება მათ საკუთარ ინტერესებშიც შედიოდა. საქართველოს წინააღმდეგ ბრძოლაში იგი მეტად საიმედო მოკავშირე იქნებოდა. 1607 წელს ოსმალეთის ხონთქარმა ოსმან II წახურელ ალი-სულთანს ერთგული სამსახურის ჯილდოდ სოფლები: კახი, მეშაბაში, ზერნა, ლეკეთი, ყუმი და ალაგოზი უწყალობა. ელისუს ან კაკის სასულთნო მდინარეებს ყანი-ყო-ბისა და ყაფი-ჩაის შორის მდებარე ტერიტორიას მოიცავდა. ასე რომ, 1605 წლისათვის კახეთის სამეფოს აღმოსავლეთ საზღვრად მდ. ყაფი-ჩაი ითვლებოდა.

XVII საუკუნის განმავლობაში წახურელ-ავარიელნი თანდათან ჩამოსახლდნენ კაკ-ელისენის მთისძირა სოფლებში, სადაც ქართველი მოსახლეობა განვლილი კატასტროფისა და ბოლომოუღებელი რბევა-აოხრების გამო მეტისმეტად შეთხელებულიყო. XVIII საუკუნის I მეოთხედში აქ საბოლოოდ ჩამოყალიბდა ავარიელი (ჭარის, ბელაქნის, კატეხის, თალას, მუხახის, ჯინიხის) და წახურელი (წახურის, ელისუს, სუვაგილის და ყარადულაკის) ლეკების ე.წ. თავისუფალი (უბატონო) თემები, რომელთაც ოსმალეთ-ირანის მხარდაჭერით კახეთის სამეფოს ძირძველი ჩრდილო-აღმოსავლეთი მიწა-წყალი დაიპყრეს, ხოლო ადგილობრივი მკვიდრი მოსახლეობა (მერმინდელი ინგილოები) დამორჩილეს, დააქვეყნეს და იძულებით გაამაჰმადიანეს. თითოეული ეს თემი თავის მხრივ იყოფოდა გაბატონებულ ლეკთა თავისუფალ სოფლებად და დამორჩილებული ინგილოებისა და მუღალების სოფლებად, რომელნიც იხდიდნენ გადასახადს ამ ე.წ. მფლობელი თემების სასარგებლოდ. ეს სოფლები წყაროებში იწოდებიან საქეშქელო სოფლებად (ქეშქელი ერქვა იმ გადასახადს, რომელსაც ინგილოები და მუღალები ლეკთა სასარგებლოდ იხდიდნენ).

XIX საუკუნის დასაწყისის (1826 წ.) სტატისტიკური ცნობების მიხედვით, ჭარის თემის საქეშქელო სოფლებიდან ინგილოური (ე. ი. ქართული) იყო შემდე-

გი: ალიაბადი, კენგიანი, მოსული, ზაგამი, ყორალანი, ვერხვიანი და შოთავარი.

სოფლები ბელაქანი, წაბლოვანი და ჩანდრის ხევი შეადგენდნენ ერთ ბელაქნის თემს. იგი სხვა თავისუფალი თემებისაგან იმით განსხვავდებოდა, რომ მას არ გააჩნდა საქეშქელო სოფლები. საქეშქელო სოფლები არ ჰქონდა აგრეთვე კატეხის თემს.

თალას თემის საქეშქელო სოფლებიდან ქართული (ინგილოური) იყო – ყანდახი და ყაპანახნი.

ჯინიხის თემის სამი საქეშქელო სოფლიდან ორი ქართული (ინგილოური) იყო: მარსანი და ლალაფაშა.

მუხახის თემის კუთვნილი საქეშქელო სოფლებიდან ინგილოური არცერთი არ იყო.

ელისუს (კაკის) სასულთნოში ქართული (ინგილოური) სოფლები იყო შემდეგი: კახი, ალიბეგლო, მეშაბაში, სუსკენტი და ბეუკ-ქეთქულო. ეს სოფლები, ბეუკ-ქეთქულოს გარდა, ელისუს სულთნის უშუალო მფლობელობაში იმყოფებოდნენ.

აი, ასე წარმოიშვა ფეოდალური საქართველოს მიწაზე ახალი პოლიტიკური ერთეული „თავისუფალი“ („უბატონო“) „ლეკური“ თემების სახელმწიფო. მას ჭარ-ბელაქანი, ან მარტივად საინგილო ეწოდა (ადგილობრივი მკვიდრი ქართული მოსახლეობის – ინგილოების სახელწოდებისაგან). დაპყრობილი ქართული სოფლები გაბატონებულმა ლეკებმა მძიმედ დაბეგრეს. აი, ამ დამორჩილებულ – დაბეგრულ ქართველ გლეხს ეწოდა „ინგილო“, განსხვავებით ტერმინ „ლეკისაგან“, რომელშიც უპირატესად მებატონე, ან თავისუფალი იგულისხმებოდა დამოუკიდებლად იმისა, თუ ვინ იყო ის წარმოშობით: ავარიელი თუ წახურელი. როგორც ეს სპეციალურ ლიტერატურაშია აღიარებული, ტერმინი „ინგილო“ წარმომდგარი უნდა იყოს საინგილოს ერთ-ერთი ქართული სოფლის „კენგიანის“ სახელწოდებისაგან, რომელმაც თანდათანობით ზოგადი მნიშვნელობის შინაარსი შეიძინა და გადაიქცა საერთო სახელად მთელი ამ მხარის

ქართული მოსახლეობისა. ასე რომ, ინგილო არის არა ეთნიკური, არამედ სოციალური შინაარსის ცნება. ტერმინ „ინგილოს“ ეთნონიმად მიიჩნევა (როგორც ამას აზიმოვი და აჰმედოვი აკეთებენ) აშკარა შეცდომაა. ე. ი. „ინგილო“ არ გამოხატავს ერის ცნებას. ინგილოები თავისი ეროვნებით არიან ქართველები! ეს გარემოება კარგად ჰქონდათ გათვალისწინებული თვით მეფის რუსეთის ოფიციალურ მოხელეებსაც კი. როგორც ცნობილია, მეფის მთავრობამ XIX ს-ში რამდენჯერმე მოახდინა საინგილოს მხარის (ზაქათალის ოლქის) მოსახლეობის კამერალური აღწერა (1859 წ., 1871 წ., 1886 წ.) და აი, როდესაც ვეცნობით ამ აღწერების მასალებს, რომელნიც ინგილოური სოფლების მოსახლეობის ეროვნებას შეეხება, ვხედავთ, რომ ყოველი ინგილოური სოფლის გასწვრივ, სპეციალურ გრაფაში, საგანგებოდ და გარკვევით არის აღნიშნული: ეროვნება – ქართველი.

ყოველივე ზემოთქმულთან დაკავშირებით, არ შეიძლება ყურადღება არ გავაძახვილო ერთ მეტად მნიშვნელოვან მომენტზე. ბროშურის ავტორები წინასიტყვაობაში საგანგებოდ აღნიშნავენ, რომ კახის რაიონის ისტორიული ხუროთმოძღვრული ძეგლების შესახებ არსებული ცნობები უნდა შევიტანოთ ისტორიის სახელმძღვანელოებში. ვასწავლოთ სკოლის მოსწავლეებსა და სტუდენტებს! ბროშურის დანიშნულება მეტად საპატიოდ გამოიყურება, მაგრამ აქ მთავარი ისაა, თუ რა სახის ცნობებს აწვდიან ავტორები მკითხველებს. და აი, თურმე ნუ იტყვით, კახის რაიონში მცხოვრები თანამედროვე ინგილოების წინაპრები გელები სპარსულენოვან ალბანურ ტომებს მიეკუთვნებიან!

ზედმეტი კომენტარიც არ არის საჭირო იმის დასადასტურებლად, თუ რა უარყოფითი და სავალალო შედეგები შეიძლება გამოიღოს ბროშურაში საინგილოს ისტორიის დამახინჯებამ და გაყალბებამ. ხოლო თავის მხრივ, კახის რაიონის გახუთ „შეღელას“ რედაქტორი, ჟურნალისტი, პატივცემული პ. აზიმოვი და ამავე რაიონის მკვიდრი, განათლებით ეკონომისტი, პატივცემული შ. აჰმედოვი

ამ თავიანთივე მიიმე შეცდომების საფუძველზე ვერ ამჩნევენ, თუ რა სახიფათოდ უპირისპირებენ და სთიშავენ ერთმანეთისაგან კახის რაიონის ქართველ და აზერბაიჯანულ ახალგაზრდებს, ვერ გრძნობენ, რომ ამ თავიანთი გამოსვლით ისინი დიდ ზიანს აყენებენ ქართველი და აზერბაიჯანელი ხალხისათვის დამახასიათებელი ურთიერთობების პრინციპებს.

ზემოთ ჩვენ ნათლად დავინახეთ, თუ რამდენად მცდარია აზიმოვისა და აჰმედოვის „თეორია“ ინგილოთა ეთნიკური ვინაობის შესახებ. დაერწმუნდით იმაშიც, რომ ისინი ერთმანეთისაგან ვერ ანსხვავებენ ეთნიკურ და სოციალურ ტერმინებს. ასეთმა აღრევამ კი ისინი მიიმე და უხეშ შეცდომამდე მიიყვანა. მაგრამ აქ მკითხველის გაკვირვებას უფრო მეტად ის გარემოება იწვევს, რომ ავტორები, ყოველივე ამის შემდეგ, მაინც დაჟინებით აცხადებენ და იმეორებენ: „ინგილოებმა უკვე დაკარგეს ეთნიკური თავისებურებები, თავიანთ თავს ქართველებივით ქართველს კი არა, ინგილოს უწოდებენ“. და ამას აცხადებენ ყოველგვარი საბუთიანობის გარეშე. ისინი საფხვებით აშკარად და შეგნებულად უმაღავენ მკითხველს იმ უადრესად ანგარიშგასაწევ გარემოებას, რომ მთელი კახის რაიონი და საერთოდ მთელი საინგილოს მხარე საფხვა ქართული წარმოშობის ტოპონიმებით, ოიკონიმებით, ჰიდრონიმებით და წმინდა ქართული წარმოშობის პუნქტებისა თუ ადგილის სახელწოდებებით.

ჩვენ არ შეუდგებით საინგილოს ტოპონიმიკური მასალების მთელი სისრულით განხილვას. უამრავი მასალოდან მოვიყვანთ მხოლოდ მცირე ნაწილს. ქართული წარმოშობის გეოგრაფიული სახელწოდებებიდან ადგილობრივ მკვიდრ მოსახლეობაში დღემდე შემორჩენილი შემდეგი სახელები: შავი მთა, საყარაულოს მთა, წერეთლის მთა, წალკოტის მთა, ჭინჭრის მთა, ფიფინეთის წყალი, ორღელე, მოსაბრუნი, მუხახი, ვერხვიანი, ჭანდარი, ჩინარი, კახი, მოსული, შოთავარი, წინუბანი, ნამა-


რნევი, „აზნაური“ (კაკის თავში, ქალაქის განაპირა უბანში შემორჩენილი სახელწოდება), კობალა (კაკის დასავლეთით, მის მახლობლად მდებარე სოფლის სახელი), საკენი (კაკის ტერიტორიაზე არსებული ნასოფლარის სახელწოდება); სოსიკაანთ სოფელი და სხვა. ქართული წარმოშობის ადგილის სახელებია: თაფლი ღელე (ღელეა სოფ. ყუმთან), თიზირ – მთის ძირი (სოფ. კახის ცენტრალური ნაწილის ერთ-ერთი უბანი), თხილიან ადგილი (სოფ. კახში), კაკისთავ, კახისთავ (სოფ. კახში ერთ-ერთი უბანი), კონცხი ღელე (ჰიდრონიმი, ღელეა სოფ. თოფახში), კორკორა (მთა კახთან ახლოს), კურუხალ (კვირაძალი, კვირაცხოველობის საყდარი სოფ. თასმალში), წაბლიანი (მთა სოფ. ყუმში) და მრავალი სხვა. საერთოდ, ამგვარ ტოპონიმთა რიცხვი ძალზე დიდია. ზემოთ ნამოთვლილი ქართული სახელწოდებები ერთადერთი დასახლებაა ამ ადგილების აღსანიშნავად და მათ დუბლეტები აზერბაიჯანულ ენაზე არ გააჩნიათ.

როგორც ცნობილია, ამა თუ იმ ერის, ხალხის, ეთნიკური თავისებურებების ძირითად განმსაზღვრელ ნიშანს ენა წარმოადგენს. ენის დაკარგვა მოასწავებს ეთნიკური თავისებურებების დაკარგვასაც. საბედნიეროდ ამას ვერ ვიტყვი ინგილოებზე. საინგილოს ისტორია უძველესი დროიდანვე მჭიდროდ არის დაკავშირებული ქართულ ეთნიკურ სამყაროსთან. ამის უტყუარი, ცოცხალი მოწმეა თვით ქართული ენის ინგილოური დიალექტი. ასე რომ, აზიმოვისა და აჰმედოვის განცხადება იმის თაობაზე, რომ „ინგილოებმა უკვე დაკარგეს ეთნიკური თავისებურებები“, ყოველგვარ საფუძველს მოკლებულია. თვით ბროშურის ავტორებს, რომელნიც კახის რაიონის მკვიდრნი არიან, კარგად მოეხსენებათ, რომ კახის რაიონში შემავალი ინგილოური სოფლების (კახ-ინგილო ანუ კაკი, ალათემური, მეშაბაში, ალიბეგლო, ქოთოქლო, თასმალო, ზაგამი) მკვიდრი ქართული მოსახლეობა დღემდე შესანიშნავად მეტყველებს ქართულ ენაზე. მიუხედავად

იმისა, რომ საუკუნეების განმავლობაში გრძელდება ქართული ენის ინგილოური მეტყველების შეჯვარდინება ჯერ ხუნძურ, ხოლო შემდეგ აზერბაიჯანული ენის საინგილოს მიდამოების მეტყველებასთან. ზოგიერთი სოფლის მეტყველება შეიქმნა კიდევაც ამის მსხვერპლი. ინგილოურმა კილომ გაუძლო საუკუნეების ქარტყილებს და ძირითადად შეინარჩუნა გრამატიკული წყობა, თავისი ძირითადი სიტყვიერი ფონდი და ფონეტიკური მხარე. ასე რომ, ქართული ენის ინგილოური დიალექტის განვითარების ისტორია მჭიდროდ არის დაკავშირებული თვით ინგილოების ისტორიასთან.

პ. აზიმოვისა და შ. აჰმედოვის ბროშურის მნიშვნელოვანი ნაწილი დათმობილი აქვს კახის რაიონის ტერიტორიაზე არსებული ქრისტიანული ხუროთმოძღვრების ძეგლების განხილვას: ლექეთის მრგვალი ტაძარი, ყუმის ღვთისმშობლის ტაძარი, ლექეთის იედი ქილისეს მონასტერი, ქურმუხის წმიდა გიორგის ტაძარი. ნაშრომში ავტორებს განხილული აქვთ აგრეთვე, კახის რაიონის ტერიტორიაზე არსებული ერთ-ერთი ადრე შუა საუკუნეების ქალაქური ტიპის სამოსახლო – ტორპაგვალა. აღნიშნული ძეგლები მათ გამოცხადებული აქვთ, როგორც აზერბაიჯანული ხალხის წინაპრების (იგულისხმება კავკასიის ალბანელები – თ. პ.) მიერ შექმნილად და მიიჩნევენ ტიპიურ აზერბაიჯანული არქიტექტურის ძეგლებად. ყოველივე ამას ავტორები „ამტკიცებენ“ ძეგლთა არქიტექტურული ანალიზის გარეშე. ნაშრომში ვერ შეხვდებით მეცნიერულ მსჯელობას ძეგლთა დათარიღების საკითხების შესახებ. თავიანთი დებულებების დასამტკიცებლად მათ ვერ მოაქვთ ვერავითარი სარწმუნო საბუთი, ან რაიმე უტყუარი მონაცემი საისტორიო წყაროებიდან.

ზემოთ ნამოთვლილი საკულტო არქიტექტურის ძეგლები ქართული (საინგილოს) მონუმენტური ხუროთმოძღვრების შესანიშნავ ნიმუშებს წარმოადგენენ. ყუმის ტაძარი სამეკლესიანი ბაზილიკაა, ლექეთის მრგვალი ტაძარი წარმოადგენს ე. წ. გუმბათიან ტაძარს – წრე-



ქუმუხის წმიდა გიორგი, დაკვიფარე ჩვენ

ში მოთავსებული ტეტრაკონქით, ოთხ ბურჯზე დამყარებული გუმბათით, ქურმუხის ტაძრის გეგმის კომპოზიცია კი სწორკუთხედს წარმოადგენს. აღნიშნული ტაძრები ჯერ კიდევ 1892-1893 წწ., შეიძლება ითქვას, აღმოაჩინა და აღწერა ა. ხახანაშვილმა ზაქათალის ოლქში მოგზაურობის დროს. ამ ძეგლების სამეცნიერო ნომენკლატურაში შემოტანა ა. ხახანაშვილის დიდი დამსახურებაა. მკვლევარი ყუმის, ლექეთის და ქურმუხის ტაძრებს, ცხადია, ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლებად მიიჩნევს და ამასთანავე წერს: "Территория Закавказского округа составляла некогда восточную часть Кахетинского Царства. Развалины множества храмов и монастырей служат безмолвными свидетелями с одной стороны богатства и могущества грузинских владельцев, а с другой того разрома и разорения, которому подверглась Кахетия от турок, персов и лезгин" (А. С. Хаханов — экспедиции на Кавказ в 1892, 1893 и 1895 г. г. Материалы по археологии Кавказа, вып. VII Москва, 1898, გვ. 28, 33-35)".

რუსული არქიტექტურის სპეციალისტი პ. ბარანოვსკი ყუმის ბაზილიკას VI ს-ით ათარიღებს, ხოლო ლექეთის ტეტრაკონქი, მისი აზრით, VII საუკუნეში თავსდება (П. Д. Барановский, Памятники в селениях Кум и Лекит. Архитектура Азербайджана. эпоха Низами, М., Баку, 1947, გვ. 31,33). განსხვავებული შეხედულებისაა დათარიღების საკითხში აკად. გ. ჩუბინაშვილი. ამ უკანასკნელის მიხედვით, ყუმის ბაზილიკა VIII ს-ით თარიღდება, ლექეთის გუმბათიანი კვადრატი კი მიეკუთვნება VIII-IX საუკუნეებს. გ. ჩუბინაშვილი, რომელმაც ყუმისა და ლექეთის ტაძრები ადგილზე შეისწავლა, დაწვრილებითი არქიტექტურული ანალიზის შედეგად აღნიშნავს: ეს ორი ძეგლი, რომელნიც მდებარეობენ ძველი კახეთის ტერიტორიაზე, კერძოდ კი, მის იმ ნაწილის ფარგლებში, რომელიც საისტორიო წყაროების მიხედვით ჰერეთის სახელწოდებით მოიხსენიებოდა,

სრულიად და მოლიანად გვერდში უდგანან VIII-IX საუკუნეების ეპოქის კახეთის არქიტექტურულ ძეგლებს (Г. Н. Чубинашвили, Архитектура Кахетии, Тбилиси, 1959 г. გვ. 13, 130-133, 226-228). რაც შეეხება ქურმუხის წმ. გიორგის ტაძარს, ქართველ ხელოვნებათმცოდნეთა ვარაუდით, მისი აგების ხანა უნდა განისაზღვროს XIII-XIV საუკუნეებით. ქურმუხის ტაძრის გეგმასაც ზუსტი პარალელები ეძებნება კახეთის ტერიტორიაზე (ი. ადამია, ქართული ხალხური ხუროთმოძღვრება, წიგნი III (საინგილო), თბილისი, 1979 წ. გვ. 137-141, 176). გ. ჩუბინაშვილის მიერ ყუმისა და ლექეთის ტაძრების არქიტექტურული ანალიზის შედეგად მიღებული დასკვნები დათარიღების საკითხში, უფრო დამაჯერებელი და სარწმუნოა. ამ დათარიღებას მხარს უჭერს მატეანის ნიშანდობლივი ჩვენებანი. სწორედ VIII საუკუნეში, ქართველთა მეფის არჩილის მოღვაწეობის ხანაში, საინგილოს ტერიტორიაზე (ისტორიული წუქეთი, რომელიც სწორედ თანამედროვე კახის ტერიტორიაზე ლოკალიზდება) დიდი სამშენებლო საქმიანობა წარმოებს. ამიტომ არ შეეცდებით, თუ ყუმისა და ლექეთის ტაძრების აშენებას არჩილ მეფის სახელს დაგუკავშირებთ.

ლექეთის მრგვალი ტაძრიდან 2-3 კილომეტრის დაშორებით, ჩრდილოეთის მიმართულებით, სოფ. ლექეთ-ქოთუქლოსთან, მდ. ლექეთის წყლის (ლექეთჩაი) ხეობის ნაპირზე არის რამდენიმე შენობისაგან შემდგარი სამონასტრო კომპლექსი. მონასტრის ბირთვი წარმოქმნილია ორი დიდი გუმბათიანი და სამი მცირე დარბაზული ეკლესიის ნანგრევებისაგან. ბირთვისადმი მიმდებარე ბორცვებზე დარჩენილია სამეურნეო ტერასების, მიწაში ამოყვანილი სათავსის, „დარბაზის“, მარნისა (სატრაპეზო?) და მცირე კარიბჭის ნაშთები. მთელი სამონასტრო კომპლექსი გარეშემორტყმული ყოფილა გალავნით. საკუთრივ საეკლესიო ნაგებობათაგან ყურადღებას იპყრობს ორი დიდი საყდარი. კომპლექსის დასავლეთ მხარეს მდებარე ერთი მათ-

განი, როგორც ჩანს, იყო ჯვარგუმბათოვანი, გეგმაში წაგრძელებული შენობა სამი შვერილი ნახევარწრიული აფსიდით. ეკლესიის გუმბათი ეფუძნებოდა ორ კვადრატს მიახლოებულ კვეთის ბურჯს და აფსიდის კუთხეებს. ნაგებობის ძირითად სივრცეს დასავლეთიდან ეკვროდა სწორკუთხა ნართექსი. დაახლოებით დგინდება მისი აგების დროც, კერძოდ X-XI სს. მონასტრის მეორე, ზემოთ აღწერილისაგან აღმოსავლეთით მდებარე ეკლესიაც ჯერის ტიპისაა. გეგმაში იგი წარმოადგენს წაგრძელებულ სამკუთხედს, რომლის ფარგლებშიაც ექცევა განვითარებული სამნაწილიანი საკურთხეველი. ეკლესიის გუმბათი ეყრდნობოდა რთული მოხაზულობის ორ ბურჯსა და აფსიდის კუთხეებს. ლექეთის მონასტრის მეორე ეკლესიას ხელოვნებამცოდნეები განვითარებული ფეოდალიზმის ხანის ბოლო ეტაპით, კერძოდ, XIII-XIV საუკუნეებით ათარიღებენ. ლექეთის მონასტერი წარმოადგენს ძეგლს, რომელშიც სრულებით განსაკუთრებული სახით ინასკვება საქართველოს სხვადასხვა პროვინციებისათვის დამახასიათებელი მხატვრული ძიებები და სამშენებლო ტრადიციები. ეს ძეგლი არ წარმოადგენს გამონაკლისს ჰერეთის ხუროთმოძღვრებაში, საქართველოს სხვა პროვინციების ხუროთმოძღვრებასთან დაახლოების ტენდენცია გამოვლინდა უკვე ადრეფეოდალურ ხანაში. ამის მაგალითია ბაზილიკა ეუმში (VIII-IX სს.), რომელიც პოულობს პარალელურ ბოლნისში, ხაშში, წყაროსთავში, ურბნისში; ხოლო

უახლოესი ანალოგი ვაზისუბნის ბაზილიკაში ეძებნება, ტეტრაკონქი კი ლექეთში (VIII-IX სს.), რომელიც ავლენს დიდ მსგავსებას კახურ ძეგლებთან, ასევე იშხანსა და ბანასთან. ჰერეთისა და საქართველოს სხვა პროვინციების კულტურული ერთობა, ესოდენ მკაფიოდ გამოვლენილი ხუროთმოძღვრებაში, მტკიცდება ისტორიულადაც (გ.მარჯანიშვილი, ორი ნაკლებად ცნობილი ძეგლი ისტორიული ჰერეთიდან, ძეგლის მეგობარი, 1984 წ. №67, გვ. 16-20). განსაკუთრებით აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ადგილობრივი მოსახლეობა მთელს იმ ტერიტორიას, რომელზედაც ლექეთის სამონასტრო კომპლექსი მდებარეობს, დღემდე „ქილისე მიულქს“ უწოდებს, რაც საეკლესიო სამფლობელოს ნიშნავს. ზემოთქმულიდან გამომდინარე, ხომ არ შეიძლება ვივარაუდოთ ლექეთში, უკვე VIII-IX საუკუნეებიდანვე, საეპისკოპოსო კათედრის არსებობა? ადრეფეოდალური ხანის საისტორიო წყაროებში ლექეთი არსად გვაქვს დამოწმებული. არ იცნობს მას არც ვახუშტი. იგი მთელ იმ ვრცელ ტერიტორიას, რომელიც მდებარეობდა მდინარეების: ბელაქნის წყალის, ვიშის წყალის, ალაზნისა და კავკასიონის მთავარ ქედს შორის, უწოდებს ელისენს (ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, თბ., 1941, გვ. 96). სწორედ ამ ტერიტორიაზე მდებარეობს ლექეთიც. უფრო ზუსტად თუ განვსაზღვრავთ ლექეთის ადგილმდებარეობას, მაშინ იგი წუქეთის ტერიტორიაზე თავსდება, მდ. ყაფნაის აღმოსავლეთით, მის მარცხენა



მხარეს. ამ ამბებთან კავშირში აქვე არ შეიძლება არ გავიხსენოთ 1898 წელს ა. ხახანაშვილის მიერ გამოთქმული მოსაზრება იმის შესახებ, რომ ლექქეთში უნდა ყოფილიყო ელისენი, წუქეთის და შაქის საეპისკოპოსო ცენტრი (А. С. Хаханов. Материалы по археологии Кавказа, VII, გვ. 35). ა. ხახანაშვილის ეს თავისთავად საგულისხმო მოსაზრება, ჩვენი აზრით, გარკვეულ კორექტივის შეტანას საჭიროებს. როგორც ცნობილია, ვახუშტის მიხედვით, ელისენი, წუქეთი და შაქი (შაქი) ექვემდებარებოდა გიშის ეპისკოპოსის იურისდიქციას (ვახუშტი, იქვე, გვ. 95-96). ამიტომ, თუ ჩვენ დავუშვებთ VIII-IX საუკუნეებიდან ლექქეთის დამოუკიდებელი საეპისკოპოსოს არსებობას, მაშინ უნდა ვივარაუდოთ, რომ მის სამწყსოში მხოლოდ წუქეთი შედიოდა; მომდევნო ხანაში, როგორც ჩანს, წუქეთის ცალკე ეპარქია გაუქმდა, ხოლო მისი სამწყსო კი გიშელის იურისდიქციას დაუქვემდებარეს. გიშის საეპისკოპოსოს, და საერთოდ ჰერეთის საეპისკოპოსოებს, საქართველოს საეკლესიო იერარქიაში ყოველთვის მნიშვნელოვანი ადგილი უჭირა. ჰერეთი წუქეთთან ერთად, ძირითადად და მთლიანად (ნუხის ოლქის ჩათვლით) ქართული სახელმწიფოს უშუალო და ორგანული შემადგენელი ნაწილი იყო. ჰერეთის საეპისკოპოსოები ქართლის (მცხეთის) კათოლიკოსის იურისდიქციას ექვემდებარებიან, გაბატონებული ენა აქ ქართულია, კულტურაც ქართული და. პოლიტიკურადაც ჰერეთი ქართლშია. ამრიგად, ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე საკვებით ნათელი და ცხადი ხდება სრული უსაფუძვლობა პ. აზიმოვისა და შ. აჰმედოვის განცხადებისა იმის თაობაზე, რომ ლექქეთის სამონასტრო კომპლექსი, ანუ, როგორც ისინი მას უწოდებენ, ლაქითის იედლიქილისეს მონასტერი, კახის რაიონის ტერიტორიაზე კავკასიის ალბანეთის დროინდელი ყველაზე დიდი ისტორიულ-არქიტექტურული ძეგლია (გვ. 34).

ყუმის, ლექქეთის და ქურმუხის გარდა წუქეთის ტერიტორიაზე (აწინდელი კახის რაიონი) არქეოლოგიური გათხრე-

ბის შედეგად გამოვლენილი მასალების მიხედვით დასტურდება, აგრეთვე სხვა მნიშვნელოვანი პუნქტებისა და ძეგლების არსებობაც. ერთ-ერთ ასეთ ძეგლთა რიცხვს განეკუთვნება ტორპაგალა, სადაც უკანასკნელ ხანებში (1959, 1961, 1963 წ.წ.). ჩატარებული არქეოლოგიური გათხრების შედეგად მოპოვებული მასალების მონაცემები აშკარად მიგვანიშნებენ აქ ქალაქური ტიპის სამოსახლოს არსებობაზე. ტორპაგალა მდებარეობს კახის რაიონში, მის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში, მდ. ალაზნის მარცხენა მხარეზე. წერილობითი წყაროები ტორპაგალას შესახებ არაფერს გვამცნობენ. სამოსახლო დაფუძნებული ყოფილა ბორცვზე, რომელსაც 4,5 ჰექტარი ფართობი უკავია და წარმოადგენს მეტად საყურადღებო მრავალფენიან არქეოლოგიურ ძეგლს. იგი ქრონოლოგიურად მოიცავს საკმაოდ ხანგრძლივ პერიოდს: ძვ. წ. II-I საუკუნეებიდან ვიდრე ახ. წ. XIV-XV საუკუნეებამდე. შესაძლებელი ხდება განისაზღვროს მეურნეობის სახეები, რომელთაც წარმოშვეს პირობები უწყვეტი ცხოვრებისათვის. როგორც არქეოლოგიური მონაცემებიდან ჩანს, ტორპაგალას მოსახლეობის ძირითად საქმიანობას შეადგენდა მიწათმოქმედება, მესაქონლეობა და ხელოსნობა. განსაკუთრებით განვითარებული ყოფილა სამეურნეო წარმოება. ამაზე მიგვითითებს ტორპაგალაში აღმოჩენილი თიხის ნაწარმის გამოსაწვავი სამეთუნეო ქურებიც. როგორც ჩანს, ტორპაგალა წარმოადგენდა კერამიკული წარმოების ერთ-ერთ მთავარ ცენტრს შუა საუკუნეების ჰერეთში. ალაზნის აუზის ტერიტორია, სადაც ტორპაგალა მდებარეობს, კერამიკული წარმოებისათვის საჭირო ნედლეულით მეტად მდიდარია. აქაური თიხა გამოირჩევა თავისი საუკეთესო თვისებებით. ტორპაგალას სამოსახლოს ადრევეკოდალური ხანის ფენაში გამოვლენილ იქნა აგრეთვე მინის წარმოების სახელოსნოს ნაშთები. არქეოლოგიურ ძეგლთა მთელი კომპლექსის შესწავლის საფუძველზე აშკარად ირკვევა, რომ ტორპა-

გალას სახით ჩვენ საქმე გვაქვს კახის რაიონის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში (ე. ი. წუქეთის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში - თ. პ.) მდებარე ქალაქური ტიპის მსხვილ დასახლებულ პუნქტთან (Р. М. Ваидов, Предварительные итоги археологических исследований Торпагкала, сессия посвященная итогам археологических работ 1963г. Тезисы докладов и сообщений, Баку, 1964г., გვ.19-20, მოხივე, Первые итоги археологических работ в Торпагкала, материальная культура Азербайджана, VI, Баку, 1965, გვ. 201-211). თუ ჩვენ ღრმად ჩაუკვირდებით იმ ქრონოლოგიურ პერიოდს, რომელსაც მოიცავს ტორპაგალაში აღმოჩენილი არქეოლოგიური მასალა, მასში ჩვენ აშკარად დავინახავთ, რომ იგი სავსებით ემთხვევა წუქეთში ვახტანგ გორგასლის (V ს.) და არჩილ მეფის (VIII ს.) მოღვაწეობის ხანას. სწორედ მათი მმართველობის პერიოდში წუქეთში ადგილი აქვს დიდ სააღმშენებლო საქმიანობას, რაც გამოიხატება ახალი ქალაქების დაარსებასა და ძლიერი სტრატეგიული პუნქტების შექმნაში. ტორპაგალას სახით ჩვენ საქმე გვაქვს ადრე შუა საუკუნეების კავკასიის ალბანეთის ერთ-ერთი მსხვილი ქალაქის ნანგრევებთან.

საინგილოს ტერიტორიაზე არსებული არქიტექტურული ძეგლების განხილვისას გვერდს ვერ ავუვლით იმ მკვარ შეხედულებებსაც, რომლებიც სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულია აგრეთვე სხვა ავტორთა მიერაც აღნიშნული ძეგლების შესახებ. აქ პირველ რიგში უნდა მოვიხსენიოთ კ. ტრევერი, რომელიც ალბანეთის ისტორიისადმი მიძღვნილ თავის ნაშრომში ეუმისა და ლექეთის ტაძრებს განიხილავს, როგორც ალბანური ხუროთმოძღვრების ძეგლებს. გარდა ამისა, იგი იმოწმებს, და ამავე დროს, იზიარებს კიდევაც, ნ. ტოკარსკის მოსაზრებას იმის შესახებ, რომ თითქოს ლექეთის ტაძარი აგებულია ალბანეთის მთავრის ჯევაშორის (638-670 წწ.) მიერ (К. В. Тревер, Очерки по истории и культуре Кавказской

Албании, Москва-Ленинград, 1959, გვ. 297-306). ანალოგიური ხასიათის მკვდარი შეხედულება გამოთქმული აქვთ, აგრეთვე, აზერბაიჯანის არქიტექტურის ისტორიის ავტორებს მ. პუსეინოვსა და ა. საღამაზადეს. ეს უკანასკნელნი მინიშნებებს რა ეუმსა და ლექეთს ალბანური ხელოვნების ნიმუშებად, წერენ: „Северо-западные области Азербайджана, где воздвигнуты эти сооружения (იგულისხმება ეუმი და ლექეთი - თ. პ.), в раннем средневековье были центром Кавказской Албании“ (М. Усейнов, Л. Б. Бретаницкий, А. Саламзад, История архитектуры Азербайджана, Москва, 1963, გვ. 29). ეუმი, ლექეთი, და საერთოდ, შექიბელაქნის ზონაში სხვა ქრისტიანული არქიტექტურის ძეგლები ტიპიურ ალბანურ ხუროთმოძღვრულ ნიმუშებად არიან მიჩნეულნი აზერბაიჯანელი ხელოვნებათმცოდნის, ა. კარახმედოვას მონოგრაფიაშიც. მისი აზრითაც, მთელი შექიბელაქნის ზონა (ე. ი. ძველი ქართული ისტორიული პროვინცია ჰერეთი - თ.პ.) ალბანეთის სამეფოს დასავლეთ ნაწილს შეადგენდა და აქაური ქრისტიანული ეკლესია-მონასტრები ე. წ. ალბანური ეპარქიების იურისდიქციას ექვემდებარებოდნენ (А. А. Карахмедова, Христианские памятники Кавказской Албании (Алазанская долина), Баку, ЛМ, 1986, გვ. 4-28).

უპირველეს ყოვლისა, დავიწყოთ იმის აღნიშვნით, რომ შეეძლოთ თუ არა ალბანეთის სამეფოს მესვეურთ V-VIII საუკუნეებში ტაძრები აეგოთ ეუმსა და ლექეთში და შედიოდა თუ არა შექიბელაქნის ზონა (ე. ი. ქართული ჰერეთი - თ. პ.) კავკასიის ალბანეთის შემადგენლობაში. მოკლედ რომ ვთქვათ, შედიოდა თუ არა თანამედროვე კახის რაიონის ტერიტორია აღნიშნულ პერიოდში ალბანეთის სამეფოში. ქართულ საისტორიო წყაროებში (ლეონტი მროველი, ჯუანშერი და სხვა) არაერთი პირდაპირი ცნობა თუ ჩვენება მოიპოვება, რომელთა მიხედვითაც ირკვევა, რომ თანამედროვე

კახის რაიონი წარმოადგენდა ძველი ქართული ისტორიული პროვინციის ჰერეთის ჩრდილო-აღმოსავლეთ თემს და მოიხსენიებოდა წუქეთის სახელწოდებით. წუქეთი კი იმთავითვე ქართლის სახელმწიფოს ორგანულ ნაწილს შეადგენდა. ცნობილია ისიც, რომ ჯერ კიდევ ვახტანგ გორგასლის დროიდან (V ს.) წუქეთის ქვეყანაში საკუთარი მთავარი ზის, რომელიც ქართლის მეფეებს, ხოლო შემდეგ კი ქართლის ერისმთავრებს ემორჩილება: ასეთი ვითარება გრძელდება ვიდრე VIII საუკუნის დასასრულამდე, როდესაც ჩამოყალიბდა ჰერეთის დამოუკიდებელი სამეფო და წუქეთი გადაიქცა მის ერთ-ერთ საერისთაოდ; ცნობილია, აგრეთვე ისიც, რომ VII-VIII სს. სომხური წყაროების (სომხური გეოგრაფია, ლეონტი) მიხედვით, წუქეთი ქართლში შემავალი ქვეყანაა; დადგინილია ის ფაქტიც, რომ IV-VIII სს-ში ჰერეთი, მასში შემავალ წუქეთთან ერთად, სამეფო დომენს წარმოადგენს. იგი სეფესახლის უშუალო საკუთრებაა, რომელსედაც ქართლის მეფის გარდა არავის მიუწვდება ხელი. უფრო გვიან, როდესაც ჰერეთის სამეფო კახეთისას შეუერთდა, ხოლო კახეთის სამეფო კი თავის მხრივ გაერთიანებული ფეოდალური საქართველოს ფარგლებში მოექცა, წუქეთი კვლავ ცალკე ადმინისტრაციულ ერთეულად განიხილებოდა. გვიანფეოდალური ხანის კახეთის სამეფოში ჩატარებული რეფორმების შედეგად (XVI ს.), წუქეთი სამოურაოდ ჩამოყალიბდა. საბოლოოდ, XVII ს-ში, წუქეთი მოსწყდა კახეთის სამეფოს და მის ტერიტორიაზე საფუძველი ჩაეყარა ე. წ. ელისუს სასულთნოს. აი, ასე უნდა განვიხილოთ წუქეთის (თანამედროვე კახის რაიონის) ტერიტორიალური კუთვნილების საკითხი. ყოველივე ზემოთქმულის შემდეგ, ვფიქრობთ, ზედმეტია სიტყვის გაგრძელება იმაზე, რომ ალბანეთის რომელიმე მთავარს VII-VIII სს-ში შესძლებოდა რაიმე ტაძრის აგება ქართლის მეფეების სამემკვიდ-

რეოში. ეს ისევე გამორიცხული იყო, როგორც, დავუშვათ, ის ამბავი, რომ რომელიმე ქართლის მეფეს ალბანეთის მთავართა პირად სამფლობელო გარდამანში დაეწყო რაიმე სახის მშენებლობა. ჩვენ მიერ ზემოთ ჩამოთვლილი ისტორიული ფაქტებით უნდა აიხსნას ის გარემოება, რომ წერილობით წყაროებში არსად არ გვხვდება რაიმე მითითება ალბანეთის მთავართა წუქეთში მოღვაწეობის შესახებ. თავი დავანებოთ ყველა სხვა წყაროს და ავიღოთ მხოლოდ მოსე კალანკატუელის ალბანეთის ისტორია. როგორც ცნობილია, ალბანეთის ისტორიის იმ თავებში, რომლებიც VII-VIII საუკუნეების ამბების თხრობას შეიცავენ, მოვლენები გადმოცემულია ზედმიწევნითი სიზუსტით. ამ ნაწილში ავტორი დაწერილებით აღგვიწერს ალბანეთის მთავართა პოლიტიკურ მოღვაწეობას, ფართოდ აშუქებს მათ სააღმშენებლო საქმიანობას, ციხე-კლესიების აგებას. ერთი სიტყვით, იგი მხედველობის გარეშე არ ტოვებს მათი მოღვაწეობის არცერთ სფეროს. მას არ ავიწყდება მათი სააღმშენებლო საქმიანობის არცერთი დეტალი. უფრო მეტიც, ავტორი არა მარტო ასახელებს ალბანთა მთავრების მიერ აგებულ ყველა ტაძარს, არამედ დეტალურად ჩერდება თითოეული მათგანის აღწერაზე. და აი, ასეთ ვითარებაში, მას არც ალბანეთის სამეფოს მესვეურთა მიერ ყუმის, ლექეთის და სხვა ქრისტიანული ტაძრების აშენება დაავიწყდებოდა. რა თქმა უნდა, თუ ამას სინამდვილეში ექნებოდა ადგილი. ამიტომაცაა, რომ ჩვენ აქ ვერ ვხვდებით, რაიმე მცირე მინიშნებასაც კი, რაიმე ნაკვალევს ალბანელი ხუროთმოძღვრების მიერ წუქეთის ტერიტორიაზე ტაძრების მშენებლობის თაობაზე. ამრიგად, როგორც დავინახეთ, ისტორიულ წყაროებში დაცული ცნობები არავითარ საფუძველს არ იძლევიან იმისათვის, რომ წუქეთის ტაძრები (ყუმი, ლექეთი, ქერმუხი და სხვ.) გამოცხადებულ იქნას ალბანური ხუროთმოძღვრების ძეგლებად. ისტორი-

ულ მატიანეთა ჩვენებები ასევე სრულად გამორიცხავს ალბანეთის მთავართა რაიმე სააღმშენებლო მოღვაწეობას წუქეთში და აქ მათ მიერ ყუმის, ლექეთის და სხვა ტაძრების აგებას. წერილობითი წყაროების მონაცემებს მხარს უჭერს და ადასტურებს ამ ძეგლების არქიტექტურული ანალიზი, რომელიც მოცემული აქვს გ. ჩუბინაშვილს. ამ თვალსაზრისითაც, ყუმი და ლექეთი, მთლიანად და სავსებით, გვერდში უდგებიან კახეთის უძველეს არქიტექტურულ ძეგლებს. ადრეფეოდალურ ხანაში ჰერეთის განაპირა პროვინცია წუქეთში დიდი კულტურული მშენებლობა განაღდა. ყუმი და ლექეთიც, როგორც აღვნიშნეთ, ამავე ხანაში შენდება (გ. ჩუბინაშვილის დათარიღებით), წუქეთის სამთავრო, პოლიტიკურადაც და კულტურულადაც, ორგანულად იყო დაკავშირებული საქართველოსთან. წუქეთი ქართული კულტურის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კერათაგანი იყო. წერილობითი წყაროების ცნობები, წუქეთის საკულტო არქიტექტურა ნათელ სურათს გვიქმნის VIII საუკუნის ჰერეთში არსებული კულტურული ვითარების გასათვალისწინებლად: ჩვენს წინაშეა დიდი მხატვრულ-ისტორიული მნიშვნელობის მქონე მემკვიდრეობა, რომლებსაც თვალსაჩინო ადგილი უკავიათ ქართული ხუროთმოძღვრების ისტორიაში. ყუმის სამეკლესიანი ბაზილიკისა და ლექეთის ტეტრაკონქის მშენებლებმა შესძლეს შეექმნათ კონსტრუქციული თვალსაზრისით უადრესად რთული ნაგებობები, რომლებშიც შესანიშნავად არის გამოყენებული იმდროინდელი ეპოქის ხელოვნების საუკეთესო მიღწევები. ეს განსაკუთრებით ითქმის ლექეთის ტაძრის აღმშენებელზე; მან დაამუშავა ისეთი რთული არქიტექტურული თემა ხუროთმოძღვრებაში, როგორც არის ტეტრაკონქი წრეში მოთავსებული, ოთხ ბურჯზე დამყარებული გუმბათით. გ. ჩუბინაშვილის სიტყვით, ასეთი ტიპის ნაგებობის შექმნა არის კოლოსალური შემოქმედებითი აქტი (Г.Н. Чубинашвили, Архитектура Кавказа, გვ. 227). განსაკუთრებით აღ-

სანიშნავია ის გარემოება, რომ ქართული არქიტექტურის ეს ძირითადი თემა – გუმბათიანი ტეტრაკონქი – დამუშავებულია ადგილობრივ ქართულ ხუროთმოძღვრულ სკოლაში.

ზემოთ განხილულმა ფაქტებმა ერთხელ კიდევ სრული სიცხადით დაგვარწმუნა, რომ პ. აზიმოვისა და შ. აჰმედოვის „მეცნიერული“ ექსპანსია და მცდელობა საინგილოს (თანამედროვე კახის რაიონის) ტერიტორიაზე არსებული ძველი ქართული ქრისტიანული ხუროთმოძღვრების ძეგლები გამოაცხადონ თანამედროვე აზერბაიჯანელი ხალხის და მათი წინაპრების მიერ შექმნილ ძეგლებად, მოკლებულია ყოველგვარ ისტორიულ საფუძველს.

თუ თავის დროზე არ იქნა მხილებული პ. აზიმოვის, შ. აჰმედოვისა და მათ მსგავსთა მსჯელობებისა და დასკვნების ანტიმეცნიერული ქმედებები, ეჭვს გარეშეა, რომ ამას შეიძლება მოჰყვეს საშიში შედეგები. შემდგომში საჭირო გახდება გაათავსებული ძალისხმევა, რათა გაიწმინდოს ისტორიოგრაფია, კერძოდ კი კავკასიათმცოდნეობა, მასზე მიყენებული ზიანისაგან. ყოველივე ამის ლოგიკური გაგრძელების შემთხვევაში, აზერბაიჯანულად ცხადდება ქართული ხუროთმოძღვრების ცნობილი ძეგლები, რომელნიც იქმნებოდნენ ძირძველ ქართულ ისტორიულ პროვინციაში – წუქეთის საერისთაოში.

პ. აზიმოვი და შ. აჰმედოვი და, აგრეთვე, მათი თანამოაზრენი, დათურ სამსახურს უწევენ საკუთარ ხალხს, რომელიც სრულიადაც არ საჭიროებს არც თავისი ისტორიის ხელოვნურ დაძველებას და არც მეზობელი ხალხების კულტურული ფასეულობების მითვისებას. კულტურული ფასეულობანი, რომელნიც საუკუნეების განმავლობაში შექმნა აზერბაიჯანელმა ხალხმა, სრულიად უდავო და უცილობელია და ისინი დიდი ხანია შევიდა ზოგადსაკაცობრიო კულტურის საგანძურში.

პროფესორი თენგიზ კაპუაშვილი

ზაქათალის ოლქი



ზაქათალის ოლქის ტერიტორია ოდესღაც კახეთის სამეფოს აღმოსავლეთ ნაწილს წარმოადგენდა. მრავალი ტაძრისა და მონასტრის ნანგრევი ძღუძარე მოწმეა ერთის მხრივ, ქართველი მეფეების ძღვევამოსილებისა და სიძლიერისა, ხოლო მეორე მხრივ, იმ რბევისა და გაპარტახებისა, რომელიც კახეთმა თურქთა, სპარსელთა და ლეკთა თარეშისაგან განიცადა.

კახეთში შაჰ-აბასის შემოსევამდე, ე.ი. XVI ს-მდე, ზაქათალის ოლქში ქრისტიანობა იყო გავრცელებული. კახეთის საზღვრებთან მოსულმა შაჰ-აბასმა თავის მოკავშირე ლეკებს ქრისტიანული მოსახლეობის უმოწყალოდ ხოცვა, ხოლო ეკლესია-მონასტრების პირისაგან მიწისა აღგვა უბრძანა. კახის დასახლებაში იმ დროს მრავალი ბრწყინვალე ტაძარი იყო. ყოველივე დაწვეს და დაანგრეეს. მაშინვე დაანგრეეს წმიდა დიდმოწამე გიორგის სახელობის ბრწყინვალე ქურმუხის ტაძარი, რომელსაც ადგილობრივი ქრისტიანები მთელი საქართველოს მფარველად თვლიდნენ, და რომლის ნანგრევებთან დღესაც მოდიან სალოცავად. XVIII ს-ის დასაწყისის ქართველი მწერალი თეიმურაზ ბატონიშვილი, ამ ტაძარს – ჭარის ტაძარს უწოდებს; ხოლო ჭარს შაჰ-აბასის შემოსევების შემდეგ, დასახლება ჭარის სახელის მოხედვით მთელ ოლქს უწოდებდნენ. იგი დაიპყრეს ლეკებმა, რომელნიც მასზე XVII ს-დან 1803 წლამდე ბატონობდნენ. როგორც თეიმურაზ ბატონიშვილი გვამცნობს, საქართველოში წმიდა გიორგის სახელობის 365 ეკლესია

არსებობს, წელიწადის დღეთა რაოდენობის მიხედვით.

არქეოლოგიური კვლევის მიზნით ზაქათალის ოლქს პირველი მე ვეწვიე: არც ბროსეს, არც ბაქრაძეს საჭიროდ არ ჩაუთვლიათ ეს მხარე მისი უძველესი ხელოვნების ძეგლების თვალსაზრისით შეესწავლათ. როდესაც ზაქათალის ოლქი ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ და აღმოსავლეთიდან – დასავლეთისაკენ გადავჭერი, დავრწმუნდი, რომ ჩემი წინამორბედნი არ ტყუოდნენ ამ მხარის იგნორირებისას. ზაქათალის ოლქი არქეოლოგიური თვალსაზრისით უაღრესად მწირი აღმოჩნდა, მაგრამ ძალზედ საინტერესო არის ისტორიულ-ეთნოგრაფიული თვალსაზრისით.

ოლქს ალაზნის ველის სამხრეთ-აღმოსავლეთი ნაწილი უჭირავს. იგი პოლიტიკური თვალსაზრისით ორი კარგად ჩამოყალიბებული ნაწილისაგან შედგება: ყოფილი ჭარბელაქანის ოლქისა და ელისუს სასულთნოსაგან. ამჟამინდელი ზაქათალის ოლქის ტერიტორია შეადგენს 3497,5 კვ.კ. რომელზედაც 80000 ადამიანი ცხოვრობს.

ზაქათალის ოლქში ელიზავეტოპოლის გუბერნიის მხრიდან ამიერკავკასიის რკინიგზის სადგურით – ევლანით შევედი, შემდგომ საფოსტო ტრაქტით მდ. ნუხი გადავკვეთე. ევლანსა და ნუხს შორის სივრცე ჭაობითაა დაფარული. ამ ჭაობს გაზაფხულზე ადიდებისას მტკვარი კვებავს. ნუხის გზა ამ ჭაობიან მიდამოზე გადის. აქ აუარებული კოლო ბუდობს და აქაიქ მერხერი ბურქნარია

მიმოფანტული. სადგურ ჩემაგლიდან თიხოვანი მთები იწყება, თუმცა ეს სრულიად ცვერ ცვლის გზის მწუნარე იერს. გზის სიმყუდროვეს მხოლოდ ჭაობის ფრინველთა სევდიანი სტვენა არღვევს... ნუხთან მიახლოებისას ბუნება იღვიძებს: შმორიანი ფშანები თავანკარა წყაროებით იცვლებიან, შორიდან მოჩანს ხშირი ტყეებით დაფარული მთები. ერთ-ერთ მათგანზე ფართოდაა გაშლილი ნუხი, ანუ შაქი. შაქის სახანოს ყოფილი დედაქალაქი ნუხი ზღვის ზედაპირიდან 2,454 ფუტის სიმაღლეზეა. მიუხედავად შედარებით მრავალრიცხოვანი მოსახლეობისა (26 ათასი მკვიდრი) ქალაქი მხატვრული განლაგების მიუხედავად, ქალაქური ცხოვრების ყოველგვარ ნიშანს არის მოკლებული, რასაც საკუთარ ბაღებში გამოკეტილი აქაური თათრები უწყობენ ხელს. ნუხის ერთადერთ ღირსშესანიშნაობას ხანის სასახლე წარმოადგენს. ეს საკმაოდ გვიანდელი პერიოდის ნაგებობა — ჰუსეინ-ხანის მიერაა აშენებული 1765 წელს. როგორც ნუხის საოლქო სამმართველოს არქივის ქაღალდებიდან ვასკენი, განახლებულია მიმდინარე საუკუნის 30-იან წლებში, შაქის ხანების მიერ რუსეთის ქვეშევრდომობის მიღების შემდეგ.

ნუხიდან 6 ვერსში განლაგებულია გიშის ტაძარი, რომელიც მდინარე გიშიშჩაის მარჯვენა ნაპირზე, მთაზეა აგებული ადგილობრივი კირქვის უზარმაზარი ქვებით. შიგნიდან განახლებულია. გუმბათი ქართულ-სომხური არქიტექტურის ნიმუშს წარმოადგენს. საკურთხეველი ნახევარწრიული ფორმისაა და ჩანს, რომ ტაძრის საერთო ზედაპირიდან სომხური ეკლესიების საკურთხეველის მაგალითით ახლახან აუწევიათ. ეკლესიას გარშემო ქვის გალავანი ზღუდავს ეზოში თუთის ხეები ხარობენ. აშენებულია რამდენიმე ქონი მლოცველთათვის და პატარა ნაგებობა ბერებისათვის. ეს ადგილი, სავარაუდოდ, ოდითგანვე წმიდა ადგილად ითვლებოდა.

ნუხი ზაქათალის ოლქის შემადგენლობაში შედის. ზაქათალას იგი საფოსტო გზით უკავშირდება, რომელსაც ორივე მხარეს კაკლისა და თუთის ხეივანი

მოჰყვება. აქაურებისაგან ხშირად გაიგონებთ, ზაქათალის ოლქი საქართველოს მარგალიტია, ხოლო სოფელი კაკი თავისი მდიდარი მცენარეული საფარით მისი მშვენიერებაა. ეს საუცხოო კუთხე ძველთაგანვე ქართველებით იყო დასახლებული, მათ არც ისე დიდი ხნის წინათ ეწოდათ ინგილოები. მაგრამ არ არსებობს ეთნოგრაფიული ერთეული, რომელიც აღნიშნავს განსაკუთრებულ ტომს — ინგილო. რამდენად ახალია ეს სახელი, შეგვიძლია განვსაჯოთ იმ ფაქტის მიხედვით, რომ ვახუშტი, XVIII საუკუნის ქართველი გეოგრაფი და ისტორიკოსი, არ იცნობს ამ ტერმინს. შაჰ-აბასის შემოსევის დროიდან ზაქათალის ოლქში დაღესტნელი მთიულები და თურქული ტომი „მულალი“ ჩამოსახლდნენ. ისინი ადგილობრივ მოსახლეობას ძალით ამუსულმანებდნენ. მიუხედავად ამისა, გაამაყებულებს არ სურდათ ახლადმოქცეულების თანასწორობა ეცნოთ. მათ ინგილო შეარქვეს, რითაც ხაზს უსვამდნენ, რომ ისინი ოდენ პროზელიტები არიან, რომელნიც დროთა ვითარებაში შევიდნენ ისლამის რელიგიის წიაღში.

ინგილოთა ქართული ტომობრივი წარმომადგენლობა დაბეჯითებით მტკიცდება მათი დიალექტით, რომელიც იბერიულ ენათა ჯგუფს მიეკუთვნება. შეინიშნება განმასხვავებელი თავისებურებები ზემო და ქვემო საინგილოს, ე.ი. ინგილოთა ქვეყნის, მოსახლეობას შორის. ზემო საინგილოს კილო (ცენტრი — კაკი) ატარებს ძველი ქართული ენის ნიშნებს, რომელიც თანამედროვე ქართველისათვის გასაგებია. ეს კილო, ზაქათალის ოლქის სპარსელთა მიერ XVII ს-ში გაპარტახების გამო, მოიკვეთა სრულიად საქართველოსაგან და მის დანარჩენ პროვინციებთან ერთად არ ვითარდებოდა. რაც შეეხება ქვემო საინგილოს კილოს (ცენტრი სოფ. ალიაბადი, 790 კომლი), ეს სუფთა ქართული ენაა, ქიზიყურ-სიღნაღური კილოს თავისებურებებით, საუბრის ბოლოს ყე ნაწილაკის დართვით.

ზაქათალის ოლქის დღევანდელი ტერიტორია, ნუხის მაზრის ნაწილისა და დაღესტნის ჩათვლით ძველად ცნობილი იყო, როგორც: ალბანეთი – სტრაბონთან; ალვანი – ქართული, ხოლო აგოვანი – სომხური წყაროების მიხედვით. ალბანეთის მოსახლეობა, სტრაბონის თქმით 26 ტომისაგან შედგებოდა და მისი საზღვრები მთელ დაღესტანს მოიცავდა. „ალბანელები – მოგვითხრობს იგი – ცხოვრობენ იბერიასა და კასპიის ზღვას შორის. აღმოსავლეთით ზღვას ესაზღვრებიან, დასავლეთით იბერიას, ჩრდილოეთიდან კი ალბანეთს კავკასიონის ქედი ზღუდავს, მისი სამხრეთი ნაწილი სომხეთს ესაზღვრება“. სტრაბონის მოწმობა ალბანეთის ვრცელი საზღვრებისა და მისი მოსახლეობის მრავალტომიანობის შესახებ დადასტურებულია გვიანდელი ისტორიკოსების შრომებში. ყველა ამ მოწმობიდან ჩვენ ვგებულობთ ერთ უეჭველ ფაქტს: ალბანეთის ნაწილი, რომელიც ქართულ მატიანეში ცნობილია, როგორც ჰერეთი (დღევანდელი ზაქათალის ოლქი) დასახლებული იყო ქართველებით. მართალია, ამჟამად ოლქის ძველ მკვიდრთა შთამომავლები – ინგილოები მხოლოდ რამდენიმე სოფელში ცხოვრობენ, მაგრამ გეოგრაფიული ნომენკლატურა აქ ქართული მოსახლეობის შორეული დროიდან არსებობაზე მიუთითებს. ასე, მაგალითად: სოფლები, რომლებიც დღეს ლეკებითა და თათრებითაა დასახლებული, მაგრამ ოდესღაც ქართველებს ეკუთვნოდათ, ინარჩუნებენ თავიანთ ძველ სახელებს: სოფ. ვერხვიანი, მოსული, მუხახი, ყორღანი, წინანი, კატეხი, მაწეხი და სხვ. აგრეთვე, აღსანიშნავია მდინარეებისა და მთების სახელწოდებებიც: წალკოტი, კაფის-ჩაი (ქართული სახელწოდების კარის-წყალის თარგმანი), შავი მთა, ჭინჭარი, წილბალი და სხვ. ცალკეულ

¹ მის მიერ აქაური მოსახლეობის ამოწვევის შესახებ იხ. Histoire de la Georgie II, extraits d'Iskander Moundji, 486.

ადგილთა სახელებიც ინახავენ ქართული სახელების ძირებს. საიმურის ოლქი დაღესტანში ნაწარმოებია ქართული სიტყვა – საამურიდან, ორღელე ან ორი ღელე, მაწიმის-წყალი და სხვ. ნუხის მიღამობის ქართულ სახელწოდებათა რიგიც ამ მიჯნებში ქართველი მოსახლეობის გავრცელებაზე მეტყველებს: – ესენია სოფლები ორბანი, ქანმახი და სხვ.

არქეოლოგიური აღმოჩენები – ძველქართული ხუცური და გარდამავალი პერიოდის მხედრული წარწერები, მონეტები და სხვადასხვა ნივთები ამყარებენ იმ აზრს, რომ ზაქათალის ოლქში ქართული ელემენტი ბევრად უფრო გავრცელებული ყოფილა, ვიდრე დღეს. მაგალითად: ზაქათალის ოლქის ორ მოპირდაპირე მხარეს ვნახე ორი ერთნაირი ხასიათის საფლავის წარწერა, ქვაზე მხედრული ანბანით ამოკვეთილი, დაახლოებით XI-XIII საუკუნეებისა. ერთ-ერთი წარწერიანი ქვა თამარ მეფის დროინდელი ქალაქის, ბელაქნის ახლოს ძველი ეკლესიის მიდამოებში ვნახე. დღეს აქ ლეკები ცხოვრობენ. ქვაზე აშკარად იკითხება: *განუსკენე... მარაშვილს (აღჯიალმაიო – გაურკ.)*. მეორე წარწერა კაკის მიდამოებშია. მთაზე დღემდე არსებული პატარა ძველი ეკლესიის გარშემო მიმობნეულ საფლავის ქვებიდან ერთ-ერთზე იკითხება: *მოიხე... თავპასაშვილის ქრისტესიას შესანდო შეილთა ჩემთა იოანესი, დავითისა. ბრძანოთ თავი მოვიხსენოს ღმერთმან სასუფეველსა შინ... ესო ქრისტე მოიხსენე თინათინ სუფევეითა შენითა ზესოფელსა შენსა. ქკნ შნ? (950?)*.

ქართულ გავლენაზე მეტყველებენ აგრეთვე, დღეს უკვე გაღეკებულ ქართულ მოსახლეობაში გავრცელებული ქართული ხელნაწერები და სიგელ-გუჯრები. ძველ მაწეხსა და კატეხში ხშირია ქართული გვარები: ჭავჭავაძე, ვაჩნაძე, ზურაბაშვილი, თავადიშვილი. ზოგიერთ მათგანს ტრადიციულად ახსოვს თავისი

ეროვნული წარმომავლობა. სოფელ ბუხნადაში შემონახულია პატარა ეკლესიის ნანგრევები. იქაური მოლა, რომელსაც ეს წოდება შთამომავლობით გადმოეცა, ყვებოდა, რომ მისი წინაპარი ქართველი მღვდელი იყო. იგი იძულებული იყო ისლამში მიეღო. ასე შეინარჩუნა სასულიერო პირის წოდება. ამჟამინდელი მისი შთამომავალი მე-17 თაობაა, რომელიც დღეს მოლად რჩება გაღვებულ ქართველთა შორის.

ბელაქელი ლეკები გალაჯოვები თავს ქართველი თავადების, ვაჩნაძეების შთამომავლებად თვლიან. მათ სახლში აღმოვაჩინე ქართველი ძეგის – თეიმურაზის სიგელი, რომლითაც მათ თავადთა წოდება ენიჭებათ. მათ მამულში, მთაზე დღესაც შემორჩენილია ქართულწარწერიანი საფლავის ქვები. ერთ ქვაზე მოვახერხეთ საეკლესიო ქართული ასომთავრული ასოების გარჩევა: *ქვე მხენე საფლავსა ამას...*

საზოგადოდ უნდა აღინიშნოს, რომ ზაქათალის ოლქში არ არის ქრისტიანული ხელოვნების ისეთი დიდებული ძეგლები, როგორებიცაც სავსეა დასავლეთ საქართველო. ინგილოთა ქვეყანაში მრავალი ტაძრის ნანგრევი აღმოვაჩინეთ, მაგრამ ყველა მცირე ზომის, წარწერებისა და ფრესკების გარეშე. მთიან დასახლებათა დაბლობ ნაწილში მრავალი ტაძარია შევსებული, რაც იმას ამტკიცებს, რომ ძველად ეს ადგილები ქართველებს ეკავათ, მიუხედავად იმისა, რომ დღეს აქ ძირითადად ლეკები ცხოვრობენ. ამ ძველთაგან მრავალს, ინგილოთა გადმოცემები ქართველთა მეფეს – თამარს მიაწერს, რომელიც აქ ფადიმასთ-პერის სახელითაა ცნობილი, მაგრამ ამ თქმულებების წერილობით დამადასტურებელი საბუთები მე ვერ აღმოვაჩინე.

მცირე ზომის მრავალრიცხოვან ტაძართა შორის განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს ბახთალოს, ანუ ფალდარლოს ეკლესია. ეს ერთადერთი ეკლესიაა ზაქათალის ოლქში, რომელსაც გუმბათი და ფრესკები შემორჩა. იგი ალიაბადიდან ზაქათალისაკენ მიმავალი გზატკეცილის მარჯვენა მხარესაა აგებული. ხალხში

მას ფერიყალას უწოდებენ. ეკლესია აგურითაა ნაშენი, სიგრძეში 15 არშინი, სიგანეში 10 არშინია. გუმბათის ყელი ძალზედ მაღალი აქვს. საკურთხეველში დღემდე არსებობს კედლის მხატვრობა საეკლესიო-სლავეური წარწერით. ეს ეკლესია შესაძლოა რუს მხატვართა და არქიტექტორთა მიერაა აგებული, მას შემდეგ, რაც რუსეთის ხელშეწყობით და კახეთის მეფეთა შორის ხშირი ურთიერთობა დამყარდა, ე. ი. XV ს-ის ბოლოსა და XVI ს-ის დასაწყისში, იოანე IV-ის, თევდორე იოანეს ძისა და ბორის გოდუნოვის ეპოქაში. მთავარ ტაძარზე მიშენებულია ორი ეკლერო. თალი და ლავგარდანი მორთულია მოყვითალო მონუმენტული ქვებით. გუმბათის ზედა ნაწილი ჩამონგრეულია და ხეებითაა დაფარული. ამ ეკლესიის შორიანხლოს შემონახულია სხვა ეკლესიის ნანგრევები, მიწასთან გასწორებული და ეკლიანი ბუჩქნარით დაფარული.

საერთოდ, ცენტრალური პუნქტები, რომელთა გარშემო ძველი ეკლესიების ნანგრევების დიდი ნაწილია განფენილი, კახი, ბელაქანი და ზაქათალა. კახის, ანუ კაკის მიდამოებში შემორჩენილია ყველაზე ღირსშესანიშნავი და დიდებული ნაშთები, ისეთები, როგორიცაა – ლექთი, ყუმი, ქურმუნი და კასრის საყდარი.

ტაძარი რომელსაც კასრის საყდარი ჰქვია, დგას კახში, კასრის საყდრის მთის ფერდობზე. ქართული მატანეს მიხედვით, იგი მეფე არჩილს აუშენებია (664-718). ნაგებია თეთრი თლილი ქვით. ოციოდე წლის წინათ, იგი ჯერ კიდევ მთელი თავისი ძველი სიმშვენიერით ბრწყინავდა, მაგრამ დღეს მისი ოდენ ნანგრევებიდგა დარჩენილი. ეკლესიის გარშემო სასაფლაოა ქართულწარწერიანი ქვებით. ეკლესიის ქვევით, ეზოში, დღემდე არსებობს უზარმაზარი ღვინის ქვევრის მოყვანილობის სარდაფი. ქვევიდან ამ ქვევრს მიწაში ვიწრო, თაღბანი შესასვლელი აქვს. ამ ნაგებობის შესახებ ძველი თქმულება გვამცნობს, რომ ოდესღაც სოფ. კახში ათასკომლიანი მოსახლეობა იყო და ყოველწლიურად რთველზე თითოეულ კომლს,

თითო ჩაფი ღვინო მიჰქონდა კასრის საყდრის ტაძრის წინამძღვართან, ხოლო იგი აკურთხებდა და ასხამდა ამ ქვევრში, რომელიც 1000 ჩაფ ღვინოს (ე.ი. 6000 ბოთლს) იტევდა. ეს ქვევრი მთელი კახის ზედაშე იყო და წმიდა თომას კვირეულის კვირა დღეს იხსნებოდა. ამ დღისათვის ათას-კომლიანი სოფლის მთელი მოსახლეობა სალოცავად მიდიოდა. წირვის შემდეგ, ყველანი ერთად ძმური ტრაპეზის დროს სვამდნენ ზემოსხნებული ქვევრიდან. ეს თქმულება, ერთის მხრივ და თავად კასრის საყდრის სახელწოდება მეორე მხრივ, ნათელს ჰფენენ ამ ეკლესიის სახელის წარმომავლობას. ქრისტიანი ინგილოები ყოველ წელიწადს, თომას კვირაში, მოწიწებით მოემართებიან აქ სალოცავად. კასრის საყდრის ფერდობის ძირში სამების ეკლესიის ნანგრევებია მიმოფანტული.

ქურმუხის საყდარი, ანუ წმიდა გიორგის სახელობის ეკლესია ძალზედ ძველი ნაგებობაა. იგი ქურმუხის მთის ფერდობზეა აგებული – კახიდან 2,1/2 ვერსის დაშორებით. ტაძრიდან დიდებული ხედი იშლება. მოჩანს მთელი ალაზნის ველი ლაგოდეხამდე, შირაქის მთებამდე და სოფელ გეინუქამდე. ტაძრის მაღლა ფერდობებზე ტევრია, ხოლო კავკასიონის მწვერვალებთან – არყის ხეები, ბუჩქნარი, სხვადასხვა ბალახი და სხვ.; უფრო მაღლა მყინვარი იწყება. ტაძარი და მთელი მიდამო მის გარშემო გრანდიოზული ნანგრევებით გამოიყურება. თავად ფერდობი მოფენილია ჩამონგრეული კლდეების უზარმაზარი ფრაგმენტებით, რომელთაც ხშირად კონუსისმაგვარი ფორმა აქვთ. ისინი თითქოს მცირეოდენ ბიძგს ელიან, რომ 2-3 ათასი ფუტის სიმაღლიდან თვალუწვდენელ უფსკრულში ჩაეშვან. ტაძართან მთის ვიწრო ბილიკი ადის, რომელსაც მრავალი მოსახლევის შემდეგ მგზავრი მთის მოედანზე აჰყავს. ტაძრის დაარსების თარიღი საუკუნეთა სიბნელეში იკარგება. ქართულ მატანეში იგი ცნობილია, როგორც ქურმუხის წმიდა გიორგის მონასტერი და იმ 365 ქართული ეკლესიის

რიცხვს ეკუთვნის, რომელიც წმიდა გიორგის სახელზეა აგებული. ამ ტაძრის თაყვანისცემა იმდენად ძლიერი იყო, რომ 200 წლის მანძილზე გამუსულმანებულმა ქართველმა-ინგილოებმა არ დაივიწყეს მისი მაღლი და ტაძრის დღესასწაულზე (10 ნოემბრისათვის) ათასობით მოდიან თაყვანისცემად. მსხვერპლად სწირავენ ცხვარს, ან ხბოს. ქართველ-ინგილოებს სჯერათ, რომ ამ ტაძარში ოქროს მამალი ცხოვრობს, რომლის ნიშნით მიმდებარე სოფლებში შუალამისას ყველა მამალი ყოვის; რომ დღესასწაულის დღეს ციდან ჩამობრძანდება ანგელოსი და ტაძრის კარიბჭიდან უზარმაზარ ქვას ხსნის; დილას კი კვლავ ხურავს მას. ვინც იმ დღეს მოასწრებს ტაძარში შესვლას, არასოდეს მოკვდება და ზეციურ სასუფეველში დამკვიდრდება; სწამთ, რომ ტაძრიდან წამოღებულ მიწას სამკურნალო ძალა აქვს.

სოფ. ლექეთი კაკიდან 12 ვერსითაა დაშორებული, დასახლებულია ლექებით. ეკლესიას, რომელიც ამ მიდამოებში არსებობს, კედლებილა შერჩა, გუმბათი კი დიდი ხანია, რაც ჩამოინგრა. ეკლესია შიგნიდან ხშირი ბუჩქნარითაა დაფარული. მას როგორც ჩანს, სამნაწილიანი საკურთხეველი ჰქონდა. სადიაკონო და სამსხვერპლო საკურთხეველისაგან გლუვი კედლებით იყო გამოყოფილი. ნაგები იყო რიყის და ნაწილობრივ თლილი ქვით. საინტერესოა, რომ ადგილობრივი მოსახლეობის აზრით ეს თლილი ქვა ქუთაისიდან (?) იყო ჩამოტანილი, რადგან ასეთი ქვა ზაქათალის ოლქში არ მოიპოვება. ტაძრის ახლოს რამდენიმე სხვა ეკლესია შემორჩა. მათგან ერთი ძალიან დიდი ზომისაა. გადარჩა ორი თალი და ლავარდანიანი სვეტები. ეს ტაძარი, როგორც ჩანს, დიდი ხნის დანგრეულია, რადგანაც ხე, რომელიც სვეტზე გაიზარდა, გარშემოწერილობით 7 არშინს აღემატება. ტაძრების ნანგრევებთან საცხოვრებელი სათავსოების ნარჩენების არსებობა გვაძლევს საფუძველს ვივარაუდოთ, რომ აქ ოდესღაც მონასტერი იყო მრავალ-

რიცხოვანი სამძოთი. ტერმინი „ლექეთი“ ამ ადგილს შემდგომში ეწოდა: ვახუშტიმ, XVIII ს-ის გეოგრაფმა, ეს სახელწოდება არ იცის და ტერიტორიას მდ. ბელაქნისწყალს, გიშისწყალს, ალაზანსა და მთის ქედს შორის ელისენს უწოდებს. ცნობილია, რომ ელისენში წუქეთის ეკლესია არსებობდა, რომელთანაც დაარსებული იყო საეპისკოპოსო კათედრა. მის იურისდიქციას ემორჩილებოდნენ ელისენი, წუქეთი, შექი და დღევანდელი ნუხის მხრა. წუქეთის ადგილმდებარეობა ვახუშტის მიხედვით უცნობია, მაგრამ, როგორც ჩანს, მას ბელაქანსა და ნუხს შორის ცენტრალური ტერიტორია ეჭირა. ბუნებრივია, ვივარაუდოთ, რომ დღევანდელი „ლექეთი“ მისი მრავალრიცხოვანი ნანგრევებით ის წუქეთის საეპისკოპოსო კათედრაა, რომლის იურისდიქციაში მთელი დღევანდელი ზაქათალის ოლქი შედიოდა.

კაკიდან 10 ვერსის დაშორებით, ჯერ კიდევ არსებობს სხვა ეკლესიის ნანგრევები. იგი ზაქათალის ოლქის პატარა ეკლესიებთან შედარებით, თავისი ზომით გამოირჩევა. სოფ. „ყუმში“, სადაც მდებარეობს ეს ნანგრევი, მუსულმანები ცხოვრობენ. ეკლესია აშენებულია დაუმუშავებელი რიყის ქვებისაგან, არა აქვს არც სახურავი და არც გუმბათი. ეკლესიის სიგრძე 30 არშინია. სიგანე 15 არშინი. საკურთხეველი სამწიფილიანი აქვს.

ზაქათალის, ანუ ჭარის მიდამოებში, როგორც იგი ქართულ საისტორიო წყაროებში მოიხსენიება, არის კიდევ რამდენიმე მცირე ზომის ეკლესია, რომლებიც ნანგრევების სახითაა შემორჩენილი. ასეთია რიცხვს მიეკუთვნებიან: 2 ვერსში ფიფინეთის ეკლესია, დაუმუშავებელი ქვით ნაგები, უსახურავო და უკარო. მის საკურთხეველში უზარმაზარი კაკლის ხეა ამოსული. ფიფინეთს ზევით სხვა პატარა ეკლესიაა. მას მიწისქვეშა გალერეა აქვს (კრიპტი), სადაც ადგილობრივმა მუსულმანებმა ხუცურწარწერიანი ჯვარი იპოვეს. 6 ვერსში მდებარეობს ბუქაულის ეკლესია, რომელსაც სახურავში საშიშროების შემთხვევისთვის

გათვალისწინებული საიდუმლო ოთახები აქვს. ლაგოდუხის მახლობლად შემორჩენილია უფრო მნიშვნელოვანი ზომის ნანგრევები, რომელთა შესახებ ვახუშტი მოგვითხრობს, რომ ქალაქი ლაგოდუხი, რომელსაც უწინ ლაგოსტი ეწოდებოდა, მეფე არჩილმა ააგო; ტაძრისკენ ვიწრო ბილიკი მიუყვება. ტაძარი ვაკე ადგილზეა განლაგებული, მის გარშემო ხშირი ტყეა. ტაძარი სიმაღლეში 3 საუენს არ აღემატება; გუმბათი და სამხრეთი კედელი ჩამოინგრა, დანარჩენი კედლები დაზარულია; კედლებზე არავითარი ფრესკები არ არის, თუმცა უნდა ვივარაუდოთ, რომ ფრესკები ბათქაშთან ერთად ჩამოიშალნენ. ტაძარი ნაგებია ადგილობრივი (ველური) ქვით. ერთ-ერთ ქვაზე თვითმხილველთა მტკიცებით, წარწერა არსებობდა (სავარაუდოდ ხუცური), მაგრამ გულმოდგინე კვლევის მიუხედავად, მე ვერაფერი ვიპოვე, ქვის ადგილას ხვრელი აღმოჩნდა. ტაძარს ორივე მხრიდან ეკვდერი და გარშემო ქვის გალავანი აქვს, რომელიც სამხრეთ ეკვდერთან ერთად ჩამოიშალა და აქვე 20-30 ნაბიჯშია დაფანტული.

მიუხედავად იმისა, რომ ეს ეკლესიები არქიტექტურული თვალსაზრისით დიდ ღირებულებას არ წარმოადგენენ, დიდად მნიშვნელოვანნი არიან იმ თვალსაზრისით, რომ უტყუარად მოწმობენ აქ ქრისტიანული სწავლების აყვავებას ლეკებისა და თათრების ჩამოსახლებაზე. მუსულმანთა ზეწოლის შედეგად ხალხი იძულებული იყო თავისი სიწმიდეების მიმართ გულგრილობა გამოეჩინა, რაც მათი დროთა მანძილზე ნანგრევად ქცევის მიზეზი გახდა.

სოფელ კაკში, ხუციშვილების ოჯახში, ჩვენ ვნახეთ საეკლესიო ნივთები, რომელნიც, როგორც ჩანს, ამ ძველ ტაძრებს ეკუთვნოდა და ეკლესიების დაცარიელების შემდეგ გადამალეს. ესენია: 1709 წელს თბილისში, მეფე ვახტანგ VI-ის სტამბაში დაბეჭდილი სახარება, ვლახეთიდან მოწვეული ასოთამწყობის, მიხეილ სტეპანოვისა და მთავარმონაზონ ორბელის მიერ შესწორებული,

ლოცვანი ძრვისა და ქუხილისათვის, ხელნაწერი 16, ხის ყაში ჩასმული, წვრილი ხუცურით ნაწერი, თავსართი ასოები სინგურითაა შესრულებული.

ლოცვანის ბოლოს დართულია „რვა-ხმათაი“. ხელნაწერი პერგამენტზეა შესრულებული, შეიცავს ფაშნს, თვენს, მარხვანს და ზატიკს მინაწერით: „იწყება ქორონიკონ 6930, ადამს აქეთ დღემდე 7078. იგივე ქორონიკონსა ქართლსა გამეფდა ერეკლე, ამავე ფაშს ალავერდის მიტროპოლიტად დაჯდა ნიკოლოზ ჩოლოყაშვილი. იგივე ქორონიკონსა კახელები თავს დაესხნენ ჭარელებს, დაამარცხეს და დიდი ზიანი მიაყენეს. მოგვიკლეს ანდრონიკაშვილი აბელ (?) და ჩოლოყაშვილი ზურაბ სახლთუხუცესის შვილი და თანაზიარნი გახდნენ თვის მე-14 დღის წამებულთა კვირას.

XVI-XVII ს.ს. ხელნაწერი შესრულებულია მხედრულით, ბოლო გვერდზე კვითხულობთ მინაწერს, რომელშიაც იხსენიება მღვდლები აბრამ და ზაქარია ჭილაშვილები.

კონდაკი და კურთხევანი in 18 ხუცურად ნაწერი, დაცულია ხის ყაში.

კურთხევანი მუყაოს ქაღალდზე დაწერილია ხუცური ანბანით, შემდეგი

მინაწერით: „დიანოს(?) შეიწყალე გადაწერისას დაშვებული შეცდომებისათვის“ და „არ გარდამოვიდეს ხუციშვილების ოთხთავის წყევა თქუენზედა“.

ზემოთ ჩამოთვლილის გარდა ვნახეთ: ვერცხლის ბარძიმი და ვერცხლისავე ფეშხუმი წარწერით: შემომიწირავს მე ნაცვალს ბერუკას ეს ბარძიმი-ფეშხუმი ყოვლად წმ. ღვთისმშობლისთვინ ჯიმშიტის სადღევრძელოდ და ცოდვათა ჩვენთა შესამდობლად; ფარჩის ოლარი, წყლის საკურთხეველი ბარძიმი, სამირონე და ქვებით მოოჭვილი ვერცხლის ჯვრები.

საეკლესიო ძეგლების გარდა, ზაქათალის ოლქში არქეოლოგიურ ინტერესს წარმოადგენს ცნობილი კედელი, რომელიც კავკასიის ქედის პარალელურად კანუ ქაბიხიდან, ზაქათალა-სიღნაღის ტრაქტის სადგურამდე, სოფ. კატეხამდე მიემართება. ლაგოდეხიდან 12 ვერსში შემორჩენილია მაკაბელის ძველი სიმაგრის უმნიშვნელო ნარჩენები, დღეს ფერიყალად წოდებული თამარის ციხე, რომელსაც უკავშირდება ერთ-ერთი ლეგენდა თამარ მეფესა და შაჰ-აბასზე.

ალექსანდრე ხახანაშვილი
თარგმნა ნანა კობალაძემ



სოფ. ალიბეგლო. კახის რაიონი. 1987 წ.
წმიდა ნინოს სახელობის ეკლესიის ეზოს დასუფთავება

ბერ ხმაჲ

მამათა შორიდან კახილი

გადმოცემით ჰერეთის პირველი ეროვნული გმირი (I-II ს.) თორღვა ყოფილა, რომელიც ბატონს ქელს არ უხრიდა.

„უწინ კაკი 1000 კომლოვანი (ქალაქი) კაც საკრებულო ყოფილა, მას რქმევია თორღვა (თორღაჲ). თორღვას დიდი ცინებები ჰქონია კახეთის მთებში. ზოგი მათგანი დღესაც იწოდება თორღად, თორღად. თამარ მეფის ჟამს თორღაჲს ძენი იყვნენ „თავნი კახეთისა“ (ქართლ. ცხოვრ.).

კახში, ქიტანთ მთის ფერდობზე 718 წელს, არჩილ მეფეს გაუშენებია კასრის წმიდა სამების საყდარი. მის ეზოში თორღვას პატივსაცემად, შთამომავლობამ ჩაღვა 1000 ჩაუიანი ზედაშე, სადაც ყოველ წლივ, შემოდგომაზე კომლზე თითო ჩაუ ღვინოს ასხამდნენ, გაავსებდნენ და მარხავდნენ. კვირაცხოვლობას კი ყველანი სანოვაგით მოვიდოდნენ სალოცავად, ახდიდნენ და იზეიმებდნენ ერთად, ძმურად. იხსენებდნენ ეროვნულ გმირებს. იმ დროს თათართა ჭაჭანება არ იყო... ეს გადმოცემა (იხილეთ გვ. 34. რედ.) სხვადასხვა ვარიაციით შემონახულა.

რაც შეეხება კაც საკრებულო თორღვას: XVII საუკუნეში, ამ კუთხის შეიღვერ იავარყოფის შემდეგ, შაჰ-აბასის ბრძანებით ხალხი ჩირივით აუკუწავთ. სპარსთაგან გადარჩენილებს ერთურთისთვის უთქვამთ: ბიჭო! კაცის კაკი-კუკი არღარ

არსებობს, ე. ი. სულდგმული აღარ არისო. ამიტომ ამ ადგილს კაკი შერქმევია.

ბერ ხმაჲ გვაუწყებს: „რაც მამის პირიდან სიტყვა გამოვა, შვილმა გულში აიტანას“ – ე. ი. აილოს, დაიმასსოვროსო.

მოგვყავს შვილთა ხსოვნაში გადარჩენილი, ქვეყნისა და სარწმუნოებისათვის წამებულთა, საინგილოსათვის ღვაწლით შემოსილთა სახელები. მინდა ჩვენს შთამომავლებს არ დაავიწყდეთ ისინი. ღრმად ჩაწვდნენ შორეული, თუ უახლოესი წარსულის ფესვებს და მოუარონ მათ.

სია, ცხადია, არაზუსტია. ბევრის სახელი თავადაც არ ვიცი... განსაკუთრებით მათი, ვინაც წარსულში ქვეყნისა და ქრისტიანობის გადარჩენისათვის ბრძოლებში აღესრულა.

უფალმა გაანათლოს მათი სულები.

მკითხველისათვის, ალბათ, საინტერესო იქნება ეს:

ქურმუხის პირველი მღვდელი ყოფილა ხუციშვილი (იხილეთ „ძეძვის ბუჩქი“ ორ სამარეს შუა“, მოსე ჯანაშვილისა). მისი სახელი უცნობია. თითქმის ყველამ, მათ (ხუციშვილებმა) მოწამებრივად დაასრულეს სიცოცხლე. აი რამდენიმე მაგალითი:

მღვდელი აბრამ ხუციშვილი წახურის ხანმა აწამა. გავარვარებული ზედადგრით დაშანთა, თავი მოჰკვეთა.

მღვდელი იაკიმე ხუციშვილი გადარჯულებულმა დანიელ სულთან-ბეგმა მოჰ-



კლა, გზაზე დაკიდა. ვინც ჩამოხსნიდა, მასაც ის დღე ელოდა.

არსებობს 1698 წელს მღვდელ ხუციშვილის წინაწერი იმის შესახებ, რომ: „წამებულთაგან ინგილოებს ასსოვთ ვინმე ზილფი ჯანაშვილი, რომელმაც თავის ეზოში მოჰკლა თავგასული ლეკთ ბატონები. სოფელ ალიბელოში იგი შამფურებით დახვრიტეს ჭარელმა (ზაქათალა) დელაკაცებმა.

მოწამეთა შორის შეირაცხა, აგრეთვე, ჭარელებისაგან მოკლული აბელ მოურავი. მღვდელ მიხეილ კულოშვილის (ყულოშვილი) პაპა. აბელ მოურავი მამათა გადმოცემით, დავით ვახაჩიშვილის (ალი სულთანის) მონათ ბატონი ყოფილა.

93 წლის მოხუცი მღვდელი მიხეილ პაპაშო-კულოშვილი (ყულოშვილი) 1917 წელს მუსავატელ თურქებს უწამებიათ.

ხუციშვილთა გვარს უკავშირებენ ინგილოები V საუკუნის დიდ ქართველ მწერალს იაკობ ცურტაველსაც. ინგილოთა გადმოცემით, იგი მღვდლების – ხუციშვილების წინაპარი იყო.

იაკობ ხუცესი, საოცარი, დიდი მწერლის შთაგონებით აღწერს ჰერეთის ბუნებასა და ადამიანებს: „ჟამსა ზაფხულისასა ცეცხლებრ შემწუელი იგი მხურვალებაჲ მზისაჲ, ქარნი ხორშაკნი და წყალნი მანებელნი, რომლისა მკუდრნიცა მის ადგილისანი, სავსენი სენითა, წყლითა განსივებულნი და განყვითლებულნი, დაწრეტილნი და დამჭკნარნი და დამდიერებულნი, ჩარადოვანნი, პირმსივანნი და დღე-მოკლედ ცხორებულნი; და მოხუცებული არა ვინ არს მათს ქვეყანასა“. სწორედ აქ აწამებდა „წმიდა მუშანიკს“ ვარსქენ პიტიანში*.

გადმოცემით, აქაური ეკლესიები წმიდა ელისეს მიერ განთესილ თესლზე წმიდა ნინოს დაუმყარებია. გამორჩეულად უყვართ ინგილოებს წმიდა ნინო,

* არსებობს ასეთი თვალსაზრისი. იგი ივ. ჯავახიშვილმა წამოაყენა. სხვათა ვარაუდით, ცურტავე ქვემო ქართლშია, მაგრამ სად, კონკრეტულ ადგილს ვერ მიუთითებენ.

უყვართ წმიდა ელისე. მისი სახელი დღემდე შერჩენია ამ კუთხეს (ელისენის სამოურაო, დღევანდელი ალიაბადი).

IV საუკუნეში, ჯერ კიდევ მირიან მეფეს უანდერძებია თავისი შვილისათვის: კერპობა და კერპთაყვანისმცემლობა კავკასიაში მალე არ გადავარდება. საცა ნახო ასეთი კერპები, დაწვი, ნაცრად აქციე და ნაცარტუტა შეასვი მათ, ვინც ამ კერპის დამხობას იგლოვენო. გიშ-ქურმუხის საყდრები ჯერ კიდევ V საუკუნეში აუგიათ. დიდ ქართველ მეფე ვახტანგ გორგასალს ეპარქია გაუხსნია იქ.

არჩილ მეფეს 718 წელს შეუდგენია, თუ რა რიგზე უნდა მსხდარიყვნენ ეპისკოპოსნი მეფის კურთხევის ჟამს. ამ სიით გიშის ეპისკოპოსს მიჩნეული ჰქონდა მეცამეტე ადგილი.

მეფე ერეკლემ და ანტონ კათოლიკოსმა განაახლეს ეს სია. ისინი წერდნენ: „უკეთუ ოდესმე აღდგენილ იქმნეს გიშის კათედრა, მაშინ გიშელ მთავარ-ეპისკოპოსმა დაიჭიროს მისი ადგილი, რომელიც მას ეკუთვნოდა ძველის ძველამდე“.

საინტერესოა: სათავადაზნაურო სიით, რომელიც შეადგინა ერეკლე მეფემ, წერეთელი იმერეთს „ლეკეთიდან“ გადასახლებულან. იქნებ ბელაქნიდან, სადაც დღევანდლამდე დაშთენილა სახელები: წერეთლის ტახტი, წერეთლის წყალი, წერეთლიანთ დარბაზ ქილისა (ეკლესია).

როგორც ირკვევა, საჩხერის წერეთლები ჰერეთიდან XIV ს. მიწურულში იმერეთში წამოსულან, რაც თეძურ-ლენგის შემოსევების დროს მომხდარა. ამის შესახებ ქართულ წერილობით წყაროებში დაცულია საინტერესო ცნობა, სადაც ვკითხულობთ, რომ „ოდეს მოვიდა ლანგ-თემური და აიძულა მუნებურთა გამაჰმადიანება, ამით დატოვეს ადგილი და მივიდნენ ჩერქეზს და მუნითგან გადმოვიდნენ იმ-

ერეთს, მეფის ბაგრატის დროს 1395 წელს და მან მიიღო პატივით, მისცა საჩხერე და უწოდა თავად და აწცა არიან მუნ ჟამთაგან აქომამდე.“ (მოგზაური № 67, 1901 წ. გვ. 562). ივანე ჯავახიშვილი წერს: „აქედან (ჰერეთიდან) ავრცელებდა ქართველობა თავის გონებრივსა და სარწმუნოებრივ გავლენას დაღესტანზე. მაშინაც კი, როცა საქართველო მონღოლთა შემოსევისაგან დაუსტებული იყო, ქართველ ერს თავისი გამნათლებელი მოღვაწეობა არ შეუწყვეტია და დაღესტანში (ჰუნძანში), ქრისტიანობა გაუვრცელებია (საქართველოს საზღვრები. ივ. ჯავახიშვილი).

ჟამთააღმწერლის ცნობები გვიმტკიცებს, რომ 1310 წელს, ჰერეთს, კაც საკრებულოს, სოფელ თორღვას მოღვაწეობდა მღვდელი იესე ქიტიაშვილი. მცხეთის კათოლიკოსმა ექვთიმემ ინახულა საქართველოს განაპირა ეპარქიები და ეკლესიები, მოიარა დაღესტანი, ეპარქია ანწუხისა, ეკლესიები წახურისა, ხუნძახისა, ნახიჩევანისა და სხვ.

რა ნახა ეკლესიების სილატაკე წიგნებითა, მაშინვე უბრძანა გიშქურმუხის მთავარეპისკოპოსს, კირილე დონაურს, გადაეწერინებინა სახარება და სხვა წიგნები და წარეგზავნა დაღესტანს. მეცაო, ამბობს კირილე დონაური, გადავაწერინე წმიდა ბარბარეს საყდრის მღვდელს იესე ქიტიაშვილს და ათთორმეტთა მოწაფეთა მისთა. წარვეგზავნე საყდართა, მონასტერთა და შვიდთა სასწავლებელთა თავდგომთადმი და ეუბრძანე სწავლებად რჯული ჭეშმარიტი და ფილოსოფია, მამათა ცხოვრება, ქართლის ცხოვრება და ცხოვრება აღვანისა. კათოლიკოსის მოგზაურობის დროს დაღესტანში შვიდი სკოლა ყოფილა. თავმდგომი სკოლის მასწავლებელს ეწოდებოდა.

ეს დიდად საყურადღებო ცნობა მაღალანთ სასარების მინაწერში შეძინახულა.

1292 წელს ბელაქანს ბრწყინავდნენ პიმენ სალოსი და ანტონ ნაოხრებლიძე. პიმენი ნარეჯიდან წამოვიდა და დამკვიდრდა ბელაქანს ქვაბსა რასმე და ნათესავი

ლექთაგან წარმართობისაგან მოაქცივნა, რომელნი ჰგიან სარწმუნოებასა ზედა ქრისტეს. მასთანვე მოღვაწეობდა ანტონი ნაოხრებლიძე მესხი. 1800-იანი წლებიდან ჰერეთის აღორძინება იწყება. მეფის რუსეთი ებრძვის დაღესტანს, შამილს. რუსი და ქართველი გენერლების თანადგომით ძილქუშიდან იღვიბებს ჰერეთი.

1830-იან წლებში გენერლების: გულიაკოვის, კოცებუსა და ციციშვილის, ასევე ივანე თარხნიშვილის, სვიმონ შალიკაშვილის, დავით კონჭოშვილის, ლევან მელიქიშვილისა და გრიგოლ ორბელიანის თანადგომით დავრჩით ქართველებად.

ჩვენი უახლოესი წინაპრებიც არ იხდნენ გულხელდაკრეფით.

მინდა მათი სახელები კვლავ შევახსენო ადამიანებს, მათ, ვინც იციან, ახსოვთ ისინი; ხოლო ჩემს უმცროს თანამედროვე ინგილოებს და ცხადია, არა მართო მათ, ვთხოვ, დაიხსომონ. ისინი. ბევრ მათგანს არა მხოლოდ საკუთარი კეთილდღეობის, არამედ სიცოცხლის ფასადაც უღირდა ჩვენი მრავალტანჯული კუთხისა და ხალხისათვის ზრუნვა. მათი დიდი ნაწილი სამღვდელონი არიან. ყველაზე მეტად, სწორედ მათ დასდეს თავი სამშობლოსა და დედა ეკლესიისათვის. ბევრი წამებულია მათ შორის. წამებულია არა მხოლოდ ის, ვინც დაიღუპა, არამედ ვინც უანგაროდ და თავგანწირვით იღვაწა და გადაურჩა მტრის განაჩენს. აგერ სულ ახლახან, გასული საუკუნის ბოლო წლებშიაც კი.

ესენი არიან:

ივან-ბაბა ბულუღაშვილი (1801-1872) – ერი არ გადაარჯულა, დაიმკვიდრა ინგილოთა ბელადის სახელი. მიხეილ პაპაშო კულოშვილი (ყულოშვილი) ერის თვითნასწავლმა მღვდელმა, 1858 წელს კახში გახსნა ორკლასიანი ქართული სკოლა. შენობის უქონლობის გამო საკუთარ სახლში ასწავლიდა დედა-ენას. საკუთარი სახსრებით აღადგინა წმიდა სამების კასრის საყდარი. 1917 წ. თურქმა ჯალათებმა თავი მოჰკვეთეს 93 წლის მოხუცს.

- დიმიტრი ჯანაშვილი (1840-1905) – მღვდელი, ისტორიკოსი, პუბლიცისტი. წ.კ.გ.ს. წევრი.
- პროფ. მოსე ჯანაშვილი (1855-1934) – 1600 შრომის ავტორი. წ.კ.გ.ს. წევრი.
- აბელ ბაირამაშვილი (1856-1908) – პედაგოგი.
- ბართლომე ხუციშვილი (1860-1923) – დამსახურებული მასწავლებელი.
- არჩილ დარეჯანაშვილი (1861-1921) – სწავლული აგრონომი წ.კ.გ.ს.წ. 22 შრომის ავტორი.
- იოანე გამახარაშვილი (1861-1915) – მღვდელი.
- ივანე სარდალაშვილი (1861-1918) – მღვდელი.
- კოტე ტარტარაშვილი (1867-1918) – პოლკოვნიკი.
- ნიკოლოზ მიხეილის ძე ყულოშვილი – მღვდელი.
- მარკოზ ყულოშვილი (1868-1897) – მღვდელი.
- სოფიო კონჭოშვილ-ყულოშვილი (1877-1946) – სახალხო მასწავლებელი.
- მათე ფიროსმანაშვილი (1880-1963) – მღვდელი.
- ტარას ივანიცკი (1881-1917) – მღვდელი.
- კოტე ბაირამაშვილი (1883-1906) – ოდესის სამედიცინო ინსტ. სტუდენტი.
- აპოლონ ივანიცკი (1883-1900) – მღვდელი.
- ლადო ივანიცკი (1884-1940) – მღვდელი.
- რაფიელ ივანიცკი ინგილო (1885-1966) სასულიერო და იურიდიული ინსტიტუტის კურსდამთავრებული, ნოე ჟორდანიასთან ერთად გადასახლდა პარიზში.
- რაჟდენ ხუციშვილი (1887-1942) – პროფესორი, საქართველოს პირველი ჰიდროლოგ-მეტეოროლოგი. დიდი პატრიოტი.
- გიორგი გამხარაშვილი (1887-1965) ეკონომიურ მეცნიერებათა კანდიდატი.
- ბარბარე ბაირამაშვილი (1888-1975) – პირველი ქართველი ინჟინერი ქალი.
- ლეონიდე ხუციშვილი (1889-1915) – ფიზიკო-მათემატიკოსი, დოცენტი.
- ილარიონ პაპიაშვილი (1889-1936) – იურისტი. დახვრიტეს მიხეილ ჯავახიშვილთან ერთად.
- ისაკო კაშიაშვილი (1899-1985) – ჭეშმარიტი პატრიოტი.
- იროდიონ ყულოშვილი (1900-1982) – ინჟინერ-მელიორატორი. საქართველოსა და საერთაშორისო პრემიების ლაურეატი.
- არჩილ ჯანაშვილი (1904-1985) – პროფესორი. საინგილოს დიდი მოღვაწე.
- სანდრო პაპიაშვილი (1908-1985) – საინგილოს მოღვაწე, გამაჰმადიანებულ სკოლებში ქართული სწავლების ინიციატორი.
- ლეონიდე ისაშვილი (1912-1955) – სასაზღვრო ჯარების უფროსის მოადგილე, ვიცე-პოლკოვნიკი.
- ანატოლი გამხარაშვილი (1915-1991) – საინგილოს მოღვაწე, პატრიოტი.
- მირიან გამხარაშვილი (1916-1983) – ფიზიკო-მათემატიკოსი, მეცნიერი.
- გივი ხუციშვილი (1921-1973) – ფიზიკო-მათემატიკოსი. აკადემიის წევრკორესპ.
- სევასტიან ოთარაშვილი (1922-1960) – ფიზიკო-მათემატიკოსი მეცნიერებათა-კანდიდატი.
- თენგიზ ივანიცკი (1924-1992) – გეოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი.
- ვალერიან ტარტარაშვილი (1924-1989) – ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატი.
- ილია ბაირამაშვილი (1927-1974) – საქართველოს ნახშირტრესტის მმართველის მოადგილე.
- არსენ ოქროჯანაშვილი (1930-1965) – სპელეოლოგი, ათონის მღვიმის აღმომჩენი.
- მარლენ ყულოშვილი (1932-1980) – გამომცემლობა „განათლების“ უფროსის მოადგილე.
- პირიმზე (ნათელა) როსტიაშვილი (1936-1973) – ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი, ინგილოური ლექსიკონის მეორე ავტორი.

1912 წელს მღვდელი ჰერმანოზ ჯობავა ემსახურებოდა კახის წმიდა გიორგის საყდარს.

მღვდელი ნიკოლოზ კოლეიშვილი (თელაველი) წერს, რომ მონაწილეობა მიუღიათ კახის წმიდა გიორგის საყდრის გადაკეთებაში, რომლის შესახებაც წერილი დაუწერიათ და ბოთლში ჩაუღვიათ. იგი 1987 წელს, საყდრის შეკეთებისას, ოსტატებმა ნახეს. ნიშნები მც მატეს.

1916 წელს ზაქათალის მახრამში მოღვაწეობდა ვეტექიმი, შემდგომში საინგილოს დიდი მოღვაწე ზაქარია ედილაშვილი.

1944-46 წლებში, კახის ქართულ საშუალო სკოლაში მოღვაწეობდა ალექსანდრა ჩხენკელი, მწერალი, მკვლევარი.

საინგილოსთვის იღვაწა და ბევრი გააკეთა პროფესორმა უშანგი ობოლაძემ.

1970 წელს ქორეოგრაფმა გიორგი სალუქვაძემ შეისწავლა ინგილოური შიფრობა - როკვა.

1979 წელს ილია ადამიამ გამოსცა წიგნი „საინგილოს ხუროთმოძღვრება“.

1950-70 წლებში გიორგი ჩანგაშვილმა გამოსცა წიგნი „საინგილო“.

1960 წელს თენგიზ პაპუაშვილმა გამოსცა წიგნი „საინგილო“.

1969 წელს ანზორ დოლენჯაშვილმა კახში დააარსა ილია ჭავჭავაძის სახელობის თეატრი.

ერთ დროს ლადო აღნიაშვილი თავისი გუნდით აპირებდა ამერიკაში წასვლას. ამ წერილის ავტორმა მიმართა ლადოს, ამერიკაში წასვლას თავი დაანებე, შენი გუნდით ჩამოდი საინგილოში. რამდენიმე სოფელს გააგონე ქართული სიმღ-

ერა (საინგილოში ქართული სიმღერა არ არსებობს). დიდ შთაბეჭდილებას მოახდენს, რამდენიმე მოწაფეს იქედანაც გაგაყოლებთ, შეასწავლეთ ქართული სიმღერა-გალობა, დაბრუნდებიან საინგილოში და გაავრცელებენ სიმღერას-თქვა. მატერიალურად ვპირდებოდი გზის წანარგს და აქ დახვედრას. თვით ლადო აღნიაშვილის დიდი მცდელობის მიუხედავად, საქმე არ მოხერხდა.


სამწუხარო ფაქტია. ძალზე მჭევრმეტყველური...

რაც ჩვენ ვერ განვახორციელებთ, ადვილად შეასრულეს სომხებმა ამ 12-15 წლის წინათ. სომხის მოძღვრალი ყარამურზა თავისი გუნდით ეწვია საინგილოს. ჯერ ზაქათალას ჩავიდნენ, შეჰყარეს ჯერ ადგილობრივი სომხები. 20-25 ახალგაზრდა მგალობელი დატოვეს ზაქათალაში. შემდეგ ეწვივნენ კახს. აქაც შეჰყარეს სომხების ახალგაზრდობა, შეასწავლეს სიმღერა. ორი კონცერტის შემდეგ გაუარეს წუხს. ყარამურზა ამბობდა: მე ჯიბის ინტერესი სრულიადაც არა მატეს, მსურს სომხობა დავატკბო, მათში ეროვნული სიმღერები გავავრცელო.

რა მტკივნეული ამბავია. რატომ ხდება ასე... რა გვემართება... თვალს მხოლოდ მაშინ ვახელო, როცა უკვე ურემი გადაბრუნებულია, როცა გვიანია... ჩვენს სინამდვილეში საინგილოს მაგალითი, სამწუხაროდ, ერთი არაა, მუდამ ასე გვჭირს. ამიტომაც ვწვალბობ...

ღმერთო, გადმოგვხედე, გაიღვიძოს ქართველმა კაცმა ამ უსასრულო ძილისაგან. მოხედენ ღმერთო, ჩვენს ქვეყანას და მის ტანჯულ კუთხეს -საინგილოს.

მიხეილ ყულოშვილი



კახი. სოფ. ლექართი. მრგვალი ტაძრის ინტერიერის ნანგრევების საერთო ხედი

ზ ლ ვ ა რ ი

1980 წელსაც კი ჩვენ მხოლოდ კერძო საუბრებში ვახსენებდით საინგილოში მცხოვრებ ქართველთა პრობლემებს. ვახსენებდით ისე, საჩვენოდ. არავის წარმოედგინა, რომ შეიძლებოდა ამ თემაზე საჯაროდ ხმის ამოება და საკითხის გადაჭრაზე სერიოზულად ფიქრიც კი. ასე იყო 81-შიც, 82-შიც და მომდევნო წლებშიც... სწორედ მაშინ, როდესაც ახალბედა რეჟისორი ნიკო წულაძე, თანამოაზრეთა ჯგუფთან ერთად, მეთოდურად აგროვებდა მასალებს საინგილოს აწმყოსა და წარსულის შესახებ. ჩვეულებრივი ლოგიკის თანახმად, გაუგებარია რისთვის? რა ამოძრავებდა კაცს, რომელიც ფაქტურად არალეგალურად, რომ იტყვიან, „პარტიზანულად“ იღებდა სურათს აკრძალულ თემაზე?!

იმ წინააღმდეგობების შესახებ, დღესაც რომ აწყდებიან საინგილოში საშუალოდ ჩასული ქართველი მეცნიერები და ახალგაზრდები, ახლა საკმაო ინფორმაცია გვაქვს. ვითარებაში, როდესაც ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლთან მისვლაც საკმაოდ გაძნელებული იყო, გადაძღვმა ჯგუფმა მოახერხა 15-მდე ეკლესია-ტაძრის ფირზე აღბეჭდვა. მუშაობის გარემოებათა სრულად გადმოცემა შეუძლებელია. მხოლოდ ერთ შტრისს შეგეხები: გადაძღვები ჯგუფის წევრები ლაშქრობათა, ტურისტული მოგზაურობების მონაწილეების „მისიით“ მოქმედებდნენ. ეს საშუალებას აძლევდათ (რეჟისორი ნიკო წულაძე, ოპერატორები ვაჟა აქიაშვილი და დათო ნადირაშვილი, ხმის ოპერატორი ვია აბაშიძე, ხელოვნებათმცოდნე გიორგი მარჯანიშვილი) დაკავშირებოდნენ, ესაუბრათ ადგილობრივ მოსახლეობასთან, ხელისუფლების წარმომადგენლებთან და ისე, „ტურისტული“ გატაცებით სასხვათაშორისოდ გადაეღოთ მათთვის საინტერესო ობიექტები...

— რატომ გადავიტანეთ აქცენტი ძეგლებზე, — ამბობს ნიკო წულაძე, — ეს არის ერთ-ერთი უმთავრესი საბუთი იმისა, რომ

საუკუნეების მანძილზე ეს მიწა-წყალი ქართული კულტურის საუფლო იყო. მე ამ ნამუშევარს პრობლემასთან მიახლოების პირველ ეტაპად ვთვლი. მისი გაგრძელება ამ მხარესთან აქტიურ ურთიერთობაში, იქაურ ქართველებთან მჭიდრო კონტაქტის დამყარებაში უნდა გამოიხატოს. ეს ის ადგილია. რომელზეც ყველას შეუძლია „თითო აგურის დადება“. თუნდაც ერთი ჩასვლით, ერთი წიგნის ჩატანით, ერთი სიმღერით დიდი მნიშვნელობის საქმე კეთდება. ერთია მხოლოდ: დაკვირვებაც გვაძრთებს, რათა აჩქარებით, სიფიცხით საქმე არ გააფუჭოთ. ზოგი პრობლემის გამწვავების მომხრეა. ეს არავითარ შემთხვევაში არ მოგვიტანს სიკეთეს. და კიდევ: ამ სამი რაიონიდან, სადაც ქართველები ცხოვრობენ, ყველაზე კარგი ვითარებაა კახის რაიონში. მოგეხსენებათ, სოფელ ალიბეგლოში არსებობს ქართული კულტურის კერა — ილია ჭავჭავაძის სახელობის სახალხო თეატრი, და სწორედ იქითკენა მიმართული ჩვენი საზოგადოებრიობის ყურადღება. ეს კარგია, მაგრამ ყურადღება უფრო მეტად სხვა კუთხეებს — ბელაქანსა და ზაქათალას რაიონების სოფლებს სჭირდებათ...

„ჩვენი ინგილოები...“ გვეუბნება ეკრანიდან ახალგაზრდა კაცი, და მოგვითხრობს, როგორები არიან ისინი. „ადრე ქართველებად იწოდებოდნენ. ახლა თავს ინგილოებს უწოდებენ...“ — გვაუწყებს საავტორო ტექსტი. ფილმი გვიამბობს იმ ქართველ ბავშვებზეც, რომლებმაც მშობლიური ენა არ იციან... გვაუწყებს, რომ ათწლეულების მანძილზე ქართველებს ლოცვაც ჰქონდათ აკრძალული, რომ ძეგლთა დიდი ნაწილი დღემდე გამოუკვლეველია (ამას გაჩანაგებული, ხავსით დაფარული კედლების და ქვების კადრებიც ადასტურებენ)... გვახვედრებს მოხუცს, რომელსაც საქართველო ტელევიზორშიც არ უნახავს... აქვე ვხედავთ ადამიანებს, რომლებიც ყველა ღონეს ხმარობენ, რათა

ალადგინონ ჩატეხილი ხიდი: ალიბეგლოს თეატრის ხელმძღვანელს, – ანზორ დოლენჯაშვილს, მასწავლებელს ბესო გოჯიშვილს; ახალგაზრდებს, რომლებიც აგროვებენ ნიუ-თებს მხარეთმცოდნეობის მუზეუმის დასაფუძნებლად, ადამიანებს, ვინც წიგნებს, საბოსებს, ჭურჭელს, ხალხური რეწვის სხვა ნიმუშებს – რუდუნებით ინახავდნენ ოჯახებში. ვეცნობით ივან-ბაბა ბულულაშვილს, რომელმაც იხსნა ინგილოები ქრისტიანობის დაკარგვისაგან; ადამიანებს, ვინც შეინარჩუნა საქართველოსთან კავშირი – დიმიტრი ჯანაშვილს, სოფიო ყულოშვილს, მიხეილ ყულოშვილს, კოტე ტარტარაშვილს, ნიკო ნადირაშვილს, არჩილ ჯანაშვილს, სხვებსა და სხვებს.

თუ ფილმის კინემატოგრაფიული ღირსებების ანალიზს მივყოფთ ხელს, უნდა აღვნიშნოთ, რომ „ზღვარი“ ტრადიციული ხერხებით არის შესრულებული, გამოკვეთილია სამი შრე-ხაზი: ისტორიული წარსული, საინგილოს ქართველი მოსახლეობის ყოფის ამსახველი კინოქრონიკა, მათი ცხოვრება 80-იანი წლების დასაწყისში. პროფესიონალის ხელი არ მისდევს ეკრანულ ეფექტებს – ფილმის ენა სადა და მეტყველია, სათქმელი ღრმა ფესვებს შეიცავს, მაგრამ „დაუშიფრავია“. ეგრეთწოდებული საავტორო კინოს ნიმუშების დარად ფილმი ძალზე ჰგავს თავად ავტორს – მშვიდი, ყოველგვარი პათეტიკისაგან თავისუფალი თხრობა, უსაზღვრო წუხილი და წამოჭრილ პრობლემებთან სისხლხორცეული კავშირი იკითხება ამ თხრობაში.

– ფილმმა წაიღო ათი წელი და უდიდესი როლი შეასრულა ჩემს ცხოვრებაში. წარმოიდგინეთ – შექმნის შემდეგაც, იგი ერთგვარ ლაკმუსად იქცა იმ ადამიანების შეფასებისას, ვისთანაც მომიხდა ურთიერთობა – იქნებოდა ეს ფილმის ბედის განსაზღვრა, თუ ჩვეულებრივი რეაქცია მაყურებელთა დარბაზში... მანამდე კი, როცა „არალეგალურად“ გადაღებული ფილმის დასამთავრებლად საჭირო თანხას ვეძებდით, ძალზე დიდი დახმარება გაეწვია ბატონმა ვახტანგ ბერიძემ: მისი, როგორც ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტის იმჟა-

მინდელი დირექტორის, პირადი ჩარევის შედეგად ინსტიტუტმა სურათის წარმოებისათვის აუცილებელი თანხა – ათი ათასი მანეთი გამოყო.

– პრობლემის შესახებ, – განაგრძობს ნიკო წულაძე, პირველად პრესაში სერიოზულად და ღრმად ითქვა მანანა გიგინეიშვილის, გურამ გეგეშიძისა და ვახტანგ როდონაიას წერილში – „ზღვარი“, რომელიც „ლიტერატურულ საქართველოში“ გამოქვეყნდა (1980 წ.). მათ რომ შემდგომში არც არაფერი გააკეთონ, მარტო ამით შეუძლიათ იამაყონ.

– თქვენ თუ აპირებთ საინგილოს თემაზე მუშაობის გაგრძელებას?

– როგორც ვთქვი, სურათში განსაკუთრებული ადგილი დაიკავეს საინგილოში არსებულმა ქართულმა ძეგლებმა; ხალხის ყოფა-ცხოვრების ამსახველი ბევრი კინომასალა გამოუყენებელი დარჩა. მაგრამ დღესდღეობით ვერ გეტყვით, რა გაგრძელება შეიძლება ჰქონდეს ამ საქმეს. არსებულ მასალაზე ახალი ფილმის შექმნა მაინც უკვე ნათქვამის გამეორებას ნიშნავს. ეს კეთილსინდისიერი საქციელი არ იქნებოდა. ახალი სიტყვის თქმის საშუალება კი, არა მაქვს: ჯერ ერთი, ჩვენს დოკუმენტურ კინოში არსებული სიტუაცია არ შეიცავს საამისო პირობებს, მეორე მხრივ, გამოგიტყდებით, მე თვითონ ვერ ვგრძნობ ჩემს თავში ძალებს იმ წინააღმდეგობების დასაძლევად, რაც ამ სამუშაოს შესრულებისას იქნება მოსალოდნელი. თუმცა, ვიცი, ამჟამად იქმნება საფუძველი იმისა, რომ ურთიერთობები აზერბაიჯანში მცხოვრებ ქართველებთან მყარ ნადავზე დადგეს.

ქართული სულის აღორძინება... ამის ნიშნებს განსაკუთრებული ადგილი ეთმობა „ზღვარში“; მხარეთმცოდნეობის მუზეუმის შექმნით შეპყრობილი ახალგაზრდები, სოფელ ალიბეგლოს, ილია ჭავჭავაძის სახელობის სახალხო თეატრის დასი, ფთილების დახვევის რიტუალი... ზღვრამდე მისული მღვთმარობის ფონზე ეს ყოველივე მყარი იმედის ნაპერწკლად გამოკრთის მაშინაც კი, როცა დღეს დანგრეულ-გაჩანაგებულ ტაძრებზე ვწუხვართ და ვისმინთ ავტორისეულ ტექსტს,

რომლის მიზანია წარმოსახვაში აღკვიდგინოს მათი ოდინდელი სილამაზე და დიდებულება... ზღვართან მისულთ, მთლად არ დაგვიკარგავს დღევანდელი მღვდმარეობის გადარჩენის შესაძლებლობა.

დღეს საქართველოში ბევრი მნიშვნელოვანი საზოგადოებრივი ორგანიზაცია ყალიბდება, ძალებს იკრებს. მათს პროგრამებში ერთ-ერთ საკადრის ადგილს უთუოდ დაიმკვიდრებს საინგილოში მცხოვრებ ქართველებთან კავშირების განმტკიცებისკენ, მათი ცხოვრების შესახებ ჩვენს საზოგადოებაზე ვრცელი ინფორმაციის მოწოდებისკენ

მიმართული მუშაობა. ამ საქმეში დიდი როლის შესრულება შეუძლია დოკუმენტურ ფილმს „ზღვარი“, რომლის მაცურებელთა ფართო წრეებამდე მიტანა, (ვფიქრობთ, დღეს უკვე ეს შესაძლებელია. რედ.) კინოგამქირავებელ სამსახურებთან და ტელევიზიასთან ერთად, საზოგადოებრივ ორგანიზაციებსაც ძალუძთ. ყოველი შეხვედრა გადამღებ ჯგუფთან, ფილმის ყოველი ჩვენება, უეჭველად, სასიკეთოდ აირეკლება იმ საქმიანობაში, რომელსაც ფართო საზოგადოებრიობა, ახალგაზრდობა გასწევს საინგილოსთან აქტიური ურთიერთობის დამყარებისათვის.

ზურაბ აბაშიძე.



საქართველოს დელეგაციის წარმომადგენლები კახში, გიორგობის დღესასწაულზე. 2000 წ.

„საინგილოვ, უფლის მიწავ, – ძნელად მოსავლელი“

„აცხოვნე, უფალო, ერი შენი, და აკურთხე სამკვი-
დრებელი შენი. ძლევა ჯვართა ბარბაროზთა ზედა
ღვთივდაცულსა ერსა ჩვენსა მონიჭე და საფარველსა
ქვეშე მისსა დაიცევ, რათა ვიტყოდეთ – უფალო,
დიდება შენა...“

იწყება კაკლის ხეივანი, თვალწარმტაცი ხდება მშობლიური ბუნება, უკან
რჩება სამყაროს აურზაური და ოღნავ გასაგონი ხმით ისმის წმიდა გიორგის
საყდრის ზარების თითქოსდა გაუბედავი ხმები...

...ჩემი საინგილო!..

გულისტკივილს ვჩივი და ვერ მიჩვილია, მოურჩენელ იარებს ვტირი და
ვერ მიტირია...

...ჩემი საინგილო!..

სევდანარევი ღიმილი... ჩამოტეხილი ფრთები... უკვე მეშინია... შორიდან
ვგრძნობ წინაპართ მზერას... ჩემი ივან-ბაბა, – წვერდათოვლილი, გაბრაზებული
და წარბაწეული... ოღნავ გასაგონი კითხვით: „რა ეშველებათ?..“

მაგრამ, აი, ამ წუთში მე ვფიქრობ, რომ დღეს შედარებით თამამად
შეგვიძლია გადავხედოთ წინაპართა ნაკვალევს და ოღნავ გავიმართოთ წელში,
რადგან ყველანიარად ვცდილობთ რაიმე შევმატოთ დუმილადქცეულ კუთხეს,
ათასი კითხვით და ათასი ეჭვით ხელჩაქნეულ ხალხს, „ნაჭრილობებ“ და
გუმბათჩამოქცეულ ეკლესიებს.

...ჩემი საინგილო!..

სწორედ უფლის მიერ მოვლენილი საჩუქარი იყო ჩვენთვის მამა ბასილი
(კიკვაძე). ამბულბული, თვალნათელი, სათნო და დიდებული. ეგ ზომ მშობლიური
გახდა ჩვენთვის შორიდან ჩამოსული მოძღვარი. იქნებ უფლის გამოცდა იყო და
ვერავითარი ძალით ვერ ჩავაბარეთ ფრიადზე.

წავიდა... გაურკვეველი ფიქრებით დაგვტოვა... მე არასოდეს დამავიწყდება
მამა ბასილის სინათლით აღსავსე ცრემლიანი თვალები, თბილი ხელები და
მამობრივი ამბორი, მას ბევრი შეეძლო და მცირედი შეაძლებინეს.

დღეს კი, იმით მაინც ვართ კმაყოფილი, რომ ქრისტიანული კალენდრის
მიხედვით, მისი წყალობით ვზეიმობთ გოირგობას.

მამა ბასილის წასვლის დღიდან გვერდში ამოგვიდგა მამა დავითი...
გულჩათხრობილი, სევდიანი, ახლობელი და ცოტათი მკაცრი. ამჟამად ის
ჩვენთანაა და ჩვენს ირგვლივ ტრიალებს, წმიდა გიორგის ეკლესიის კარები
ყოველთვის ღიაა. შაბათ-კვირას ტარდება წირვა-ლოცვა... ციმციმებენ სანთლები,
შემოგვეყურებენ და იმედით გვაკვებენ სანთლის შუქით გამთბარი ხატები.

ბედნიერია ჩვენი საყდარი, მრევლს ჰყავს მოძღვარი, ისმის მგალობელთა სულში ჩამწვდომი ხმა... „დიდება მაღალთა შინა ღმერთსა, ქვეყანასა ზედა მშვიდობა და კაცთა შორის სათნობა“...

უფრო სასიხარულო ის არის, რომ დაიწყეს წმიდა გიორგის ეკლესიის რესტავრაცია. 2000 წლის 4 იანვარს ეკლესიის გუმბათიდან ჩამოასვენეს ძველი ჯვარი და მის ადგილას აღმართეს უწმიდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, ილია II-ის ლოცვა-კურთხევით მიტროპოლიტ კალისტრატეს მიერ შემოწირული ჯვარი, რომელსაც გაკეთებული აქვს წარწერა: „აცხოვნე, უფალო, ერი შენი და აკურთხე სამკვიდრებელი შენი“. ჯვარი დამზადდა მიტროპოლიტ კალისტრატეს ლოცვა-კურთხევითა და გელათის სასულიერო აკადემიის სახსრებით. 3 ოქტომბერს, 1998 წელს.

მონაწირნი:

წერილი ხელმოუწერელია. იგი მოვიდა რედაქციაში ხელნაწერის სახით. ტკივილი, რომელიც მასშია გაცხადებული, მთელი ამ კუთხის ხალხის ტკივილია. იგი ჩვენი ტკივილიცაა.

რედაქტორი

ერთი იმ დიდ მოწამეთაგანი



პიროვნებას, ვისზეც ახლა ვიამბობთ, ნაკლებად იცნობენ საქართველოში. არადა, სარწმუნოებისთვის წამებული მღვდლის მიხეილ ყულოშვილის სახელი სალოცავად ვაუხდით საინგილოში, თაობიდან თაობას გადაეცემა მისი თავდადების ამბავი.

მიხეილ ყულოშვილი 1825 წელს დაიბადა სოფელ კახში, რაფიელ და საბედო ყულოშვილების ოჯახში. ეს ის პერიოდია, როდესაც საინგილოში მომძლავრებულნი იყვნენ გადაგვარებული ქართველები – მოურავი დავით ვახაჩიშვილი (ალი სულთანბეგი) გურამ-ოღლეები – დანია სულთანბეგი. მაგრამ ერისა და სარწმუნოების ძლიერი შტო ხარობდა ყულოშვილების გვარში. ასეთად იყვნენ ცნობილნი მიხეილის პაპა აბელი, მამა რაფიელი; დედა – საბედო, ბებია – დარეჯან ხუციშვილი. ეს იმ ხუციშვილთა მოდგმის მანდილოსანია, რომლებმაც მოსე ვახაჩიშვილის გადმოცემით, ძნელბედობის ჟამს, განადგურებას გადაარჩინა „ხუციანთ ოთხთავი“ და სხვა საეკლესიო ნივთები.

ერთხელაც წმიდა გიორგის სახელობის ქურმუხის საყდარში, შვილთან ერთად მიმავალი დარეჯანი ვინმე თათარს დაუნახავს და ვახაჩიშვილთან დაუბეზღებია. მოურავს ისეთი მოწინება ჰქონია

ამ გვარისა და ოჯახისადმი, რომ გაგული-
სებულს დაბეზღებლისთვის უთქვამს: განა,
მე არ ვიცი, რომ წმიდა „ხუციათს ოთხ-
თავის“ კერიიდან არის და საყდარში
ლოცულობსო...

ოჯახურმა კერამ დიდი გავლენა იქო-
ნია მიხეილის, როგორც პიროვნების, ჩამო-
ყალიბებაზე. მას ადრეულ ასაკში შეუსწავ-
ლია წერა-კითხვა, თუმცა, იმ დროში ეს
ადვილი არ იყო; ზეპირად სცოდნია „ვეფხ-
ის ტყაოსანი“... კარგად იცოდა, თურმე,
რუსული, არაბული, სომხური, აზერბაი-
ჯანული, უდური... ამდენად, შეგვიძლია
დავასკვნათ, რომ იგი იყო თვითნასწავ-
ლი, ღრმად განვითარებული სასულიერო
პირი. ამიტომაც, საკვირველი არ არის,
რომ მიხეილ ყულოშვილის თაოსნობით,
1858 წელს, საინგილოში გაიხსნა პირვე-
ლი ქართული სამრევლო ორკლასიანი
სკოლა. შენობის უქონლობის გამო, მიხ-
ეილი ბავშვებს საკუთარ სახლში ასწავ-
ლიდა წერა-კითხვას; რაღა თქმა უნდა –
უანგაროდ.

ის იყო იქაური გლეხობის მრჩეველი,
ავადმყოფთა შემწე და მკურნალი. ასეთივე
გულითადობით უპასუხებდა მრევლიც.

მიხეილ ყულოშვილი მოწაფეებს ქარ-
თული სულისკვეთებით ზრდიდა, უნერ-
გავდა მამულის სიყვარულს, ასწავლიდა
სამშობლოს, საკუთარი კუთხის ისტორიას
და მოუწოდებდა, ერთად ეკეთებინათ სასი-
კეთო საქმე, განადგურების გზაზე დამდ-
გარი ეკლესიებისა და სხვა ისტორიული
ძეგლების გადასარჩენად. თავად მიხეილ-
მა საკუთარი სახსრებით განაახლა წმი-
და სამების სახელობის კასრის საყდარი
კახში. ამ ეკლესიას მეტად საინტერესო
ისტორია აქვს: საყდარი 718 წელს აუ-
გიათ, მისი მშენებლობა არჩილ მეფის
სახელთან არის დაკავშირებული. სამწუხ-
აროდ კასრის საყდარი 1947 წელს დაინ-
გრა, მიწისძვრის შედეგად. ეკლესიის
ეზოში არის უზარმაზარი ქვეერი, თავად
ეზო ზღვის დონიდან 150-200 მეტრი
სიმაღლის მთაა, საიდანაც მთელი საინგი-
ლო მოჩანს. საყდრის დასავლეთის კარის
პირდაპირ მდებარე დიდი აკლდამა სავსეა
ქართველ წამებულთა ჩონჩხებით.

მოსე ჯანაშვილის გადმოცემით, კასრის
საყდარი მიხეილ ყულოშვილს 1912 წელს
განუახლებია...

1918 წელს საინგილოში პოლიტიკური
ვითარება დაიძაბა, მთელი ტერიტორია
მუსავატელებმა დაიპყრეს თურქი ასკერე-
ბის დახმარებით. საქართველოსთან გაწყ-
და ყოველგვარი კავშირი. პროთურქული
რაზმები დათარეშობდნენ სოფლებში, არ-
ბევდნენ და ძარცვავდნენ ხალხს, განად-
გურებით ემუქრებოდნენ ქართულ სოფ-
ლებს. მათ მიხეილ მღვდელს მოლები მიუ-
გზავნეს, ქრისტიანული რჯული უარყავი
და მაჰმადიანობა მიიღო. მიხეილის საქცი-
ელი მაგალითი უნდა ყოფილიყო სხვები-
სათვისაც, მათ, რჯულთან ერთად, უარი
უნდა ეთქვათ ქართველობაზე. ყველაფერი
კარგად იყო გათვლილი: მუსავატელებმა
იცოდნენ, რომ მიხეილი დიდი აღიარე-
ბით სარგებლობდა საინგილოში, მისი
სჯეროდათ, მის აზრს პატივს სცემდნენ
ყველა ქრისტიანულ სოფელში: კახში,
ალიბეგლოში, ყორღანში, მარსანში, თას-
მალოში, ზეგამში, ალათეშურში, სხვაგან.
რასაკვირველია მიხეილმა სასტიკი უარ-
ით გაისტუმრა შუაკაცები. მასაც, როგორც
იმ დროის სხვა ცნობილ ინგილოებს, სიკვ-
დილი ერჩინა რჯულის დაგმობას.

მიხეილს მტკიცედ სწამდა, რომ კეთი-
ლი ბოროტს მუდამ დაამარცხებს, ამიტ-
ომ არაფრად ჩააგდო მუსავატელების მუქა-
რა და, კვლავინდებურად, დადიოდა სოფ-
ლიდან სოფელში (მარსანი, თასმალო,
ზეგამი...). და აღავლენდა წირვა-ლოც-
ვას. თუმცა მრევლი თანდათან ცოტავდე-
ბოდა – ეშინოდათ მუსავატელების...

ერთხელაც, ეს იყო 1918 წლის ადრე
გაზაფხულზე, მიხეილი, წირვის შემდეგ,
სოფელ მარსნიდან ბრუნდებოდა ცხენზე
ამხედრებული. გზაზე შეწუხებული კაცი
გადაუდგა და სთხოვა, ავადმყოფის დასა-
ხმარებლად გაჰყოლოდა. მღვდელი დაუფი-
ქრებლად გაჰყვა... ადგილზე მისულ მიხ-
ეილს, ავადმყოფის ნაცვლად, მუსავატელე-
ბი დახვდნენ... ჯერ მოლაპარაკება გაუძარ-
თათ მასთან, მოუთხოვიათ რელიგია შეი-
ცვალე და ინგილო ხალხის გამაჰმადი-
ანებაში შეგვიწყვე ხელიო. სასტიკი უარი


მიუღიათ... 93 წლის მოხუცს თავი მოჰკვეთეს... მთელი სოფელი დიდხანს ეძებდა, დაკარგულ მიხეილ ყულოშვილს. ბოლოს, მის ნაწამებ გვამს უღრან ტყეში მიაგნეს თბილისის არსენალის პოლკოვნიკის, კოტე ტარტარაშვილის რაზმის მეშვეობით. კოტე მიხეილ ყულოშვილის სიძე იყო...

მიხეილ ყულოშვილის დაკრძალვას მთელი საინგილო ესწრებოდა, კახის წმიდა გიორგის სახელობის ეკლესიის ეზოში – საინგილოს სხვა გამოჩენილ პირთა ძვალთმესალაგში დაიდო მანაც ბინა...

მას შემდეგ, მრავალი ათწლეული გავიდა, ბევრი ცნობილი ინგილოს სახელს გადაეფარა დაეიწყების ფერფლი, მღვდელ მიხეილ ყულოშვილისას – არა!... ამის დასტურია ისიც, რომ დღეს, საინგილოს

საზოგადოება კვლავ მიმართავს წინადადებით იქაურ მღვდლებს: მამა მოსეს (ოთარაშვილს), მამა ილარიონს (ჭაჭაშვილს) და მამა რეზოს (ოთარაშვილს), უშუამდგომლონ სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქთან, უწმიდესთან და უნეტარესთან ილია მეორესთან, რათა მოძღვარი მიხეილ ყულოშვილი, ერის წინაშე გადებული უანგარო ღვაწლისათვის, ქრისტეს რწმენისა და ქართველობის შენარჩუნებისათვის წამებით აღსრულებული, წმიდანად შეირაცხოს...

საინგილოს მორწმუნეთა
სახელით
მიხეილ ყულოშვილი – მამა
მიხეილის შვილიშვილი.



ფიფინეთი. საყურეებიანი ღედაბობი



შოთა, ჰერეთის ბაგრატიონი (1169-1245) ცნობილი ისტორიული მოღვაწე XII საუკუნის დამლევსა და XIII საუკუნის პირველი ნახევრისა, – არის იგივე შოთა რუსთაველი, ვეფხის ტყაოსნის ავტორი.

მეფის თამარის დროს, 1196-1207 წლებს შორის, როცა დაწერილია პოემა „ვეფხისტყაოსანი“, შოთა ყოფილა ჰერეთის ქალაქის – რუსთავის მფლობელი, რის გამო ამ დროს ატარებდა „რუსთაველის სახელწოდებას“. ხოლო ამის შემდეგ XIII საუკუნის ათეული წლებიდან, შოთას მიუღია ერისთავობა მთელი ჰერეთის ქვეყნისა, და ამ დროიდან დაწყებული, იგი მოიხსენიება „ჰერეთის ერისთავის სახელით“.

პავლე ინგოროვსკა

წიგნიდან „რუსთაველიანა“. 1926. გვ.201

შვილებს თხოვდა საინგილო არ მიეპოვებიათ

ვერ კიდევ სრულიად ახალგაზრდას მესსიერებაში ჩამბეჭდა შავი ცილინდრით, ხშირი, ვოროზად შეკრული, გადახლართულწარბებიანი კაცის სახე. მისი მოულოდნელი გამოჩენაც რაღაცნაირად სულს გვიფორიაქებდა სასწავლებლად თბილისში ჩამოსულ ინგილო ახალგაზრდობას.

მშვიდ და ამავე დროს, მღელვარე თხრობის კილოში, ყოველთვის იგრძნობოდა სითბო და ძალა, რომელიც ჭაბუკებს ენერგიას გვატეხდა. იმ წლებში გაღვივებულმა მამობრივმა სიყვარულმა დღემდე შემოინახა ყოველივე ის, რასაც მისგან ვსწავლობდით.

ალექსანდრე პაპიაშვილზე მოგახსენებთ, კაცზე, რომელმაც ძნელი ცხროვრების გზა განვლო.

ვერ კიდევ ყმაწვილი, კახიდან ზაქათალაში გადადის და იქ ცვეტოვების ოჯახში იღებს ბინას. სწავლა სწავლია.

იმ დროს ძალიან უჭირს საინგილოს. გარეგან და შინაგან ჭიდილში ითრგუნება და იბორკება ისედაც დაბეჩავებული იქაური ქართველობა. მიუხედავად ამისა, თბილისი არ წყვეტს კავშირს მის შორეულ პერიფერიასთან და შეძლებისდაგვარად უხმარება კიდევაც.

1925 წელს საინგილოს ქართული სკოლების ხელმძღვანელად გაიგზავნა ბართლომე მეგრელიძე, ეს ღვთისნიერი და კეთილშობილი პიროვნება. მან სხვა სასიკეთო საქმეებთან ერთად, ინგილო ახალგაზრდების სწორი ორიენტირება და საუკეთესო ნაწილის ცენტრისაკენ წამოყვანა გადაწყვიტა.

ექვს ინგილო მოსწავლეთა შორის იყო პატარა ალექსანდრეც... მის მესსიერებას ღრმა ტკივილად ჩარჩა განათლების სახალხო კომისარიატის უარი მათი სკოლაში მიღების შესახებ. მთელთა საბავშვო სახლის იმჟამინდელი დირექტორის — ქსენია იოსელიანის ქველმოქმედების შედეგად ალექსანდრე, სხვა ბავშვებთან ერთად, კოჯრის №1 საბავშვო სახლში დაფუძნდა. აქაც დიდხანს არ დარჩენილა.

შემდეგ სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის საინჟინრო მექანიზაციის ფაკულტეტი. მძიმე ეკონომიური გაჭირვება — დღეში 600 გრამი პური და თვეში 600 გრამი შაქარი. გულმოდგინე სწავლა და თავისუფალ დროს საზოგადოებრივი საქმიანობა, როგორც საინგილოში, ასევე სვანეთსა, რაჭასა, თიანეთსა და თუშეთში.

ინსტიტუტდამთავრებულმა და ენების მცოდნემ, მუშაობა დაიწყო განათლების სახალხო კომისარიატში ნაციონალური უმცირესობის სკოლების ინსპექტორად. ამ პერიოდში იგი მრავალი საზოგადოებრივი საქმიანობის წამომწყები და უშუალო მონაწილეა.

გამოჩენილი ინგილო მეცნიერების — რაჟდენ ხუციშვილის, გიორგი გამახარაშვილისა და არჩილ ჯანაშვილის გვერდში დგას. ამ ინგილო თავკაცების მოთხოვნით შესაძლებელი გახდა საინგილოს სამ რაიონში — მაკმადიანი ქართველების სოფლებში — ითითალას, ალიაბადს, ზაგამს, თასმალოს, მარსაანს, ენგიანსა და მოსულში ქართული სკოლები გაეხსნათ. ეს მეტად მნიშვნელოვანი ეროვნული საქმე იყო.

ბატონ ალექსანდრეს მეტად ტკბილ მოგონებად დარჩა მამინ უმანგი ობოლაძესთან ერთად განხორციელებული ეს ეროვნული მისია.

ქართულ-აზერბაიჯანული ერთობლივი კომისიის წევრებს, რომელთაც უნდა გადაეწყვიტათ ქართული სკოლების გახსნა საინგილოში, სოფელ ალიაბადში (ისტორიულ ელისენში) აზერბაიჯანულ სოფლად მიიჩნედა კომისია, ალექსანდრემ მანქანა განზრახ გააჩერებინა და იქვე ახლოს, ღობის ძირში მოთამაშე ბიჭუნას გასძახა ინგილოურად:

— შილო, წაი წყალი მაილილა!

ბავშვმა შინისაკენ მოკურცხლა. არ გასულა რამდენიმე წუთი, რომ მათ წინ მომდინარი ინგილო დიასახლისი გამოჩნდა ხელში ღოქითა და შოთი პურებით.

სტუმრებმა ერთმანეთს გადახედეს და გაიღიმეს...

ძალზე ტკბილად იგონებდა ბატონი ალექსანდრე სახელოვანი მეცნიერის სიმონ ჯანაშიას მიერ საინგილოზე წაკითხულ საჯარო ლექციებს საქართველოს კვალიფიკაციის ასამაღლებელ ინსტიტუტში.

არც საინგილოს ცხოვრებაში მომხდარი ძირეული ცვლილებები გამორჩენია დაუცხრომელ ინგოლო პატრიოტს.

რა სახის საქმესაც არ უნდა შეჭიდებოდა, ყოველთვის თავისი ინგილო თანამოძმეები ახსოვდა. ერთ ჩანაწერში შენიშნავდა: მიხაროდა საინგილოში თითო ახალგაზრდა მცოდნე კაცის შემატებამ.

ამ სიხარულითა და მოწადინებით მან მრავალ ახალგაზრდას მიაღებინა ცოდნა და სახელოვანი მამულიშვილები გაუზარდა საინგილოს.

იგი ყოველთვის მათთან იყო, მათი ჭირვარამის ერთ-ერთი მოზიარე. სიცოცხლის

ბოლო წუთებამდე მზრუნველობა არ მოუკლია საინგილოსათვის. როცა ძალა აღარ შესწევდა ფიზიკურად, მის ირგვლივ მყოფთ თხოვდა, დახმარებოდნენ ინგილო ქართველობას.

მისმა სიკვდილმა ძლიერ დაამწუხრა თანამოძმენი. ამის დასტური იყო ის მრავალრიცხოვანი ჭირისუფალი, დიდი გლოვით რომ მიაცილა სახელოვანი მამულიშვილი სამარის კარამდე.

დრო თავისი გზით წავიდა, მაგრამ დარჩა მისი კეთილი სული შთამომავლობაში. აი, თუნდაც პოეტი ქალი თამარ პაპიაშვილი ხომ მისი ქალიშვილია. მშვენიერი პოეტი.

დიდებული მამის სული შვილებში გადავიდა და სიცოცხლე აქ, მიწაზე, შთამომავლობაში გრძელდება.

ასრათი ომარაშვილი



უშანგი ობოლაძე და ალექსანდრე პაპიაშვილი

რაფიელ ივანიცკი

XX საუკუნის საქართველო დიდხანს დუმდა რაფიელ ივანიცკი-ინგილოს შესახებ. ეს დუმილი იძულებითი და ტიპიკი იყო, ისევე როგორც დუმილი თვით საინგილოს ირგვლივ... ისიც მნიშვნელოვანია, რომ 1921 წლის უსამართლო, სასტიკმა გადაწყვეტილებებმა აიძულა რაფიელ ივანიცკი, ემიგრაციაში წასულიყო. მაინც, თითქოს სიმბოლურად, თავისი ტანჯული კუთხის ბედი გაიზიარა. საინგილოში ყველამ იცოდა, რომ იქაური ივანიცკები ქართველები იყვნენ, მაგრამ იმის გამო, რომ ეს გვარი სხვებისათვის ასეთ ასოციაციას არ იწვევდა, რაფიელ ივანიცკიმ თავის გვარს სიტყვა ინგილო დაუმატა.

მეფისნაცვალ ვორონცოვის ამაღლებაში მსახურობდა პოლკოვნიკი ივანიცკი. მან XIX ს. 50-იან წლებში იშვილა შამილის ბანაკიდან გამოქცეული, თუ დაობლებული ინგილო. ამის შემდეგ გამრავლდნენ ქართველი ივანიცკები. ორი ვერსია არსებობს: ერთის მიხედვით, ისინი ტარტარაშვილები, ხოლო მეორის მიხედვით — თამაზაშვილები იყვნენ.

რაფიელ ივანიცკი 1886 წელს 23 ივლისს დაიბადა სოფელ კახში, მღვდლის ოჯახში. რაფიელს ჯერ თელავის სასულიერო სასწავლებელი დაუმთავრებია, შემდეგ კი პეტერბურგის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი. „თერგდალეული“ დაბრუნებულია თავის საინგილოში. ყველაზე კარგად მან უწყობდა საქართველოს სასაზღვრო ნაწილის დიდი სატყეარო. რაფიელი და მისი ძმები: აპოლონი, ტარასი და ვლადიმერ ი დაულადავად ქადაგებდნენ ქრისტიანობას.

რაფიელ ივანიცკი საინგილოში გიმნაზიაშიც ასწავლიდა, იურისტადაც მუშაობდა, გაზეთ „საქართველოშიც“ თანამშრომლობდა — ფილოსოფიურ საღვთისმეტყველო, ისტორიულ, ლიტერატურულ-კრიტიკულ ნაშრომებსაც აქვეყნებდა. იცოდა გერმანული, იტალიური, ესპანური, ფრანგული ენები.

1917 წელი კატაკლიზმებით იყო სავსე. ეს იყო ბრმა აღტაცებისა და დაუნდობლობის გამოვლენის ხანა. ამ ქაოსურ სიტუაციაში რაფიელ ივანიცკი ადამიანის ღირსების დაცვაზე საუბრობდა. ხალხის ბურუსიდან გამოყ-

ვანას ცდილობდა. ხალხმაც მთელი გულით შეიყვარა ის და საქართველოს დამფუძნებელი კრების დეპუტატად აირჩია.



1921 წელს რაფიელ ივანიცკი პროტესტის ნიშნად ემიგრაციაში გაემგზავრა: ჯერ გერმანიაში, იქიდან ავსტრიაში. იტალიაში კი ისე ჩავიდა, როგორც საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ელჩი რომის პაპთან. საბჭოთა სივრცეში დარჩენილი მისი ნათესავები დააპატიმრეს და შორეულ რუსეთში გადახვეწეს.

საზღვარგარეთაც რაფიელ ივანიცკი ყოველ დღეს საქართველოს სამსახურში ატარებდა. იტალიაში გამოვიდა მისი წიგნები საქართველოსა და შოთა რუსთაველზე. ივანიცკი-ინგილომ ერთერთმა შეიტანა იტალიელთა ცნობიერებაში ცნობები გელათის, მცხეთის, ანანურის, ალავერდის შესახებ. მისგან გაიცნეს წმიდანინო, ქეთევან დედოფალი, გიორგი მთაწმიდელი, დავით აღმაშენებელი, თამარ მეფე, ვახტანგ VI, ერეკლე II, გიორგი XII, კათოლიკოსები ანტონ II, კალისტრატე... მის წიგნში შევიდა „ვეფხისტყაოსნის“ მცირე თარგმანიც. ევროპა განცვიფრდა. იტალიელებმა ქართული პოემის სრული თარგმანი მოითხოვეს და ეს საქმე ნეაპოლის უნივერსიტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის კათედრის გამგემ, რუსთველოლოგმა, პროფესორმა შალვა ბერიძემ ითავა.

1945-50 წლებში იტალიაში საბჭოთა დიპლომატიური მისიით ჩავიდა ვასილ ჩაჩანიძე, ივანიცკიმ დაუყოვნებლივ აუწყა მას, რომ ვატკანის, კაპუცინთა ორდენის, დომინიკიელების და სხვა ტაძართა არქივებში საქართველოდან გატანილი ბევრი დოკუმენტი ინახებოდა.

ერთი წუთით არ ისვენებდა. მიემგზავრებოდა საფრანგეთში, ესპანეთში და ქართული კულტურის შესახებ ქადაგებდა. მადრიდში თვით პრიმასის კურთხევით, რაფიელ ივანიცკი-ინგილო ჯერ მართლმადიდებელი ეკლესიის საბჭოს წევრად აირჩიეს, შემდეგ კი მის რედაქტორადაც. ეს იყო უპრეცედენტო შემთხვევა მთელი ესპანური ეკლესიის ისტორიაში.

რაფიელ ივანიცკი 80 წლისა გარდაიცვალა ესპანეთში და ანდერძის თანახმად, ლევილის ქართულ სასაფლაოზე დაკრძალეს.

ლელა ჯიყაშვილი

მამინე ყველა ერთად ვიყავით...

ხშირად მეკითხებიან, რამ ჩამიყვანა საინგილოში...

ჩემი თაობა ბენდიერია იმით, რომ ურთიერთობა ჰქონდა ისეთ დიდ ეროვნულ მოღვაწესთან, როგორც იყო ბატონი აკაკი ბაქრაძე. ჩვენ ვისმენდით მის ლექციებს, ვკითხულობდით მის წერილებს, გვქონდა მასთან შეხვედრები და დაუხმებულები ვიყავით ერთი მთავარი სურვილით – გაგვეკეთებია რაიმე სასიკეთო ჩვენი ქვეყნისათვის... შემდეგ დადგა ჩემს ცხოვრებაში დრო, როდესაც ლაპარაკის ნაცვლად უნდა დამეწყო პრაქტიკული საქმიანობა და, თუ შეიძლება ასე ითქვას, საჯილდაო ქვად საინგილო ავირჩიე.

ისტორიულ ჰერეთში 1981 წლის ზაფხულში ჩავედი, ჩემი მეგობრების – მანანა კვიციანიასა და მზია მჭედლიშვილის სპექტაკლების პრემიერაზე. ყველა წარმოდგენა მომეწონა, დიდი და პატარა გახარებული იყო. ამან ჩემზე წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინა და საბოლოოდ დაერწმუნდი ჩემი გადაწყვეტილების სისწორეში.

ავიკარი გულანაბადი და დავადექი საინგილოს გზას.

მასსოვს, მივედი შიოშვილების ოჯახში. ეზოში რომ შევედი, 3-4 კაცი თივის ზვინს დგამდა, მივესალმე იქ მყოფთ, ზურგჩანთა დავდე, მარვალი ავიკაპიწე, იქვე მიყუდებულ ფიწალს მოვიკიდე ხელი და ისე, რომ იქ მყოფთათვის არაფერი მიკითხავს, მიხმარება დავიწყე. გაკვირვებით შემომხედეს. მერე ერთმა თქვა: ვიცნობ, მანანას და მზიას მეგობარია, ჩვენთან აპირებს დარჩენასო. ინგილოურ დიალექტზე ითქვა ეს, მაგრამ ყველაფერი გავიგე...

მათ გამაცნეს ახალგაზრდა კაცი, აწ განსვენებული ბორის ათამაშვილი, ანუ უბრალოდ ბორის მასწავლებელი. მასთან ვიცხოვრე თითქმის ერთი წელი.

ბორისი იყო პიროვნება, რომელსაც უსაზღვროდ უყვარდა საქართველო. (მასსოვს, სიცოცხლის უკანასკნელ წუთშიც

კი იმაზე ფიქრობდა, როგორ უნდა დაგვებრუნებია აფხაზეთი და ცხინვალის მხარე). ღმერთმა ნათელში ამყოფოს მისი სული...

მე, რა თქმა უნდა, ვიცოდი, სად და რისთვის ჩავედი, მაგრამ ადგილზე ნანახმა ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა და განაპირობა ჩემი ამდენ ხანს იქ დარჩენა (თითქმის 20 წელი).

ბორისმა მომატარა მთელი საინგილო. თუკი სადმე ეკლესია-მონასტერი იყო, ყველა მოვინახულეთ. ზოგან ნანგრევები გვხვდებოდა, სხვაგან მხოლოდ კედლები... მაღლობა ღმერთს, იყო და არის გადარჩენილი ტაძრებიც...

ჩემში, ბოლოჟამს ჩემს თავზე დატეხილი უამრავი ტკივილის მიუხედავად, დღესაც მინც იგივე განცდა და მიზანი ცოცხლობს. საინგილო ჩემთვის უდიდესი შთაგონებაა. სიცოცხლის ბოლომდე ვერ მოვცილდები მას. ვერ დავივიწყებ, ვერ მივატოვებ.

მაღე ოჯახსაც მოვეკიდე. ვიქორწინე ინგილო ქალზე, რომელმაც ხუთი შვილი მაჩუქა. ბავშვები, ბუნებრივია, საინგილოს სიყვარულით იზრდებიან. ეს არ არის უბრალო სიტყვები, მოვალეობისათვის თქმული. ეს ჩემი და მთელი ჩემი ოჯახის ცხოვრების წესია.

გადიოდა დრო... 1987 წელს თეატრს მიენიჭა ილია ჭავჭავაძის სახელი. თეატრის ინიციატივით დაწესდა სახალხო დღესასწაული ილიაობა. ღონისძიება ჩატარდა სოფლის სტადიონზე, მთელი საკონცერტო პროგრამა მიჰყავდა ანსამბლ „ერისიონს“ ბატონ ჯემალ ჭკუასელიის ხელმძღვანელობით. ულამაზესი სანახავი იყო თეთრ სამოსში გამოწყობილი მთელი ანსამბლი. ხალხს დღემდე ახსოვს ისინი... ასევე თეატრის ინიციატივით უჩვენებდნენ ქართულ ფილმებს, ჩაგვქონდა მხატვრული ლიტერატურა, სასწავლო წიგნები... მუდმივად.

გარეგნულად ყველაფერი ნორმალურად ჩანდა, მაგრამ კუთხეს აკლდა ყველაზე მთავარი – მოქმედი ეკლესია, რომლის

გაცოცხლებაზეც ფიქრი და მზრუნველობა, კარგად ვიცი, ერთი წუთითაც არ შეუწყვეტია უწმიდესსა და უნეტარესს, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს, ილია II-ს. მისი მითითებით პერიოდულად ვწერდით მოთხოვნა-წერილებს საქართველოსა და, აგრეთვე, აზერბაიჯანის ცენტრალურ კომიტეტებში, აგრეთვე მოსკოვში. და აი, ბოლოს ამოქმედდა კახის წმიდა გიორგის ეკლესია. თბილისიდან გამოიგზავნა მოძღვარი – მამა დიმიტრი (სუხიტაშვილი), რომელიც დიდი მოშურნეობით შეუდგა საქმეს. დღე და ღამე ტაძარში იყო. აღავლენდა წირვა-ლოცვებს, დაიწყო მასიური ნათლობები, გაჩნდა მრევლი...

წელიწადნახევარი იღვანა მან ჩვენთან.

მამა დიმიტრის შემდეგ კახის წმიდა გიორგის ეკლესიაში მოავლინეს მამა ბასილი (კიკვაძე), რომელმაც ყველა საეკლესიო დღესასწაულის აღნიშვნა მართლმადიდებლური კალენდრის მიხედვით დააკანონა. ეს არც თუ ისე იოლი საქმე იყო, მაგალითად, ადგილობრივი ადმინისტრაცია, გიორგობის დღესასწაულს განიხილავდა, არა როგორც რელიგიურს, არამედ როგორც ინტერნაციონალურ ღონისძიებას – აიძულებდნენ მოსახლეობას მხოლოდ არასამუშაო დღეებში აღენიშნათ იგი. ეს ხშირად კალენდრით მითითებულ თარიღს არ ემთხვეოდა. დღეისათვის მამა ბასილის უკომპრომისო ბრძოლის შედეგად პრობლემა მოგვარებულია... გიორგობის დღესასწაულზე რამდენიმეჯერ ჩამობრძანდა მეუფე დანიელი. განსაკუთრებული სიხარული იყო პატრიარქის ჩამობრძანება.

ერთგულად და დიდი პასუხისმგებლობით გააგრძელა თავისი წინამორბედების დაწყებული საქმე მამა დავითმა (თოდუა), იგივე მამა ლუკამ; ღმერთმა კვლავაც ბევრი შეაძლებინოს...

არ შემიძლია ორიოდ სიტყვა არ ვთქვა მგალობელთა გუნდის – „ლაზარეს“ წევრების შესახებ. ნებისმიერი საკითხი, რომელიც ეხება ქართულ საქმეს, ამ ბიჭების ზურგზე გადადის. მტერსაც ესენი ხვდებიან და მოგვარესაც. მათ გარეშე ნებისმიერ

მოძღვარს გაუჭირდებოდა მოღვაწეობა. ძალიან უჭირთ მათ. ყოველ ფეხის ნაბიჯზე უზარმაზარ წინააღმდეგობას აწყობდებიან, მაგრამ არსად წამსვლელები არ არიან და თავიანთი ცხოვრების წესით მაგალითად იქცნენ მოძავალი თაობისათვის. ისინი ყველაფერს აკეთებენ, რომ კახის წმიდა გიორგის ეკლესიაში მუდამ ინთებოდეს სანთელი... მინდა საზოგადოებამ იცოდეს მათი სახელები: არჩილ ბულუღაშვილი, ზურაბ პაპიაშვილი, გია ყულაშვილი, გივი ნადირაშვილი, ემზარ სუყაშვილი, ოთარ პაპიაშვილი, ზაურ ფოლადაშვილი, ილია ქიტიაშვილი, კახი თავაშვილი, მალხაზ ნუროშვილი... ღმერთმა ამ ბიჭებს კვლავაც მისცეს ძალა და ერთიანობა, რომ ემსახურონ თავიანთ კუთხეს...

ჩემი საინგილოში ყოფნის დროს, სხვადასხვა პროფესიისა და პოლიტიკური შეხედულების ადამიანებთან მქონდა ურთიერთობა, რომელთა დახმარებით მრავალი კეთილი საქმე გაკეთდა. ეს ადამიანები წლების განმავლობაში, საქმის ინტერესებიდან გამომდინარე, ჩრდილში ამჯობინებდნენ ყოფნას, მაგრამ მათი ვინაობა უნდა იცოდეს დღევანდელმა ახალგაზრდობამ. თავადაც უნდა გაიხსენონ, როგორ ავსებდნენ ერთმანეთს საქვეყნო საქმის კეთებისას და როგორ ჭირდება განსაკუთრებით დღეს, მათი და, საერთოდ, ქართველთა ერთობა სრულიად საქართველოს!

მინდა აღენიშნო: ბატონმა გიგა ლორთქიფანიძემ სპექტაკლის – „ალაზანს აქეთ“ ნახვის შემდეგ, გადაწყვიტა, რომ ალიბეგლოს ილია ჭავჭავაძის სახელობის ქართული სახალხო თეატრი დაფინანსებულიყო პროფესიული თეატრის სტატუსით და 1989 წელს, თეატრის მოღვაწეთა კავშირმა და საქართველოს კულტურის სამინისტრომ, იგი მართლაც წილობრივი წესით დააფინანსეს. შეიქმნა სახელმწიფო თეატრი-სტუდია „ჰერეთი“. იგი საქართველოს ცენტრალური ბიუჯეტიდან ფინანსდება.

მაღლობა ღმერთს ყველაფრისთვის, თუნდაც ამ ავადმყოფობისათვისაც, რადგან ჩემს სიცოცხლეში პირველად ჩავაბარე აღსარება და ვეზიარე... იმედი მაქვს, შემეწევა

უფალი, რომ ვიცხოვრო ეკლესიურად... ვაზისუბანში უწმიდესის ლოცვა-კურთხევით, კარგა ხანია მოქმედებს – წმიდა მოწამე ცხრა ყრმა კოლაელთა სახელობის ტაძარი. მე მინდა მადლობა ვუთხრა ამ ეკლესიის მღვდელმსახურებს – მამა იოანეს, მამა ნიკოლოზს, მამა გურამს და მრევლს, ავადმყოფობის ჟამს ჩემი ოჯახისათვის გაწეული დახმარებისათვის.

საავადმყოფოში ხუთჯერ მომინახულა და დამლოცა არქიმანდრიტმა, მამა სოკრატემ, რომელმაც ანდრია დამარქვა და გამიმხილა თავისი განზრახვა: პირველი საავადმყოფოს ეზოში უკვე აკურთხა და აპირებს ანდრია პირველწოდებულის სახელობის ეკლესიის აშენებას... მეც, შეძლებისდაგვარად, უნდა მივიღო მონაწილეობა ამ ეკლესიის მშენებლობაში. ცხადია,

მომჯობინების შემდეგ. შევთხოვ უფალს, დიდხანს აცოცხლოს მამა სოკრატე და მეც ცოდვილს, შემადლებინოს მცირედი.

კახში მინდა შევქმნა თოჯინების თეატრი. ამ იდეას თბილისშიც უჭერენ მხარს. დიდი იმედი მაქვს, რომ განვახორციელებ ამ ჩანაფიქრს.

და ბოლოს, მინდა ხმამაღლა განვაცხადო ჩემი დიდი ხნის ოცნება, სოფლების – ალიბეგლოს (ქათმისხევი) წმიდა ნინოს, მეშაბაშის (ტყისთავი) მთავარანგელოზისა და ქოთოქლოს სამების სახელობის ტაძრები თავ-თავის მოძღვარს ელოდებიან... ღმერთმა ინებოს და დროულად მოგვარდეს ეს საკითხი.

რეჟისორი ანზორ
დ(ო)ლენჯაშვილი



ალიბეგლო. სახ ჯზო დღესასწაული „ილიაობა“. სექტემბრის ბოლო კვირა, 1987 წ.

რას ნიშნავს ინგილო

თვალსაზრისი

პირველი კაცი, რომელიც ამ სიტყვის წარმომავლობით დაინტერესდა, იყო ცნობილი ინგილო, პროფესორი მოსე ჯანაშვილი. მან 1913 წელს „ძველი საქართველოს“ II ტომში გამოაქვეყნა ნაშრომი „საინგილო“ და იქვე მოგვცა თავისებური ეტიმოლოგიური ახსნა ამ ტერმინისა: „ინგილო-ჰენგილო. ამ სახელს ჩვენ და ჩვენ შემდეგ ხსნიდნენ თათრული სიტყვიდან. ჰენგი – მერმე; შემდეგ, ჰენგილი მერმის; ჰენგილოდან – ხელახლა. ინგილო, ვითომ ხელახლად მოქცეული, გადარჯულებული“. ესრეთი ახსნა, ცოტა არ იყოს, აჩქარებულა. ჯერ ერთი, რომ აქაურ სოფელსაც ჰქვია ჰენგიანი და არა ჰენგილო და, მეორეც, როგორც იმერეთში, უმეტესად სამეგრელო-აფხაზეთში. აქაურს უმთავრეს მდინარესა და სამეგრელოს უპირველეს მდინარეს ერთი და იგივე სახელი ჰქვიათ: ეგრის წყალი, ანუ ეგრი, აგრი (იგივე ენგური-ინგური და ინგირი – მეგრული გამოთქმა). ყველა ამის გამო „ინგილო“ ჩვენ მიგვაჩნია იმავე ინგირად, ე.ი. ვერულად, ანუ იმ ხალხად, რომლებსაც ბერძნის მწერლები (V ს. ჩვ. წ.) იხსენიებენ ფოთ-სამეგრელოს მოსახლედ და უწოდებენ ჰენიოსად, ე.ი. მეეტლე-მეჰუნედ“. საინგილოში სიტყვა ჰენგა დღესაც ნიშნავს ცხენოსან ქალს, რომელიც მაყრიონით სხვა ჰენგებთან ერთად მიდის პატარძლის მოსაყვანად. ასეა თუ ისე, ჰენგიანი სოფელი უნდა ნიშნავდეს საჰენგიოს, საამორძალო – „საამაზონკო“ ქვეყანას“.

მ. ჯანაშვილის ამ მოსაზრებას ეტყობა მამინ გარკვეული ინტერესი აღუძრავს მეცნიერებაში. მის შემდგომ საინგილოსადმი მიძღვნილ წიგნებში, თუ წერილებში სულ სხვაგვარად დასვეს საკითხი ტერმინ საინგილოს გაგებისათვის. ზოგიერთმა საგანგებოდ გვერდი აუარა ამ საკითხს. შეიძლება

მრავალი ნაშრომი დაგვესახელებინა, რომლებიც უშუალოდ საინგილოს ისტორიას ეძღვნებოდა, მაგრამ თვით ტერმინ – საინგილოს, გაგების გამო დუმდნენ. 1952 წლის გამოცემულ დიდ საბჭოთა ენციკლოპედიაში ვკითხულობთ: „ინგილო მოდის დამახინჯებულ თურქულ „ენგილაიდან“, რაც ახლადმოქცეულს ნიშნავს“.

1966 წელს პროფესორმა ზ. ჭუმბურიძემ გამოსცა მეტად მნიშვნელოვანი წიგნი „რა გქვია შენ?“, სადაც ვკითხულობთ:

„საინგილო საქართველოს ერთ-ერთი ისტორიული კუთხეთაგანია; ამჟამად აზერბაიჯანის რესპუბლიკის ფარგლებშია მოქცეული: ძველად ამ მხარეს კაკ-ელისენი ერქვა (ამჟამად კაკი, ანუ კახი საინგილოს ერთ-ერთი რაიონული ცენტრია, ენისელი კი სოფელს ჰქვია კახეთის განაპირა, ყვარლის რაიონში).

გამაჰმადიანებულებს თურქულად ეწოდება იანგილ, რაც „ახლად მორჯულე ბულს“ ნიშნავს. „აქედან წარმოდგა ამ კუთხის მცხოვრებთა სახელი ინგილო, ხოლო ამის მიხედვით თვითონ კუთხეს საინგილო დაერქვა“.

ამასვე აღნიშნავდა გ. ჩანგაშვილიც 1970 წელს, რომ საინგილო და ინგილო მოდის დამახინჯებული თურქული სიტყვიდან იანგილ-იანგილო, ე.ი. ახლადმორჯულეული. ამავე დროს, ავტორმა დაადგინა კონკრეტული პერიოდიც, როდის გაჩნდა სახელწოდება საინგილო. იგი წერს: კახეთის აღმოსავლეთმა ნაწილმა XVIII საუკუნეში მიიღო სახელწოდება „საინგილო“. როგორც ზემოთქმულიდან ჩანს, „ინგილო“, არა ეთნიკური, არამედ სოციალური შინაარსის ცნებაა“.

ქართული ენის ლექსიკაში მრავალი სიტყვა შემოჭრილა სხვადასხვა ენიდან, მაგრამ ეს არ უნდა ნიშნავდეს, რომ ჩვენც,

ამა თუ იმ სიტყვის ახსნისას, უეჭველად ამ ენების ლექსიკური მარაგი მოვიშველიოთ. თუ გავითვალისწინებთ საინგილოს წარსულს, შეიძლება მართლაც ბუნებრივი გვეჩვენოს, რომ ეს სახელწოდება შეესაბამება მას, რადგან ბოლოს და ბოლოს იქაური ქართველების უმეტესი ნაწილი გამაჰმადიანდა, სარწმუნოება გამოიცვალა.

მაგრამ სხვა მხარეცაა გასათვალისწინებელი: საინგილოში, ისე როგორც საქართველოს სხვა მხარეებში, დღესაც შემორჩენილია ქართული წარმოშობის ტოპონიმები. დღესაც გაკვირვებას იწვევს ზოგიერთი ტოპონიმი ამ კუთხეში თავისი ზუსტი დამთხვევით იმერეთ-სამეგრელოში არსებულ ტოპონიმებთან. რატომ მაინცადამაინც თურქულ დამახინჯებულ „ინგილს“ უნდა მივაწეროთ ამ ტერმინის წარმოშობა, როცა თვით საქართველოში გვაქვს დაუმახინჯებელი საინგილოს არსს ყოველგვარი ძალდატანების გარეშე ხსნის? ასე, მაგალითად, ჯერ კიდევ გრ. ორბელიანი სიტყვა საინგილოს მაგივრად ამბობს ინგილოს (იგი ახსენებს „ინგილო სოფელს“, ინგიანს). გრ. ორბელიანი კარგად იცნობდა საინგილოს, რადგან იქ უხდებოდა სამსახური. სიტყვა „ინგილო“ მას თვით ინგილოთაგან უნდა გაეგონა. მაგრამ არსად არ ახსენებს ინგილოს. ეს იმიტომ, რომ ასეთი ფორმა უთუოდ არ იყო მაშინ. ინგილო კი შეიძლება გავყოთ ორ ნაწილად: ინგ-ილო, სადაც ინგ ძირი გვრჩება. ეს „ინგ“ კი ბუნებრივად გვაგონებს ძველისძველ სოფელს ინგ-იანს. ამას-

თანავე საგულისხმოა, რომ საქართველოში გვაქვს ამგვარი აღნაგობის სხვა ტოპონიმებიც: ინგ-ური.

როგორ ავხსნათ ინგილო? ჩვენ ვფიქრობთ რომ ეს სახელი შორეული წარმოშობისაა, – იგი გაჩნდებოდა მას შემდეგ, რაც გაფორმდებოდა კომპლექსი სა-ინგ-ილო; ბუნებრივად გვეჩვენება: საინგილო – საინგილო (შდრ. ეამა – იამა) ამგვარ წარმომავლობას ადასტურებს ის ფაქტიც, რომ საინგილოს მკვიდრი მოსახლეობა თავის თავს ასე მოიხსენიებს: ინგილა ვარ – ინგილო ვარ. ამრიგად ეჭვი არაა, ინგილ უფრო ძველია, ვიდრე ინგილო. ინგილ – სიტყვაში არსებული -ილ ჩვეულებრივი მაწარმოებელია. მაგ. თბ-ილი, თლ-ილი და ა.შ.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ სიტყვები ინგ-ური და ინგ-ური ისეთს მიმართებაშია ერთმანეთთან, როგორც ინგ-ილო და ინგ-ილო, შესაძლოა -ილ, იყოს აღმოსავლურ კილოთათვის დამახასიათებელი მაწარმოებელი, ხოლო -ურ – დასავლურთათვის. რაც შეეხება -ინგ – ფუძეს, იგი საერთოა.

ამრიგად, უფრო ლოგიკურია საინგილოს დაკავშირება სოფ. ჰენგიანის სახელწოდებასთან. ჩვენ სახელწოდებას ვერ ავხსნით სხვა ენათა დახმარებით, იმიტომაც, რომ აზერბაიჯანულ ენაში ჰენგა მაყარს ნიშნავს, მაშინ გამოდის „სამაყრონო“ და არა „ახლადმორჯულებული“, როგორც ეს მიაჩნია ზოგიერთ მკვლევარს. ამიტომ უმჯობესია ტოპონიმის ქართულად გააზრება და, აქედან გამომდინარე, ახსნაც.

ასრათი ომარაშვილი



ინგილოები. მღვდელი მოსე ოთარაშვილი, მოსე ოთარაშვილი და მიხეილ ყულოშვილი

წმიდა მოწამენი

მეოხ ბეჰეჰაჰ...

წმიდა შუშანიკ დელოფალი პირველი ქართველი წმიდანია, ვინაც ქრისტეს რწმენისათვის ეწამა.



წმიდა დიდმოწამე დელოფალი შუშანიკი. ავტორი ალექსანდრე ბანძელაძე

ნაწარმოები, რომელმაც ჩვენამდე მოაღწია და რომელშიც შუშანიკის მოწამებრივი ცხოვრების ამბავია მოთხრობილი, V საუკუნით თარიღდება. მისი

ავტორია ხუცეს-მონაზონი იაკობ ცურტაველი. ცურტავე კი, დიდი ივანე ჯავახიშვილის თვალსაზრისით, ძველი ჰერეთის ტერიტორიაზე მდებარეობდა. (თუმცა ყველა მკვლევარი არ იზიარებს ამ აზრს). ჰერეთი თვით წმიდა

„შუშანიკის წამებაშიცა“ ნახსენები (ქუეყანასა მას ჰერეთისასა...). ინგილოებს კი, ახარებთ და არ ეთმობათ იგი...

შუშანიკი იყო სომეხთა მხედართმთავრის – ვარდან მამიკონიანის ასული. იგი ცოლად ჰყოლია ქართლის პიტიახშს – ვარსქენს, რომელსაც ცეცხლთაყვანისმცემლობა მიუღია და, ცოლად შეურთავს შაჰის ასული და აღუთქვამს, რომ თავის „ბუნებითს“ ცოლს და შეილებსაც ახალ რჯულზე მოაქცევდა. მაგრამ შუშანიკმა ოდეს გაიგო ვარსქენის საქციელი, მიატოვა სასახლე და განცალკევებულად იწყო ცხოვრება. ვარსქენმა მრავალი თხოვნისა და ცდის მიუხედავად, ვერ შესძლო მისი მოდრეკა. ფიზიკური შეურაცხყოფაც ბევრჯერ მიაყენა, მაგრამ ამაოდ. ბოლოს საპყრობილეში ჩასვა, სადაც შუშანიკმა ექვსი= წელი დაჰყო. იგი იქვე გარდაიცვალა. შუშანიკის გაუტეხელმა ნებად, ქრისტეს მცნების ერთგულებამ და მოწამებრივმა სიკვდილმა შესძრა თანამედროვეთა გულები და მათში ჭეშმარიტი სარწმუნოების სიყვარული განამტკიცა.

წმიდა შუშანიკი აღესრულა 458 წელს. დაასაფლავეს იგი იმ ეკლესიაში, სადაც ჰვედრიდა უფალს. ვახტანგ გორგასალმა მალე ვარსქენი შეიპყრო და სიკვდილით დასაჯა; ხოლო გვამი წამებულისა გადმოასვენა და დაასვენა წორტაკში. 120 წლის შემდეგ, საქართველოს კათოლიკოსის ნებით, კვლავ გახსნეს დიდმოწამე დედოფლის საფლავი და მისი ნაწილები თბილისში გადმოიტანეს. დაკრძალეს მეტეხის ეკლესიის ეკვდერში.

წმიდა შუშანიკის მარტვილობისა და წამებითი აღსასრულის ამბავი დიდი მხატვრული ძალითა და ნიჭიერებით, ასევე, დედოფლისადმი თაყვანისცემით აღწერა ხუცეს-მონაზონმა იაკობმა, რომელიც თან ახლდა სანატრელ მოწამეს და საკუთარი თვალთ იხილა საქმენი მისნი საკვირველნი. იაკობი სასახლის კარის მღვდელი და შუშანიკის მოძღვარი იყო. იგი ანუგეშებდა და ამხნევებდა დედოფალს, უამებდა ფიზიკურ და სულიერ ტანჯვას. „შუშანიკის წამების“ ავტორი ნამდვილი, დიდი მწერალია. იგი ჭეშმარიტი ქრისტიანია, რომელიც არა მხოლოდ მარტვილის მიმართაა განმსჭვალული სიბრალულითა და თანაგრძნობით, არამედ, თვით მისი მტანჯველის მიმართაც... იაკობმა იცის, როგორ დამარცხდა ვარსქენი ამ საშინელ ორთაბრძოლაში და როგორც ქრისტიანსა და კაცთმოყვარეს, ებრალება და ენანება ეს უგზო-უკვლოდ მოხეტიალე უმწყო სული... ეს გზას აცდენილი, ღვთისა და ერისათვის დაკარგული უძღები შვილი, რომელსაც უკან დაბრუნება არ უწერია („ამის უბადრუკისა და სამგზის საწყალობელისა ვარსქენისა... ანუ ვინ არა სტიროდის მას...“).

ხოლო შუშანიკი... რაც უფრო მძაფრია განცდა მისი, ძლიერია ეჭვი, სინანული და შინაგანი ბრძოლა; მით უფრო შორსაა ის სიმაღლე, რომლისკენაც მიიღტვის არა მარტო მტერზე, არამედ, საკუთარ თავზე ამაღლებული დედოფალი.

რა ძალამ შეაძლებინა, რა მაღლმა?

– რწმენამ.

მეოხ გვეყავ, მაქებელთა შენთა, სანატრელო!

ნანა ლექსავა

ბედნიერია ერი, რომელიც ჰბადებს წმიდა შუშანიკის მსგავს პირებს. მოწამებრივი სიკვდილი ჭეშმარიტებისათვის გაუქრობელი ლამპარია. იგი აღვიძებს და აღორძინებს ერში მალალ ძალებს. იგი ღვრიტაა ურთიერთისადმი სამსახურისა, საზოგადო სიკეთისადმი თავდადებულობისა, სამშობლოს ბედნიერებისათვის მსხვერპლად შეწირვისა, ქვეყანაზე სისწორისა, საღმრთო ზნეობისა და გონებრივი სინათლის მოფენა-გავრცელებისა. მოწამეობა, ე. ი. ღვეწულეა-წვალეათა დათმენა ცხოვრებაში სიმართლის დაცვა-გამოჩენისათვის უკვდავი ღალადი, სამარადისო ქადაგება, მუდამ მოუძველებელი მოძღვრებაა ყველა იმის შესახებ, რითაც ძვირფასია კაცის ცხოვრება, რითაც ადამიანი ემსგავსება ღვთაებას, რაც კაცის ცხოვრებას აძლევს აზრსა და მნიშვნელობას.

წმიდა შუშანიკი და მისთანები ქმნიან ეროვნებებს და სახელმწიფოებს, როგორც შეგნებულ ერთეულს, ბრწყინვალე, თავგამოსაჩენი, გონიერი და მალალი ისტორიით. შუშანიკი შეურიგებელი მტერი, მოძულე და მებრძოლია ვარსქენისა, რომელიც სახეა სიწმიდის უარყოფისა, სვინდისის გაყიდვისა, პირადი სარგებლობისათვის საზოგადოებისა და სამშობლოს გამცემლობისა.


იცოდეთ, საყვარელნო მსმენელნო, რომ სადაც შუშანიკები არ მოიპოებიან, უსათუოდ ვარსქენები ბატონობენ და ვარსქენტა ბატონობა კი სულიერი სიკვდილი და განადგურებაა საზოგადოებისა.


მაცხოვარმა იესო ქრისტემ გვაშოროს ვარსქენები და გვიმრავლოს წმ. შუშანიკები! ამინ.

კათოლიკოს-კატრიარქი ლეონიდე

უფალო, ძალი ერსა ჩუენსა მოეც

მერმე თქვეს, დრონი მოვალნის,
კარ გაიღების თავადა





სამთავროს დედა ღვთისმშობლის მირონმდინარე ხატი



ღვთაებრივი ცეცხლის ნათება

ოცი საუკუნის წინათ, წმიდა მიწაზე უდიდესი საიდუმლო მისტერია აღსრულდა: სულიწმიდისაგან განკაცებულმა ძე ღვთისამ, უფალმა იესო ქრისტემ, კაცობრიობის უმძიმესი ცოდვები იტვირთა, ჯვარს ეცვა, დაუფლა, მესამე დღეს აღსდგა და ზეცად ამაღლდა...

სიყვარულისა და სიკეთის ქადაგების საზღაურად ფარისეველ-თაგან უმძიმესი ვნება იწვნია, მაგრამ გოლგოთაზე, სიკვდილითა სიკვდილი დათრგუნა, კაცობრიობა ჯოჯოხეთის წყვდიადიდან დაიხსნა და შეცდენილ თანამოძმეთა მიმართ ბოროტების წილ სიკეთის მიგებისა და თანაგრძნობის უდიდესი სიბრძნე იქადაგა.

სწორედ ამაშია ქრისტიანობის გამორჩეული სიღიადე, მისი არსი. იგი საყოველთაო სიყვარულისა და ურთიერთმიმტევებლობის დამამკვიდრებელი რელიგიაა...

ყოველივე ეს გათავისებული ჰქონდათ ქრისტეს მიმღებებს, როცა თავიანთი ზეციური მოძღვრის მარადიული იდეების საქადაგებლად დედამიწის უდიდეს სივრცეს მოეფინენ და მრავალი დამცირება, დევნა და ტანჯვა-წამება იწვნის. როგორც საცნაური ხდება, სიკეთე ღვთიური სრულყოფილების ნიშანია, ბოროტება კი, მის დამკვიდრებას ყოველი ძალით აბრკოლებს...

ოცდამეერთე საუკუნის გარიჟრაჟთან მდგომი კაცობრიობის უდიდეს ნაწილს ზეგარდმო სასწაულების უწყებისა და განცდის ნაკლებად სჯერა, უპირატესად ტექნიკური ბუმიითა და მატერიალური კეთილდღეობის სრულყოფითაა შთანთქმული და ღვთიური მადლის სიკეთეს მოკლებული, მარადიული იდეალებისაგან განმარცხულ, თვალისჩინდაშრეტილ ყარობს ემსგავსება, რომელსაც საყოველთაო სიყვარულის, ერთგულებისა და კაცთმოყვარეობის საუფლოში გადასასვლელი ფონისთვის ვერ მიუგნია...

სამწუხაროდ ჩვენდა, ჭეშმარიტი რწმენა დღეს უმცირესობაშია. მრავალმა იგი სხვაზე გაცვალა, რადგან ღვთაებრივისა და მარადიულის წვდომისა და განცდის უნარი ყველას ერთნაირად არ ეძლევა. იგი ზეგარდმო ნიჭია. იმათ, ვინაც ნივთიერი კეთილდღეობისა და ცუდმედიდობის ზეგავლენით მართალ რწმენას განუდგნენ, ავიწყდებათ, რომ უფალი ყოვლისმჭვრეტელია. იგი ჩვენს გულებშია ეტევა, მთელ სამყაროსაც მოიცავს და მიუხედავად ჩვენი სისუსტეებისა, ყოველთვის, ყოველგან ჩვენთანაა, თავის შეცდომილ შვილებსაც სიყვარულს მიაგებს და იმისათვის, რომ მისი ვნება, აღდგომა და ცად ამაღლება ოდენ ლეგენდის საფარველში არ გაეხვეს, ჭეშმარიტი რწმენის მიმღებები გაამხნევოს, გზასაცდენილნი გამოაფხიზლოს და ცუდუბრალოდ მჩხრეკელნი ამხილოს, ყოველ წელს, მართლმადიდებლური კალენდრით, ანუ ძველი სტილით აღდგომა დაძვს, მაცხოვრის საფლავზე ზეციდან ღვთაებრივ ცეცხლს აგზავნის, რომელი სასწაულითაც

ყოვლადწმიდა სამება ჭეშმარიტ მორწმუნეებს ამხნევებს და უჩვეულოდ ამაღლებულ განწყობას უქმნის...

წმიდა წერილში გარკვევითაა მითითებული, რომ ქრისტე იუდეველთა პასექის შემდგომ აღსდგა. ნიკეის 325 წლის მსოფლიო საეკლესიო კრებამ დაადგინა, რომ ქრისტიანებს აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაული სწორედ იუდეველთა პასექის ანუ გაზაფხულის ბუნიობის შემდგომ, მთვარის აღვსებიდან პირველ კვირა დღეს ეხეიმათ.

აღდგომის დღესასწაულის მართლმადიდებლური კალენდრის მიხედვით აღნიშვნის სისწორე (ძვ. სტილით) ზეციური ღვთაებრივი ცეცხლის გარდამოსვლითაც დასტურდება.

საეკლესიო ჟამთა აღმწერლის, პამფილოსის ცნობით, ზეციური ცეცხლი მაცხოვრის საფლავის ტაძარში პირველად მესამე საუკუნეში გარდამოვიდა. ერთხელ, როცა სააღდგომო ლიტანიობისას, ლამპრებში ზეთი დაიშრიტა, პატრიარქმა ნარცისმა კურთხევა გასცა, ლამპრებში სალოამის ემბაზის წყალი ჩაესხათ. პატრიარქის კურთხევა რომ შესრულდა, ზეციდან ღვთაებრივი ცეცხლი გარდამოვიდა და ლამპრები აღანთო, რომლებიც მთელი ლიტანიობის განმავლობაში არ ჩამქრალა.

სხვა გადმოცემით, ეს სასწაული პირველად IV საუკუნეში მოხდა, როცა რომის იმპერიის პირველი ქრისტიანი იმპერატორის, კონსტანტინე დიდის ბრძანებითა და მისი დედის დედოფალ ელენეს ძალისხმევით, იერუსალიმში ქრისტეს აღდგომის სახელობის დიდი ტაძარი ააგეს. მას შემდეგ, ყოველწლიურად, აღდგომის ღამეს – მაცხოვრის საფლავზე ზეციური ცეცხლი გარდამოდის.

XVII საუკუნეში, როცა მონოფიზიტი აღმსარებლები ღვთის ნებას წინ აღუდგნენ და ტაძრის საკურთხეველი ძალადობით დაიკავეს, იერუსალიმის პატრიარქი ტაძრის გარეთ ერთ-ერთ სვეტთან მდგარა. ყოვლადწმიდა სამებამ მწვალებელთა გონს მოსაყვანად და ჭეშმარიტ მორწმუნეთა განსამტკიცებლად, სასწაული უფრო თვალსაჩინო გახადა: ღვთაებრივმა ცეცხლმა ტაძრის სვეტი გააპო და სანთლები მაინც მართლმადიდებელი პატრიარქის ხელში აინთო. ისიც ნიშანდობლივია, რომ ცეცხლმა სწორედ იმ ადგილზე გამოხეთქა, სადაც ქართული წარწერებია ამოკვეთილი.

წმიდა ცეცხლის ლიტანიობა დიდი შაბათის მწუხრის მსახურებას უკავშირდება, თუმცა, ეს მსახურება დღისით, დაახლოებით დღის ორ-სამ საათზე აღესრულება. შუადღისთვის წმიდა საფლავი იბეჭდება. კუვიკლიის (როტონდა მაცხოვრის საფლავის მცირე ტაძრით) კარები ცვილის დიდი ბეჭდით, იმის დასტურად ილუქება, რომ შიგნით არცერთი სანთელი, ან ლამპარი არ ანთია. მაცხოვრის საფლავის ტაძრის მთელი სივრცე მლოცველებით ივსება, მორწმუნენი წითელი პარასკევის საღამოდან ტაძარში ადგილს იკავებენ, რომ პატრიარქთან რაც შეიძლება ახლოს მოხვდნენ, ვინცობაა, მისი ხელიდან სანთლის ანთების შესაძლებლობა მიეცეთ.

მაცხოვრის საფლავის გამოქვაბული მცირე ზომისაა – 207X193სმ. გამოქვაბულის მარჯვენა მხარეს, თითქმის ნახევარი ადგილი მარმარილოს ქვით დაფარულ სარეცელს უჭირავს. ორივე მხრიდან მას თარო ეკვრის, რომელზედაც აღდგომის სამი ხატია დაბრძანებული. ამ სიწმიდეს მართლმადიდებლებთან ერთად ორი ქრისტიანი აღმსარებლობის წამომადგენლები ფლობენ: კათოლიკეები და სომხები და ეს ხატებიც მათი ხატწერის კანონიკის გათვალისწინებითაა შესრულებული. ხატებს ქვემოთ, ცენტრში, წითელ ხავერდზე წარწერაა გამოყვანილი, რომელიც შემდეგნაირად იკითხება: „ქრისტე აღსდგა“. ეს ის ადგილია, სადაც წელიწადის ყოველ დღეს, ყოველ ჟამს აღდგომაა, სადაც ყველა ენაზე მუდამ ქრისტეს ბრწყინვალე აღდგომის საგალობლები გაისმის.

ისტორიულ წყაროებში შემორჩენილია მომლოცველი მოძღვრის, დანიელის (1106 – 1108 წწ.) იერუსალიმის მაცხოვრის ტაძარში გამართული ლიტანიობის აღწერა:

„როდესაც შაბათის 7 საათი შესრულდა, მეფე ბოლდუინი თავისი ლაშქრით (იერუსალიმი იმხანად ჯვაროსნებს ეკურათ), მაცხოვრის საფლავისკენ გაეშურა. მეფემ წმიდა საბა განწმენდილის ბერებს უხმო, მეც მათთან ერთად ვიყავი.

მეფეს ვეახლეთ, თაყვანი ვეცით. იგი პატივისცემის ნიშნად ადგა და მოგველსაღმა. გაიმართა მსვლელობა. მეფეს წინ საბაწმიდელი ბერები მიუძღოდნენ, ზოგიერთი თან ახლდა, ხოლო ლაშქარი უკან მიჰყვებოდა. ეკლესიის დასავლეთ კარიბჭეს მივადექით. იქ უამრავი ხალხი დაგვხვდა. ტაძარში ვერ შევდიოდით. მაშინ მეფე ბოლდუინმა მოლაშქრეებს უბრძანა, ჩვენთვის ტაძრისკენ სავალი გზა გაეთავისუფლებინათ. მოლაშქრეებმა ხალხში თვით მაცხოვრის საფლავამდე ცოცხალი დერეფანი გააკეთეს. მეფე პირველი შებრძანდა და თავისი ადგილი დაიკავა. მეფისთვის განკუთვნილი საგანგებოდ შემალღებული ადგილი საკურთხეველის მარჯვენა მხარეს, აღმოსავლეთის კართან მდებარეობს, საფლავში შესასვლელი კარიც იქვეა.

8 საათზე მწუხრი დაიწყო. ლიტანიობაზე მეუდაბნოე ბერებიც მოვიდნენ. დიდ საკურთხეველში პარალელურად კათოლიკეებმაც თავიანთი მსახურება წამოიწყეს.

დიდი შაბათის საკითხავების კითხვას შეუდგნენ. პირველ საკითხავზე დიდი საკურთხევილიდან ეპისკოპოსი და დიაკონი გამოვიდნენ, მაცხოვრის საფლავს მიეახლნენ და დაბეჭდილ საფლავში შეიხედეს და, რადგანაც იქ ცეცხლი ვერ დაინახეს, უკანვე გაბრუნდნენ. მეექვსე საკითხავის შემდგომ, ეპისკოპოსმა საფლავში კვლავ შეიხედა, ცეცხლი არც ამჯერად იყო გადმოსული. მაშინ ცრემლმორეულმა-მრევლმა ერთხმად შეჰლაღადა: „უფალო შეგვიწყალე!“ და როდესაც დრო ცხრა საათს გადასცდა, საფლავის თავზე ტაძრის გადაუხურავ ნაწილს მცირე ზომის ღრუბელი დაადგა და გაწვიმდა. ყველანი, ვინაც საფლავის სიახლოვეს ვიდექით, დავსველდით. აი, სწორედ მაშინ მაცხოვრის საფლავზე წმიდა ნათელი აკაიფდა. უცერად საფლავი თვალისმომჭრელი ნათებით აკაშკაშდა,

ეპისკოპოსმა ოთხი დიაკონის თანხლებით დაბეჭდილი საფლავი გახსნა. ეპისკოპოსი შიგ მარტო შევიდა, თან მეფის კელაპტარიც შეიტანა. პირველად ეპისკოპოსმა მეფე ბოლდუინის კელაპტარი აანთო. მეფე ანთებული კელაპტრით ხელში, უდიდესი სიხარულით სახეგაცისკროვნებული იდგა. სანთლებს მისი კელაპტრიდან მოვუკიდეთ, ჩვენი სანთლებიდან კი მრევლმა მოუკიდა.

წმიდა ცეცხლი ჩვეულებრივ მიწიერ ცეცხლს არა ჰგავს, იგი სხვანაირად ანათებს, მისი ალი წითელია და ენით გამოუთქმელად კიაფობს“.

ნაწყვეტი ათონის მთაზე მოღვაწე სქიმონაზონ ნიკოდიმოსის წერილიდან, რომელმაც 1958 წელს იერუსალიმი მოილოცა:

„დიდ შაბათს, დაახლოებით 12 საათზე, მე, ცოდვილ სქიმონაზონს ბედნიერება მქონდა პატრიარქისთვის თვალი მეღვენებინა ქრისტეს აღდგომის ლიტანიობის დროს, როდესაც კუვიკლიის წმიდა სამლოცველოს სამჯერ შემოუარეს, ასევე თვალი მეღვენებინა ამ დროს უფლის ცხოველმყოფელი საფლავისათვის, რისი საშუალებაც იშვიათად თუ ვინმეს ეძლევა. მესამე შემოვლის შემდეგ, იერუსალიმის მართლმადიდებელი ბერძენი პატრიარქი უფლის საფლავის დალუქული კარების წინ გაჩერდა (მეც იქ ვიდექი კუვიკლიის წინ მარჯვენა მხარის სასანთლესთან, პატრიარქისგან ორი ნაბიჯის სიშორეზე), სადაც პატრიარქი განმოსეს და კვართის ამარა დატოვეს. ხელისუფლებმა და პოლიციამ პატრიარქი შეამოწმა, შემდეგ კუვიკლიის კარებს ბაფთები ლუქითურთ მოხსნეს და იგი სამლოცველოში შეუშვეს. მასთან ერთად სომეხთა პატრიარქიც შევიდა (ეს მონოფიზიტი პატრიარქი ლიტანიობაში არ მონაწილეობდა, მხოლოდ კუვიკლიის მარცხენა მხარეს თავის ხალხთან ერთად იდგა).

სამლოცველოს შიგნით კიდევ რამდენიმე პირი შეუშვეს. ეს ის მღვდელმსახურები არიან, რომლებიც პატრიარქის ნიშანზე ცხოველმყოფელ საფლავზე მადლმოსილ ცეცხლს აქრობენ და ყველაფერს იღებენ, რაც ღვთაებრივი ცეცხლის მისაღებად იყო მომზადებული. როდესაც ღვთაებრივი ცეცხლით ხელში ორივე პატრიარქის გამოსაყვანად დანიშნული არაბი პოლიციელები შევლენ, სამლოცველოს შიგნით კარებს ხურავენ.

როგორც ცნობილია, კუვიკლიაში ორი განყოფილებაა: პირველად შევდივართ იქ, სადაც მენელსაცხებლე დედაებს უფლის საფლავიდან გადმოგორებულ ქვასთან უფლის ანგელოზი გამოეცხადათ, აქედან კი დაბალი შესასვლელია მეორე ნაწილში, სადაც ხალხი წელში მოხრილი შედის, უფლის ცხოველმყოფელ საფლავ-გამოქვაბულში კი აღიმართება.

საფლავ-გამოქვაბულის შიგნით მხოლოდ იერუსალიმის მართლმადიდებელი პატრიარქი შედის, სხვები კი პოლიციელებთან და სომეხთა პატრიარქთან ერთად კუვიკლიის პირველ ნაწილში რჩებიან და სასწაულს ჩუმად ელიან. სამლოცველოს კარები დაკეტეს, ყველა დადუმდა და მთელ ტაძარში სამარისებული სიჩუმე გამეფდა. ყველა, უფლისაგან

ღვთაებრივი ცეცხლის გამოჩენას დუმილით ელის. თვით გამოქვაბულში სიბნელეა, პატრიარქი იქ მარტოა და სიჩუმეში მაცხოვრისადმი ლოცვებს ადავლენს. ხანდახან ათი წუთი, ხან კიდევ წმიდა ცეცხლის გადმოსვლას უფრო დიდხანს ელიან. ჩემს დროს, თხუთმეტი წუთი მომიწია ცდა... და უცებ, ცხოველმყოფელი საფლავის სარეცელზე სიბნელეში ზემოდან კაშკაშა, ცისფერი მძივის მსგავსი ბურთულები მიმოიბნევა, ქვემოთ დაშვებისას მრავლდება და ლურჯ ცეცხლად იქცევა, რისგანაც წინასწარ მომზადებული კანდელი, ბამბა და ბაბთა ინთება. ყველაფერი ღვთაებრივი ცეცხლის ალში ეხვევა.

პატრიარქი თავის ორ კონად შეკრულ სანთლებს დაუყოვნებლივ ანთებს და კუვიკლიის პირველ ნაწილში გამოდის. აქ სანთლებს სომეხ პატრიარქსაც ანთებინებს, შემდეგ ორივე პატრიარქი მცირე, ოვალური ფორმის ხარკმლებიდან წმიდა ცეცხლს ხალხსაც აწვდის. ზეციური ცეცხლის გადმოსვლის დროს ქრისტეს აღდგომის მთელ ტაძარში ძლიერი აფეთქების ხმასავით გაისმის ყიჟინა და შემახილები...

შემდეგ უფლის საფლავის სარეცელზე ცეცხლს აქრობენ (ეს ცეცხლი იქ არაფერს წვავს), იღებენ ანთებულ კანდელს და ცეცხლმოკიდებულ ბამბას ბაფთით. ორ არაბ პოლიციელს მხრებზე შესმული უნეტარესი პატრიარქი მღვდელმსახურთა დანმარებით გამოჰყავს კუვიკლიიდან და სწრაფად მიჰყავს აღდგომის ტაძრის საკურთხეველისკენ. პატრიარქის წინ ანთებული ლამპრით მიდის ერთი მღვდელმსახური. ყოველივე ეს ისე სწრაფად ხდება, რომ ზოგიერთებმა მისი ხელიდან სანთლის ანთება ვერც კი მოასწრეს. მეც ვერ მოვასწარი, მაგრამ შევეცადე ხალხს გავყოლოდი და პატრიარქის კვალდაკვალ საკურთხეველში შევედი, სადაც თვით პატრიარქის ხელიდან ავანთე კიდევაც ჩემი სანთლების კონა ღვთაებრივი ცეცხლით“.

სიონის საპატრიარქო ტაძარი, 2003 წლის 27 აპრილი

ამონარიდი უწმიდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ქადაგებიდან:

„აღდგომის წლევანდელი დღესასწაული უჩვეულოა ჩვენთვის. 2000 წელი გავიდა მას შემდეგ რაც იშვა უფალი ჩვენი იესო ქრისტე და ჩვენ ამას 20 საუკუნეა ვზეიმობთ, მაგრამ დღევანდელ დღემდე საქართველოში ჯერ არ ყოფილა შემთხვევა, რომ აღდგომას, ლიტანიობის დაწყებამდე ჩამოეტანოთ ღვთაებრივი ცეცხლი იერუსალიმიდან. ეს მოხდა დღეს, რაც გვაძლევს იმედს, რომ სიყვარული და მაღლი ღვთისა განსაკუთრებულად მოევლინა მთელ საქართველოს. ყველას გილოცავთ. დიდება და მადლობა უფალს ამ დიდი წყალობისათვის...“

მასალა მოამზადა ზ. შერაბ თორიამ

ყველა თაობას თავისი ბედი აქვს

ამონარიდი მწერლის დღიურიდან

ჩვენი მამა-პაპათა თაობა ჩვენზე ნაკლებად არ ეტრფოდა საქართველოს დამოუკიდებლობას, მის თავისუფლებას. მაგრამ ამისი დრო ჯერ კიდევ არ იდგა. ყველაფერს თავისი დრო აქვს. როგორც ეკლესიასტე ბრატანებს, არის „ჟამი შენებისა და ჟამი სიკვდილისა, ჟამი დანგრევისა და დანგრეულის აღმოფხვრისა, ჟამი მოკვდინებისა და ჟამი განკურნებისა, ჟამი ნგრევისა და ჟამი შენებისა, ჟამი ტირილისა და ჟამი სიცილისა, ჟამი გლოვისა და ჟამი ღხინისა, ჟამი ქვათა მიმოფანტვისა და ჟამი მათი შეგროვებისა...“ (III, 2,3,4,5).

და ყოველი თაობა დროის მოთხოვნის შესაბამისად ემსახურება თავის ქვეყანას.

ერთი დიდგორის ომის მოგებით იხსნის და გადაარჩენს სამშობლოს, მეორე ანისში, მონგოლთა ნოინთან საწამებლად წასვლით, მესამე საადგილმამულო ბანკის დაარსებით, მეოთხე თბილისის უნივერსიტეტის გახსნით და ასე, დაუსრულებლად, როგორც ერთიანი და მთლიანი პროცესი, მიედინება ისტორია. ამ პროცესში თანაბრად მონაწილეობს ყველა ასაკის ადამიანი. თაობათა და ადამიანთა გათიშვა არც ხდება და არც შეიძლება. მთელი კაცობრიობის ისტორია ამის ნიმუშია, მაგრამ ერთ უახლოეს მაგალითს მაინც ვაგაჩსენებთ. როცა თბილისის უნივერსიტეტმა არსებობა დაიწყო, ივანე ჯავახიშვილის გვერდით (დაიბადა 1876 წ.) იდგა უფრო ხანდაზმული პეტრე მელიქიშვილი (დაიბადა 1850 წ.) და უფრო ახალგაზრდა შალვა ნუცუბიძე (დაიბადა 1888 წ.).

ყველა თაობას თავისი წყევლაც აქვს.

დავით აღმაშენებლის თაობის წყველა იყო ბაღვაშთა გვარი. ერეკლე მეორისა და სოლომონ პირველისა – ადამიანით ვაჭრობა. ილია ჭავჭავაძისა და აკაკი წერეთლის – რსდმპ-ის ქართველი წევრები, პაოლო იაშვილისა და ტიციან ტაბიძისა სუკ-ი...

წყველაშიც სხვადასხვა ადამიანები ერთიანდებიან. თაობათა ჯაჭვი არ წყდება.

ბოლშევიკები შეეცადნენ თაობათა ჯაჭვის გაწყვეტას, როცა წარსული უარყვეს და გაემიჯნენ, მაგრამ არაფერი გამოუვიდათ. იძულებულნი გახდნენ, უკან მოეხედათ და თაობათა მთლიანობა დაენახათ. წარსულის, აწმყოსა და მომავლის ერთიანობა და უწყვეტობა ეცნოთ.

ეს შეცდომა აღარ უნდა გავიმეოროთ. დღევანდელ თაობასაც თავისი ბედი (დამოუკიდებლობა – თავისუფლების მოპოვება) და თავისი წყველა (შინააშლილობა) ერგო. არც შინაური მტერი მოაკლდა და არც უცხო. საქართველოს არყოფნის საფრთხე დაემუქრა. იძულებულები ვართ, იარაღი ავიხსათ.

ყველა ომში ასეა: იღუპება ერის საუკეთესო ნაწილი. მამულს ის იცავს, ვისაც, ნამუსი აწუხებს, ვისაც სინდისი ავალებს თავი დასდოს ქვეყნისათვის. სინდის-ნამუსს გარეცხილს არ ანალვლებს სამშობლოს ბედი.

თაობები კი არ ებრძვიან ერთმანეთს, არამედ იმედი და უიმედობა. ქართული უიმედობა ეომება ქართულ იმედს. ისმის კვაჭი კვაჭანტირაძეების ჩურჩული, რად გვინდა აფხაზეთი, რად გვინდა შიდა ქართლი, ახალგაზრდები თუ დაიხოცებიან. წვეთავს ნიჰილიზმის გესლი. დღევანდელი თაობა, ნინველი იქნება, თუ ამანათგადასული, თანაბრად პასუხისმგებელია საქართველოს წარსულისა და მომავლისათვის.

ჩვენ არ გვჭირდება არც მლიქვნელობა და არც თვალთმაქცობა ახალგაზრდების მიმართ. ჩვენ თაობათა ერთობა, ურთიერთდაფასება და პატივისცემა გვჭირდება. ომში რომ გაგზმარჯვოთ, უცხო და შინაური მტერი რომ დავამარცხოთ, თავისუფალი და დამოუკიდებელი საქართველო რომ ავაშენოთ.

ისტორიულად ქართველ ხალხს ჰქონდა მისია ყოფილიყო კავკასიის მეთაური და დაეცვა ქრისტიანობა კავკასიურ სივრცეში. მე-19 ასწლეულის დასაწყისამდე ქართველი ხალხი ასრულებდა ამ მისიას ისე, როგორც შეეძლო... ხან წარმატებით, ხან წარუმატებლად. მე-19 საუკუნეში რუსეთმა ჩამოართვა საქართველოს ეს მისია. კავკასიის მეთაურობა მან იკისრა და ქრისტიანობის დაცვა. ქართველი ხალხი დარჩა უმისიოდ, უმიზნოდ და უიდეალოდ. ეს იყო ყველაზე მძიმე, გამანადგურებელი შედეგი, რაც რუსეთის მიერ საქართველოს დაპყრობას მოჰყვა. უმიზნოდ, უიდეალოდ, უმისიოდ დარჩენილი ერი აღარ არის უკვე ერი.

მაგრამ ხალხს ყველაფერი შეუძლია და ყველაზე მცირერიცხოვან ხალხსაც კი შეუძლია საქმე თავის სასარგებლოდ გადაწყვიტოს, როდესაც იგი ერთად არის. როდესაც ხალხია დაფანტული, აი, მაშინ არის საქმე ცუდად. მაშინ ძალიან მრავალრიცხოვანი ხალხებიც კი, ძალიან დიდი სახელმწიფოებიც იოლად მარცხდებიან. მაგრამ თუ ხალხი შეკრულია ერთი მიზნით, ერთი აზრით, ერთი ღირსებით, მაშინ ამ ხალხს ვერაფერს მოერევა. ეს არის უმთავრესი დღევანდელი საქართველოსათვის. მან უნდა იგრძნოს და განიცადოს, რომ მას წაართვეს ტერიტორია, დაამცირეს, ღირსება დააკარგვინეს და საჭიროა ამ ღირსების დაბრუნება.

მე დევნილთა ერთ შეკრებაზე ვთქვი:

ჩვენ მართო აფხაზეთის დასაბრუნებლად კი არ უნდა ვიბრძოლოთ, ჩვენ ჩვენი ღირსების დასაბრუნებლად უნდა ვიბრძოლოთ და თუ ჩვენს ღირსებას ვერ დავიბრუნებთ, მაშინ ზედმეტია ლაპარაკი აფხაზეთისა და ცხინვალის ოლქის დაბრუნებაზე. უპირველესი საფუძველი იმისათვის, რომ ეს მოხდეს, ჩვენი ერთობაა, ჩვენი ღირსების დაბრუნება და მისი აღდგენა...

აფხაზეთისა და შიდა ქართლში დამარცხებამ ჭკუა უნდა გვასწავლოს. ყველაფერი კარგად უნდა გავაანალიზოთ და ისე მოვიქცეთ, რომ მეორე ასეთი სამარცხვინო და თავმოსაჭრელი რამ აღარ დაგვემართოს.

ჩვენ სულ ვილატას დავეძებთ, ვინც, ან რაც გვიშველის. ეს საბედისწერო შეცდომაა. ჩვენ, ყველამ ერთად, უნდა ვუშველოთ ჩვენ თავსაც და საქართველოსაც. ერთმა კაცმა შეიძლება „ვეფხისტყაოსანი“ დაწეროს და მას დამხმარე არ სჭირდება. ერთმა კაცმა შეიძლება დახატოს „იმერეთი – დედაჩემი“ და მას დამხმარე არ სჭირდება. ერთმა კაცმა შეიძლება „აბესალომი და ეთერი“ შექმნას და მას დამხმარე არ სჭირდება. პოლიტიკაში ასე არ არის. პოლიტიკაში ერთი კაცი ვერას გახდება, თუ ერი, ხალხი არ უდგას გვერდით. დავით აღმაშენებელი მართო არ იყო. მას ქართველი ხალხი უჭერდა მხარს. დიდგორში როგორ გაიმარჯვებდა იგი, თუ ყველა მეომარი თავგანწირული არ იბრძოლებდა? ეს ერთიანობა გვჭირდება დღეს ჩვენ. ყველა მოქალაქე უნდა იყოს გამსჭვალული იმის რწმენით, რომ დამოუკიდებელი, თავისუფალი საქართველო ააშენოს. ჩვენ „ქართლის ცხოვრება“, „ვეფხისტყაოსანი“, დავით გურამიშვილი, სულხან-საბა, ნიკოლოზ ბარათაშვილი, ილია, აკაკი, ვაჟა თავისუფლების სიყვარულს გვასწავლიან, გვასწავლიან ვაჟკაცობას, ზნეობას, მამულისათვის თავდადებას და მაინც ვეძებთ სხვა მასწავლებლებს? ამით თუ ვერაფერი გვასწავლეს, სხვა რაღას მოახერხებს? ჩვენი მეფეები, ჩვენი გმირები, ჩვენი წამებულები როგორ გაკვეთილს გვაძლევენ! თუ ესეც ვერ ავითვისეთ, სხვა როგორ დაგვეხმარება? ეს სულიერი კულტურაა ჩვენი ძალა. რა თქმა უნდა, გააზრებული დღევანდელობისა და მომავლის კუთხით. სწორედ ჩვენი მიღწევები – წმიდანები, მეფეები, გმირები, მწერლები – არ გვაძლევენ უფლებას სასოწარკვეთილებისა და უნუგეშობისას. ისინი მართო წარსულში არ ყოფილან. ისინი დღესაც არიან და მომავალშიც მოვლენ. ამას მალე დავინახავთ. ისტორიის ჯაჭვი საქართველოში არ გაწყვეტილა. არც გაწყდება. გაწყვეტა ანტიბუნებრივი მოვლენა იქნებოდა.

მართალია, დამარცხებამ დაგვაბნია და სასოწარკვეთილებაში ჩაგვავლო, მაგრამ ესეც

გაივლის. ის ადამიანებიც გამოჩნდებიან, ვინც ქვეყანას კრიზისულ მდგომარეობაში უნდა უხელმძღვანელონ, ამას ისტორიული პროცესის კანონზომიერება ითხოვს. ოღონდ ერთი კია: ხალხი მომავლის რწმენით უნდა გაიმსჭვალოს. ამ რწმენის ჩანერგვა ყველას მოვალეობაა – ეკლესიის, სკოლის, უმაღლესი სასწავლებლის, მეცნიერების, მწერლობის, ჟურნალისტიკის, ერთი სიტყვით – ყველასი, ვისაც ჭკუა ეკითხება.

20-იან წლებში, როცა დემოკრატიული საქართველო დამარცხდა და საქართველოში კომუნისტური რეჟიმი დამყარდა, ხალხი და ქვეყანა უიმედობამ მოიცვა, მაგრამ ერის ჭკუა და გონება მალე გამოფხიზლდა. დაიწყო ბრძოლა და შრომა სულიერი აღორძინებისათვის. განვლილი 70 წელი მართო ბოლშევიკ-კომუნისტების პარპაშის წლები არ ყოფილა. ეს იყო ეპოქა ვერიკო ანჯაფარიძის, დიმიტრი არაყიშვილის, ელენე ახვლედიანის, გიორგი ახვლედიანის, სანდრო ახმეტელის, კონსტატინე გამსახურდიას, ლადო გუდიაშვილის, აკაკი ვასაძის, სესილია თაყაიშვილის, დავით კაკაბაძის, გიორგი ლეონიძის, ნიკო მუსხელიშვილის, კოლაუ ნადირაძის, იაკობ

ნიკოლაძის, შალვა ნუცუბიძის, ანდრია რაზმაძის, გალაკტიონ ტაბიძის, დიმიტრი უზნაძის, ზაქარია ფალაიაშვილის, ლეო ქიაჩელი, გერონტი ქიქოძის, სერგო ქობულაძის, გიორგი შავგულიძის, გიორგი ჩუბინაშვილის, უშანგი ჩხეიძის, აკაკი შანიძის, გრიგოლ წერეთლის, თამარ ჭავჭავაძის, აკაკი ხორავას, ივანე ჯავახიშვილის, მიხეილ ჯავახიშვილის და სხვათა და სხვათა. ყველას ჩამოთვლა შეუძლებელია. თუ კომუნისტური რეჟიმის დროს ქართველმა ხალხმა შეძლო ასე მძლავრად გამოემუდგნენ ეროვნული ენერგია, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში რა შებოჭავს მის ძალას? ვერაფერი. ოღონდ სულწასულობამ არ უნდა გვძლიოს და უცბად და ერთბაშად არ უნდა მოვინდომოთ დამოუკიდებელი და თავისუფალი ქვეყნის აშენება. თუ ჩვენ გაგებით და მოთმინებით გავეყვებით ისტორიის მსვლელობას, მაშინ მალე ვიხილავთ იმ ქვეყანას, რომელიც ყველა ქართველის ოცნებაა.

აკაკი ბაქრაძე.
1994 წ. 19 აპრილი.

მამა პიმენ სალოსი

იყო კახი, კეთილშობილთაგანი. ესე წარვიდა მონასტერსა დავით გარეჯისასა, მიიღო სიბრძნე ხელვითი და ღმრთისმეტყველებითი და იქნა ქრისტესათვის სალოს. ესე იყო ფრიად მამნილებელ უსამართლოებასა და უწესობასა ზედა მეფეთა და მთავართასა არა თუ სიტყვით, არამედ წერილებითაცა. ამან იღვაწა რაოდენიმე წელი უღაბნოსა მას შინა და მერე წარვიდა ლეკთა შორის და უქდაგა ქრისტე და მრავალნი მათგანნი მოიყვანა ქრისტეს სარწმუნოებად. აგრეთვე ფშავთა და თუშთა უქდაგა და მრავალნი მოაქცივნა და მერე მივიდა ბელაქანს და მოაქცივნა ივინიცა. და მერე მთასა მასვე ბელაქანისასა შევიდა ქაბასა შინა განშორებულსა და მარტოებით იღვაწა ფრიად. და ესრეთ განვლო წელნი თვისნი.

მცირე უწყებანი ქართველთა მწერალთათვის (XVI-XIX სს.) გამოცემა ი. ლოლაშვილისა. თბ. 1982 წ. გვ. 173.

306 არიან და საიდან მოვიდნენ აფსუა აფხაზები

დღეს აფხაზეთში რაც ხდება, ჩვენი ისტორიული უბედურების, შემწვანარებლობის, დარღვი-
მანდობისა და დაუდევრობის შედეგებია.

ათეული წლების განმავლობაში იმპერიული
ძალები, შინ თუ გარეთ, ამზადებდნენ ამ ტრაგე-
დიას. ჯერ იყო და რამდენიმე ათას კაციან ხალხს
ავტონომიური რესპუბლიკა შეუქმნეს, შემდეგ
კი მეთოდურად დაიწყო საქართველოს ისტორი-
ის გაუგონარი ფალსიფიკაცია.

საბჭოთა ისტორიოგრაფიამ თავდაყირა დაა-
ყენა, გააყალბა ყველაფერი. გამოიგონეს ათას-
გვარი მითები, არარსებული ისტორია შეუქმნეს
პატარა ხალხს და გონება დაუბნელეს თაობებს.
გააბრეივეს და ბრმა იარაღად აქციეს.

ბევრი დრო და მელანი დასჭირდება აფხა-
ზეთის, როგორც საქართველოს ერთ-ერთი ძირ-
ძველი და განუყოფელი ნაწილის ისტორიის
დაწერას.

ერთი კი ცხადია, ეს რომ მოხდეს, ამისათვის
საჭიროა ობიექტური პასუხი გაეცეს შემდეგ
კითხვებს:

1. ვინ არიან თანამედროვე აფხაზები?
2. რა კავშირი არსებობს თანამედროვე და
ისტორიულ აფხაზებს შორის?
3. ვინ იყვნენ ისტორიული აფხაზები და რას
ნიშნავს ისტორიული თვალთახედვით „აფხა-
ზეთი“ და „აფხაზი“.
4. ვინ იყვნენ აფშილები და აბაზები (იგივე
აფხაზები) და რა ენაზე ლაპარაკობდნენ ისინი.
5. არსებობს თუ არა საბუთები იმის დასამ-
ტყობლად, რომ ისტორიული აფხაზები თანა-
მედროვე აფსუების წინაპრები არიან.
6. ვინ შექმნა „აფხაზთა“ სამეფო და თუ იგი
არაქართველებმა შექმნეს, მაშინ რატომ გაიხადეს
სალაპარაკო ენად ქართული. რატომ დააწესეს
წირვა-ლოცვა ქართულად, რატომ გახადეს
თავიანთ დედაქალაქად სამეფოს ერთ-ერთი
მთავარი ქალაქი ქუთაისი.
7. თუ აფსუებს ჩავთვლით დასავლეთ საქარ-
თველოს აბორიგენებად, ანუ ათასეული წლების
განმავლობაში აქ მცხოვრებლებად, მაშინ
რატომაა, რომ როგორც სამეცნიერო ლიტერა-
ტურაშია აღნიშნული, მე-17 საუკუნეში
შედგენილ რუკაზე თანამედროვე ოჩამჩირის,
გულრიფშისა და სოხუმის რაიონების ტერიტო-
რიაზე მხოლოდ ორად-ორი აფსუური-ტომონიძა;
როგორ მიიღეს მონაწილეობა დასავლეთ საქარ-
თველოში მცხოვრებმა ტომებმა ჩრდილო კავკა-
სიური ეპოსის „ნართების“ შექმნაში, რომელიც
მათ თავისად მიიჩნიათ.
8. რატომ არ არის აფსუთა ენაში ნასეს-
ხობანი ძველი ხალხების ენებიდან.
9. დაეუჯეროთ თუ არა პლინიუსის ცნობას
იმის შესახებ, რომ ახალი წელთაღრიცხვის



პირველ საუკუნეში აფსუას ტომის საცხოვრის
არის ჩრდილო კავკასიაში, კასპიის ზღვის
ჩრდილო დასავლეთ ზოლში.

10. ისტორიული მნიშვნელობით აქვს თუ
არა აზრი გამოთქმებს - „აფხაზურ-ადილეური
ენები“, „აფხაზურ-ადილეური ხალხები“, „აფხა-
ზეთ-საქართველოს ურთიერთობა“ და ა. შ.

11. რატომ უარყოფენ აფსუა ისტორიკოსები
XVII საუკუნეში საქართველოს ისტორიულ მხა-
რეში, აფხაზეთში, თავიანთი წინაპრების ადილე-
ური მოდემის ტომების ჩამოსახლებას, როცა ამაზე
უამრავი ცნობა მოეპოვება იტალიელ მისიონე-
რებს, თუ სხვა ავტორებს.

12. საერთოდ, ისტორიულად არსებობდა თუ
არა ისეთი ფენომენი, როგორიცაა - „აფხა-
ზური კულტურა“ და თუ არსებობდა, რა თა-
ვისებურებანი ახასიათებდა მას.

საკოველთაო აღიარებით, ამა თუ იმ კულტუ-
რის ძირითადი კომპონენტებია დამწერლობა,
ლიტერატურა, ხუროთმოძღვრება, მეცნიერება და
ხელოვნება (ჩვენს შემთხვევაში, საეკლესიო მუსი-
კა და ფერწერა).

როგორც ცნობილია, პირველი აფხაზური
დამწერლობა შექმნა რუსმა მეცნიერმა უსლარმა
1862 წელს, ხოლო აფხაზური მწერლობის ფუძემ-
დებელი დ. გულია დაიბადა 1874 წელს და
გარდაიცვალა 1960 წელს. სხვანაირ ფაქტებს
ისტორია არ იცნობს.

დღევანდელი აფხაზეთის ტერიტორიაზე არ-
სებული უამრავი ისტორიული ხუროთმოძღ-
ვრული ძეგლი საყოველთაო აღიარებით ქარ-

თული არქიტექტურის ნიმუშებია და მათში რაიმე განსაკუთრებული, განსხვავებული „აფხაზური სტილი“ ჯერ-ჯერობით არავის აღმოუჩენია.

რამდენადაც ცნობილია, შუა საუკუნეებში მეცნიერება ძირითადად არსებობდა ფილოსოფიის სახით, ისტორია „აფხაზ ფილოსოფოსებს“ და „აფხაზურ ფილოსოფიას“ არ იცნობს.

რაც შეეხება ხელოვნებას, კერძოდ კი საეკლესიო მუსიკასა და ფერწერას, როგორც სამეცნიერო ლიტერატურიდან ჩანს, რაღაც „აფხაზური“ თუ „აფსუური“ საეკლესიო მუსიკა და კედლის მხატვრობა ისტორიულად არ დასტურდება, აფხაზეთის ტერიტორიაზე რაც არის, ყველაფერი ქართულია.

თუ შემოთქმულს შევაჯამებთ, გამოდის, რომ მე-19 საუკუნის ბოლომდე ისტორიულ ასპექტში კულტურის რაიმე კომპონენტი, რომელსაც განსაკუთრებული სახელი „აფხაზური“, ან „აფსუური“ დაერქმეოდა, ბუნებაში არ არსებობს; აქედან გამომდინარე, ლაპარაკი ისტორიულად არსებულ რაღაც „აფხაზურ კულტურაზე“ სრულიად გაუგებარი და უაზროა. ამდენად, ყველა ის შრომა რაც ამ თემაზე შექმნილი, ქალაქისა და მეღვინის უნაყოფო ხარჯვად გამოიყურება.

ახლა მივუბრუნდეთ პირველ კითხვას – ვინ არიან თანამედროვე აფხაზები.

ყველაფრიდან ჩანს, რომ თანამედროვე აფხაზობა არის აფსუათა ენაზე მოლაპარაკე ხალხი, რომელიც წარმოიშვა საქართველოს ისტორიული კუთხის, აფხაზეთის ტერიტორიაზე მე-17 საუკუნეში ჩამოსახლებული ადიღური მოდგმის აფსუებისა და ქართველების შერევით და რომლის ფორმირების პროცესი ახლაც მიმდინარეობს.

ბევრ რამეზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ თანამედროვე აფხაზთა გვარ-სახელების ორ მესამედამდე ქართველურია – ქართული, მეგრულ-ჭანური და სვანური, ხოლო ერთი მესამედი კი საკუთრივ აფსუური.

პასუხი რომ გავცეს კითხვას, რა კავშირი არსებობს თანამედროვე და ისტორიულ აფხაზებს შორის, საჭიროა გაირკვეს, თუ ვინ იყვნენ ისტორიული აფხაზები.

მიუხედავად იმისა, რომ უამრავი ცნობა არსებობს დასავლეთ საქართველოში მოსახლე ტომების შესახებ, ისტორიკოსთა ნაწილი ტენდენციურად აშუქებდა და აშუქებს მათს ეთნიკურ კუთვნილებასა და კავშირს თანამედროვე აფხაზებთან, საკუთრივ აფსუებთან.

ისტორიკოსთა ერთ ნაწილს, სამწუხაროდ, ყოველგვარი საბუთიანობის გარეშე, თანამედროვე აფხაზების, ანუ აფსუების წინაპრებად მიაჩნია დასავლეთ საქართველოში, კერძოდ აფხაზეთში, სხვა ტომებთან ერთად მოხსენიებული აფსილები და აბაზგები.

ზოგიერთი აფსუა „მეცნიერი“ აფხაზეთში ქართული ტომებისათვის ადგილსაც კი არ სტოვებს, თუმცა არავითარი მინიშნება არ ჩანს იმის სასარგებლოდ, რომ აფსილები და აბაზგები არაქართველური ტომები იყვნენ, პირიქით.

აფსილები და აბაზგები აქ სხვა ქართველურ ტომებთან მოიხსენებიან I-II საუკუნეებიდან.

ტერმინები „აფხაზი“ და „აფხაზეთი“, როგორც ჩანს, ისტორიული გაგებით, მიმოქცევაში შემოდის მე-7 მე-8 საუკუნეებში, თუმცა აკად. თ. გამყრელიძე ვარაუდობს, რომ ბერძნული „აბაზგი“ ქართული „აფხაზიდან“ უნდა მომდინარეობდეს, ე. ი. ქართულიდანაა შესული ბერძნულში.

აფსილებისა და აბაზგების აფსუათა წინაპრებად მიჩნევას, ჩვენი აზრით, ბევრი რამ ელოდება წინ.

ჩვენთვის გაუგებარია, თუ აფსილები არაქართველები იყვნენ, რატომ დაარქვეს თავიანთ ქალაქს სვანური სახელი „ცხუმი“. აკი წერს მემატიაჩი – „ქალაქი აფსილეთისა ცხუმიან“.

როგორც ცნობილია, მესამე საუკუნიდან აქტიურობას იწყებენ აბაზგები (აფხაზები); ჯერ იერთებენ აფსილების სამთავროს, უფრო მოგვიანებით კი აერთიანებენ მთელ დასავლეთ საქართველოს. ქმნიან „აფხაზთა სამეფოს“ და მიიწვევენ აღმოსავლეთ საქართველოსკენ.

ამ პროცესში აუხსნელი რჩება ერთი რამ: – თუ აფხაზები (აბაზგები) არაქართველური ტომებია, გაერთიანებულ სამეფოში რატომ ამკვიდრებენ სახელმწიფო ენად ქართულს და არა თავიანთ მშობლიურ აფსუურულს, რატომ ამკვიდრებენ წირვა-ლოცვას ეკლესიებში ქართულად, რატომ გადმოაქვთ დედაქალაქი ქართულ ქალაქ ქუთაისში.

საერთოდ, რა ენაზე ლაპარაკობდნენ ისტორიული აფხაზები, მატიაჩიევი არაფერს მიგვაჩინებენ; თუმცა, ჩანს ქართველ მემატიაჩეებს არ ეეჭვებათ, რომ აფხაზები ქართველებია და, ყოველ შემთხვევაში, ერთ-ერთ ქართველურ ენაზე ლაპარაკობენ.

ამას უნდა მოწმობდეს – „ისტორიანისა და აზმანის“ ავტორის ასეთი შენიშვნა – „პირველად შემკრებელთ ბედსა და სუესა ზედა ლაშასა, რომელ განმანათლებელად სოფლისა ითარგმნა აფსართა ენითა“. აქ მემატიაჩეს ერთხელ მიეცა საშუალება აშკარად მიენიშნებინა, თუკი აფხაზები მართლაც არაქართველები იყვნენ, ეთქვა „აფხაზთა ენითა“ და არ თქვა, რაც იმას უნდა ნიშნავდეს, რომ აფხაზნი და აფსარნი სხვადასხვა ენაზე ლაპარაკობენ. პირველნი ქართველები არიან; მემატიაჩე არ ამბობს „აფხაზთა ენითა“. სხვათა შორის, დიდ ივანე ჯავახიშვილს, ეს საეჭვოდ არ მიანდა. აი, რას წერს იგი: „როგორც ვხედავთ კოლხეთის მოსახლეობა ქართველთა სამ შტოს ჰკუთვნებია – ლაზ-მეგრელებს, აფსილ-აფხაზებს და სვანებს“ (ს. ი. ტ. I გვ. 427, 1960). ამის შემდეგ ფრიად უცნაურია ის უამრავი „მეცნიერული შრომა“, სადაც ცდილობენ აფსილებისა და აფხაზების გააფსუებას.

ამ საკითხისადმი მიძღვნილი ლიტერატურა რომ უშედეგოდ დაღვრილ ოფულს ჰგავს, ამას ერთი ფაქტიც მოწმობს: 1990 წელს გახეთ „ახალგაზრდა ივერიელი“ (№47, 14.07) გამოქვეყნდა ქალბატონ ნათელა ფოფხაძის ფრიად საინტერესო წერილი – „შავ ზღვას“.

კოლხეთის ზღვა ერქვა“, სადაც მოყვანილია ცნობები ცნობილი რომაელი მეცნიერისა და მოღვაწის, პლინიუსის შრომიდან, რომლის მიხედვითაც ჩვ. წ. ა. I საუკუნეში აფსუას ტომი ცხოვრობს ჩრდილო კავკასიაში კასპიის ზღვის დასავლეთ სანაპირო ზოლში.

ჩვენი აზრით, ეს ცნობა საბოლოოდ ფარდასხდის აფსუა-აფხაზთა წარმომავლობის საიდუმლოს და ერთგულ კიდევ ამტკიცებს, რომ აფშილები და აფხაზები (აბაზგები) ჩვეულებრივი ქართველური ტომებია და მათ ადიღური მოდგმის ხალხთან არაფერი უნდა ჰქონდეთ საერთო.

კიდევ უამრავი მაგალითის მოყვანა შეიძლება იმის სასარგებლოდ, რომ აფშილები და აბაზგები ქართული სამყაროს კუთვნილებია.

მიუხედავად ამისა, აფსუა ავტორები და პრო-აფხაზური ორიენტაციის მეცნიერები მაინც ჯიუტად ცდილობენ ამტკიცონ აფშილებისა და აფხაზების წინაპრობა, თუმცა ბევრი რამ უშლის ხელს აფსუათა აბორიგენობას ისტორიულ აფხაზეთში.

საკუთრადღებოა ერთი კუროსული ფაქტიც: როგორც ცნობილია, აფსუებს თავიანთ საკუთრებადაც მიაჩნიათ ჩრდილო კავკასიელ ხალხთა ეპოსი ნართებზე. აუხსნელია, როგორ უნდა მიეღონ მონაწილეობა დასავლეთ საქართველოში მცხოვრებ ტომებს ჩრდილო-კავკასიური ეპოსის შექმნაში.

ჩვენთვის სრულიად გაუგებარია, რატომ და როგორ უარყოფენ აფსუა მკვლევარები საქართველოს ისტორიულ მხარეში, აფხაზეთში, XVII საუკუნეში მათი წინაპრების ჩამოსახლებას, როცა ამის შესახებ უამრავი ცნობა მოგვრევიათ იტალიელ მისიონერებს, თუ სხვა ავტორებს.

მაგ. ჯოვანი ჯულიანო დე ლუკა 1630 წელს წერს: „აფხაზებს არა აქვთ არავითარი დაწერილი კანონები და დამწერლობის გამოყენებაც არ იციან. მათ არა აქვთ სხვა საცხოვრებელი ადგილი, გარდა ტყისა, ამიტომ ჰყავთ მცირე რაოდენობის ჯოგი. აქვთ მცირე მასალა თავიანთი ტანისამოსის დასამზადებლად... ხორბალი მათთან არ მოდის, მარდის აქ არ ხმარობენ.“

არქანჯელო ლამბერტი: „აფხაზები ქალაქებსა და ციხეებში როდი ცხოვრობენ, არამედ შეიყრება ერთი გვარის ათი თუ ოცი ოჯახი, ამორჩევენ რომელსამე მადლობ ადგილს, გააშენებენ იქ კარგ, ისლით დაფარულ ფაცხებს, შემოაგლებენ ამ რჩეულ ადგილს მაგარ დობეს“ და ა. შ.

ეს ორი ამონაწერი საკმარისია იმის დასტურად, თუ რა შორს დგანან XVII საუკუნის აფხაზები, ანუ მთებიდან ახლად ჩამოსული აფსუები „აფხაზთა სამეფოს“ შემქმნელი, ნამდვილი, ქართველი აფხაზებისაგან.

თუ იმასაც დავუმატებთ, რომ ლამბერტის ცნობით, მე-17 საუკუნის აფხაზები თევზს არ ჭამენ და კბობები ეზიზღებათ, სრულიად ნათელი იქნება, თუ როგორი ათასწლეულების აბორიგენები არიან ისინი შავი ზღვისპირეთში.

ახლა აკად. ნ. ბერძენიშვილს მოვეუსმინოთ: „ისინი საკუთარ ისტორიას გაურბიან... აქვთ თუ არა ისტორიული გადმოცემები? თუ ესენი აფხაზების გენეტიკური მემკვიდრეები არიან, მათ ისტორიულ ფოლკლორში თამარი და სხვა ასეთები უნდა ჩანდნენ... ნართების ეპოსი მათ მთიელობაზე მიუთითებს“. (საქ. ისტორიის საკითხები, გვ. 618, 1990).

აფსუათა მთიელობასთან დაკავშირებით, ჩვენი აზრით, საინტერესოა ასეთი ფაქტიც: აღნიშნავენ, რომ სიტყვა „აფსა“ აფსუათა ენაზე ნიშნავს სოჭს. (განსხვავებით იმ აზრისაგან, რომ თითქოს „აფსნი“ ნიშნავდეს სულთა მხარეს) სოჭი კი მაღალმთის მერქნიანი ხე მცენარეა. სახელწოდებანი „აფსუა“ და „აფსნი“ ხომ არაა დაკავშირებული ხე მცენარესთან, სოჭთან, ანუ იმ ადგილის სახელწოდებასთან, საიდანაც მათი მიგრაცია ხდებოდა და რომელი ადგილიც ქართული ანალოგიის მიხედვით, ნიშნავს სოჭიანს, სოჭნარს (შეადარე ქართული მუხნარი, მუხიანი, მუხურა, სამუხე და მისთანა).

აკად. ნ. ბერძენიშვილის ზემოთ მოყვანილი აზრის შემდეგ პირდაპირ საოცარია ახალ-ახალი ზღაპრების თხზვა და წერა, რომლებშიც, ხალისით ითვისებენ ქართველთა კულტურასა და ისტორიას. მე თქვენ გეტყვით, ხელს შეუშლით ვინმე, თუ?

ასეთი არასწორი, გაუკუღმართებული ისტორიის წყალობით დაამკვიდრეს მიმოქცევაში გამოთქმები - „აფხაზურ-ადიღური ენები“, „აფხაზეთ-საქართველოს ურთიერთობა“, „აფხაზთა და ქართველთა ურთიერთობა“ და სხვა მრავალი, რომელნიც მრუდე სარკეში ასახავენ მოვლენებს და ისტორიული თვალთახედვით გაუმართლეს ბელია.

რაკი თანამედროვე აფხაზი სხვა და ისტორიული სხვა, რაკი გარკვეულ ეტაპზე აფხაზეთი მთელ საქართველოსაც ნიშნავდა, ხოლო აფხაზი ზოგადად ქართველს, განა, თავისთავად ცხადი არაა, რომ ისტორიულ ასპექტში ზემოხსენებული გამოთქმები აზრს კარგავენ, რადგან, როგორ შეიძლება ვილაპარაკოთ „საქართველო-საქართველოს“, ან „ქართველთა და ქართველთა“ ურთიერთობაზე.

მკითხველის პოზიციიდან გამომდინარე, არსებული უამრავი ისტორიული წყაროდან და ფაქტიდან, ალბათ, ასეთი დასკვნები უნდა გაეკეთოთ:

მეოცე საუკუნემდე ქართულიდან განსხვავებული ფენომენის, - „აფხაზური კულტურის“, როგორც ასეთის არსებობა ისტორიულად არ დასტურდება.

თანამედროვე და ისტორიული აფხაზები ორი განსხვავებული ეთნიკური ჯგუფია და ალბათ, უმჯობესი იქნება, ხმარებაში შემოვიღოთ ასეთი ტერმინები - აფსუა აფხაზი და ქართველი აფხაზი.

აფხაზეთის მთელი ისტორია, როგორც ასეთი, მე-20 საუკუნემდე ქართველების, მათ შორის, ქართველ აფხაზთა კუთვნილებაა, რასაც ადასტურებს ქართული კულტურის ერთიანი ხაზი;



საბინინის „საქართველოს სამოთხიდან“. დედა ღვთისმშობელი ვაზის ჯვარს გადასცემს წმიდა ნინოს

აფსუები აფხაზეთში ძირითადად მე-16, მე-17 საუკუნეებში ჩამოდიოდნენ და თანდათანობით კულტურულად ქართველდებოდნენ თავიანთი ენის შენარჩუნებით. ამასთან, ხდებოდა ქართველების ასიმილაცია რუსეთის იმპერიული ძალების მიზანმიმართული პოლიტიკის წყალობით.

აფსუების პირვანდელი ნამდვილი სამშობლო ჩრდილო-აღმოსავლეთი კავკასიაა, კავკასიის-პირეთია.

აფშილები და აბაზგები (აფხაზები) ქართველური ტომებია;

„აფხაზთა სამეფო“ ქართულია და მისი შემქმნელი აფხაზები ქართველური ტომებია. ეს პრის ჭეშმარიტი ისტორია და მისი გაყალბების უფლება არავის აქვს.

ბიძინა თაგაძე

გადავარჩინოთ ქართული სული

გვესაუბრება მოსკოვის პირველი ქართული სკოლის

დირექტორი, ქალბატონი

დოდო კერესელიძე

ალბათ, ბევრს ეტყვის ქართველი კაცის გულს სიტყვები: — „მოსკოვის პირველი ქართული სკოლა...“ დიდი ხანია ველოდით ჩვენ მას, გვეჭირდებოდა და გვენატრებოდა... და აი, იგი გაიხსნა... არა ახლა, მაგრამ არც ისე დიდი ხნის წინ.

როგორ მოხდა ეს... ამის შესახებ თვით დოდო კერესელიძე გვიამბობს:


— ქართულ-რუსულ ურთიერთობებს საუკუნოვანი ტრადიცია აქვს. ამას, როგორც მოგეხსენებათ, ყველაზე მეტად, მწერლებმა და პოეტებმა ჩაუყარეს საფუძველი, მაგრამ დღემდეც კი, არცერთმა რუსმა მწერალმა არ იცის ქართული. ისინი თარგმნიან ბწკარედებით, ხშირად საინტერესოდაც, მაგრამ ეს ყოველივე ორი ავტორისა თუ საერთოდ, მწერლის ურთიერთ სიახლოვეზეა დამოკიდებული, რასაც მუდამ სიყვარული უდევს საფუძვლად. სიყვარული და, ცხადია, დიდი ქართული პოეზიისადმი ინტერესი. თავად ენა კი, მათ არ იციან. არც ცდილობენ, რომ იცოდნენ. ჩვენ კი, ვიცით რუსული... ჩვენ, სწორედ ენის საშუალებით შეგვიგრძენია თავისი სიღრმით და სიმშვენიერით პუშკინი, ტოლსტოი, ჩეხოვი, ახმატოვა, პასტერნაკი... ამას დიდი მნიშვნელობა აქვს და ერთ-ერთი მთავარი მიზეზი, როცა სკოლა იქმნებოდა, ესეც იყო. ცხადია, ეს ერთი მხარეა. მთავარი პრობლემა სხვაა... ამ ბავშვებიდან პოეტი ეგებ ერთი-ორი, ან არცერთი არ გამოვიდეს (მე ვლაპარაკობ იმ რუს ბავშვებზე, რომლებიც ჩვენთან სწავლობენ), მაგრამ ისინი პირველები იქნებიან, რომელნიც სკოლაში დაუფლებიან ქართულს და აქედან გამომდინარე, რამდენადმე მაინც, ენის სულის სიღრმეებში წვდომასაც შეძლებენ. ჩვენი სკოლა საფუძველს ჩაუყრის ქართულის სწავლებას რუს ბავშვებში. მით უმეტეს, რომ მათ ეს ძალიან მოსწონთ. გვაქვს იმედი, მომავალში უფრო გაძლიერდება და გაღრმავდება ეს პროცესი.

ხოლო, რაც შეეხება ჩვენს მთავარ საზრუნავს — ქართველი ბავშვების ქართულად აღზრდას, ეს, ვფიქრობ, კარგად ხორციელდება.

ღია გაკვეთილებზე რუს ბავშვებს ეკითხებიან, რა იციან საქართველოზე, თბილისზე... ქართველები ჰყვებიან მოსკოვის ღირშესანიშნაობებზე. ჩვენს ბავშვებს, უპირველეს ყოვლისა, საკუთარი ქვეყნის, დედაენის სიყვარულს ვასწავლით, მის ისტორიას, ხელოვნებას, საერთოდ, კულტურას. ასევე, სხვა ქვეყნების კულტურის სიყვარულსა და პატივისცემას...



მისი უწმიდესობა და უნეტარესობა ილია II
მოსკოვის ქართულ სკოლაში.
სურათზე მასთან ერთად აღბეჭდილია
ამ სკოლის დირექტორი დოდო კერესელიძე



ივერიის ღვთისმშობლის ტაძარი
მოსკოვის ქართულ სკოლაში



V-XI კლასების №2 კორპუსი
ნოვოსლობოდსკაიაზე

კითხვა: რუსი ბავშვები იოლად სწავლობენ ქართულს?

პასუხი: მათ ასაკში ენის სწავლა პრობლემა არ არის. ჩვენს სკოლაში ისეთი ბავშვებიც არიან, რომელნიც არა თუ სწავლობენ ქართულს, თვით ქართულ ჯგუფში სხედან. ეს იყო მათი და, ცხადია, მათი მშობლების სურვილი. საერთოდ კი, ყველა მსურველს შეუძლია ქართულის შესწავლა. ამისთვის სპეციალურ, დამატებით გაკვეთილებს ვატარებთ.

კითხვა: რა უდევს საფუძვლად ასეთ ერთობლივ სწავლებას?

პასუხი: უპირველეს ყოვლისა, სულიერება. ჩვენ მართლმადიდებლები ვართ. ჩვენ გვაერთიანებს ერთი სარწმუნოება. ეს ბევრს ნიშნავს... უნდა ნიშნავდეს ბევრს. ამის დავიწყება არ შეიძლება. ჩვენი ბავშვები XXI საუკუნის მოქალაქეები უნდა იყვნენ. მათ მომავალს უნდა გადასცენ ყოველივე, რაც მართლმადიდებლობის ერთგულებაში გამოიხატება. ჩვენი ასაკის ადამიანები სულიერების მხრით ცოტა ჩამოვრჩებით, დავშორდით ეკლესიას. რაც გვჭირს, ყველაფერი ურწმუნოებამ გვიქნა. მომავლის ადამიანებისათვის ეს დაუშვებელია. და აი, სკოლის ტერიტორიაზე ჩვენ ავაშენეთ პატარა ეკლესია. თვითონ ავაშენეთ და მივიღეთ ნაბართვა სათანადო ორგანოებიდან. სახსრებიც თვითონ მოვებნეთ. 26 ოქტომბერს, ივერიის ღვთისმშობლის ხსენების დღეს, გავხსნით ეკლესია. იგი ივერიის ღვთისმშობლის სახელობისაა. შედგა საზეიმო წირვა. ეკლესიას გარედან ამშვენებს ქართველი ოსტატის ხელით ქვაზე ამოჭრილი ხატი დედა ღვთისმშობლისა და ლოცვა ქართულ და რუსულ ენებზე.

გვაქვს წიგნი, სადაც აღირიცხება იმ ადამიანთა გვარები, რომელთაც შემოწირულობები გაიღეს მის ასაშენებლად. ჩვენ ამ წიგნს მომდევნო თაობებს დავუტოვებთ.

კითხვა: თქვენ ბავშვობიდანვე მორწმუნე ბრძანდებით?

პასუხი: ბავშვობიდანვე. ასე გამზარდა დედამ. ეს არ იყო მოდის ხარკი. როცა მე პატარა ვიყავი, 3-4 წლისა, მცხეთის მახლობლად ჩემმა მშობლებმა ააშენეს აგარაკი. როცა სახლი მზად იყო, დედამ მოიწვია სვეტიცხოვლის მოძღვარი და სთხოვა სახლის კურთხევა. მის კედლებს ახლაც აჩნია მოძღვრის ხელით ნახატი ჯვრები. მახსოვს, დედამ მოიყვანა მონაზვნები. შეაკერინა ლეიბები და საბნები. კურთხევის შემდეგ დედამ გვითხრა: ვერაფერია მტრის ძალა ვერ წაგვაქცევს. ჩვენი სახლ-კარი უფრო და უფრო გამაგრდებაო. ეს სიტყვები სამუდამოდ ჩარჩენილი მქონდა გულში და როდესაც რუსეთში ჯერ ქართული ბაღის, ხოლო შემდეგ სკოლის გახსნა განვიზრახე, უწმიდესთან ჩამოვედი და ლოცვა-კურთხევა ვთხოვე. ძალიან გაეხარდა. მითხრა, მღვდელს და მგალობლებს გამოგიგზავნით, რომ მეტი მადლი მოეცხოს თქვენს კედლებსო. მართლაც, სულ მალე თავის მგალობლებთან ერთად გვეწვია მამა დავითი. დღეს იგი უკვე მეუფე დანიელია და თითქმის ყოველ 14 სექტემბერს ჩამოდის. აღარ ვშორდებით ერთმანეთს. ეს ეკლესიურად ხომ ახალი წელია. თან სწავლაც ამ დღეს იწყება. ნათლავენ ბავშვებს, აკურთხებენ შენობას... ეს უკვე ტრადიციაა.

კითხვა: როგორც ჩანს, ეს ყველაფერი მართლა ღვთის ნებით მოხდა. სხვანაირად ძნელი დასაჯერებელია, რომ მოსკოვში არსებობს ქართული სკოლა და რომ იგი თითქმის სულ ახლახან გაიხსნა. სასურველი იქნებოდა, თუ უფრო ვრცლად გვიამბობდით ამის შესახებ... და კიდევ... თქვენ მოწოდებით

პედაგოგი ბრძანდებით, ეს დიდად საპატიოა. ბევრ პედაგოგზე, სამწუხაროდ, ვერ იტყვი ამას. თქვენ შთაგონებით სავსე ხართ, არ ილღებით, არ ისვენებთ. თქვენი მთავარი საზრუნავი – ეს ბავშვებია. ასეთია პირველივე შთაბეჭდილება, თქვენთან შეხვედრის დროს რომ უჩნდება ადამიანს. როგორ დაიწყო თქვენი პედაგოგიური მოღვაწეობა?

პასუხი: მოხდა ისე, რომ 32 წლის წინ, მეუღლესთან ერთად მოსკოვში მომიწია ჩასვლა. ჩემი პირველი შვილი სამი წლისა რომ შეიქნა, მოვინდომე მისი ბაღში მიყვანა. ვერ მოხერხდა. რიგში დამაყენეს. რიგი კი სამი წლის შემდეგ მომიწევდა, როცა ბავშვს ბაღი კი არა, უკვე სკოლა დასჭირდებოდა. ამასობაში ერთ-ერთ ბაღში მუსიკის მასწავლებლად მიმიწვიეს. მალე გამიჩნდა მეორე შვილიც. თანდათან ბაღის გამგედ გადამიყვანეს და ჩემი შვილებიც, ცხადია, ჩემთან მყავდნენ. 1988 წელს კი, დიდი მოწადინების შედეგად, როგორც იქნა, გავხსენი პირველი ქართული ბაღი მოსკოვში. მე ვამაყობ ამით. ეს იდეა ჩამაგონა მამაჩემმა. მას დიდად აწუხებდა, რომ მისი შვილიშვილები ქართულად არ იზრდებოდნენ; ის, რომ სახლში მხოლოდ ქართულად ვლაპარაკობდით, ცხადია, არ კმაროდა. გამუდმებით მწერდა და მწერდა. ნუთუ თქვენ ეს არ გაწუხებთო და ბოლოს და ბოლოს, მეც შევწუხდი.

ბაღში, სადაც ვმუშაობდი, რამდენიმე ქართველი ბავშვი გვყავდა. მათთვის გავხსენით ფსკულტატივი. ეს საინტერესო და სასარგებლო გამოდგა მშობლებისათვის, განსაკუთრებით არაქართველი დედებისთვის. მანამდე ბავშვებმა ერთი სიტყვაც კი არ იცოდნენ ქართული. მალე სხვადასხვა რაიონებიდანაც დაიწყეს მათი მოყვანა. რიცხვი თანდათან იზრდებოდა. ყველას უხაროდა. და აი, მოგროვდა 17 ბავშვი. ამის შემდეგ ნამდვილად გადავწყვიტე შემექმნა ქართული ჯგუფი. ეს უკვე სერიოზული საქმე იყო. დამხმარე ცოტა მყავდა. პირიქით, ხელსაც მიშლიდნენ. ამან კონფლიქტი არ გამოიწვიოსო, მეუბნებოდნენ, არც ნებართვას მოგცემენო... მაგრამ ნებართვაც მივიღე და ჯგუფიც გავხსენი. ბევრი შრომა მოითხოვა ყოველივე ამან. დამჭირდა მეთოდის შემუშავება. სასწრაფოდ ჩამოვედი თბილისში. აქ ყველა დიდი სიხარულით შემხვდა და დიდადაც დამეხმარნენ.

თქვენ წარმოიდგინეთ, ქართული წარმოშობის ბავშვები, რომლებიც იზრდებიან მოსკოვში, კარგავენ დედაენას, საკუთარ კულტურას, ისტორიის ცოდნას, წინაპართა გმირული წარსულით სიამაყის გრძნობას... ეს ხომ მართლა სამწუხაროა. ადამიანი უნდა იცნობდეს საკუთარ ფესვებს. იგი ამ ფესვებზე უნდა იდგეს.

თბილისში მომამარაგეს სათანადო ლიტერატურით და შემპირდნენ მუდმივ დახმარებას.

ადრეც გითხარით, ვიყავი მის უწმიდესობასთან. ყველაფერი მოვუყვი. უსაზღვროდ გაეხარდა. მივიღე მისი ლოცვა-კურთხევა და დავიწყეთ მუშაობა. ყველაფერი შესანიშნავად წარიმართა. დიდი იყო ჩვენი სიხარული. არაფერი აღარ გვლლიდა. და მაინც, ყველა კითხულობდა, შემდეგ, შემდეგ რაღა ვქნათო... შემდეგ გავხსენით კლასს მეთქი, ვპასუხობდი. შედეგი სასურველი აღმოჩნდა. ბოლოს, მართლა გავხსენით ქართული კლასი.

პედაგოგები მოვიწვიე თბილისიდან. დღესდღეობით უკვე გვყვანან ქართული და რუსული ჯგუფები. აქ ქართველი პედაგოგებია, იქ – რუსები.

ხშირად ერთობლივი გაკვეთილებიც ტარდება. კლასი ქართულია. რუსულად კი მოსამზადებელი ჯგუფებია. შემდეგ ისინი მოსკოვის სხვადასხვა სკოლებში გადაჰყავთ.

განზრახული გვაქვს სასკოლო შენობაზე მეოთხე სართულის დაშენება. გვაქვს იმედი.

რაც შეეხება მომდევნო კლასებს, ეს პრობლემაც მოგვარებულია. მოსკოვის მერიამ მთლიანად დაგვითმო ერთ-ერთი სკოლის შენობა ქალაქის ცენტრში, ჩვენგან არც ისე შორს.

ამჯერად, საბავშვო ბაღი და დაწყებითი კლასები დარჩა ძველ არბატზე, მომდევნო კლასები ახალ შენობაში გადავიდნენ, სადაც ბავშვები სრულ საშუალო განათლებას იღებენ. პედაგოგები, ცხადია, ქართველები არიან. ეს ძირითადად ის ინტელიგენციაა, რომელიც სხვადასხვა სამეცნიერო საბუღალროებზე იმყოფება და ამავდროულად, რუსეთის სამეცნიერო პოტენციალს წარმოადგენს. ყველა ისინი უდიდესი პასუხისმგებლობითა და სიხარულით მოდიან ჩვენთან.

კითხვა: ძირითადად რა საგნებს ასწავლით?

პასუხი: სწავლება ძირითადად ქართულ ენაზეა. საბავშვო ბაღიდან ვასწავლით რუსულსა და ინგლისურს, მეოთხე კლასიდან – ესპანურს.

ვასწავლით, ქართულ ენასა და ლიტერატურას, როგორც ახალს, ისე ძველს, რელიგიის ისტორიას, საქართველოსა და რუსეთის ხელოვნებას, რიტმიკას, გვაქვს კომპიუტერული კლასი. დაწყებით კლასებში ბავშვები სწავლობენ ჭადრაკს, მომდევნო კლასებში კი ხდება მათი შერჩევა. გვყვანან მწვრთნელები.

ჩვენი სკოლა ჰუმანიტარული მიმართულებისაა.

ვასწავლით თეატრის ისტორიას. ალბათ, მნიშვნელოვანი ფაქტია, რომ ჩვენ რუსეთში გავხსენით პირველი ქართული საბავშვო თეატრი. გვყავს ქორეოგრაფიული და ვოკალურ-ინსტრუმენტული ანსამბლები. მრავალი ფესტივალის ლაურეატები ვართ. გვაქვს სამხატვრო სტუდია, ვატარებთ გიტარის გაკვეთილებსაც. გასულ სასწავლო წელს, გავხსენით მუსიკალური სკოლა – ზაქარია ფალიაშვილის სახელობისა.

მუშაობს ინფორმატიკის კურსები.

მოქმედებს უახლესი მოდელების სტუდია – „ტოპ-ტოპ“, სადაც 5-დან 10 წლამდე ბავშვები მუშაობენ, როგორც ახალი მოდის შექმნაზე, ასევე მის დემონსტრირებაზე – „გაზაფხული-ზაფხული“ და „შემოდგომა-ზამთარი“. ამით ისინი იღრმავებენ მხატვრულ-ესთეტიკურ გემოვნებას. ძალიან საინტერესოა.

გვაქვს საბავშვო ანსამბლი – „აბლი-ბაბლი“, სადაც 3-დან 6 წლამდე ასაკის ბავშვები არიან.

უფრო მოზრდილებისთვისაც მოქმედებს ვოკალურ-ჯაზური კვარტეტი „გეორგია“ და საბავშვო-საესტრადო ვოკალური ანსამბლი – „დო-დო“.

არსებობს ენის შემსწავლელი კურსები – რუსულის, ინგლისურის, გერმანულის, ესპანურის.

ფუნქციონირებს ქართული და სამეჯლისო ცეკვების სტუდიები.

ორი კომპოზიტორი მუშაობს ჩვენთან: რევაზ ჩირინაშვილი და ვახტანგ გორდაძე. ასევე განსწავლეს გვაქვს საკვირაო სკოლა.

გვაქვს გეგმებიც... ძალიან მინდა ჩვენთანვე არსებულ ბაზაზე შევქმნა კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრი. უკვე სახელიც მოვუძებნე: „არბატული ივერია“.

გვეჩქარება დავასრულოთ სამლოცველო, სკოლის ახალი კორპუსის მშენებლობა. სარდაფში გვინდა მოვაწყოთ სახელოსნოები. ვეძებთ ადამიანებს, რომლებიც ხელს გაგვიმართავენ.

ასევე, ჩვენი დიდი მიზანია, უმაღლესი სასწავლებლის გახსნა. ვნახოთ... ღვთის შეწევნით, ამის იმედიც გვაქვს.

კითხვა: ღმერთმა ხელი მოგიმართოთ. ჩვენს დღევანდელ ურთულეს ყოფიერებაში, ჩვენი ქვეყნისათვის ყველამ ის უნდა გავაკეთოთ, რაც შეგვიძლია. უნდა წავეხმართ ერთმანეთს. სხვანაირად დიდხანს გაგვიჭირდება. ყოველივე, რაც საქართველოში მოხდა და რაც დღეს ხდება, ალბათ, თქვენც მრავალ დაბრკოლებას გიქმნით...

პასუხი: დიახ. ბევრი ლტოლვილია დღეს მოსკოვში. სწორედ მათი გულისათვის გარდაუვალი შეიქნა უფროსი კლასების გახსნა. მოსკოველებიც დაგვეხმარნენ და ღვთის შეწევნით, მათი ბავშვები დღეს ქართულად იზრდებიან. როცა ისინი საშობლოში დაბრუნდებიან, ჩვენი დიდი ნატვრით, ისეთივე ქართველები იქნებიან, როგორებიც საკუთარ მიწაზე იქნებოდნენ. ჩვენი მთავარი მიზანია, გადავარჩინოთ და აღვზარდოთ მათში ქართული სული. ეს მთავარია, ეს აუცილებელია. ეს თაობა ჯანსაღი და სულით ნათელი უნდა იყოს, ისეთი, როგორიც ჭირდება XXI საუკუნის საქართველოს.

კიდევ ბევრი რამის თქმა შეიძლებოდა, მაგრამ ერთს გეტყვი: როცა საბავშვო ბაღის პირველი ჯგუფი გავხსენით, გვყავდა დაახლოებით 30 ბავშვი, რომელთაც ან დედა ჰყავდათ რუსი და ან მამა. ბავშვებმა ქართული არ იცოდნენ. ზაფხული გატარებული ჰქონდათ საქართველოში თავიანთ ქართველ ბებია-ბაბუებთან. მაგრამ მათთან კონტაქტი უჭირდათ, რამაც ოჯახებს ძალიან ხშირად, სერიოზული საფრთხე შეუქმნა. ჩვენმა სკოლამ კი ეს პრობლემა გადაჭრა. ერთი წლის თავზე ყველა ბავშვი ქართულად ლაპარაკობდა და მომდევნო ზაფხულს თავიანთ ბებია-ბაბუებს ქართულად მოლაპარაკე შეილიშვილები დაუბრუნდნენ.

ეს ბავშვები, ისევ და ისევ მინდა ვთქვა, ცხადია, ჩვენი შრომით, მაგრამ უპირველეს ყოვლისა, ღვთის წყალობითა და უწმიდესის ლოცვა-კურთხევით იზრდებიან. ღვთის ნების გარეშე არაფერი ხდება.

როცა ეკლესია გავხსენით, უწმიდესმა გამოგვიგზავნა წმიდა ნაწილები და მღვდელი გიორგი კერესელიძე. ეკლესია აღდგომის დღეებში გაიხსნა. მას შემდეგ მამა გიორგი დრო და დრო, საეკლესიო დღესასწაულების დროს ჩამოდიოდა ხოლმე. ახლა კი, მადლობა უფალს, მალე საკუთარი მოძღვარი გვეყოლება. ეს უკვე აუცილებელია. წირვის დროს სხვა სკოლის რუსი ბავშვებიც მოდიან ხოლმე და ზიარებასა და ლოცვა-კურთხევას იღებენ. მათ ეს ძალიან მოსწონთ და თავიანთი აღტაცება არაერთხელ გამოხატეს მისი უწმიდესობისადმი მიწერილ წერილებში. ასევე წერილები მისწერეს მათ პატრიარქ ალექსი II-საც.

კითხვა: ეს ყოველივე, რაც თქვენგან მოვისმინე და გავიგე, ნამდვილად ამდლეკვებელი და მშვენიერია. გმირობის ტოლფასია. მესმის, რა დიდი შრომაა მასში ჩატეული. უღრმესი მადლობის გრძნობით ვარ აღსავსე.

და მაინც... როგორია თქვენი საბოლოო სიტყვა... რით დავამთავროთ ეს ჩვენი პატარა საუბარი. როგორ ჩამოაყალიბებდით თქვენს სამომავლო გეგმებს... როგორია თქვენი მთავარი მიზანი...

პასუხი: ჩვენი მთავარი მიზანია, ეს ბავშვები, რომელნიც ჩვენთან სწავლობენ, საბოლოოდ უსათუოდ სამშობლოში დაბრუნდნენ. ასეთია მისი უწმიდესობის ლოცვა-კურთხევა. აქვე მინდა ვთქვა, რომ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის უნივერსიტეტის რექტორმა, აკადემიკოსმა როინ მეტრეველმა ჩვენთან დასდო ხელშეკრულება, რომ ამ ბავშვებს (ცხადია, მათ, ვისაც ამის სურვილი ექნება) კონკურსგარეშე მიიღებენ მათთვის სასურველ ფაკულტეტზე. დღეისათვის უნივერსიტეტში უკვე რამდენიმე ათეული ჩვენი სკოლადამთავრებული ბავშვი სწავლობს.

გვაქვს იმედი, რომ სხვა უმაღლესი სასწავლებლებიც გამოგვეხმაურებიან. ეს ეროვნული საქმეა.

ჩვენი ყოველი დღე იწყება ლოცვით... მადლობა უფალს ყველაფრისათვის...

და მართლაც... მადლობა უფალს ყველაფრისათვის.

ესაუბრა თინათინ კობალაძე

აღსდევინ ღმერთი და, განიბნინენ ყოველნი მტერნი მისნი, და ივლტოდენ მოძულენი მისნი პირისა მისისაგან. ვითარცა მოაკლდეს კვამლსა მოაკლდენ, და ვითარცა ცვილი რა დასდნის წინაშე ცეცხლსა, ეგრეთ წარსწყმდენ ეშმაკნი პირისაგან მათისა, რომელთა უყვარსთ ღმერთი და გამოისახავენ პირ-ჯვარსა და სიხარულით იტყვიან: გიხაროდენ ყოვლად პატიოსანო და ცხოველსმყოფელო ჯვარო უფლისაო, განმდევნელო ეშმაკთა შენზედა ჯვარცმულისა ძალითა, უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესითა, ჯოჯოხეთსა შინა შთასვლითა ეშმაკისა ძალისა დამორგუნველისა, რომელმანცა მოგვანიჭა ჩვენ ჯვარი მისი ყოვლად პატიოსანი, განსადევნელად ყოველთა წინააღმდეგომთა ძალითა.

ჰოი, ყოვლადპატიოსანო და ცხოველსმყოფელო ჯვარო უფლისაო! შეგვეწიე ჩვენ ყოვლად წმიდისა ქალწულისა ღვთისმშობელისა, და ყოველთა წმიდათა თანა უკუნისამდე, ამინ!

უფალო, დაგვიფარე ჩვენ ძალითა წმიდისა ცხოველსმყოფელისა, ძლევა-შემოსილისა ჯვარისა შენისაითა და გვიხსენ ჩვენ ყოვლისა ბოროტისაგან.

კენის თარეში ქართულ სულზე

დიდმა ივანემ გვიანდერძა: – „ხალხმა იცოდეს უტყუარი, ჭეშმარიტი ისტორია და არა გაზვიადებული, ყალბი“.

საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის დამოუკიდებლობა რუსეთის ცარისტულმა მთავრობამ 1811 წლის ივნისისა და 1815 წლის მაისის კანონებით სრულიად გააუქმა. ჩვენი ეროვნული ეკლესია რუსეთის ეკლესიის შემადგენლობაში შევიდა.

შოინისტი რუსი ეგზარქოსები ახორციელებდნენ ცარიზმის რუსიფიკატორულ პოლიტიკას, რომელიც როგორც საეკლესიო, ისე საერო პირების, მთელი საქართველოს საზოგადოების აღშფოთებას იწვევდა. საპროტესტო მოძრაობას სათავეში ედგა ილია ჭავჭავაძე – ილია მართალი, მთელი XIX საუკუნე და XX საუკუნის ოციან წლებამდე გრძელდებოდა საქართველოს ეკლესიის დამოუკიდებლობისათვის ბრძოლა.

1917 წლის თებერვლის ბურჟუაზიული რევოლუციის შემდეგ, 1917 წლის 12 მარტს მცხეთის, სვეტიცხოვლის ტაძარში საზეიმოდ გამოცხადდა ქართული ეკლესიის ავტოკეფალია.

უნდა შევნიშნოთ, რომ რუსეთის ეკლესიის მესვეურნი საქართველოს ეკლესიის დამოუკიდებლობის ცნობას ძლიერ აჭიანურებდნენ და საბოლოოდ მხოლოდ 1943 წელს ცნეს იგი.

მდგომარეობა არსებითად შეიცვალა მას შემდეგ, როდესაც რუსეთის წითელმა არმიამ საქართველოს ოკუპაცია და ფაქტიური ანექსია მოახდინა.

ბოლშევიკები თავიანთ მოქმედებაში ემყარებოდნენ მარქსის თეზისს, რომ რელიგია ხალხის ოპიუმი. ეს თეზისი განავითარა ლენინმა. მან პარტიას მიზნად დაუსახა შეურიგებლად ებრძოლა რელიგიის წინააღმდეგ, ებრძოლა მის საბოლოო განადგურებამდე.

რუსეთის კომუნისტური პარტიის VIII ყრილობამ 1919 წლის მარტში მიიღო პარტიის მეორე პროგრამა, რომელიც თითოეული კომუნისტისაგან მოითხოვდა ათეისტობას და აქტიურ ანტირელიგიურ პროპაგანდას. ლენინის წინადადებით, კომუნისტური პარტიიდან გაირიცხებოდა ყველა ის პირი, ვინც არ გაწყვეტდა ეკლესიასთან კავშირს. საქართველოში კომუნისტების მიერ ძალაუფლების დაპყრობის პირველი თვეებიდანვე შეუტყეს რელიგიას, მართლმადიდებლურ ეკლესიას, მრევლსა და ბერს. ეს შეტევა რეპრესიულ, ბარბაროსულ ხასიათს ატარებდა.

საქართველოს რევოლუციურმა კომიტეტმა 1921 წლის 15 აპრილს გამოსცა დეკრეტი „სახელმწიფოსაგან ეკლესიისა და ეკლესიისაგან სკოლის გამოყოფის შესახებ“.

ამ დეკრეტით რელიგია გამოცხადდა მოქალაქეთა პირად საქმედ; ეკლესია ცხადდებოდა სახელმწიფოსაგან, ხოლო სკოლა ეკლესიიდან გამოყოფილად. დეკრეტით აიკრძალა საღვთო სჯულის სწავლება ყველა სახის სკოლაში. ამასთან ერთად უქმდებოდა რელიგიური ჯვრისწერაც.

საქართველოს კ. კპარტიის მითითებით, მთავრობამ მიიღო დეკრეტი, რომლითაც საეკლესიო უძრავი და მოძრავი ქონება სახელმწიფოს ხელში გადადიოდა

უსასყობლოდ – კონფისკაციის წესით. რაც შეეხებოდა რელიგიურ რიტუალებს, ან დღესასწაულების ჩატარებას, მნიშვნელოვნად იზღუდებოდა, რაც ტაქტიკურად აკრძალვას ნიშნავდა.

დეკრეტით პარტიულ, საბჭოთა კომკავშირულ ორგანოებს უფლება ეძლეოდათ თავიანთი შეხედულებისამებრ გამოეყენებინათ საეკლესიო ქონება და ინვენტარი.

ანტირელიგიური ღონისძიებების გატარებაში დიდ ინტერესს იჩენდნენ კომუნისტები, კომკავშირელები და სხვა ორგანიზაციების წარმომადგენლები.

პირველ ხანებში ჩატარდა რელიგიის მსახურთა შეურაცხმყოფელი ღონისძიებები. კერძოდ, ახალგაზრდული ორგანიზაციების ინიციატივით და მათი უშუალო ხელმძღვანელობით ეწყობოდა კულტის მსახურთა „გაკრეჭვის“, სასწაულთმოქმედი ხატებისა და „წმიდა ნაწილების“ მოსპობა-განადგურება. ასეთი ღონისძიების დროს ეკლესიის მსახურებს აიძულებდნენ უარი ეთქვათ თავიანთ მდგომარეობაზე, უარი ეთქვათ სარწმუნოებაზე.

მათი მხილებისათვის ეწყობოდა დისკუტები, სასამართლო პროცესებიც კი, მაგალითად ონში, ქუთაისში და ა. შ. მაგრამ ამ ფორმებმა ფართო გავრცელება ვერ მიიღო.

საქართველოს ეკლესიის მოღვაწენი ვერ ურიგდებოდნენ ქვეყნის ოკუპაციის შედეგად შექმნილ ვითარებას. ისინი, როგორც არალეგალურად, ისე ლეგალურად მონაწილეობდნენ ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში, თანაუგრძნობდნენ და ეხმარებოდნენ ამ მოძრაობის მონაწილეებს.

1922 წელს კათოლიკოს-პატრიარქმა ამბროსიმ (ხელაიამ), მიტროპოლიტმა ნაზარიმ (ლეჟავამ), მიტროპოლიტმა ნიკოლოზმა (ჯაფარიძემ), მღვდლებმა კალისტრატემ (ცინცაძემ), მარკოზმა (ტყემალაძემ), იოსებმა (მირიანაშვილმა) და სხვებმა საეკლესიო საბჭოსა და ქართველი ხალხის სახელით, შეადგინეს მემორანდუმი და გაუგზავნეს გენუის კონფერენციას (იხ. „ჯვარი ვაზისა“ №1, 1997 წ. რედ.). ისინი მიმართავდნენ კონფერენციას, ჩარეულიყო საქართველოს საქმეებში, მიეღწია საქართველოდან საოკუპაციო ჯარების გაყვანის, ეკლესიისა და დემოკრატიული რესპუბლიკის აღდგენისა და საქართველოში რეფერენდუმის ჩატარებისათვის.

გენუის კონფერენციაზე 1922 წლის აპრილში ჩვენ მხარს გვიჭერდა საფრანგეთის დელეგაცია, მაგრამ საბჭოთა რუსეთის წარმომადგენლობამ გ. ჩიჩერინის – რსფსრ საგარეო საქმეთა კომისრის მეთაურობით კატეგორიულად მოითხოვა კონფერენციას არ განეხილა საქართველოს ეკლესიის კანონიერი მოთხოვნა. კონფერენციაზე არ დაუშვეს პარიზიდან ჩამოსული საქართველოს დელეგაცია, არაფრად არ ჩააგდეს, რომ ამ პერიოდში საქართველოში სვანეთისა და ხევსურეთის რეგიონებში შეიარაღებული აჯანყება მიმდინარეობდა.

გენუის კონფერენცია საქართველოს ამ ტრაგედიის სიტყვიერი აღიარებით დაკმაყოფილდა და არავითარი პოლიტიკური ნაბიჯი არ გადადგა დასახმარებლად. ამრიგად, ქართველი ხალხის ეს ცდაც მარცხით დამთავრდა.

გენუის კონფერენციაზე გაგზავნილი მემორანდუმის გამო საქართველოს მთავრობამ გადაწყვიტა სასამართლო პროცესი მოეწყო. მიუხედავად იმ ცილისწამებისა, რაც იმდროინდელ პრესაში გაიშალა მემორანდუმის შემდეგნელებისა და პირველ რიგში, საქართველოს ეკლესიის მეთაურის – ამბროსის წინააღმდეგ, მისი ავტორიტეტი უფრო გაიზარდა ჭეშმარიტ ქართველთა თვალში. სამარცხვინო სასამართლო პროცესმა, ამბროსისა და მის თანამებრძოლებს სხვადასხვა ვადით პატიმრობა მიუსაჯა 1924 წლის 19 მარტს. ამბროსის პატიმრობა 7 წლითა და 9 თვით განუსაზღვრეს.

რელიგიის მსახურთა წინააღმდეგ რეპრესიები და ტერორი ძლიერდებოდა.

ამ საქმეში ხშირად აქტიურობდნენ კომკავშირლები. მათი ინიციატივით და ფართო მონაწილეობით იმ პერიოდში ტარდებოდა ეგრეთწოდებული „კომკავშირული შობა“, „კომკავშირული აღდგომა“, „კომკავშირული ნათლობა“ და ა. შ.

1923 წლის იანვარში, თბილისში პირველად მოაწვეეს „კომკავშირული შობა“, ხოლო მოგვიანებით კი „კომკავშირული აღდგომა“. იგი მორწმუნეთა გრძნობებსა და ემოციებზე მეტად უარყოფითად მოქმედებდა, ძალზე გამაღიზიანებელი იყო, პრიმიტიულ სახეს ატარებდა და მომავალი არ ეწერა.

ამ და სხვა კარნავალებმა, პერიფერიებში ერთეული შემთხვევის გარდა, ფართო გავრცელება ვერ მიიღო. იგი ისტორიაში შევიდა, როგორც ადამიანთა წმიდათაწმიდა გრძნობების მიმართ ცინიზმის უბადრუკი გამოვლინება.

საერთო ეროვნული აღმფოთება გამოიწვია 1923 წლის თებერვალში, მოწამეთას მონასტერში მოთავსებული, მერვე საუკუნეში მურვან ყრუს მიერ ნაწამები მთავრების – დავითისა და კონსტანტინეს ნეშთების გახსნამ. ამით ამ აქციის ორგანიზატორებს სურდათ ხალხისათვის დაემტკიცებიათ, რომ არაფერს არ წარმოადგენდა წმიდანთა – ამ შემთხვევაში, დავითისა და კონსტანტინეს ძვლები. ეს ყოველივე შემზარავი იყო. ხალხი გულისწყრომას ვერ ფარავდა. მხოლოდ მას შემდეგ, რაც საქართველოს მთავრობა ჩაერია, შეწყდა ეს კანიბალური ქმედებები.

ასეთი რამაც ხდებოდა: ზოგიერთ მაზრაში პარტიული და კომკავშირული აქტივისტები შეკრებდნენ ხალხს და მათი თანდასწრებით ანადგურებდნენ საეკლესიო ძეგლებს და წმიდათაწმიდა ნივთებს, ხოლო მორწმუნეებს ფიზიკური ანგარიშ-სწორებით, დამცირებით და ზოგჯერ დახვრეტითაც ემუქრებოდნენ.

1922-1923 წლებში საქართველოს ქალაქებსა და სოფლებში ადგილობრივი საბჭოთა და პარტიული ხელმძღვანელები ცენტრიდან მიღებული დირექტივების საფუძველზე აწყობდნენ კრებებსა და მიტინგებს და იქ თითქოს მათი ნებაყოფლობით სურვილით გამოჰქონდათ გადაწყვეტილებები ეკლესიების დახურვის, ან დანგრევის, ხოლო ზოგან ეკლესიასთან სასაფლაოს გაუქმების შესახებ (მაგალითად, სენაკის მაზრაში). ამან ფართო ხასიათი მიიღო.

ეკლესიების ძალდატანებით დახურვის დასაჩქარებლად შეჯიბრებაც კი მოაწვეეს ადგილობრივმა ვაიხელმძღვანელებმა. არასრული ცნობით იმ პერიოდში საქართველოში 1500-მდე ეკლესია იქნა დახურული, მარტო გურიაში – 200 ეკლესია.

კონკრეტული ცნობები მოტანილი აქვს ი. კვეკელიას წიგნში „XX საუკუნის 20-იანი წლების საქართველოს ისტორიის ფურცლები“ (იხ. გვ. 80-81): 1923 წლის აპრილისათვის თბილისის მაზრაში დახურეს 48 ეკლესია, ქუთაისში – 160, სენაკში – 148, ოზურგეთში – 130, რაჭაში – 117, ლეჩხუმში – 78, გორში – 78, ზუგდიდში – 75, სიღნაღში – 65, „სამხრეთ ოსეთში“ – 60 ეკლესია-მონასტერი.

ამ ღონისძიებათა გამტარებლები ზემდგომ ორგანოებს მოახსენებდნენ, რომ ხალხი, გამოწკლისის გარდა, დიდი „აღფროთოვანებით“ ხურავდა ეკლესიებს. იმ პერიოდში კომუნისტები ძალით, ხალხის აზრის უგულებელყოფით, მორწმუნეთა დამცირების გზით ამკვიდრებდნენ ათეიზმს.

დახურულ ეკლესიებს სხვადასხვა სამეურნეო საჭიროებისათვის იყენებდნენ; ბევრგან ბევრ ეკლესიას უარესი ხვედრი ერგო – მათ ანგრევდნენ და აჩანაგებდნენ, ნანგრევებს კი საშენ მასალად იყენებდნენ.

ეკლესიების დახურვამ ხალხში გულისწყრომა გამოიწვია. საქართველოს იმდროინდელი ხელმძღვანელობა იძულებული იყო შეეჩერებია ეს უხეში პოლიტიკა

და გამოუშვა დადგენილება ეკლესიების დახურვისა და მათი აღდგენის წესის შესახებ.

ეკლესიები გაიხსნებოდა იმ შემთხვევაში, თუ მომთხოვნ მორწმუნეთა რაოდენობა 300 კაცზე ნაკლები არ იქნებოდა. ბუნებრივია, დაშინებული ხალხი თავს იკავებდა ოფიციალური დოკუმენტის შედგენისაგან. ამიტომაც დახურული ეკლესიების უმრავლესობა კვლავ ძველებურ მდგომარეობაში იყო. მხოლოდ ზოგიერთი გახსნეს, მაგრამ შემდეგ კვლავ დახურეს.

არ შეიძლება არ ითქვას, თუ რა სირცხვილი და უბედურება იქნებოდა, ჩვენი საუკუნის გონებადაბნელებულ ახალგაზრდობას (მის გარკვეულ ნაწილს) გელათის – ამ ხელთუქმნელი ტაძრის ხელყოფა რომ განეხორციელებინა. როგორც ერთ-ერთი დამსწრე იგონებს, 1924 წლის დასაწყისში – საქართველოში მობილიზებული იყო კომკავშირული ბრიგადები, რომლებსაც უნდა დაენგრიათ ეკლესიები, მაგრამ სანამ ისინი გელათის მონასტერს მიაღებოდნენ, ქუთაისლებმა გაიგეს; ფეხზე დადგა ქალი და კაცი, კეტებით, ჯოხებით გარს შემოერთყვნენ და არ მიუშვეს. თურმე არა თუ მარტო კედლების დანგრევა, დავით აღმაშენებლისა და სხვა მეფეთა საფლავებიდან ძვლების ამოყრაც ჰქონდათ განზრახული. სადამდე უნდა მისულიყო ადამიანთა აღშფოთება, ქართველი ერის სათაყვანებელი სახელების შეურაცხყოფა რომ მოევერიებინა (იხ. გაზეთი „სახალხო განათლება“, 1990 წლის 8 თებერვალი).

დანგრევა-გაჩანაგებასთან ერთად, ხდებოდა ეკლესია-მონასტრების ძარცვა. როგორ შეიძლება შეფასდეს იმდროინდელი პარტიული ხელმძღვანელების მოთხოვნა, რომ ქართული ეკლესიების – სიონის, ქაშუეთის, დიდუბის, პეტრე-პავლეს, ხარფუხის, ვერის, ასევე მცხეთის და სხვა ეკლესიებიდან გაეტანათ განძეულობა და რუსეთის დამშეული რაიონების მოსახლეობისთვის გაეგზავნათ. თუმცა ნაწილობრივ, მაგრამ მაინც... მხოლოდ კატეგორიულმა პროტესტმა იხსნა ეს ეკლესიები შემზარავი და სამარცხვინო ძარცვისაგან.

საქართველოს მთავრობამ 1923 წლის ნოემბერში მიიღო დადგენილება, რომლის თანახმად, დახურული ეკლესიების ქონებიდან ის განძეულობა, რომელსაც ისტორიული მნიშვნელობა ჰქონდა, უნდა გადაეცათ მუზეუმებისათვის. დანარჩენი საეკლესიო განძეული (ოქრო, ვერცხლი, ძვირფასი ქვები) გადაეცა ადგილობრივ ხელისუფლებას კულტურულ-საგანმანათლებლო საქმის მოსაგვარებლად.

სინამდვილეში ეკლესია-მონასტრებს ჩამოართვეს ძვირფასი განძეულობა, რომელსაც ყიდდნენ კერძო პირებზე. ასე ხდებოდა მასიურად. შესანიშნავი და უმდიდრესი, დიდი ისტორიული ღირებულების ქონება უთავბოლოდ და მიზანდასახულად განიავდა და უკვალოდ დაიკარგა. ასეთი მატერიალური და სულიერი ზიანი მიაყენეს ერს ათეიზმის ტლანქმა გამტარებლებმა.

საიდან მოდიოდა ყველაფერი ეს? რა თქმა უნდა, ცენტრიდან, თვით ლენინისაგან: ისტორიამ შემოინახა ლენინის წერილები. აი, რას წერდა 1922 წლის 10 ნოემბერს „მსოფლიო პროლეტარიატის დიდი მასწავლებელი“ ვ. მოლოტოვის: „განვახორციელოთ საეკლესიო განძეულობათა ამოღება ყველაზე გააფთრებული და დაუნდობელი ენერგიით, უკან არ დავიხიოთ ნებისმიერი წინააღმდეგობის ჩასახშობად... განძეულობათა ამოღება ყველაზე მდიდარი მონასტრებიდან და ეკლესიებიდან ჩატარდეს დაუნდობელი მოქმედებით. არაფერს მოვერიდოთ და ყოველივე ავასრულოთ უმოკლეს ვადაში. ამ საბაბით, რაც უფრო მეტ ბურჟუაზიისა და რეაქციული სამღვდელოების წარმომადგენელს დავხვრეტთ, მით უკეთესი“ (იხ. გაზეთი „ახალგაზრდა ივერიელი“, 1990 წლის 11 ნოემბერი).

კომენტარი არ ჭირდება ამ სიტყვებს. მას ინსტრუქციის სახით რომ მიიღებდნენ საქართველოს კომუნისტები, ისედაც გასაგებია, რა კარგ დღეს დააყრიდნენ ქართულ ეკლესიებსა და მათ მსახურებს.

რელიგიის მსახურთა წინააღმდეგ რეპრესიები და ტერორი გაძლიერდა 1924 წელს. ტლანქმა და უხეშმა ანტირელიგიურმა პოლიტიკამ საქართველოს ეკლესიის მსახურთა უკმაყოფილება გამოიწვია. ისინი მასობრივად ჩაებნენ ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში.

1924 წლის აგვისტოში აჯანყებულები მოითხოვდნენ სარწმუნოების თავისუფლებასაც.

აჯანყებაში განსაკუთრებით ოზურგეთის, ზუგდიდისა და სენაკის სამღვდელთა აქტიურობდა. მარტო სენაკის მაზრაში 60-მდე სამღვდელი პირი მონაწილეობდა. მათი დიდი ნაწილი აჯანყების ჩაქრობისას ბარბაროსულად დახვრიტეს ვაგონებში, ჭიათურის მისადგომებთან. უმკაცრესი რეპრესიები განხორციელდა სენაკისა და ზუგდიდის მაზრებში. სენაკში ა. გეგეჭკორის მითითებით 500 კაცი დახვრიტეს. ქუთაისიდან ფოთამდე აჯანყების კერებს სპობდა ი. ტალახაძის სამხედრო რაზმი.

დღემდე არ არის დადგენილი, აგვისტოს ტრაგედიამ რამდენი ათეული კულტის მსახური შეიწირა.

1924 წლის აგვისტოს აჯანყებიდან კომუნისტურმა პარტიამ გარკვეული დასკვნები გააკეთა. საქართველოს ცაკმა 21 ნოემბრის დადგენილებით გააუქმა ყველა ძველი ინსტრუქცია და დადგენილება რელიგიის საკითხებზე და მიიღო ახალი, მაგრამ ეს სრულიადაც არ ნიშნავდა მუშაობის შესუსტებას. „უდიდესი სიფრთხილით, უდიდესი წინდახედულობით, გამოცდილების გამოყენებით, ჩადენილი შეცდომების არდავიწყებით, პარტია განაგრძობდა ბრძოლას ღმერთის, ეკლესიების, მღვდლების, რელიგიური დღესასწაულების, ქელებების, „ცრუმორწმუნეობათა“ წინააღმდეგ მიზანშეწონილ დაუზოგავ“. (ჟურ. „სოფლის კომუნისტი“, 1925, №6, გვ. 19).

1921-1925 წლებში გაზეთები – „კომუნისტი“, „ზარია ვასტოკა“, „ახალგაზრდა კომუნისტი“, „ახალი სოფელი“, „ფუნარა“, „სოფლის კომუნისტი“ და ა. შ. სისტემატორად აქვეყნებდნენ, როგორც ორიგინალურ, ისე თარგმნილ ანტირელიგიურ სტატიებს, წერილებსა და კარიკატურებს.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე საქართველოში არსებობდა 1350 მართლმადიდებლური ეკლესია, 26 000 კულტის მსახური, 227 მთავარდიაკონი, 1706 მონასტერი 1388 ბერი, 6 ქალთა მონასტერი 280 მონაზვნით. (იხ. თ. ფანჯიკიძე, რელიგიის არსი და ათეიზმი, 1983, გვ. 138).

20-30-იან წლებში წარმოებულმა უსამართლო და არაკანონიერმა მოქმედებებმა, რაც მაშინ ლენინური თეორიის საფუძველზე კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით გატარდა, გამოიწვია ის, რომ საქართველოში 1300 ეკლესია დაიხურა, თუ დაინგრა. მოქმედ ეკლესიად დარჩა მხოლოდ 50.

კატასტროფულად მცირდებოდა კულტის მსახურთა რაოდენობა. 1917 წელს ეკლესიას ჰყავდა 1527 ბერი და 1700 მღვდელი, საბჭოთა ხელისუფლების პირველ წლებში მათი საერთო რაოდენობა 100-მდე შემცირდა (იხ. გაზეთი „ახალი საქართველო“, 1990 წლის 16 ნოემბერი, „დოკუმენტები მოგვითხრობენ“).

მიუხედავად ბოლშევიკების მიერ ათეიზმის ძალით დანერგვის ცდისა, უხეში ტერორისა და ცინიზმისა, როცა ქართველ ერს უბღალავდნენ წმიდათაწმიდა სარწმუნოების გრძ იბას, მან საბოლოოდ მაინც შეძლო შეენარჩუნებია სულის სიმწვე და სიმტკიცე.

კათოლიკოს-პატრიარქი კირიონი წერდა: „ჩვენმა ხალხმა საუკუნეების განმავლობაში შეინარჩუნა თავისი ქვეყნის თავისუფლება მხოლოდ მართლმადიდებლური რწმენის საშუალებით. თუ ისინი ლაპარაკობენ თავიანთ მშობლიურ ენაზე და არსებობენ, როგორც დამოუკიდებელი ხალხი... ამაში აუცილებლად თავიანთ მართლმადიდებლურ ეკლესიას უნდა უმაღლოდნენ“.

საბჭოთა ხელისუფლება ყველაფერს აკეთებდა, რათა ხალხს უარყო რელიგია, ქრისტიანული წმიდათაწმიდა რწმენა. მაგრამ ისტორიამ მწარედ დასცინა საქართველოს კომუნისტური პარტიის იმდროინდელი ხელმძღვანელის, მ. კახიანის სიტყვებს: „ეკლესიების დახურვა არ მიგვიყვანს რელიგიის მოსპობამდე. არამედ თვით რელიგიის მოსპობა და რელიგიური განწყობილების აღმოფხვრა მიგვიყვანს ეკლესიების სრულ და საბოლოო დახურვამდე, რადგან ისინი უკვე აღარავისთვის საჭირონი არ იქნებიან“ (იხ. გაზეთი „კომუნისტი“, 1924 წლის 30 ოქტომბერი).

დღეს რადიკალურად შეიცვალა რელიგიისადმი დამოკიდებულება, ხალხმა, განსაკუთრებით ახალგაზრდობამ, პირი იბრუნა რელიგიისაკენ, ქრისტიანული რწმენისაკენ.

ეროვნული მოძრაობა და ქართული ეკლესია ერთი ფრონტით გამოვიდა საქართველოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში.

ამ დიად კეთილშობილურ საქმეში დიდია საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ ილია II-ის ავტორიტეტი, როლი და დამსახურება. ისტორიული ფაქტია, რომ ილია II-მ პირადად განიცადა 1989 წლის 9 აპრილის ტრაგედიის მთელი სუსხი.

თუ 20-30-იან წლებში ეკლესია-მონასტრებს ძალით ხურავდნენ და ანგრევდნენ, სპობდნენ ხატებს და ხელოვნების რელიქვიებს, ახლა თვით ხალხმა, განსაკუთრებით ახალგაზრდობამ, იწყო მიტოვებული ეკლესიების რესტავრაცია-შენება.

კომუნისტური რეჟიმის პერიოდში ბევრი რელიგიური წიგნი აკრძალული იყო, დღეს ეს წიგნები მასობრივად გამოდის და ხალხიც კითხულობს მათ.

ასრულდა კათოლიკოს-პატრიარქ ამბროსის სიტყვები, როცა მას საბჭოთა სასამართლომ 1924 წლის 19 მარტს განაჩენი გამოუცხადა, ამ წმიდათაწმიდა მამამ საქართველოსამან თქვა: – „მწამს, სიმართლე გაიმარჯვებს“.

ჩვენი ვალია, შეულამაზებლად ვიცოდეთ საქართველოს მწარე წარსული. იგი მომავლის გაკვეთილია.

რთული და ძნელი გზა გველის საბოლოო დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში, მაგრამ მომავალი ჩვენია, როგორც იტყოდა დიდი ილია, ილია მართალი.

ბრიბოლ პაჭკორია

თსუ პროფესორი, საქართველოს უმაღლესი სკოლის დამსახურებული მუშაკი, ომისა და შრომის ვეტერანი

ზოგი რამ ახლო წარსულიდან

საქართველოს არქივებში, რომელთა სიღრმეებში ზოგჯერ არავის ჩაუხედავს (ეს ადრე ძალიან ძნელი იყო), ძალზე ბევრი მნიშვნელოვანი მასალაა თავმოყრილი. ამჯერად ჩვენ ქართული ეკლესიის ამბები და ასევე, საინგილო გვანტერესებს. ცნობები მის შესახებ მოთავსებულია განყოფილებაში, რომელსაც დღეს ეწოდება „საქართველოს არქივი“, ფონდი №14 (ადრე მას „ცეკას არქივი“ ერქვა. იგი მდებარეობს ყოფილ „იმელის შენობაში“. ეს მასალა ძაოზე დიდი და მრავალმხრივ საინტერესოა. აქ არის აღმოსავლეთ კახეთის (ანუ საინგილოს), ტრაგიკული ბედის ამსახველი ისტორიაც, დაწყებული შაჰ-აბასიდან, დამთავრებული საბჭოთა ხელისუფლების წლებით. დოკუმენტები, რომლებიც გვაუწყებენ ამ კუთხის სავალალო მდგომარეობას, ისეთი სანდო ავტორების ხელმოწერითაა მოღწეული, როგორებიც არიან: კათოლიკოს-პატრიარქები: კირიონი, ლეონიდე, კალისტრატე და სხვ. ასევე საინგილოს დიდი ჭირისუფლები: გიორგი გამხარაშვილი, შალვა და კოტე ტარტარაშვილები, მიხეილ ყულოშვილი, არჩილ ჯანაშვილი, ვიქტორ კუპრაძე, გრიგოლ კუტუბიძე და სხვ.

ჯერ-ჯერობით ვერ შევძელით ყველაფრის მოხილვა. ეს მასალები არა მხოლოდ ბევრი, არამედ მოცულობითაც დიდია. თითოეული ოცდაათ-ორმოცდაათ გვერდზე მეტიც კია. საშუალება არ მომეცა მათი თუნდაც შერჩევით ქსეროასლების გადაღებისაც კი. თუმცა, არქივის თანამშრომლები მასალებზე მუშაობის პროცესში საკმაო თავაზიანობითა და კეთილგანწყობით მეხმარებოდნენ... მაგრამ რაც ვნახე, მნიშვნელოვანი და საინტერესოა.

შესაძლოა ამ საკითხებიდან ბევრი დღეს ძველებური სიმწვავეთ არ აღიქმებოდეს, მაგრამ ეს ჩვენი ისტორიაა. მისი არც შეცვლა შეიძლება და არც შელამაზება.

ამჯერად შევჩერდები მხოლოდ ორიოდ მასალაზე... კერძოდ, კათოლიკოს-პატრიარქ კალისტრატე ცინცაძის წერილზე იოსებ სტალინისადმი.

„ამხანაბ იოსებ ბესარიონის-ძე სტალინს

გაახლებთ რა ამასთან ერთად პირს გ.გ. კარპოვისადმი ჩემი №2864 მიმართვისა დანართებით, გულმოდგინედ ვთხოვთ, ნურავის დააჩაგვრინებთ საქართველოს ეკლესიას, ვინაიდან მისი დაჩაგვრა შეიძლება თვით საქართველოს შევიწროვების წინამობედი გახდეს.

კალისტრატე, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი“.

წერილში დასახელებული გიორგი გრიგოლის ძე კარპოვი სსრკ-ს მინისტრთა საბჭოსთან არსებული რუსული მართლმადიდებლური ეკლესიის საბჭოს თავმჯდომარე იყო. უწმიდესი და უნეტარესი კალისტრატე ი.ბ. სტალინს აუწყებს, რომ 1945 წლის მაისში, მოსკოვში ყოფნისას, ესაუბრა გ. კარპოვს საქართველოს ეკლესიის საკითხზე და მისი სიტყვიერი მხარდაჭედა და შეპირება მოიპოვა.

„სსრკ-ს მთავრობა ცნობს რუსულ მართლმადიდებლურ, არმენო – გრიგორიანულ, კათოლიკურ, ბერძნულ – კათოლიკურ და ლუთერანულ ეკლესიებს; ასევე ცნობს მუსულმანურ, იუდაურ, ბუდისტურ და სხვადასხვა სექტანტურ ორგანიზაციებს, მაგრამ ქართული მართლმადიდებლური ეკლესია მისთვის არ არსებობს და სსრკ-ს ტერიტორიაზე ეს ყველაზე ძველი ასაკოვანი კულტურული ორგანიზაცია (ასე წერს. ნ.ფ.) კი, თითქოსდა არ არსებობს. იგი კანონგარეშეაა მიჩნეული. კანონის თანახმად ნებადართულია. რით აიხსნება ასეთი უგულვებელყოფა. ზომ არ ვუწოდოთ ამას დამამცირებელი უგულვებელყოფა ქართული ეკლესიისა, რომელიც

თექვსმეტი საუკუნის მანძილზე დამოუკიდებელია და –, რომლის დამოუკიდებლობა აღიარეს და ცნეს მსოფლიოს ყველა მართლმადიდებლურმა ეკლესიებმა... მათ შორის, რუსეთის ეკლესიამაც“. – წერს მისი უწმიდესობა და უნეტარესობა კალისტრატე იოსებ სტალინს. წერილი დათარიღებულია 1946 წლის 5 იანვრით (№24.10...) და განაგრძობს:

„... 1811 წელს საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალური არსებობა რუსეთის თვითმპყობლობამ შეაჩერა, შეწყვიტა. უამრავჯერ, მაგრამ უშედეგოდ მოხდა მცდელობა წართმეული თავისუფლების დაბრუნებისა. ბოლოს, 1917 წლის 12 (25) მარტს მცხეთის დიდ საეკლესიო კრებაზე საკუთარი დამოუკიდებლობა მან თვითონ აღიდგინა. რუსეთის დროებითმა მთავრობამ ეს აქტი სამართლიანად მიიჩნია, და მას „ღიადი ღონისძიება“, „ველიკი“ უწოდა. რუსეთის ეკლესიის სინოდმა კი იგი არ გაიზიარა და საქართველოს ეკლესია მისგან გარიყულად გამოაცხადა...“

ახლა რაც შეეხება საინგილოს... წერილში, რომელსაც ხელს აწერს საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესიების საქმეთა საბჭოს რწმუნებული კ. ქადაგიშვილი, ვკითხულობთ: „1944 წელს სსრკ-ს ხელისუფლებამ საქართველოს ცეკას პირველ მდივანს – კანდიდ ჩარკვიანს აზერბაიჯანის რესპუბლიკაში მცხოვრები ქართველების დაბეჯითებითი მოთხოვნების საფუძველზე დაავალა კონსტიტუციურად შეესწავლა, გამოეკვლია და მისთვის წარედგინა არსებული მდგომარეობის ამსახველი მასალები. ხელისუფლების ერთ-ერთმა წარმომადგენელმა (გვარი მითითებული არაა. ნ.ფ.) კ. ჩარკვიანს მიაწოდა მის მიერ შედგენილი ტექსტი, სადაც წერია: „საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა კალისტრატე ცინცაძემ მომაწოდა შემდეგი ცნობა: რევოლუციამდე (1915წ.) ყოფილი ზაქათალის ოლქში იყო 7 მოქმედი მართლმადიდებლური ეკლესია, რომელსაც განაგებდა საქართველო: კერძოდ, მისი ქართლ-კახეთის ეპარქია. საქართველოს ეკლესია განაგებდა, აგრეთვე, ყოფილი ბაქოს, ელისავეტპოლის, ერევნის გუბერნიებისა და ყარსის ოლქის მართლმადიდებლურ ეკლესიებს. ქართლ-კახეთის ეპარქიაში იმაჟამად 1700 ეკლესია შედიოდა. საქართველოს ეპარქიის თბილისში იყო და იქიდან წაშნავდა მღვდლებს, ეკლესიათა გამგებლებს და სხვა მოხელეებს. რევოლუციის შემდეგ ყოფილი ზაქათალის ოლქი ტერიტორიულად იყო საქართველოს ნაწილი და საქართველოს ხელისუფლად ფილიპე მახარაძის ყოფნის პერიოდში, ის სრულად უსაფუძვლოდ და დაუსაბუთებლად, რატომღაც გადაეცა აზერბაიჯანის სსრ-ს. ზაქათალის ოლქის, ანუ კახის, ბელაქნის, ზაქათალის რაიონების მოსახლეობამ ძველებურად შეინარჩუნა მიდრეკილება და კავშირი საქართველოსთან, როგორც სამეურნეო საქმიანობაში, ასევე სულიერებაში და საქართველოს მართლმადიდებლურ ეკლესიასთან შესისხლხორცებულ ურთიერთობას აგრძელებდა. დღეისათვის, 1944 წელს, ზაქათალის ოლქში არ დარჩა არც ერთი მართლმადიდებლური ეკლესია. მართალია, ქ. ბაქოში ორი მართლმადიდებლური ეკლესია მოქმედებს, მაგრამ ზაქათალის ოლქიდან ისინი ასობით კილომეტრით არიან დაშორებულნი და ამის გამო, ბუნებრივია, მოსახლეობის სარწმუნოებრივი მოთხოვნების დაკმაყოფილება არ შეუძლიათ. წინათ ზაქათალის ოლქად სახელდებული კუთხის მორწმუნე მოსახლეობამ – ქართველებმა, მრავალჯერ თხოვნით მიმართეს საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ კალისტრატეს, რომ მიეღო ისინი საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესიის წევრებად. ამის აუცილებლობას ისინი იმით ასაბუთებდნენ, რომ ეს მიწა-წყალი ქართველების არის, ძირძველი ქართული ტერიტორიაა. საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს დამოუკიდებლად ამ საკითხის მოგვარება არ შეეძლო. იგი მოსკოვის საპატრიარქოს გამგებლობაში იყო. ამის გამო, ყოფილი ზაქათალის ოლქის ქართველებმა წერილობითი განცხადება გაუგზავნეს სტავროპოლის ეპარქიის ხელმძღვანელს – არქიეპისკოპოსს“

პოს ანტონს. სთხოვდნენ, რომ მათი ქართული ეკლესიის მღვდლად დაენიშნა ი. კობაიძე და, საერთოდ, მოეგვარებინა ქართველი ქრისტიანების სარწმუნოებრივი მომსახურების საკითხი ყოფილი ზაქათალის ოლქში. ქართველების მოთხოვნა სტავროპოლის მთავარეპისკოპოსმა ანტონმა 1944 წლის 14 აგვისტოს გადაუგზავნა საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ კალისტრატეს და თავისი წერილი დაურთო. წერილში ატყობინებდა, რომ ამ საკითხზე უკვე მოელაპარაკა მოსკოვის პატრიარქ ალექსანდრეს და მიიღო ლოცვა-კურთხევა ზაქათალის ოლქში ქართველი მღვდლის დანიშვნაზე, მაგრამ დაუსაბუთებლად დაიწუნა მღვდელი ი. კობაიძე და დაუინებით ითხოვა სხვა მღვდლის შერჩევა. საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა კალისტრატემ ზაქათალაში მღვდლად ჩიტაძე შეარჩია. ეს ჩიტაძე მე სათანადოდ გავაფორმე, როგორც ამას მოითხოვს ჩემი სამსახურებრივი უწყება. ჩიტაძეს მისი მღვდლად დანიშვნის ცნობა ხელზე გადავეცი პირადად მე. მიმაჩნია, რომ ეს სამართლიანია, რადგან, ხშირად ამა თუ იმ ეპარქიის ტერიტორიული საზღვრები არ ემთხვევა ხოლმე ჩვენს ადმინისტრაციულ საზღვრებს, რის გამოც კათოლიკოს-პატრიარქის მიერ დანიშნულ სასულიერო პირს, რომელიც იგზავნება საქართველოს ფორმალურ საზღვრებს მიღმა დარჩენილ ტერიტორიაზე სამუშაოდ, ჩვენ დამატებით ოფიციალურ საბუთს ვატანთ. მაგალითად: 1943 წელს ანუ მაშინ, როდესაც საქართველოსა და რუსეთის ეკლესიებს შორის აღსდგა კანონიკური ურთიერთობა, მოსკოვის პატრიარქმა ალექსიმ საქართველოს ეკლესიის გამგებლობას მაშინვე ჩააბარა არმენიის სსრ-ს ტერიტორია და დღესაც საქართველოს პატრიარქი კალისტრატე მართავს არმენიის სსრ-ს ტერიტორიაზე მდებარე მართლმადიდებლურ ეკლესიებს, ნიშნავს მართლმადიდებლური ეკლესიების ხელმძღვანელებს, მღვდლებს, გასცემს საბუთებს. მე, საქართველოს სსრ-ს მინისტრთა საბჭოს რწმუნებული, საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესიის საკითხებში – ქადაგიშვილი – ამ საქმიანობის ამსახველ საქართველოს საპატრიარქოს საბუთებს ჩვეულებრივად ვარეგისტრირებ ჩვენს დოკუმენტაციაში და ა.შ.

სწორედ ამგვარად, ისევე, როგორც არმენიის სსრ-ს მართლმადიდებლური ეკლესიების გამგებლობა, – უნდა განვიხილოთ ყოფილი ზაქათალის ოლქის ეკლესიის საკითხიც – საქართველოს პატრიარქის მიერ მღვდლის განწესება ახლანდელ აზერბაიჯანის სსრ-ში და ამ მღვდლისათვის მისი დანიშვნის დამადასტურებელი საბუთის ჩემს მიერ ხელზე გადაცემა და სხვა საჭირო საქმიანობაც. ამაში არაფერი უსაფუძვლო არ არის. უსაფუძვლოდ ეს მხოლოდ იმით შეიძლება მოეჩვენოთ, ვინც ეკლესიის საკითხებში ვერ ერკვევა. ცოტა ხნის შემდეგ, მოგვიანებით, მე მღვდელ ჩიტაძის ეკლესიაში დანიშვნის ამბავი ვაცნობე ჩემს კოლეგას – აზერბაიჯანის სსრ-ს მინისტრთა საბჭოსთან არსებული მართლმადიდებლური ეკლესიების საქმეთა საბჭოს რწმუნებულს. თუმცა, არ შევალბოდა და არ იყო აუცილებელი, რადგან, წესით, მას უკვე უნდა სცოდნოდა ეკლესიის იმ დიდნიშვნელოვანი დადგენილების შესახებ, რომლის ძალითაც ზაქათალის ოლქის მართლმადიდებლური ეკლესიების მმართველობა საქართველოს პატრიარქს დაევალა; მითუმეტეს, რომ სტავროპოლის მთავარეპისკოპოსმა ანტონმა ეს ვითარება მეორე მომართვითაც დაგვიდასტურა და 1947 წლის 11 ნოემბერს გამოგვიგზავნა ჩიტაძის ყოფილ ზაქათალის ოლქში მღვდლად დანიშვნის მანდატი. საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი აუცილებლად და მიზანშეწონილად მიიჩნევს ზაქათალის ოლქის ტერიტორიის საქართველოს შემადგენლობაში დაბრუნებას“.

წერილი დათარიღებულია 1947 წლის 8 დეკემბრით.

სათანადო კომენტარებით პუბლიკაცია მოამზადა ნათიელა შოთხვაძემ.

და ეწვევა უფალი სოლომონს ღამე, და კრძა: მისმა ვედრებაა შენი, და გამოვირჩიე აღბილი ესე ჩემდა სახლად მსხუერკლისა. უკეთუ დავეშვი ცანი და არღარა წვიმოეს. და უკეთუ უბრძანო მღერთა შეჭმად ხეთა.

... და მოვაკლინო მომსრველი ერსა ჩემსა ზედა, და თუ ჭირვება იქმნეს ერისა ჩემისა, რომელთა ზედა მოწოდებულ არს სახელი ჩემი: და მივედრნენ, და მოიძიონ პირი ჩემი, და მოიქცენ ბზათაბან თვსთა წინა აღმდგომთა, და მე ვისმინო ზეცით და მოწყალე ვეჩმნა ცოდვათა მათთა და განვკურნო ქუყანა მათი და აწ თუალნი ჩემნი იქმნენ განხმულ და ყურნი ჩემნი იქმნენ მსმენელ ვედრებისა მიმართ აღბილისა ამის და აწ გამოვირჩიე და წმიდათ ვჰავ სახლი ესე, რათა იყოს სახელი ჩემი მუნ, ვიდრე უკუნისამდე. და იყოს თუალნი ჩემნი, და გული ჩემი მუნ ყოველსა დღესა. ხოლო შენ უკუთუ ხულოდე წინაჲ ჩემსა, ვითარცა მამაა შენი დავით ვიდოდა, და ჰყოფდე ყოველისა ებრ, რომელი ბიბრძანა შენ, და ბრძანებანი ჩემნი, და სამართალნი ჩემნი დაიცვნა, აღკვადინო საყდარი მფუობისა შენისა, ვითარცა აღუთქუ დავითს მამასა შენსა, მეტყუებანი: არა მიბელოს ტომისაბან შენისა კაცი, წინამძღუარი ისრაელსა შენა, ხოლო უკეთუ მიიქცეთ თქუნი, და დაუტეოთ ბრძანებანი ჩემნი, და მცნებანი ჩემნი, რომელი მოგცენ თქუნი, და წარხვიდეთ და მსახუროთ ღმერთთა უცხოთა, და თაყვანისცემთ მათ, აღმოგვხურნე თქუნი ქუყანისაბან, რომელი მოგეც თქუნი, და სახლი ესე, რომელიცა წმიდაა ვჰავ სახელისა ჩემისა, განვაბლო პირისაბან ჩემისა, და მივსცე იგი იბავად და აბავად ყოველთა წარმართთა. და სახლი ესე მაღალი იბავად ყოველთა თანა წარმავალთა მისთა, რომელნი განცუგრდნენ და თქუან: რადესათჳს ყო უფალმან ესრეთ ქუყანა ესე, და სახლი ესე, და მიუბებდნენ: რამეთუ დაუტევეს ღმერთი მამათა თვსთა, რომელმან გამოიყუანა იგი ქუყანისაბან ებრაჳთისა, და შეიწყნარეს ღმერთნი უცხონი, თაყვანისცემს მათ, და მონეს და ამისთჳს მოვიდა მათ ზედა ყოველი ესე ბოროტი.

(ნეშთთა 7,14-22).

კათოლიკოს-პატრიარქი

ამბროსი (ხელაია)

სტატიის გამო ხმა სოხუმიდან

გაგრძელება

(დასაწყისი – ჟურნალი „ჯვარი ვაზისა“, №1, 1995 წ.)



ეპისკოპოსმა არსენმა, ქართულ ენაზე მსახურების უფლება მხოლოდ სამ სამრევლოს მისცა. ესენია მეგრული სამრევლოები. დანარჩენ სოფლებში კი, სადაც მოსახლეობა იმავე მეგრულ დიალექტზე ლაპარაკობს, კატეგორიულად აკრძალა ქართული წირვა. (ეპ. არსენის ამგვარი მოღვაწეობის შესახებ ასევე მოხსენიებულია წიგნში „ცერკ. ვოპროსი ვ როსსიი“, 1896, გვ. 211).

ზედმეტია აღნიშნვა, რომ ასეთივე დამოკიდებულება ჰქონდათ სოხუმელ მღვდელმთავრებს სკოლის საკითხზე, რასაც ცხადყოფს ეპისკოპოს არსენის ზემოხსენებული ბეზღება. თუ როგორ უყურებდა ამ საჭმეს სოხუმის ეპარქიის სამრევლო სკოლების ზედამხედველი დეკ. იასტრებოვი, ნათლად ჩანს მისი წერილიდან ილორის სკოლის მასწავლებლისადმი (1896 წლის 20 ოქტომბერი №338), სადაც, სხვათა შორის, ნათქვამია შემდეგი: „მივითითებთ, რომ თვალსაჩინო ახსნა-განმარტებანი აწარმოოთ მხოლოდ რუსულ ენაზე; არ გამოიყენოთ არც მეგრული და არც აფხაზური, მითუმეტეს ქართული“. ეს განკარგულება ცირ-

კულარულად დაეგზავნა სოხუმის ოლქის ყველა სამრევლო სკოლის მასწავლებელს და მარტო ამის მიხედვითაც ადვილი წარმოსადგენია, თუ როგორი იყო პედაგოგიური პროცესი, რამდენად ზარალდებოდა თვით რუსული ენის შეგნებული სწავლებაც კი აღნიშნულ სკოლებში.

რადგან სწავლის საქმის ასე წარმოება ჩანდა არასწორი, ხოლო ქართული ენის შემოღება – სასარგებლო, სოხუმის ეპარქიის მასწავლებელთა საბჭომ გამოითხოვა თვით სოფლის საზოგადოების აზრი იმის შესახებ, საჭიროა თუ არა მათ საეკლესიო-სამრევლო სკოლებში ქართული ენის სწავლება. ამ თხოვნის საპასუხოდ სასოფლო საზოგადოებისაგან გაიგზავნა ის განჩინებანი, რაზეც ლაპარაკია გაზ. „კოლოკოლში“. ეპარქიის მასწავლებელთა საბჭომ განიხილა აღნიშნული განჩინებანი, ჩათვალა ისინი პატივისცემის ღირსად და დაადგინა: „იმ სამრევლოთა სკოლებში, სადაც მოსახლეობა ლაპარაკობს ქართული ენის მეგრულ დიალექტზე, ქართული ენის სწავლება აუცილებელია“. აქედან აშკარაა, რომ არ შეიძლება ლაპარაკი, გაზ. „კოლოკოლისა“ და მისი ქართველოფობი თანამშრომლის მტკიცების საწინააღმდეგოდ, აღნიშნული განჩინების უსამართლობასა და უვარგისობაზე. სწორედ ყოვლადსამძღვდლო არსენი არ დაეთანხმა მასწავლებელთა საბჭოს გადაწყვეტილებას ქართული ენის სწავლების შემოღების შესახებ.

თუ როგორი დამოკიდებულება ჰქონდათ სოხუმის ეპისკოპოსებსა და, განსაკუთრებით, ეპისკოპოს არსენს ათვალწუნებული სამწყისოსადმი, ნათელს ჰყენს ქვემოწარმოდგენილი მაგალითები.

ჩვენ აქ შეგვეძლო გადმოგვეცა ერთი აღმაშფოთებელი ფაქტი, მომხდარი სოხუმის ეპარქიაში, რაც დაიბეჭდა კიდევ, მაგრამ მიზანშეწონილად ვთვლით, თავი შევიკავოთ ამისაგან, რადგან სარწმუნოებრივი გრძნობებისათვის ერთხელ აუტანელია კიდევ გაგონება არნახული

სიძულვილისა ქართველებისადმი მწყემს-
მთავრის მხრიდან – ქრისტიანული რწმენის,
სიყვარულისა და მოწყალების მქადაგებლისაგან.
ინფორმაციას ეპისკოპოს არსენის საქციელის
შესახებ მეგრელების მიმართ, რასაც ადგილი
ჰქონდა 1904 წლის 25 მარტს და რამაც
თავისი არაადამიანურობით პოლიციის წარ-
მომადგენლებიც კი აღაშფოთა, დაინტერესე-
ბული პირი იხილავს ქართულ გაზეთში
„ცნობის ფურცელი“ (1905, №2819).

სოხუმელი იერარქების დამოკიდებულება
არც ეკლესიის არა რუსი მღვდელმსახურე-
ბისადმი იყო უკეთესი. 1894 წელს სოხუმში
ასეთი ინციდენტი მოხდა: ეპარქიის კანცე-
ლარიის კაბინეტში შედგა სასულიერო უწყე-
ბის ღარიბთა სამზრუნველოს წევრების
სხდომა. ისმენდნენ, სხვათა შორის, ერთ-
ერთი მღვდლის თხოვნას სამზრუნველოს
სალაროდან სესხის სახით 100 მანეთის გა-
ცემის შესახებ იმ პირობით, რომ აღნიშნულ
თანხას გამოუქვითავდნენ ხელფასიდან.
სამზრუნველოს ერთი წევრის თანაგრძნობის
სიტყვამ მთხოვნელის გაჭირვებული,
არასულსაყრელი და რთული მდგომარეობის
გამო, რომელიც აუცილებელს ხდიდა
მატერიალურ დახმარებას, გამოიწვია მდივნის
თანაშემწის ავტონომოვის შემდეგი შენიშვნა:
„სავარაუდებელია, რომ აქაურ მღვდლებს არ
დაეჯერებათ“. როდესაც სამზრუნველოს
წევრებმა (ქართველებმა) ჰკითხეს მას, ვის
გულისხმობს „აქაურ მღვდლებში“, არ შერცხვა
და თქვა: „ცხადია, არარუს მღვდლებს“. მას
მიუთითეს, რომ ეს მთელი ეპარქიის
სამღვდელოთა შეურაცხყოფაა, მათ შორის –
სამზრუნველოს წევრებისაც, რომლებიც იქ
იმყოფებოდნენ თავიანთი სამსახურებრივი
მოვალეობის შესასრულებლად. ამიტომაც
მოსთხოვეს მას, უკანვე წაეღო მოუფიქრებლად
ნათქვამი სიტყვები. ბ. ავტონომოვმა კი, სრული
სიმშვიდით უპასუხა, რომ იგი სიტყვებს უკან
არ წაიღებს, რითაც დაამტკიცა, რომ შეურაც-
ხყოფა მიაყენა მხარის ადგილობრივ სამღვდე-
ლოებას მოფიქრებულად და მიზანდასახულად.
ეს ამბავი მიტანილი იქნა სოხუმის მთავარხუცე-
ვის ყურამდე, მაგრამ, ცხადია, ამან ოდნავადაც
არ იმოქმედა გულადი კანცელარისტიკის სამსა-
ხურებრივ მოვალეობებზე და, რა თქმა უნდა,
სხვანაირად არც შეიძლებოდა.

თვით სოხუმის ეპარქიის ეპისკოპოსები
ავდებით ეპყრობოდნენ ქართველ სასულიერო

პირებს. საკმარისი იყო, საერო ხელისუფლების
წარმომადგენელს, ანდა სულაც ეროვნებით
არაქართველ კერძო პირს შეეტანა ყალბი
ბრალდება მღვდელზე, რომ უკანასკნელს
თავის მართლების გზა მოჭრილი ჰქონდა.
დაბა ოჩაძირეში ამ სტრიქონების ავტორი
თავად გახლდათ მოწმე იმისა, თუ ეპ. არსენმა
სასულიერო პირის თხოვნას, – შემოწმების
გარეშე არ მიეცა დასტური საერო ადმინისტ-
რაციის ბეზღებისათვის, როგორი მტრული
განწყობით უპასუხა, რომ მას „რუსი ჩიოვ-
ნიკის“ უფრო სჯერა, ვიდრე ადგილობრივი
სამღვდელოსი. ეს სიტყვები ეპ. არსენმა უთხრა
აწ განსვენებულ მოქველ მღვდელს იესე
ჟორდანიას, რომელიც სთხოვდა მეუფეს,
დაენიშნა გამოკვლევა უბნის ინსპექტორის
მიერ ამავე მღვდლის მიმართ შედგენილი
„მხილებისათვის“.

მეტიც, სასულიერო ხელისუფლების უმაღ-
ლესი წარმომადგენლები სოხუმის ეპარქიაში
ჟანდარმთა პოლიციისა და ყველა ჯურის
„რუსი ჩინოვნიკების“ გამრჯე აგენტებად
გვევლინებოდნენ. მაგრამ ვინაიდან ასეთი
მოღვაწეობისათვის სოხუმის ოლქში ნიადაგი
თითქმის არ იყო, ვინაიდან იმ დროს აქ თითქმის
არ ჰქონდა ადგილი მთავრობის საწინააღმდეგო
პროპაგანდას, ეს აგენტები, ჟანდარმერიის წინაშე
ფისკალურ (ენის მიტანა) სფეროში რომ
ელვაწათ, ხშირად თხზავდნენ ყალბ ბეზღებებს.
ცნობილია ეპისკოპოს არსენის კონფიდენ-
ციალური წერილი კიევის სასულიერო აკა-
დემიის რექტორისადმი 1900 წლის 21
მარტისა, რითაც მღვდელმთავარი აცნობებდა,
რომ აღნიშნული აკადემიის სტუდენტს,
სოხუმის ეპარქიის მკვიდრს, „ურთიერთობა
ჰქონდა ზედამხედველობის ქვეშ მყოფ
პირებთან, ავიტაციას რომ უწევდნენ ყოველ-
გვარ ანტირუსულს“, და სთხოვდა, დაეცვა
ამ წერილის შინაარსი საიდუმლოდ, „ვინაიდან,
ჟანდარმთა პოლიცია მოცემულ შემთხვევაში
მოქმედებს დაფარულად“, – ნათქვამია წერილში.

ღირსეულია თუ არა მღვდელმთავრის ასეთი
მოღვაწეობა, შეესაბამება თუ არა იგი მოციქუ-
ლებრივ სამსახურს, მკითხველმა თავად განსა-
ჯოს. ჩვენ კი სხვათა შორის აღვნიშნავთ, რომ
ამით ხალხის თვალში ილახება საკურთხევის
მსახურთა ღირსება, გეგმაზომიერად მზადდება
ნიადაგი უკმაყოფილებისათვის სამღვდელო-
ებისა და თვით ეკლესიის მიმართ; ჩქარდება
იმ დროს უფსკრულის შექმნის პროცესი,

რომელმაც უკვე დაიწყო ცხოვრება მწყემსებისაგან ჩამოშორება; ითესება უნდობლობა და მტრობა რუსებსა და არარუსებს შორის და რუსიფიკატორული მოღვაწეობის ნაყოფს ჩვენ უკვე ვიმკით.

ამის შედეგად სოხუმის ოლქის სამღვდელელობა იმდენად დამდაბლებულიყო, რომ მხარის საერო ადმინისტრაცია ვერ არჩევდა მას უბრალო მრევლთაგან. ის სოფლის მამასახლისს უგზავნიდა ერთნაირ ბრძანებებს, როგორც მღვდლების, ისე მათი მრევლის თაობაზე: განზრახ იფიწყებდა, რომ მღვდელს სახელმწიფოში აქვს ისეთივე ოფიციალური სამსახურებრივი მდგომარეობა, როგორც თვით უბნის უფროსს, რომელიც არ რაცხდა მას ღირსად პირადად ეწარმოებინა მიმოწერა. აი, ამგვარ ბრძანებათა ნიმუში: „ბრძანება ილორის მამასახლისს (№463,1897 წლის 27 იანვარს): „გაუწყებთ თქვენ, რომ იახლოთ მღვდელი ზოსიმე ხელაია, კემაჩი და პეტრე ვარდანიანები (ხსენებული მღვდლის მრევლთაგანნი) და ახლავე პირადად გამოცხადდეთ უბნის გამგეობაში“. ასეთი და სამღვდელოთათვის დამამცირებელი ბრძანებები იყო ჩვეულებრივი ამბავი, რომლითაც ილაზხებოდა სამოძღვრო ღვაწლის ღირსება; ხალხის თვალში ის დგებოდა, და სინამდვილეში იღვაკიდევ, სოფლის თავკაცზე დაბლა.

წარმოვადგენთ კიდევ რამდენიმე მაგალითს, რომლებიც ადასტურებენ სოხუმის მღვდელმთავართა შეუწყნარებლობას ქართველებისადმი.

რუსობა ქ. სოხუმის მთელი მოსახლეობის 23%-ს შეადგენს. სხვა ეროვნება კი 77%-ს. სოხუმის საკათედრო ტაძრის კრებული შედგება ერთი დეკანოზისაგან, სამი მღვდლისაგან, სამი დიაკონისაგან და ოთხი მედავითნისაგან. მათგან რუსებისა და ქართველების აღნიშნული პროცენტული თანაფარდობის მიუხედავად, მხოლოდ ერთი მღვდელია ქართველი, დანარჩენი ყველა რუსია, რომელთაც ადგილობრივი ენებისა არა გაეგებათ რა. ამ ტაძრის გარდა სოხუმში არის კიდევ ერთი ეკლესია (სასაფლაოსი), მაგრამ მის კრებულში არ არის არც ერთი ქართველი.

სოხუმის ოლქის ორკლასიანი საეკლესიო – სამრევლო სკოლების მასწავლებლებად მხოლოდ რუსები ინიშნებიან.

სოხუმის ეპარქია მისიონერულია. მისი შექმნის მიზანი იყო ქრისტე ანული სწავლების შექმნა მაჰმადიანი აფხაზების განათლება, რომლებიც გამონაკლისის გარეშე, მხოლოდ სოხუ-

მის ოლქში სწავლობენ. მაშასადამე, სოხუმის ეპარქიის არც კათედრას და არც კანცელარიას მხედველობიდან არ უნდა გამოორჩეთ მხარის უცხოტომელი მოსახლეობის ინტერესები. ამის მიუხედავად, სოხუმის საეპარქიო კანცელარიაში მდივნიდან უკანასკნელ გადამწერამდე ყველა რუსია, ადგილობრივი ენების არმცოდნე. ქართველებმა და აფხაზებმა, რომლებიც მიემგზავრებიან ქ. სოხუმში მღვდელმთავართა თხოვნით, ანდა კანცელარიიდან ცნობისათვის, ქალაქში თარჯიმანი უნდა მოძებნონ. ამასთანავე, არ უნდა დაგვაფიწყდეს, რომ სოხუმის ოლქში რუსები შეადგენენ მთელი მოსახლეობის არა უმეტეს 3,6%-ს, დანარჩენს კი სხვანი (дело с конторы за 1898г. №68). ეპისკოპოს კირიონის წინამორბედთაგან ეს შეუწყნარებლობა განა შემადრწუნებელი არ არის? სადაა ის „სამართლიანობა“, რისთვისაც იბრძვის ბ. „რუსი“ და მისი საქმის გამგრძობლები რას აკეთებდნენ რუსი მღვდელმთავრები, რომელთაც ეკავათ სოხუმის კათედრა?! ყოველივე ამის შემდეგ განა უცნაური არ არის სოხუმის ოლქის ქართველი „მღვდენელების“ დადანიშნაულება ვიწრო ნაციონალიზმსა და რუსების შეუწყნარებლობაში?!

ბ. „რუსი“ ადანაშაულებს ქართველ სამღვდელეობას და საერთოდ ქართველებს იმაში, რომ თითქოს ისინი სულიერად მართავდნენ აფხაზეთს რუსეთთან შეერთებამდე. რომ თითქოს „თავიანთი მოუზომელი ქართველიზაციით“ საქმე იქამდე მიიყვანეს, „რომ აფხაზები მაჰმადიანობაზე გადავიდნენ“. არც ესაა მართალი.

მაჰმადიანობის გაძლიერება კავკასიაში სწორედ რუსეთის ხელისუფლების განმტკიცებას მოჰყვა (Кавказ. Абхазия, Аджария и Шавшетия. Путевые заметки графинии Уваровой. ч II см.207). ამის უმთავრესი მიზეზი მთიელების წინააღმდეგ რუსეთის საომარ მოქმედებაში იმალება. მთიელთა შორის, თავისუფლების ხელყოფის გამო. ჩაისახა საშინელი სიძულვილი რუსებისა და მათთან ერთად მათი აღმსარებლობისადმი, – ქრისტიანობისადმი. „ყველაზე მეტად, – ამბობს ევ. მარკოვი, – ჩვენ თვითონ ვართ დამნაშავენი.

– მთიელთა შორის რუსებისადმი სიძულვილის გაღვივებასა და მათ ხელოვნურ ლტოლვაში თურქეთისაკენ, ვინაიდან ჩვენ გამოვკვებეთ იქ რელიგიური ფანატიზმი მათი სამეურნეო ყოფის უზომოდ გადაკეთების შედეგად.“ (Очерки Кавказа, ст. 68-69). „სას-

ტიკ ზომებსა და აზრებებს, ამბობს ბ.რომანოვსკი – რითაც ჩვენ მებრძოლი ტომების წინააღმდეგობების დაძლევას ვცდილობდით, ამასთანავე ბრძოლაში მათ წარუმატებლობას არ შეიძლებოდა არ გაეძლიერებინა შუღლი და სიძულვილი გამარჯვებულისადმი. ყოველივე ამან კი იმის რწმენა განამტკიცა, რომ წინააღმდეგობის გაწვევისათვის აუცილებელია თანამორწმუნეებთან გაერთიანება. (Кавказ и Кавказ. Война Романовского. ст. 310).

მთიელი მუსლიმანების ამ მისწრაფებამ კავკასიაში მიურიდიზმი ააღორძინა და თუ როგორი გავლენა იქონია ამ რელიგიურ-პოლიტიკურმა მოძღვრებამ მართლმადიდებლობაზე, ცნობილია ყველასათვის, ვისაც ასე თუ ისე წარმოდგენა აქვს მთიელთა შორის ამ მოძრაობის შესახებ. მიურიდიზმის მქადაგებლებმა აფხაზეთში გასული საუკუნის 20-იანი წლებიდან შეადგინეს სწორედ ამის შედეგად გაძლიერდა აფხაზთა ლტოლვა ისლამისაკენ. თუ რაოდენ ძლიერი იყო წინააღმდეგობა რუსებისა მათ მიერ აღსარებული მართლმადიდებელი სარწმუნოების მიმართ, მეტყველებენ ნ.ა. ვოლკოვსკი, ვვ. მარკოვი და სხვა. (Война на Кавк. и Мюридизм с 1824 по 1834 г. Волконского, ст. 65; Марков, Очерки Кавказа, ст. 360-363; акты архвогр. комиссии т. М, ст. 780-800 и др.). ამასთანავე: გასული საუკუნის 40-იან წლებში სამუსულმანო საქართველოს ქართველები თუ როგორ თანდათანობით გადადიოდნენ მუსლიმანურ რელიგიაზე, ადასტურებს ლ. ს. ისარლოვი (Письма о Грузии. Тиф. 1899, ст. 266-267).

ამ საგანზე ამჯერად სიტყვას აღარ გავაგრძელებთ. მასალები ჩვენი წინადადების დასამტკიცებლად, რომ კავკასიაში მუსლიმანობა სწორედ რუსეთის მმართველობის გამყარების შემდეგ გაძლიერდა, ძალიან ბევრია და მათ განჩხრეკს მთიელ მუსლიმანთა შორის მართლმადიდებელი სარწმუნოების სამისიონერო მოღვაწეობის მკვლევარი. ვიტყვით მხოლოდ: მას შემდეგ, რაც ომარ-ფაშას მეთაურობით თურქებმა იარაღით ხელში სწრაფად გადაიარეს აფხაზეთი, სამურზაყანო და სამეგრელო, რუსებმა კი უბრძოლველად მიატოვეს ეს ადგილები, აფხაზები აღბორდნენ. ვითარება განსაკუთრებით 1868 წლიდან გამწვავდა, ე. ი. აფხაზთა სამთავროს გაუქმებისა და აფხაზეთის მფლობელი თავადის მ. შერვაშიძის რუსეთში გადა-

სახლების შემდეგ. მღელვარებამ, ამ ლონისძიებით გამოწვეულმა, ბიძვი მისცა აშკარა ჯანყსა და მხარის უფროსის მკვლელობას, მის თანმხლებ პირთან ერთად, 1866 წელს.

აფხაზეთში საქმის მოსაგვარებლად მიღებული ზომები წარმატებით ვერანაირად ვერ დაგვირგვინდა. საერო ადმინისტრაციის ყველა ცდას აფხაზების იარაღის გარეშე დამორჩილებისა და დაშვიდებისა, სასურველი შედეგი არ მოჰქონდა, რადგან აღელვებული ხალხი არ ენდობოდა მას. დაპირება შერიგების შესახებ დამნაშავეებისა სრული პატიების გზით ხალხზე გავლენას არ ახდენდა. საჭირო იყო შუაგაცი ხალხსა და ადგილობრივ ადმინისტრაციას შორის და ასეთ პირად დეკ. მაჭავარიანი გამოჩნდა. აფხაზეთში ყველა სახალხო მღელვარების ჟამს მან თავგანწირვით ითვისა მოსახლეობის ადმინისტრაციასთან შემრიგებლის როლი. არაერთგზის ჩაუდენია მას ასეთი გმირობა. მიდის აღელვებულ, გამშაგებულ, არავეს დამნდობ აფხაზთა ბრბოსთან საკუთარი სიცოცხლის გაწირვის ფასად ხალხის სამსახურის, ეკლესიისა და სახელმწიფოს ინტერესებისათვის. და მართლაც, დროებით თითქოს ყველაფერი დავიწყების ნისლში იფარება; შედიან მასთან დიალოგში და საქმეც გვარდება, შფოთი ცხრება; აფხაზები აცხადებენ, რომ მათ თითქოს მხოლოდ დეკ. მაჭავარიანის სჯერათ. უკეთესი გარანტია აღარც კი უნდათ. ეკლესიისა და სახელმწიფოს ინტერესებისადმი რამდენი თავგანწირვა, სიყვარული და სამსახურის საქმის ერთგულება უნდა გააჩნდეს, რომ ეს ნაბიჯი გადადგა; წახვიდე, ადამიანური მოსაზრებით, სიცოცხლის ხელყოფის აშკარა რისკზე.

ეს ცხადყოფს, რომ დეკ. მაჭავარიანი არ არის დაქირავებული, რომელსაც კრიტიკულ წუთს მიტოვება შეუძლია, კავკასიაში ზემოაღნიშნული მოღვაწეების მსგავსად. ის ჭეშმარიტი მოძღვარია „რომელმან სული თვისი დადებ ცხოვართათვის“. მის საქმეს ჩრდილი არ ადგება.

თარგმნა ნ. შ. ხარ კაპაშაშვილმა

(გაგრძელება იქნება)



ლაზარეს აღდგინება

უფალი გვამცნობს, რომ მოვა კამი, და ყველას მიეზღვება თავისი. იქნება „ელვა და ქუხილი და გრგვინვა და მიწისძვრა“ დიდი, რომლის მსგავსნიც არ ყოფილა მას აქეთ, რაც კაცნი არიან ამ ქვეყნად. გაუჩინარდება ყოველი კუნძული და გაქრებიან მთანი. და სეტყვა ტალანტის ოდენა დაატყდება ზეციდან კაცთ. და ჰკმობს ხალხი სახელსა ღმრთისასა, ვინაიდან მძიმე იქნება წყლულება მისი“.

მხოლოდ რჩეულთათვის შემცირდება ეს დღეები, გვითხრა იესომ.

იქნება სამსჯავრო და ყველა აგებს პასუხს თავის ქმედებათა გამო.

„განიკითხავს იგი სამართალს უამრავ ხალხს შორის და მსჯავრს დასდებს ძლიერ ხალხებს შორეთამდე. თავიანთ მახვილებს სახნისებად გამოსჭვდავენ და შუბისწვერებს ნამგლებად: ხალხი ხალხის წინააღმდეგ აღარ აღმართავს მახვილს და ომს აღარასოდეს ისწავლიან“ (მიქ. წინასწარმეტყვე. 4-3)

და დამკვიდრდება ქვეყნად მშვიდობა...

მანამდე კი... ისევ და ისევ... განიწმიდება ცეცხლით, ომებით, მიწისძვრებით, ეპიდემიებით, შიმშილობით, შიშით, უკანონობითა და ცრუ რელიგიებით დამძიმებული და ტანჯული ქვეყნიერება.

და შეაშრობს ღმერთი მათ თვალებზე ცრემლს. აღარ იქნება სიკვდილი და აღარც გლოვა, აღარც ტირილი და აღარც ტანჯვა, რადგანაც გადაეგო ყოველივე უწინდელი (აპოკალიფსი 2,14).

ასეთია დიდი წინასწარმეტყველება, რომლის ნიშნები უკვე იგრძნობა კაცობრიობის საცხოვრისის ყოველ კუთხეში. მისი ნაწილნი ვართ ჩვენც... ჩვენც ველოდებით... ჩვენც ვლოცულობთ...

ცრუ რელიგიებით აღივსო საქართველოს ყოველი კუთხე... ჩვენი ვალია, განვწმინდოთ მათგან ჩვენი წინაპრების ღვაწლით, ტანჯვით, რწმენით მოტანილი და სასწაულად გადარჩენილი სარწმუნოება, ქვეყანა ჩვენი... ამ ცრურელიგიათაგან განსაკუთრებით მოძალებული და მრისხანე „იელოვას მოწმეთა“ სექტაა, რომელმაც საინგილოშიც კი ჩააღწია...

სწორედ ამის გამო, კვლავ ვუბრუნდებით ამ თემას და მკითხველს ისევ ვთავაზობთ საუბარს ამ სექტის ისტორიასა და მისი მიზნების, მის ქმედებათა შესახებ.

ვინც ამ მოკლე კონსპექტურ მასალას გაეცნობა, თავად გამოიტანოს დასკვნები: ჩვენ მოწმენი ვართ იელოვას მოწმეთა უამრავი აგრესიული ქმედებებისა საქართველოში, ამის შესახებ ბოლო დროს, ხშირად საუბრობენ ტელევიზიით, რადიოთი, პრესით...

აღარ მოგვეყავს უკვე მრავალჯერ მოხმობილი მაგალითები...

ამჯერად მხოლოდ მათი ისტორია და პრინციპები, მათი მიზნები გვინდა შეგახსენოთ...

ჩვენი არქივიდან

მისი უწმიდესობისა და უნეტარესობის, ილია II-ის
ლოცვა-კურთხევით 1978 წლის ოქტომბერში, ოცდახუთი
წლის წინ, გამოვიდა ჩვენი ჟურნალის, „ჯვარი ვახისას“
პირველი ნომერი.

იმ მრავალ სიკეთეთა შორის, რომელიც მისი უწმიდესობის აღსაყდრების (სწორედ
იმ ნომერში ვიხმარეთ პირველად ეს სიტყვა, რომელმაც ჩვენს საეკლესიო აზროვნებაში
მყარად დაიმკვიდრა ადგილი) დღეებს მოჰყვა, ერთი გამორჩეულად მნიშვნელოვანი, ეს
ჟურნალიც იყო. მუდამ ბედნიერების განცდით მავსებს, მასზე ფიქრი. ეს ჩემთვისაც დიდი
სიხარული იყო. ჩემი თაობის ადამიანებს და (ცხადია, არა მარტო მათ) ახსოვთ იმ
სიხარულის განცდა, რომელიც დაუფლათ მაშინ ადამიანებს, მორწმუნე მრევლს, რომელიც
ყოველდღიურად კი არა, ყოველწუთიერად იზრდებოდა. ცხადია, სიხარული მოუტანა მან
თვით უწმიდესსაც.

როგორ შეიძლება როდისმე დამავიწყდეს...

როცა უკვე გადაწყდა, რომ ჟურნალი მე უნდა გამოემეცა, მისმა უწმიდესობამ მითხრა,
ეს ძალიან საჩქაროა, მისი ნებართვა დიდის მცდელობით პატრიარქმა ეფრემმა მოიპოვა,
მაგრამ დამხმარე ვერავინ იშოვა (ყველას ეშინოდა მაშინ ეკლესიისკენ გამოხედვაც კი).
ხოლო წელს გამოცემის ვადა ოთხ თვეში იწურება და როგორმე, მანამდე უნდა მოვასწროთო.
მე, მაშინ საქართველოს რადიოს ლიტერატურისა და ხელოვნების გადაცემათა რედაქციას
განვაგებდი. ცხადია, ძალიან მიყვარდა ის საქმე, მაგრამ მაშინვე ყოველივე დაეთმე და
ეკლესიაში წამოვედი. ახლა კარგად ვიცი, რა დიდი ნაბიჯი იყო ეს იმჟამად. მაშინ კი
ნაკლებად ვაცნობიერებდი.

დავიწყე მუშაობა... ყამირი იყო მაშინ ჩემთვის ყველაფერი, რაც უნდა მეკეთებინა,
მაგრამ მქონდა უდიდესი შთაგონება და მისი უწმიდესობის თანადგომა. დღე-ღამე
ვასწორებდი. არც მეძინა, მაგრამ არც ვიღლებოდი. და მართლაც, როგორი გასაოცარიც
არ უნდა ყოფილიყო, ჟურნალი, ზუსტად თვენახევარში, ოქტომბრის თვეში, უკვე მზად
იყო. დმერთო, რა საოცარი დღეები იყო ის დღეები!

ამაზე, ცხადია ბევრად უფრო ვრცლად შეიძლება დაიწეროს, მაგრამ ამჯერად
მხოლოდ რამდენიმე პუბლიკაცია მინდა შემოგთავაზოთ... ის პუბლიკაციები, რომელნიც
ჟურნალში უნდა გამოქვეყნებულიყო და არ გამოქვეყნდა.

მაშინ ეკლესიის საქმეებს, ეგრეთწოდებული „რელიგიების საქმეთა რწმუნებულის“
აპარატი განაგებდა... უმისოდ ბუზიც კი ვერ გადაიფრენდა ჩვენს სამყაროში. სწორედ მან,
ჩვენი მაშინდელი ბედის განმგებელმა (რწმუნებულმა) ამოყარა ეს მილოცვები, რომელიც
ჟურნალის გამოსვლასთან დაკავშირებით უნდა დაბეჭდილიყო. არ მოეროდა თვით ამ
მეტად პატივცემული ადამიანების სახელებსაც კი (მათ შორის დღეს ერთის გარდა
(დიდი დღე მისცეს უფალმა მას) არცერთი ცოცხალი აღარაა), და ბრძანა: – ეკლესიის
ჟურნალის გამოსვლას მხოლოდ მღვდლებმა უნდა მიულოცონო. ბევრი ვიჩხუბე მაშინ,
მაგრამ არაფერი გამოვიდა. ეს პირველი კი, მაგრამ ერთადერთი შემთხვევა არ ყოფილა.
მსგავსი რამ შემდეგაც ხშირად ხდებოდა.

მე ცხადია, ეს ყოველივე შევიხანხე... რაღაც მცირეოდენი იმედი მაინც მქონდა, რომ
მათ ოდესმე გამოვაქვეყნებდი...

მადლობა უფალს... ეს ყამიც დადგა და „თავად განიხვნენ კარნი“.

საქართველოს ეკლესიის საჭეთმპყრობელს, კათოლიკოს-პატრიარქს – ილია II-ს მეტად მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება მიუღია: გამოსცეს პერიოდული ორგანო, რომელიც საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის საჭიროებას მოემსახურება. ეს საჭიროება კი მეტად დიდია და მრავალმხრივი: მოსაგვარებელია მრავალი პრაქტიკული საკითხი, მათ შორის საეკლესიო ცხოვრების მიმდინარეობის ასახვა და ეკლესიის მართვა-გამგეობაში დროდადრო მომხდარ სხვადასხვა ცვლილებათა აღნუსხვა, საქართველოს მრავალსაუკუნოვანი ისტორიის საკითხების მეცნიერული კვლევა-ძიება, საჭირო საეკლესიო წიგნების ბეჭდვა, სხვა ეკლესიებთან მეგობრული ურთიერთობის დამყარება, მშვიდობისა და კაცთმოყვარეობის ქადაგება და სხვა. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ძველი ქართული ენის მეცნიერული შესწავლის საქმეს. ყველა ეკლესიის მსახურმა კარგად უნდა იცოდეს ძველი ქართული ენა, რადგანაც საქართველოს ეკლესიაში ხმარებული სამღვდელთმსახურეო ენა ძველი ქართულია, რომელიც შემუშავდა ქრისტიანობის ჩვენში გავრცელებისა და დამკვიდრების ადრეულ პერიოდში (IV-VI სს.) და ოდნავ იცვალა მომდევნო ეპოქაში (VII-XI სს.).

მხურვალედ მივესალმები ახალი ორგანოს დაარსებას და ვუსურვებ მას დიდ წარმატებას.

აკაკი შანიძე

ქართული ეკლესია და ქართველი ერის ინტერესები საუკუნეების მანძილზე განუყოფელი იყო. ქართული ეკლესია ჭირშიც და ლხინშიც ყოველთვის გვერდში ედგა ერს და ემსახურებოდა მას. მისი ავტორიტეტი უკანასკნელ წლებში აღორძინების გზაზეა, რამეთუ სრულიად საქართველოს კათოლიკოსის გვირგვინი თავს დაიდგა უწმიდესმა და უნეტარესმა ილიამ, ნათელი გონების და გრძნობის წმინდა კაცმა. ჟურნალ „ჯვარი ვაზის“-სას დაარსება, მწამს ხელს შეუწყობს ქართული ეკლესიის მესვეურთა და ქართველი ინტელიგენციის კეთილგონიერ ურთიერთმსახურებას ერის საკეთილდღეოდ.

ელბუჯა ამაშუკელი


ქართულ ეკლესიას – სახელგანთქმულს მთელს ქრისტიანულ სამყაროში მწიგნობრული ტრადიციებით, – უპრიანი იყო ჰქონოდა და კიდევაც აქვს დღეს თავისი ჟურნალი მშვენიერი სახელით – „ჯვარი ვაზისა“. დაწყებული იაკობ ხუცესით და დამთავრებული გაბრიელ ეპისკოპოსით, მათ, წმიდა მამათ, უჭკნობი ქმნილებებით გაამდიდრეს ერის კულტურის საგანძური და განუზომელი წვლილი შეიტანეს ქართული სულის განსაპეტაკების საქმეში. როგორი წარმოგვიდგენია ჩვენ „ჯვარი ვაზისა“, რას შეიძლება ქადაგებდეს, რას შეიძლება მსახურებდეს იგი ჩვენს პირობებსა და ჩვენს დროში? – კაცობრიობის უკვდავ ფორმულებს: კაცთმოყვარეობას და სათნობას, მოყვასის სიბრალულს და თვისტომის შემწეობას, ახალ განსაპეტაკებას და სულიერ ამაღლებას, და, რაც უმთავრესია, ერისა და ბერის ერთსულოვნებას, ერთსულოვანი რწმენით მრავალტანჯული ქართველი ერის მიზანდასახულ მსვლელობას მომავალი საუკუნეებისაკენ.

მურმან ლეხანიძე.

ღამილოცნიხარ!

ამბობენ იოსებსო, მეურვესა მარიამისასა,
პატიოსნებისა თვისისა გამო, – ხელთა შინა აღუყვავდა კვერთხი.
ჯვარო ვაზისავ! –
გაიფოთლევი შენცა! –
გამოიღევი ნაყოფი საწადისი! –
გააზარევი ერი და ბერი! –
გადასახევი ჯვარი საქართველოს ზვართ! –
უძველეს ტაძრებს ფასკუნჯისა მიაპყარ თვალი! –
გფარვიდეს:
წიალი ღვთიშობელისა,
სიბრძნე იესოსი,
ლაზვარნი გიორგისი!

მუხრან მაჯავარიანო



„კულადცა ვიტყვთ: ყოველნიმცა მწვალებელნი შერუენებულ არიან. ყოველნიმცა მართლმადიდებელნი კურთხეულ არიან. ყოველთა მართლმადიდებელთამ წელნიმცა მრავალ არიან. ყოველთა მართლმადიდებელთამ საუკუნომცა არს ხსენებაჲ. ყოველნი მწვალებელნი საუკუნომცა შერუენებულ არიან. ყოველთა მწვალებელთა საუკუნომცა არს წყევამ და დაუსრულებელი შერუენებაჲ“
(დიდი სჯულის კანონი. თბ., 1975, ძეგლისწერა რუის-ურბნისის კრებისა, გვ. 559).



ინგილო ახალგაზრდები

ზოგი რამ იელოვას მოწმეებს

ეროდეთ ცრუ წინასწარმეტყველებს, რომლებიც ცხვრის სამოსით მოდიან თქვენთან, შინაგანად კი მტაცებელი მგლები არიან. მათი ნაყოფით იცნობთ მათ. განა ეკლიან ჟურბენს კრემენ, ან ბირკიან ლელვს?

ასე, ყოველი კარბი ხე ნაყოფსაც კარბს იძლევა, ხოლო ცუდი ხე ნაყოფსაც ცუდს იძლევა. არ შეუძლია კარბ ხეს ცუდი ნაყოფის გამოღება; და არც ცუდ ხეს კარბი ნაყოფის გამოღება.

ყოველ ხეს, რომელსაც კარბი ნაყოფი არ მოაქვს, ჭრიან და ცეცხლში აბღებენ.

ასე რომ, მათი ნაყოფით იცნობთ მათ.

მათი. 7.15.20

სარგებლობენ რა დღეს საქართველოში შექმნილი მძიმე პოლიტიკური და ეკონომიკური მდგომარეობით, დემოკრატიის ლოზუნგს ამოფარებული მრავალი უცხო რელიგიის და პროტესტანტული სექტის წარმომადგენლები (იელოვას მოწმეები, ბაბტისტები, კრიშნას მიმდევარნი, ორმოცდაათიანელები, ეგრეთწოდებული „ხსნის არმია“ და სხვანი), ცდილობენ რელიგიური ექსპანსიის განხორციელებას. ისინი ფულით, პროდუქტებით, ტანსაცმლით იპყრობენ ადამიანთა სულებს, ამცირებენ და შეურაცხყოფენ საქართველოს ეკლესიას. ასეთი სექტები თესენ ანტაგონიზმს და შუღლს ადამიანებს შორის. ეს ბოროტი ძალის მანქანებია და მათ კავშირი ღმერთთან არა აქვთ.

მოციქული პავლე გვაფრთხილებს: „სული ცხადად მეტყველებს, რომ უკანასკნელ ჟამს რწმენისაგან განდგებიან ზოგიერთნი და შეუდგებიან მაცდურ სულთა და დემონთ მოძღვრებას“ (ტიმ. 4,1).

ის, ვინც, ტანსაცმლის, საჭმლის, ან სხვა მატერიალურ მიზეზთა გამო განუდგება მართლმადიდებელ სწავლებას, ადვილად უღალატებს ღმერთს, სამშობლოს, მშობლებს, ოჯახს და რა თქმა უნდა, დაუპავს თავის უკვდავ სულს.

„მე ვაფრთხილებ ჩვენს ხალხს, ჩვენს მორწმუნეთ: იყავით დაკვირვებულნი და ყურადღები-

ანნი. ნუ დაკარგავთ ჭეშმარიტებას, ნუ დაკარგავთ ჩვენს სარწმუნოებას, მიწიერ საცთურზე ნუ გაცვლით მარადიულ ცხოვრებას, თორემ მერე გვიან იქნება. იცოდეთ, ჟამი ახლო არს“. – წერს ეპისტოლეში ჩვენი ეკლესიის სულიერი მამა, უწმიდესი და უნეტარესი ილია II.

მძიმე ჟამი უდგას ჩვენს ერს და ჩვენს ეკლესიას... სექტებმა, რომელთა შესახებ ბრძანებს მისი უწმიდესობა, მოიდგეს ფესვი. ამ ბოლო დროს კი განსაკუთრებით გაძლიერდა ერთი რელიგიური სექტა, რომლის მიმდევარნი თავიანთ თავს „იელოვას მოწმეებს“ უწოდებენ. ისინი მთელ საქართველოს მოედვენ.

ეს სექტა, ისე როგორც სხვა დანარჩენი სექტები, საქართველოს ტერიტორიაზე არ გაჩენილა. ყველა ისინი ჩვენში უცხო ქვეყნებიდან – რუსეთიდან, დასავლეთ ევროპიდან და ამერიკიდან შემოვიდა.

„იელოვას მოწმეები“ ერთ-ერთი გვიანდელი პროტესტანტული მიმდინარეობაა. ესაა მოძრაობა, რომელიც ცნობილია „ბიბლიის მკვლევართა“, ან იგივე „იელოვას მოწმეების“ სახელით. იგი ჩაისახა 1872 წელს. მისი მამამთავარია ამერიკელი ვაჭარი ჩარლზ რასელი. სექტას თავიდან ეწოდებოდა „ბიბლიის მკვლევართა საზოგადოება“, შემდეგ „ბიბლიის სერიო-

ზულ მკვლევართა საერთაშორისო გაერთიანება“. რასელის სიკვდილის შემდეგ კი 1931 წელს, კოლუმბიის ყრილობაზე, ეწოდა „იელოვას მოწმეები“. სექტა მკაცრად მოწესრიგებული ორგანიზაციაა. ჰყავს პრეზიდენტი, რომელიც შეუზღუდავი უფლებებით სარგებლობს. მათი ცენტრი ბრუკლინშია (ნიუ-იორკის გარეუბანი). იელოველებს მთელი მსოფლიო დაყოფილი აქვთ მისიონერულ ზონებად, საიდანაც განუწყვეტლივ იღებენ ინფორმაციას. ეს ინფორმაციები ძირითადად გასაიდუმლოებულია. მიმდინარეობს მათი მუდმივი შესწავლა. ჰყავთ მრავალრიცხოვანი პროპაგანდისტების არმია. აქვთ საკუთარი რადიოსადგური, ტელევიზია, სტამბა, პრესა... იელოველების ლიტერატურა უზარმაზარი ტირაჟებით იბეჭდება თითქმის ყველა ევროპულ და აზიურ ენაზე, აფრიკაშიც და მათი რიცხვი თანდათან მატულობს. გამოცემებს თან ახლავს სარეკლამო ხასიათის ფერადი ილუსტრაციები, რომლებიც უბრალო ხალხზე დიდ შთაბეჭდილებას ახდენს.

ძალიან დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ სწავლებებს, იელოვური ლიტერატურის უფასოდ გავრცელებას. შედიან უცნობ ოჯახებშიც და ადამიანებს უქადაგებენ თავიანთ მოძღვრებას, თუ საჭიროა, ეხმარებიან მატერიალურადაც.

მსოფლიო მათ სატანის მიერ დაპყრობილ ტერიტორიად მიაჩნიათ, რომელიც უნდა გამოიხსნან.

გამოსცემენ უამრავ ლიტერატურას, რომელთა შორის მთავარი „საგუშაგო კოშკია“. ეს ჟურნალი გამოდის თვეში ორჯერ, გამოდის მრავალმილიონიანი ტირაჟით, მსოფლიოს სხვადასხვა ენებზე, ასევე დიდი ტირაჟით იბეჭდება მეორე ჟურნალიც – „გაილვიძეთ“ და სხვა.

ამერიკის გარდა ეს სექტა გავრცელებულია მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში: კანადაში, ინგლისში, ავსტრალიაში, ყოფილი საბჭოთა იმპერიის რესპუბლიკებში, განსაკუთრებით, უკრაინის დასავლეთ ოლქებში, ბელორუსიაში.

სამწუხაროდ, საქართველოშიც შემოაღწიეს. მათი რიცხვი ჩვენში განსაკუთრებით ამ 7-8 წლის მანძილზე გაიზარდა.

სიტყვა „იელოვა“ ღმერთის ერთ-ერთი სახელია, რომელსაც ბიბლია გვიმხელს. იგი ებრაულად ნიშნავს „მყოფს“... ქართულად ასე ითარგმნება: „მე ვარ, რომელი ვარ“, ანდა „მე ვარ მყოფი“. ღმერთი თავის თავს „იელოვას“ უწოდებს სინაჲს მთაზე იწინასწარმეტყველთან საუბრის დროს (გამოსვლათა 3,14).

იელოველებმა თავიდანვე წმიდა სამების მოძღვრებისა და ქრისტიანობის ყველა უმთავრესი ჭეშმარიტების წინააღმდეგ გაილაშქრეს. ისინი ქრისტეს ეკლესიას და ქრისტიანობას, თვით ქრისტიან ერებსაც „სატანის ორგანიზაციას“ უწოდებენ და მათზე მოწვეულ რისხვასა და შურისგების დღეს „წინასწარმეტყველებენ“. აქვთ შეგნებულად შემუშავებული გეგმა, რომლის მიხედვითაც ქრისტიანული კულტურისა და სახელმწიფოებრიობის განადგურება სურთ.

მათ თითქოს ერთგვარად უყვართ კიდეც ქრისტე, მაგრამ სინამდვილეში ისინი ქრისტეს მტრები არიან. მათეული ქრისტე სავსებით უცხოა სახარებისათვის. უარყოფენ ქრისტეს ღვთაებრიობას, მამისა და ძის თანასწორობას, მაგრამ თუ ქრისტე არ არის მამის თანასწორი, მაშინ მას არ ძალუძს ფლობდეს ჭეშმარიტებას მთელი თავისი სისავსით და, ესე იგი, არ ძალუძს გადასცეს ადამიანებს ღმერთის სრულყოფილი ცნება, რომელიც სახარებაშია. ისინი არ ითვალისწინებენ წმიდა წერილს, რომლის თანახმადაც, ვინც ძეს უარყოფს, ის მამასაც უარყოფს (ლუკა 10,16, იოანე 2,23), არ ითვალისწინებენ იესო ქრისტეს მიერ მოციქულ ფილიპესადმი ნათქვამ სიტყვებს: „რომელმან მიხილა მე, იხილა მამა ჩემი“ (იოანე 14,9); არ ითვალისწინებენ არც იმას, რომ იესო ქრისტე იუდეველებთან საუბარში თავის თავს

„იელოვას“ უწოდებს: „პირველ აბრაჰამის ყოფამდე მე ვარ“ (იოანე 8,58) „მე ვარ“, ანუ „ვარ იელოვა“.

და იდეის საბოლოო ფორმულირება ასეთია: ღმერთი – ესაა დედამიწის შემოქმედი. მოძღვრება წმიდა სამების შესახებ კი, სატანის გამოგონებაა.

იელოვას მოწმეები ამოფარებულნი არიან ქრისტეს სახელს, მათ არ სწამთ ხატი, არ სწამთ ჯვრის თაყვანისცემა. მათ ჯვარი წარმართობიდან გადმოსულ სიმბოლოდ მიაჩნიათ.

ჩვენთვის კი, ქრისტიანთათვის, მას შემდეგ, რაც ჯვარზე გააკრეს იესო ქრისტე და რაც მასზე უფლისა ჩვენისა სისხლი დაიდგარა, იგი ადამიანურ ცოდვაზე, წყველაზე, სიკვდილსა და ეშმაკზე გამარჯვების ნიშანი შეიქნა. იგი იქცა სიწმიდედ.

ისინი უარყოფენ ყოველივეს, რაც მათ სწავლებას არ ეთანხმება. მსოფლიო დაყოფილი აქვთ ორ ბანაკად: „ღვთის შვილებად“ და „სატანის შვილებად“. ხოლო მათ მიმართ, ვინც მათთან არაა, წყველასა და ანათემასაც არ ერიდებიან. ეს სექტა გამუდმებულ ბრძოლაშია თავის მოწინააღმდეგეებთან.

ამჟამად დედამიწაზე რამდენიმე მილიონი იელოველია. ისინი დიდ ფინანსურ და მატერიალურ რესურსებს ფლობენ, რის გამოც სხვადასხვა ქვეყნებში სატელევიზიო გადაცემებისათვის იოლად ყიდულობენ დროს, იღებენ კინოფილმებს, აწყობენ დიდ, მასობრივ შეხვედრებს სტადიონებსა და სხვა საზოგადოებრივ ადგილებში, უფასოდ არიგებენ დიდძალ ლიტერატურას.

უარყოფენ რა წმიდა სამებას (ეს კი მიუტყევებელი ცოდვაა), მიაჩნიათ, რომ ქრისტე ღმერთის ქმნილებაა, ანგელოზზე მაღლა მდგომი... ძე ღმერთისა, არა თავისი ბუნებით, არამედ რჩეულობით. სული წმიდა კი მხოლოდ ღვთაებრივი ძალაა. იელოველები ამბობენ, რომ ქრისტესთან თათბირის შემდეგ ღმერთმა შექმნა სამყარო. როდესაც ადამიანები ცოდვით დაეცნენ, ქრისტემ დროებით შეიმო-

სა კაცებრივი სხეული. მისმა ჯვარცმამ, მხოლოდ ადამის ცოდვა გამოისყიდა. ადამიანების პირადი ცოდვები გოლგოთის მსხვერპლით გამოსყიდვას არ ექვემდებარებიან. ქრისტე ხორციით არ აღმდგარა, მისი სხეული ან ჰაერში გადნა, ან მუმიასავით შენახული დარჩა; შესაბამისად, ხორციით ამაღლებაც უარყოფილია. ქრისტეს მეორედ მოსვლა თითქოს უკვე უხილავად მოხდა 1919 წელს. მაღე კი მსოფლიო ისტორიის დასასრულია. ესაა არმაგედონი – ხალხების ბრძოლა, სადაც იელოვა სძლევს სატანას და იელოველების ყველა მოწინააღმდეგეს. ამას მოსდევს მიცვალებულთა აღდგომა, როგორც ადამიანების ხელახლა შექმნა, რომელთაგან 144 ათასი მართალი ზეცაში იცხოვრებს, ხოლო იელოველები და მათი მომხრენი მიწაზე, სადაც ყოველგვარი სიკეთით დატკბებიან.

ისეთ ცნებებს, როგორცაა სულის უკვდავება, სამოთხე და ჯოჯოხეთი, იელოველები უარყოფენ. ისინი უკიდურესი მატერიალისტები არიან.

მათი სწავლებით, ადამიანის გარდაცვალების შემდეგ არაფერი არ რჩება. ისინი სულიერი შემადგენლობის მიხედვით, მას ცხოველებთან აიგივებენ. მაგრამ ეს ასე არ არის. თუ ბუნება და ცხოველები მხოლოდ ღვთის სიტყვით შეიქმნა, ადამიანის შექმნას სამპიროვანი ღმერთის ბჭობა უძლოდა. ღმერთმა ადამიანში სიცოცხლის სული შთაბერა.

იელოველებს მიაჩნიათ, რომ ხალხების დიდ ბრძოლაში, ე.ი. არმაგედონში, განადგურდება მთელი კაცობრიობა, „იელოვას მოწმეების საზოგადოების“ გარდა.

სიტყვა „არმაგედონი“ ბიბლიაში მხოლოდ ერთხელ გვხვდება: „აპოკალიფსის“ მე-16 მუხლში და ნიშნავს არა ბრძოლას, არამედ ადგილს აღმოსავლეთ პალესტინაში, სადაც ელწინასწარმეტყველის გამოქვაბულია. ეს ადგილი იელოველებს სამწუხარო ამბავს ახსენებდა: მართალი მეფე

იოსია, რომელმაც აღადგინა იუდეაში ღმერთის თაყვანისცემა და რომელიც მთელ ხალხს უყვარდა, აქ გადაეღობა ევკიპტელთა ლაშქარს, ბაბილონის დასაპყრობად მიმავალს (ბაბილონი იუდეის მოკავშირე იყო) და უთანასწორო ბრძოლაში გმირულად დაიღუპა. იუდეველთათვის მაგიდო, ისე როგორც – შემდგომში იერუსალიმის „გოდების კედელი“, მათი ისტორიული ტრაგედიის სიმბოლოდ იქცა. თვით „აპოკალიფსში“ არაფერია ნათქვამი იმის თაობაზე, თითქოს არმაგედონის დროს კაცობრიობა უნდა განადგურდეს. ეს უკვე ფანტაზიის ნაყოფია.

საგულისხმოა, რომ იელოველები სოფლის დასასრულის თარიღსაც წინასწარმეტყველებენ. რასელმა ქვეყნის დასასრული 1914 წლისათვის ივარაუდა. მისი მემკვიდრის, რეტერფორდის ვარაუდით, არმაგედონი 1929 წელს უნდა მომხდარიყო, ფრანც ფრედერიკ უილიამსის ცნობით, კაცობრიობის ისტორია 1972 წელს დასრულდებოდა. როცა ეს წინასწარმეტყველებები არ ახდა, ათასობით კაცმა დატოვა მათი სექტა... ამის შემდგომ იელოველები თარიღებს აღარ ასახელებენ და მხოლოდ ამბობენ, არმაგედონის ჟამი მოახლოებულიაო.

მათ მიაჩნიათ, რომ არმაგედონის შემდეგ მოხდება ქრისტეს მეორედ მოსვლა და ეს მოსვლა იქნება უხილავი. მაცხოვარმა კი თქვა, რომ მისი მოსვლა მთელი სოფლისათვის ცხადი იქნება: „ვითარცა ელვად რა ამობრწყინდის მზისა აღმოსავალით და ჩანან ვიდრე დასავალამდე, ეგრეთ იყოს ვიდრე ქუეშე ცისადმდე ბრწყინავნ, ესრეთ იყო მოსლვად მისა კაცისა (მათე 24,27). ვითარცა ელვად რა ელავნ ქუეშე ცისადთგან ძე კაცისად დღეთა მისთა (ლუკა 17,24) „მოსლვად არს ძე კაცისა დიდებითა მამისა თვისისათა“ (მათე 16,27) „ესე იესო, რომელი ამადლდა თქუენგან ზეცად, ეგრეთვე მოვიდეს, ვითარცა იხილეთ აღმავალი ზეცად“ (საქმე 1,11). იოანეს გამოცხადებაში წერია – „და იხილოს იგი ყოველმან თუალმან და

რომელთა იგი უგუძირეს მას და გოდებდნენ ტომნი ქუეყანისანი“ (გამოცხ. 1,7).

ბიბლია გვასწავლის, რომ ძე ღვთისა, რომელიც არის „ღმერთი ყოველთა ზედა“, პირველი მოსვლისაგან განსხვავებით, მოვა დიდებით, თავის ანგელოზებთან ერთად და მაშინ თითოეულ კაცს მიუზღვავს თავისი ნამოქმედარის მიხედვით. მას იხილავენ ღრუბლებზე მომავალს დიადი ძალით... როგორც ელვა ელავს ცის ერთი კიდიდან და ანათებს მეორე კიდემდე, ასევე იქნება ძე კაცისა თავის დღეს. და მაშინ გამოჩნდება მისი ნიშანი ზეცაში – ჯვარი გაბრწყინებული, რომელიც მზეზე უფრო ნათელი იქნება.

ქრისტეს მოსვლის შემდეგ კი უნდა იყოს საშინელი სამსჯავრო... მაგრამ იელოველები უარყოფენ ამას. მათ მიაჩნიათ, რომ ამ დროს მოხდება კაცობრიობის დაყოფა იელოველებად და მის მოწინააღმდეგეებად. ამრიგად, სოფელს ქრისტე კი არ განსჯის, არამედ რასელისა და ფრანცის წიგნები.

მათი სწავლებით, ქრისტეს მოსვლას მოჰყვება მკვდართა აღდგომა. ოლონდ ეს აღდგომა საყოველთაო არ იქნება, არამედ ნაწილობრივი და შერჩევითი. იელოველების გარდა მრავალი სხვა მიცვალებულიც აღდგება, ისინი, ვინც თანაუგრძობენ მათ. დანარჩენები კი არ აღდგებიან. მიცვალებულთა აღდგომას მოჰყვება მართალთა ათასწლოვანი მეუფება მიწაზე. ამ ხნის მანძილზე სატანა შეკრული იქნება და ყველა მკვდრეთით აღმდგარი გაეცნობა იელოველთა მოძღვრებას. ათასი წლის შემდეგ სატანა გათავისუფლდება. იგი მრავალ ერს აცდუნებს და „იელოველების“ წინააღმდეგ ომს დაიწყებს... საბოლოოდ ღმერთი სძლევს მას და გადარჩებიან მხოლოდ იელოველები.

იელოველები ბევრს ლაპარაკობენ თვით ქრისტეს აღდგომაზე და თითქოს სწამთ კიდევ ამ სასწაულის, მაგრამ ამავე დროს ამტკიცებენ, რომ იგი სხეულით არ აღმდგარა. ისინი არ აღნიშნავენ არც ქრისტეშობას, არც ნათლისღებას და, რაც მთა-

ვარია, არც აღდგომას. აღნიშნავენ მხოლოდ იესო ქრისტეს ჯვარცმის დღეს.

ქრისტიანული სწავლებით კი, ხდება არა განმეორება პიროვნებისა, არამედ ფერისცვალება და განსულიერება.

იელოველები ჯოჯოხეთის არსებობასაც უარყოფენ. ასევე უარყოფენ სულის უკვდავებას. სული იელოველებს ესმით, როგორც სხეულის სიცოცხლე.

ახლა კვლავ ჩავიხედოთ ბიბლიაში და ვნახოთ, რას გვაუწყებს იგი სამების შესახებ.

ბიბლია ღმერთს უწოდებს წმიდა სამების ყველა წევრს – მამას, ძეს და სულიწმიდას. პირველი პირი წმიდა სამებისა – მამა, არის ღმერთი: „ამას მამამან დაბეჭდა ღმერთმან“ (იოანე 6,27). ძე ღმერთისა, იესო ქრისტეც ჭეშმარიტი ღმერთია: „ღმერთი გამოჩნდა ხორციითა“ (ტიმ. 3,16); სულიწმიდაც, ღმერთია: „ტაძარნი ღმერთისანი ხართ და სული ღმერთისა დამკვიდრებულ არს თქვენს შორის“ (1კორ. 3,16).

ბიბლიაში ასევე დადასტურებულია სამების პირთა განუყოფლობა: „ძე და მამა ჩემი ერთ ვართ“ (იოანე 10,30), „რომელმან მიხილა მე, იხილა მამა ჩემი“ (იოანე 14,9); „საინი არიან, რომელნი წამებენ ცათა შინა: მამა, სიტყვა და სული წმიდა; ესე საინი არიან“ (იოანე 5,7); „და საინი არიან, რომელნი წამებენ: სული და წყალი და სისხლი, და სამივენი ესე ერთისა მიმართ არიან“ (1 იოანე 5,7-8).

პირველი პირი წმიდა სამებისა – მამა, ბიბლიის მოწმობით არის ღმერთი „ამას მამამან დაბეჭდა ღმერთმან“ (იოანე 6,27), „წინასწარ ცნობითა ღმერთისა მამისათა“ (1პეტრე 1,2), ერთ არს ღმერთი მამა“ (1კორ. 8,6).

ძე ღმერთისა, იესო ქრისტეც ჭეშმარიტი ღმერთია: „ღმერთი გამოჩნდა ხორციითა“ (ტიმ. 3,16).

სულიწმიდაც, აგრეთვე, ღმერთია: „ტაძარნი ღმერთისანი ხართ და სული ღმერთისა. დამკვიდრებულ არს თქვენს შორის“ (1კორ. 3,16).

წმიდა სამების ღვთაებრივი პირნი შეურწყმელნი არიან: „ხოლო რაჟამს

მოვიდეს ნუგეშისმცემელი იგი, რომელი მე მოვაველინო თქვენდა მამისა ჩემისა მიერ“ (იოანე 15,26).

ასევე, სამივე პირი თანასწორია: „მოიმოწაფენით ყოველნი წარმართნი და ნათელს-სცემდით მათ სახელითა მამისათა და ძისათა, და სულისა წმიდისათა“ (მათე 28,19). აქ „სახელითა“ ნიშნავს პირთა თანასწორობას.

ჩვენ გვწამს ერთი, სამპიროვანი ღმერთი. სამივე ეს პიპოსტასი ერთმანეთისადმი სიყვარულით არიან შეერთებულნი. ეს მთავარია.. „სული არს ღმერთი“ (იოანე 4,24) და „ღმერთი სიყვარული არს“ (იოანე 4,8).

იელოველები ამბობენ, რომ ჭეშმარიტების ერთადერთი წყარო არის წმიდა წერილი. ქრისტიანული ეკლესია კი სატანის ორგანიზაციაა და მისი გადმოცემები ტყუიანო. მაგრამ წმიდა წერილი სწორედ ეკლესიამ შემოინახა. სწორედ ეკლესიაში ყალიბდებოდა ახალი აღთქმის წიგნების კანონი. ეკლესიამ უარყო აპოკრიფები, რომლებსაც სახარების როლზე ჰქონდათ პრეტენზია... ეკლესიამ დაიცვა ჭეშმარიტება ტყუილისაგან, მოციქულთა სწავლება – წვალებისაგან, სახარება – სიყალბისაგან, ხოლო იელოველებმა შექმნეს საკუთარი, სექტანტური, ეგრეთწოდებული „წმიდა წერილი“, ესაა რასელიის, რეტერფორდისა და ფრანცის წიგნები.

იელოველები აღნიშნავენ წელიწადში მხოლოდ ერთ დღეს – იესო ქრისტეს ვნებასა და სიკვდილს. ამ დღეს ტარდება რიტუალი, რომელმაც მათ სიღუმლო სერობა უნდა მოაგონოს. უმთავრეს ქრისტიანულ დღესასწაულს – აღდგომას იელოველები არ ცნობენ. მათი სწავლების მიხედვით, ქრისტე ხორციით არ აღმდგარა; სულით კი არ მომკვდარა. მათი გაგებით, ქრისტეს სიკვდილი და აღდგომა არის მისი ანგელოზებრივი ბუნების გათავისუფლება კაცებრივი სხეულისაგან.

ამაღლება არ სწამთ, რადგან მათი აზრით, როგორც ზემოთ ითქვა, ქრისტეს სხეულმა ან გაზისებური ფორმა მიიღო და ჰაერში გადნა, ან მუმიის სახით ინახება.

სამების დღეს და სულთმოფენობას ისინი იმიტომ არ დღესასწაულობენ, რომ წმიდა სამება, მათი აზრით, სატანის გამოგონებაა, სულიწმიდა კი არის არა ღმერთი, არამედ ძალა ღმრთისა, მოციქულთა განსამტკიცებლად მოვლენილი. აქედან გამომდინარე, იელოველები არც ღვთისმშობლისა და წმიდანების დღესასწაულებს ცნობენ, არც ცნობენ არც ხატებს. მათთვის, ისევე, როგორც მატერიალისტებისათვის, სიკვდილი აღარყოფნაში გადასვლას ნიშნავს. მათთვის მიცვალებულთა აღდგომა კაცობრიობის რჩეული ნაწილის ხელახლა შექმნას ნიშნავს, ხოლო მარადიულობა – მიწიერი მყოფობის გაგრძელებას, ან დროის მარადიულობად გადაქცევას.


შემზარავი და მიუღებელია ყოველივე ეს და კიდევ სხვაც ბევრი რამ ნამდვილი, ჭეშმარიტი მართლმადიდებელი ქრისტიანისათვის...

სამწუხაროდ, ამ ბოლო დროს, ქვეყნის დიდი შეჭირვების ჟამს, საქართველოში, სადაც მუდამ ყველაზე მაღლა იდგა მართ-

ლმადიდებლური სარწმუნოება, ბევრი მოექცა იელოველთა გავლენის ქვეშ. მათ, როგორც უკვე აღვნიშნეთ, შემოაქვთ პროდუქტები, ტანსაცმელი, „ბიბლიები“, წამლები და ყოველივეს უსასყიდლოდ ურიგებენ მოსახლეობას. სანაცვლოდ კი ეუფლებიან ყველაზე მთავარს – მათ სულებს. ეს მართლაც დიდად სამწუხაროა. მოსახლეობა, რომელიც სამოცდაათწელზე მეტი ხნის მანძილზე, სრულიად მოწყვეტილი იყო ქრისტიანულ სარწმუნოებას, ხშირად ვერ ერკვევა სინამდვილის არსში და ითხოვს ახსნას, განმარტებას, ამიტომაც ძალზე დროული და ძალზე საჭიროა მსგავსი განმარტებები, რომელიც მცირე, ელემენტარულ ცოდნას მაინც მიაწვდის ადამიანებს.

ხოლო ჩვენ კვლავაც განვაგრძობთ პუბლიკაციებს იელოვას მოწმეთა შესახებ.

ძრავალი დიდი შეჭირვების ჟამი ჰქონია საქართველოს, მაგრამ ბოლოს და ბოლოს ყოველივე გადაუტანია... ამასაც გადაიტანს, გვწამს ეს!





თამარის ხიდი მდ. ქურმუხზე. კახსა და ელისუს შორის



უფალო ძალი ერსა ჩუენსა მოეც

ნუ გათათრდები

ნუ-გათათრდები – ეგვიპტის ტრედია, მომცრო
ფრინველი,
მსგავსი ვკრიტისა, მისირში
და შირაზში ცხოვრობს. ესენი ოდეს მგზავრს,
კაცს ნახავენ, იწყებენ ძახილს ქართულის ენით;
„ნუ გათათრდები“ და ამ მიზეზით თათარნი უწოდებენ
„გოურკუში“, ვითომც უსჯულო ფრინველი.

საბა – ქართული ლექსიკონი

შენ წაგიყვანეს უცხო ბილიკით, უცხო
მტკერი და ბორკილი ზიდე.

პირაქეთ გსურდა, დარჩი პირიქით
და ვერ დაბრუნდი ვერაფრით გზიდან.

როგორც ლაჟვარდში წასული ბოლი
მშობლიურ ქოხის საკვამურიდან,
შენ მზერა ცისკენ გაგექცა თრთოლვით,
როცა მოგწყვიტეს ქართლის გულიდან.

ქართლში დასტოვე მაისის სუნთქვა,
გაზაფხული და ვარდების მტკერი,
და სულში ღამე შეიცან უტყვად
შენი მიჯნურის თვალების ფერი.

როგორ აჰკაფა ვერაგმა ვაზი
და როგორ მოსრა ლურჯი ყანები.
გაგონდებოდა მომავალს გზაზე
ღედის ცრემლები სათაყვანები.

ცისკენ გაგექცა მზერა დაღლილი:
მთვარე გაჩრილი ჩანდა ღრუბლებში,
როგორც ნატეხი შენი მახვილის
გულმკერდშელეწილ თათრის უბეში.


შენ წაგიყვანეს ირიბი გზებით,
გკლავდა წყურვილი,
გაღრჩობდა სიცხე.
დაივიწყეო! – გიბრძანეს ცემით,
სამშობლო მაინც ვერ დაივიწყე.

მეხვაშიადე არავინ გყავდა,
ასე გატარეს დიდხანს და დიდხანს.
როცა დაეცი შირაზის კართან,
შენ გაიგონე ქართული სიტყვა.

გრძობდი:
საგულეს ადარ გეტევა.
გული ჭმუნვაში,
დარღში ნათრევი.
იქნებ წამოდგა მკვდრეთით ქეთევან
და დაიკვილა:
– ნუ გათათრდები!
იქნებ ის იყო სული უკვდავი
შანთით დასერილ წმინდა სხეულის?!
იქნებ ის იყო სული უკვდავი
იმ სხეულიდან გამოქცეული?!

და შენაც სული აზიდუ ცამდის
დაცემულმა და გზებზე ნათრევა...
– ნეტა რას ერჩი, თათარო მაგ ბიჭს,
ქართველია და არ გათათრდება!

არჩილ სულაკაური



წიგნი „ქართლის ცხოვრება“

გაშალე, ყველა ფურცელი
არი ფოლადის ნაცარი
დამსხვრეულ ხმალთა ჟღრიალი,
დეკაცთა ნამამაცარი.
გაშალე, ყველა ფურცელი
გულზე ნაწოლი ლოდია...
დოლბანდიანი ჯარები
სიკვდილის პირით მოდიან.
შავი დროშები ნისლივით
სამშობლოს დაეფინება,
ხმალს სისხლის ორთქლი აუვა,
სიკვდილით დაიკბინება...
საფლავად გაემზადება
ციხე-გალავნის თხრილები,
ქალი და ბავშვი აწყვია
კოშკიდან გადმოყრილები.
ისმის ტყეების ჟღავილი,
კვამლში ბლავიან ხარები...
ქერქებგახდილი ხეები,
დამწვარი ნასახლარები...
და რაც თმას ყალყზე აყენებს,
რაც მწარედ გვემახსოვრება,
ქართლის მკვლელობის ძველ ამბებს
უწოდეს „ქართლის ცხოვრება“.

გიორგი ლეონიძე

შინაარსი

თქვენო უწმიდესობავ.....	5
ქადაგება უწმიდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ ილია II -ისა.....	7
ქართველნო, ერთად ღვთისაქენ.....	10
ჰერეთის (საინგილოს) ეპარქია.....	12
ხ. ბერულავა – საინგილო (ლექსი).....	13
ამ ჰერეთ, იმ ჰერეთ მძებ იყენეს.....	14
თ. პაპუაშვილი – წუქეთის სიმეველენი.....	15
ა. ხახანაშვილი. ზაქათალის ოლქი. თარგმნა ნ. კობალაძემ.....	31
მ. ყულოშვილი. ბერ ზმაი.....	38
ზ. აბაშიძე. ზღვარი.....	43
საინგილოვ, უფლის მიწავ.....	46
მ. ყულოშვილი ერთი იმ დიდ მოწამეთაგანი.....	47
ა. ომარაშვილი. შვილებს თხოვდა საინგილო არ მიეტოვებიათ.....	51
ლ. ჯიყაშვილი. რაფიელ ივანიცკი.....	53
ა. დოლენჯაშვილი. მაშინ ყველა ერთად ვიყავით.....	54
ა. ომარაშვილი. რას ნიშნავს „ინგილო“.....	57
ნ. ლეჟავა. წმიდა მოწამენი. მეოხ გვეყავ.....	59
უფალო ძალი ერსა ჩუენსა მოეც.....	62
ზ. თორია. ღვთაებრივი ცეცხლის ნათება.....	64
ა. ბაქრაძე. ყველა თაობას თავისი ბედი აქვს.....	70
ბ. თავაძე. ვინ არიან და საიდან მოვიდნენ აფსუა აფხაზები.....	73
დ. კერესელიძე. გადავარჩინოთ ქართული სული. ესაუბრა თ. კობალაძე.....	76
გრ. პაჭკორია. კენის თარეში ქართულ სულზე.....	84
ნ. ფოფხაძე. ზოგი რამ ახლო წარსულიდან.....	90
ამბროსი ხელაია. კ. პ. სრულიად საქართველოსა. ზმა სოხუმიდან. თარგმნა ნ. პაპუაშვილმა.....	94
თ. კობალაძე. ჩვენი არქივიდან.....	100
ზოგი რამ ივლოვას მოწმებზე.....	103
ა. სულაკაური. ნუ გათათრდები.....	109
გ დღეონიძე. წიგნი „ქართლის ცხოვრება“.....	113

რედაქტორი თინათინ კობალაძე

სარედაქციო კოლეგია

მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე, ანდრია აფაქიძე, ეპისკოპოსი თეოდორე,
მონაზონი ევგენია, ზურაბ თორია (პასუხისმგებელი მდივანი), ზაზა
სხირტლაძე, გივი ღამბაშიძე, ედიშერ ჭელიძე.

კორექტურა წაიკითხა ნანა ლეჟავამ

კომპიუტერული მომსახურება ნატო გურამიშვილისა და მერი მანველიძისა.

საქართველოს საპატრიარქო
თბილისი. ერეკლე II-ის №1.
ტელ: 98-95-21

GEORGIAN PATRIARCHATE „JVARI VAZISA”
(The Cross of Vine) №1. 2005
Tbilisi 1, Erekle’s square

Джвари вазиса (Лозовый крест) №1 2005
Грузинская Патриархия.
Тбилиси, пл. Ираклия 1

გამომცემელი დეკანოზი მიქაელი (წურწუშია)

დაიბეჭდა შპს „ცოტნეში“

2005

ქართული ანბანი

ა	უ	ბ	a	1	ს	ლ	ბ	s	200
ბ	ყ	ბ	b	2	ე	ქ	ც	t	300
გ	ვ	გ	g	3	დ	ყ	ვ	y	
დ	ძ	დ	d	4	ოდ	ყ	უ	u	400
ე	ყ	ე	e	5	ფ	ფ	ვ	p	500
ვ	წ	ვ	v	6	ჩ	ჩ	კ	k	600
ზ	წ	ზ	z	7	ჩ	წ	წ	z	700
თ	წ	ც	e	8	ყ	ყ	ყ	g	800
ც	თ	თ	t	9	გ	ყ	ვ	š	900
კ	რ	ი	i	10	ჩ	ჩ	ჩ	č	1000
ქ	კ	ქ	k	20	ც	ქ	ც	c	2000
ლ	თ	ლ	l	30	ძ	ძ	ძ	z	3000
მ	ძ	მ	m	40	ჩ	ჩ	ვ	q	4000
ნ	ჩ	ნ	n	50	ს	ს	ჭ	č	5000
ო	ო	ო	j	60	ე	ქ	ბ	x	6000
პ	უ	ო	o	70	ყ	ყ	ბ	q	7000
რ	რ	პ	p	80	ჯ	ჯ	ჯ	ž	8000
ს	ყ	ყ	z	90	ჩ	ჩ	ბ	h	9000
ტ	ჩ	ჩ	r	100	ჭ	ჩ	ჭ	ω	10000

